



ბატიაშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

ხატიაშვილი, გ., სახელმძღვანელო ქალთა და ბავშთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში
ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, თბილისი, 2021

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულბან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი



USAID
ავტომატიზაციური სამსახური

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

გოგა ხატიაშვილი

სასელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ პალაზონგისა და ოჯახში პალაზონგის წინააღმდეგ პრძოცლის საკითხებზე

კანონის განმარტებები და პრაქტიკული საკითხები
(2021 წლის 31 მაისის მდგომარეობით)

თბილისი
2021

სახელმძღვანელოს მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მისი ავტორები და ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
აშშ-ის სამსახურის
სამსახურის სამსახური

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კარინის უზენაესობის მსარდაჭერა
საქართველოში (PROLOG)

ISBN 978-9941-8-3351-9

შინაარსი

შესავალი	7
თავი I. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის არსი და ფინანსები.....	10
1. საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა 10	
2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ცნება და მახასიათებლები..... 13	
3. ძალადობის ხელშემწყობი მიზეზები და რისკ- ფაქტორები 18	
4. ოჯახის წევრის ცნება..... 25	
5. ძალადობის ფორმები და ელემენტები 31	
6. ძალადობის ფაზები და დინამიკა 37	
თავი II. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტები 39	
1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი მექანიზმები..... 39	
1.1 ოჯახში ძალადობა..... 41	
1.2 ოჯახური დანაშაული 53	
1.3 ფემიციდი – გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა 55	
1.4 გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებები 57	
2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები 64	
2.1 შემაკავებელი ორდერის დანიშნულება და მისი გამოცემის წესი 71	
2.1.1 შემაკავებელი ორდერის გამოცემა რისკების შეფასების საფუძველზე (რისკების შეფასების ინსტრუმენტი და მისი გამოყენების მეთოდოლოგია).....85	

2.1.2	რისკების შეფასება და შემაკავებელი ორდერის გამოცემა გამოძიების დაწყების ან მიმდინარეობისას	91
2.1.3	რისკების შეფასება და შემაკავებელი ორდერის გამოცემა მოძალადის მიერ პენიტენციური დაწყესებულების დატოვებისას.....	96
2.2	მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება	98
2.2.1	მოძალადისა და მსხვერპლის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა	110
2.2.2	გეოგრაფიული ზონები	112
2.2.3	ელექტრონული ზედამხედველობის შეჩერება, შეწყვეტა და მისი ვადამდე გაუქმება.....	114
2.3	დამცავი ორდერის დანიშნულება და მისი გამოცემის წესი	116
2.4	დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემა და მოქმედება მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების დროს	124
2.5	შემაკავებელი, დამცავი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის მონიტორინგი	125
2.5.1	შემაკავებელი ორდერის მონიტორინგი	130
2.5.2	დამცავი ორდერის მონიტორინგი.....	130
2.5.3	იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის მონიტორინგი.....	131
2.5.4	შემაკავებელი და დამცავი ორდერის მონიტორინგისას გასათვალისწინებელი სხვა გარემოებები	131
2.6	შემაკავებელი და დამცავი ორდერის დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა	134
3.	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები	136
თავი III. ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბაზეთი		
	გამოვლენის, დაცვისა და დახმარების მექანიზმები.....	138
1.	ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფორმები	139
2.	ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა და პროცედურები	149
3.	ბავშვის ოჯახიდან გამოყვანისა და მშობლისგან/სხვა პასუხისმგებელი პირისგან განცალკევების საფუძვლები.....	161

თავი IV. სექსუალური შევიწროება და მისგან დაცვის სამართლებრივი მიერთების მიზანი 172	
1. სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში 175	
2. სექსუალური შევიწროება სამუშაო/დასაქმების ადგილას 188	
თავი V. სპეციალისტების მიერ ძალადობის ფარავის შეტყობინების წესი და ძალადობის მსხვერპლებისათვის გათვალისწინებული სერვისები . 209	
1. სპეციალისტების მიერ ძალადობის ფაქტის თაობაზე შესაბამისი ორგანოების ინფორმირების წესი 209	
2. სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების საფუძვლები და პროცედურები 213	
3. ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულება – თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი..... 219	
თავი VI. ძალის მიმართ და ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები 231	
1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული აქტები — ზოგადი მიმოხილვა 231	
2. ადამიანის უფლებათა ეფროპული სასამართლოს პრეცედენტული საქმეები 249	

შესავალი

ოჯახში ძალადობა კვლავ რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად როგორც მსოფლიოსათვის, ისე საქართველოსთვის. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი (ოჯახის წევრი), იგი ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქალებისა და ბავშვებისათვის. სწორედ ამიტომ, სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა საკითხებზე.

საზოგადოების ნაწილი ოჯახში ძალადობას კვლავ აღიქვამს „პირად საქმედ“ და ერიდება მასში ჩარევას, რაც კიდევ უფრო ართულებს მის გამოვლენას. დაუსჯელობა კი მოძალადეს აძლიერებს და მეტ გამბედაობას მატებს.

ოჯახში ძალადობის შედეგად გამოწვეული ხანგრძლივი ნეგატიური შედეგები უარყოფითად აისახება არა მარტო კონკრეტული ადამიანების კეთილდღეობაზე, არამედ ცივილიზებული და ჯანსაღი საზოგადოების ფორმირების პროცესზე.

ბოლო წლებში ქვეყანაში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა საკანონმდებლო თუ ინსტიტუციურმა ცვლილებებმა გააუმჯობესა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, მათ შორის, ამგვარ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმები. ასევე, 2017 წელს საქართველომ მოახდინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება და მიიღო ზომები საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს.

ყოველწლიურად იზრდება ოჯახში ძალადობის გამოვლენის დინამიკა, რაზეც მეტყველებს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების გამოყენების სიხშირე. მაგ., 2017 წელს ოჯახში ძალადობის ფაქტზე გამოიცა 4370 შემაკავებელი ორდერი, 2018 წელს – 7 646, 2019 წელს – 10 266, ხოლო 2020 წელს – 10 321 ორ-

დერი.¹ რაც შეეხება მოძალადეთა სისხლისსამართლებრივ პასუნისმგებლობას, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 99%-ით არის გაზრდილი, ხოლო 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, გაზრდილია 15,8%-ით. 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, მონაცემები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.² ზემოხსენებული მონაცემები მიუთითებს, რომ 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის გამოვლენის დინამიკა არსებითად არ შეცვლილა. შესაძლოა, აღნიშნული გამოიწვია იმან, რომ პანდემიის პირობებში განსაკუთრებით დამძიმდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობა, რომლებიც მოძალადეებთან ერთ სივრცეში პირისპირ აღმოჩნდნენ. შედეგად, გაიზარდა ოჯახში ძალადობის რისკები, თუმცა შემცირდა აღნიშნულ შემთხვევათა გამოვლენის შესაძლებლობა.³

მიღწეული პროგრესის მიუხედავად, კვლავ გამოწვევად რჩება ძალადობის პრევენცია, პრობლემისადმი ყოვლისმომცველი მიღვომის, მსხვერპლთა მხარდაჭერისა თუ მათი უსაფრთხოების დაცვის გრძელვადიანი ხედვის ნაკლებობა, რაც სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტ ძალისხმევასა და კომპლექსური მიღვომის განხორციელებას საჭიროებს. კერძოდ, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება, მეორე მხრივ, მსხვერპლთა რეაბილიტაცია და გრძელვადიანი მხარდაჭერა, მათ შორის, ეკონომიკური გაძლიერება, რაც, საბოლოო ჯამში, ცნობიერების ამაღლებისა და მოძალადეთა ქცევის კორექციისაკენ მიმართულ ღონისძიებებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ძალადობის პრევენციას.

მოცემული საკითხის სათანადო გასააზრებლად მნიშვნელოვანია ყველა იმ ასპექტის ცოდნა, რომლებიც ერთიანობაში ქმნის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ნინააღმდეგ ბრძოლის როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ ჩარჩოს და ითვალისწინებული გენერალური პროკურორის ანგარიში, 2020, 36, იბ. <https://bit.ly/2Mf4hIn> [29.01.2021].

¹ იბ. <https://bit.ly/2OzMHdb> [17.03.2021].

² გენერალური პროკურორის ანგარიში, 2020, 36, იბ. <https://bit.ly/2Mf4hIn> [29.01.2021].

³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, 200, იბ. <https://bit.ly/2PJeKH8> [01.04.2021].

ნებს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სხვადასხვა შესაძლებლობას.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მარეგულირებელი ცალკეული ნორმები გაპნეულია/ასახულია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტში, რის გამოც ხშირად ერთდროულად რამდენიმე დოკუმენტის ნახვა და დამუშავებაა საჭირო, რათა შესაძლებელი გახდეს კონკრეტული პრობლემის სრულყოფილი შეფასება და გადაჭრა. ამიტომ, მნიშვნელოვანია არსებული კანონმდებლობისა და მისი განმარტებების ერთად თავმოყრა, რაც უფრო სრულყოფილად, ყოვლისმომცველად და კომპლექსურად წარმოაჩენს განსახილველ საკითხებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოში თავმოყრილია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის განმარტებები, რომლებიც ითვალისწინებს ბოლო პერიოდში სხვადასხვა კანონში განხორციელებულ ცვლილებებს. ასევე, ცალკეული ინსტიტუტების დახასიათებისას მოყვანილია შესაბამისი მაგალითები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რაც კი-დევ უფრო ნათელსა და გასაგებს ხდის მათ შინაარსს, ხოლო სახელმძღვანელოს მეტ პრაქტიკულ დანიშნულებას მატებს.

სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია სამართლის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, თუმცა იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე პრაქტიკოსებსა და ამ თემით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

ბუნებრივია, ნაშრომს არ აქვს თითოეული საკითხის სრულყოფილად და ყოვლისმომცველად განმარტების პრეტენზია. იგი წარმოადგენს მცდელობას, მოიცვას როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული საკითხები და დაეხმაროს სტუდენტს, აითვისოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისა და მასთან მომიჯნავე სპეციალიზაციის შემსწავლელი საგნები, ხოლო, ზოგადად, მკითხველს წარმოდგენა შეუქმნას აღნიშნულ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე.

თავი I. ქალთა მიმართ და ოჯახში ქალადობის არსე და ფორმები

1. საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკანონ-მდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების თვალსაზრისით. კანონმდებლობის მიღება და მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სამ ეტაპად დაიყოს:

I – 2006 წელს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. აღნიშნული კანონით შეიქმნა სამართლებრივი სივრცე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით, მათ შორის, შემოღებულ იქნა დამცავი და შემაკავებელი ორდერის ინსტიტუტი, ხოლო აღნიშნული მიზნების ეფექტურად შესრულება დაევალა ცალკეულ სახელმწიფო უწყებებს. განსაკუთრებული როლი მსხვერპლთა დაცვაში მიენიჭა პოლიციას⁴;

II – 2012 წელს სისხლის სამართლის კოდექსში განისაზღვრა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ცნება, მათ შორის, შეიქმნა ოჯახში ძალადობის სპეციალური შემადგენლობა;

III – 2014 წლის 19 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას (სტამბოლის კონვენცია), ხოლო 2017 წლის 5 აპრილს მოახდინა ამავე კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ამავე წლის პირველ სექტემბერს შევიდა ძალაში. ეროვნული კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციისთან ჰარმონიზაციის მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები ქვეყნის 25-მდე საკანონმდებლო აქტში. აღნიშნული ცვლილებები ძირითადად შეეხო შემდეგ საკითხებს:

⁴ განმარტებითი ბარათი „ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე, იხ. <https://bit.ly/2Lww4gs> [05.01.2021].

შეიცვალა „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის სახელწოდება, გაფართოვდა მისი მოქმედების სფერო და დაემატა ქალთა მიმართ ძალადობის კომპონენტი;

მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების (მათ შორის, შემაკავებელი და დამცავი ორდერების) გამოყენება შესაძლებელი გახდა არა მარტო ოჯახში ძალადობისას, არამედ არაოჯახისწევრის მიერ ქალის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შემთხვევაშიც;

პოლიციის მიერ შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემდეგ აღარ არსებობს მისი სასამართლოსთვის წარდგენის ვალდებულება. შემაკავებელი ორდერის გამოცემის კანონიერებასა და საფუძვლიანობას სასამართლო ამონტებს მხოლოდ მისი გასაჩივრების შემთხვევაში;

სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დასჯად ქმედებად გამოცხადდა ადევნება, სტერილიზაცია თანხმობის გარეშე და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება. ასევე, გადაიხედა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დეფინიციები, თუმცა სრულად არ მომხდარა ამ ნორმების შესაბამისობაში მოყვანა სტამბოლის კონვენციის სტანდარტებთან;

გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომლებსაც შეუძლიათ, სამართალდამცველებს მიაწოდონ ინფორმაცია ძალადობის ფაქტების შესახებ. იმ პირების მიმართ, რომლებსაც პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება აკისრიათ (მაგ., ექიმები, ადვოკატები და ა.შ.), განისაზღვრა საგამონაკლისო შემთხვევა, როდესაც პროფესიული ვალდებულება და ეთიკა არ უზღუდავთ უფლებას, შესაბამის ორგანოებს მიაწოდონ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძა-

ლადობის თაობაზე, თუ არსებობს მისი განმეორების საშიშროება.⁵

აღნიშნულის გარდა, მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის გარანტიების შესაქმნელად. ეს განხორციელდა 2010 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და 2014 წელს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით.

ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო აქტებში სხვადასხვა დროს შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა მიზანი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პრძოლის ეფექტიანობის გაზრდა იყო. ამდენად, ზემოხსენებული კანონმდებლობა განსაზღვრავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმას და ითვალისწინებს ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელოვან მექანიზმებს.

2017 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, ასევე სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებენ საქართველოს სახალხო დამცველის, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

კომისიის ამოცანაა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე შესაბამის უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა, შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება, საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა და ა.შ.

⁵ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხ. <https://bit.ly/3a4m8Vt> [05.01.2021].

2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ცნება და მახასი-ათებლები

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობაა, რომელიც საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. მას აქვს განგრძობადი და ფარული ხასიათი, რაც განპირობებულია იმით, რომ იგი ხდება ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს – ოჯახის წევრებს – შორის.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. კანონის აღნიშნული განმარტება, რომელიც მიუთითებს კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევაზე, სწორად არ განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის ცნებას, ვინაიდან კონსტიტუციური და, ზოგადად, ადამიანის უფლებების დარღვევა მაშინ ხდება, როდესაც სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მათი დარღვევის პრევენციას, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო გამოძიებასა და დასჯას, ხოლო მსხვერპლისთვის შესაბამისი რეპარაციების მიკუთვნებას. კერძოდ, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ადამიანის უფლებები მესამე პირთა მხრიდან დარღვევისაგან და თუ იგი ვალდებულებას სათანადოდ ვერ ასრულებს, ამ დროს სახელმწიფო გვევლინება კონსტიტუციური უფლებების დამრღვევ სუბიექტად. ამდენად, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის სუბიექტი და ძირითადი პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო და არა კერძო პირი, მათ შორის, მოძალადე.

ზემოხსენებული კანონის 3¹ მუხლი ასევე განსაზღვრავს ქალთა მიმართ ძალადობის ცნებას, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისათვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან

ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა. ამავე კანონის მიზნებისთვის ქალად მიიჩნევა 18 წელს მიუღწეველი მდედრობითი სქესის არასრულწლოვანიც.

მოცემული განმარტების ძირითადი სულისკვეთება ეფუძნება ქალის მიმართ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას, რომლის დადგენასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც გამოძიების მიმდინარეობისას, ისე ადმინისტრაციული მექანიზმების გამოყენების პროცესში (მაგ., შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემისას). აღნიშნული მოტივის დადგენა, ერთი მხრივ, წარმოადგენს დამნაშავის პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებას და, მეორე მხრივ, არის აუცილებელი ელემენტი შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

სტამბოლის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, „ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“ გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე. ამავე მუხლის მიხედვით, სიტყვა „გენდერული“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობასა და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, გენდერი ნიშნავს სქესთა შორის ურთიერთობის სოციალურ ასპექტს, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე. ამავე მუხლის თანახმად, გენდერული თანასწორობა არის ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიანობას პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

გენდერული ნიშნით მოტივირებული ძალადობა აიხსნება მესა-კუთრული და სტერეოტიპული განწყობებით.⁶ იმის დასადგენად, მოძალადემ ქმედება გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩაი-დინა თუ არა, უნდა გაირკვეს, ეს ქმედება განპირობებული იყო თუ არა გენდერული სტერეოტიპების გავლენით. გენდერული სტერეოტიპია ქალისა და მამაკაცის მსგავსი ქცევის რადიკალუ-რად განსხვავებული შეფასება, ანუ ქალებისა და კაცებისათვის განსხვავებული ქცევის სტანდარტების დაწესება და ქალის ქცე-ვის, მამაკაცის ქცევასთან შედარებით, არათანაზომიერი გაკიც-ხვა. სტერეოტიპული შეხდულებები ძირითადად გამოიხატება ამ-გვარ შეფასებებში: განქორნინების შემდეგ ქალს მოეთხოვება და-კავდეს მხოლოდ ბავშვების მოვლითა და აღზრდით, განქორნინე-ბულ ქალს არ აქვს პირადი ცხოვრების თავისუფლად წარმართვის უფლება, ასევე გენდერული სტერეოტიპების გავლენით, მამაკა-ცი, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფს მეუღლეს, მას მი-იჩევს საკუთრებად, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქალს უფლება არ აქვს, მეუღლის ნებართვის ან თანხმობის გარეშე გავიდეს სახ-ლიდან, კონტაქტი დაამყაროს ახლო ნათესავებთან და მეგობრებ-თან, მიიღოს განათლება, დაიწყოს მუშაობა და ა.შ., ანუ როდესაც ქალს წართმეული აქვს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება საკითხებზე, რომლებიც მის პირად ცხოვრებას განეკუთვნება.⁷ ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობას, ზემოაღნიშნული სტერეოტიპული შეხედულებების საფუძველზე, ურთიერთობის ფორმის გათვალისწინებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რო-გორც ოჯახში, ისე ოჯახის მიღმა – საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამდენად, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფაქტზე უნდა დადგინდეს, ძალადობის მოტივი ხომ არ იყო ქალის გააქტიურე-ბული როლი ან ტრადიციების საწინააღმდეგო ქცევისადმი მოძა-ლადის აგრესიული დამოკიდებულება. მოტივის გამოკვეთის მიზ-ნით, დაზარალებულისათვის შესაბამისი კითხვების დასმასა და

⁶ სხილაძე ე., გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობები: სა-ხელმწიფოს ვალდებულება ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მი-ხედვით, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო მექა-ნიზმები, კ. კორკელიას რედაქტორობით, სტატიათა კრებული, 2016, 135.

⁷ პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლებისა და პროკურორებისთვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ევრო-პის საბჭო, 41-42, იხ. <https://bit.ly/3aYffpv> [05.01.2021].

მისი პოზიციის მოსმენასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ძალადობის კონტექსტზე, მათ შორის, მოძალადის მიერ გაკეთებულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებსა და შეფასებებზე, რომლებიც მსხვერპლი ქალის მიმართ სტერეოტიპული განწყობის შთაბეჭდილებას ტოვებს.⁸

დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორებს მიეკუთვნება: დამნაშავის მიერ ნათქვამი კომენტარები, უესტები ან მსხვერპლის დახასიათება ამა თუ იმ ეპითეტით დანაშაულის ჩადენის წინარე პერიოდში, დანაშაულის ჩადენის დროს ან ჩადენის შემდეგ; დამნაშავის მიერ მსხვერპლის მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული სისასტიკე. დისკრიმინაციული მოტივის ინდიკატორია, ასევე დამნაშავის სიამაყის გრძნობა მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან მიმართებით, რომლის თაობაზეც იგი უყვება მეგობრებს, საზოგადოებას ან თავისით მიდის პოლიციაში დანაშაულის საღიარებლად.⁹

საინტერესოა, რამდენად შეიძლება მიუთითებდეს გენდერულ ნიშანზე შურისძიება და ეჭვიანობა. ეჭვიანობა ხშირად განპირობებულია ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებებით, ითვლისწინებს ქალის ქცევის კონტროლსა და გენდერული როლებისადმი მორჩილების მოთხოვნას, ხოლო შურისძიების მოტივი ხშირად ვლინდება იმის გამო, რომ მსხვერპლმა დამნაშავეს უარი უთხრა ქორწინებაზე, ყოფილმა მეუღლემ უთხრა უარი შერიგებაზე, მეუღლემ „უღალატა“, გადაწყვიტა, სხვა ადამიანებთან დაემყარებინა ურთიერთობა, არ დაემორჩილა მის მითითებებს და ძალადობა გახდა, როგორც ერთგვარი სასჯელი/მოძალადის პასუხი ამგვარ ქმედებაზე. შესაბამისად, რადგან მსგავსი მოტივებით დანაშაულის ჩადენისას მამაკაცი მესაკუთრულ დამოკიდებულებას გამოხატავს ქალის მიმართ, რაც მიუთითებს ქმედების გენდერულ ნიშანზე, ამიტომ შურისძიება და ეჭვიანობა უნდა დაუკავშირდეს გენდერულ მოტივს.

⁸ პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ევროპის საბჭო, 42, იხ. <https://bit.ly/3aYffpv> [05.01.2021].

⁹ Prosecuting Hate Crimes, A Practical Guide, OSCE/ODIHR, 2014, 20, 47-48, 57.

ქვემოთ მოცემულია საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის მაგალითები, რომლებიც ძალადობის გენდერულ მოტივზე მიუთითებს

მამაკაცი სისტემატურად შეურაცხყოფდა და ამცირებდა მეუღლეს გენდერული დისკრიმინაციის მოტივით. კერძოდ, გენდერული სტერეოტიპების გავლენით მიაჩნდა, რომ ქალს არ უნდა ემუშავა, არ უნდა გამოეთქვა აზრი და შეხედულება და უნდა ყოფილიყო სახლში, რის გამოც ეს უკანასკნელი განიცდიდა ტანჯვას.

მამაკაცი გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ამცირებდა და შეურაცხყოფდა მეუღლეს, უშლიდა მობილური ტელეფონით საუბარს, კომუნიკაციის დამყარებას ნათესავებთან, თავისი შეხედულებისამებრ აზრის გამოხატვის თავისუფლებას და თვლიდა, რომ ოჯახში იყო მამაკაცი და მისი მითითება სავალდებულო იყო შესასრულებლად.

მამაკაცი გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, კერძოდ, სტერეოტიპული დამოკიდებულების – „ცოლი უნდა დადიოდეს ქმრის ნება-სურვილზე“ – გამო, დაემუქრა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს სიცოცხლის მოსპობით, რაც ამ უკანასკნელმა აღიქვა რეალურად და გაუჩნდა მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში.

მთვრალმა მამაკაცმა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, სტერეოტიპული დამოკიდებულების გამო, რომ იგი იყო იჯახის უფროსი და როგორც მას სურდა, ისე უნდა ჩაეცვა მის მეუღლეს, მუსიკალური ცენტრი ჩაარტყა ქალს თავში, რა დროსაც მან განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი.

რაც შეეხება ოჯახში ძალადობას, მასაც აქვს შესაბამისი მახასიათებლები და ინდიკატორები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია შემთხვევის იდენტიფიცირებისა და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე მუშაობისას.

ოჯახში ძალადობა ძირითადად შემდეგი მახასიათებელებით გამოირჩევა¹⁰:

ოჯახში ძალადობა ხდება სხვადასხვა ფორმით ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს – ოჯახის წევრებს – შორის;

ოჯახში ძალადობა, როგორც წესი, არ შემოიფარგლება ერთჯერადი აქტით და მას ახასიათებს განმეორებითობა და ზრდის ტენდენცია;

ოჯახში ძალადობას ახასიათებს ძალთა ასიმეტრია, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთ მხარეს (მოძალადეს) აქეს მატერიალური, ფიზიკური ან სხვა სახის უპირატესობა და ცდილობს მეორე მხარის (მსხვერპლის) დამორჩილებას;

ოჯახში ძალადობა უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო მსხვერპლზე, არამედ ოჯახის სხვა წევრებზე, განსაკუთრებით, არასრულწლოვნებზე;

ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულთა უმეტესობა არის ქალი, რაც ნიშნავს, რომ ოჯახში ძალადობა განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს ქალებზე.

3. ძალადობის ხელშემწყობი მიზეზები და რისკ-ფაქტორები

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა არის კონტროლისა და დათრგუნვის საშუალება, რომელიც მოიცავს ფსიქოლოგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფიზიკურ, სექსუალურ იძულებას, დათრგუნვასა და ზიანს,¹¹ ხოლო პატრიარქალური დამოკიდებულებები და გენდერული სტერეოტიპები გენდერული ძალადობის მიმართ ტოლერანტულ გარემოს ქმნის.¹²

პარტნიორთა მხრიდან ძალადობის რისკებს ზრდის დისკრიმინაციული გენდერული სტერეოტიპები და პატრიარქალური დამო-

¹⁰ სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ავტორთა ჯგუფი, 2010, 8, იხ. <https://bit.ly/39uiFPr> [05.01.2021].

¹¹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის №3-7-20 გადაწყვეტილება.

¹² ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016, 5, იხ. <https://bit.ly/3oGD88k> [05.01.2021].

კიდებულებები, ქალებმა ნაკლებად იციან საკუთარი უფლებების შესახებ. ამ მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადრეული და იძულებითი ქორწინება და არასაკმარისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა. ქალთა მიმართ და ოჯაში ძალადობის გამომწვევ ფაქტორებს შორის არის აღკოპოლის მოხმარება, ფინანსური პრობლემები და უმუშევრობა.¹³

ძალადობის ძირითად მაპროვოცირებელ ფაქტორად მიიჩნევა მოძალადეზე მატერიალური დამოკიდებულება, საზოგადოების მხრიდან მორალური მხარდაჭერის ნაკლებობა, სტერეოტიპული მიდგომები ოჯახის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ და ოჯახის საქმეებში ნათესავების ჩარევა.¹⁴ ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ განმაპირობებლ ფაქტორად მიიჩნევა ეკონომიკური დამოუკიდებლობის არასებობა, რის გამოც ქალების უმრავლესობას უძნელდება, თავი დააღნიოს ძალადობას.¹⁵

ძალადობრივი ქცევის რისკ-ფაქტორები არა განყენებულად, არამედ ინდივიდუალურად, სიტუაციური, საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორების ერთობლიობად განიხილება.

ძალადობრივ ქცევასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ფაქტორებს განეკუთვნება: ახალგაზრდა ასაკი (ადრეული ქორწინება), დაბალი აკადემიური მოსწრება/განათლების დაბალი საფეხური, აგრესიული ქცევა და დელიქვენტობა (განსაკუთრებით 18 წლამდე), ფინანსური სირთულეები, უმუშევრობა ან დასაქმების პრობლემა, ძალადობის წარსული გამოცდილება, როდესაც ბავშვი არის ძალადობის შემსწრე, ბავშვობაში გადატანილი აქვს ძალადობა ან მის პირად ცხოვრებაში არსებობს რაიმე სახის ძალადობრივი ეპიზოდი. კანადასა და აშშ-ში ჩატარებული კვლევების მიხედვით, მამაკაცები, რომლებიც ძალადობენ პარტნიორებზე,

¹³ ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016, 7, იბ. <https://bit.ly/3oGD88k> [05.01.2021].

¹⁴ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, 7, იბ. <https://bit.ly/3r5LNt5> [05.01.2021].

¹⁵ სახელმძღვანელო პოლიციის მუშავთა ტრენირებისათვის სასწავლო კურსი-სათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, 2011, 28, იბ. <https://bit.ly/2MIMb19> [05.01.2021].

არიან ძალიან ემოციურები და იმპულსურები, აქვთ დაბალი თვითშეფასება, უჭირთ აგრესისა და მტრული განწყობის კონტროლი, ახასიათებთ დეპრესიული გუნება-განწყობა და პიროვნული აშლილობის შეფასების ინსტრუმენტებზე აქვთ მაღალი მაჩვენებელი, მათ შორის, ანტისოციალური, აგრესიული და მოსაზღვრე პიროვნული აშლილობის კუთხით. ასევე, მამაკაცებში პარტნიორის მიმართ აგრესიული ქცევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება. კვლევების მიხედვით, იმ ქალებზე, რომელთა პარტნიორებიც მოიხმარენ ალკოჰოლს, დაფიქსირდა ფიზიკური ძალადობის ხუთჯერ მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე იმ ქალებზე, რომელთა პარტნიორებიც ალკოჰოლს არ მოიხმარენ.

სიტუაციურ ფაქტორებში მოიაზრება სირთულეები ინტერპერსონალურ დონეზე, როგორიცაა: პარტნიორებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, ოჯახური კონფლიქტები, ურთიერთობაში არსებული უთანხმოება და პრობლემები, არასტაბილური კავშირები, ყოველდღიური ოჯახური სიძნეელები, აზრთა თუ ღირებულებათა სხვადასხვაობა, ფინანსური სტრესი და ა.შ.

რაც შეეხება საზოგადოებრივ და კულტურულ ფაქტორებს, კვლევების მიხედვით, პარტნიორზე ძალადობის შემთხვევები მაღალია ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც დამკვიდრებულია გენდერული როლები და ქალი ინყებს მისთვის არატრადიციული როლის მორგებას, ხოლო მამაკაცურობა დაკავშირებულია დომინანტობასთან და აგრესიასთან, რომელშიც მამაკაცებს აქვთ გადამწყვეტი როლი საოჯახო და ეკონომიკურ საკითხებში, ქალებს კი იოლად არ მიუწვდებათ ხელი განქორწინებაზე და კონფლიქტები წყდება ძალადობრივი ქცევით. ასევე, კვლევების მიხედვით, სიღარიბე წარმოადგენს ძალადობის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს. ხშირად ძალადობენ საზოგადოებაში, რომელშიც ქალებს არ აქვთ სტაბილური სოციალური მხარდაჭერა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ რეაგირებს საზოგადოება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობაზე. სწორედ რეაგირების ხარისხი განსაზღვრავს საზოგადოებაში ძალადობის დონეს. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, პარტნიორზე ძალადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო იმ თემში, რომელშიც პარტნიორზე ძა-

ლადობაზე დაწესებულია შესაბამისი სანქციები (მათ შორის, სამართლებრივი სანქციები) და რომელშიც ძალადობის მსხვერპლ ქალებს ჰქონდათ შესაძლებლობა, თავი დაეღწიათ ძალადობრივი გარემოსთვის, გადასულიყვნენ თავშესაფარში ან მიეღოთ მხარ-დაჭერა ოჯახის წევრებისა და გარეშე პირებისაგან.¹⁶

2017 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომლის ფარგლებშიც ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა 22-64 წლამდე ასაკის 16 მამაკაცთან, ისინი სასჯელს იხდიდნენ ძალა-დობრივი დანაშაულის ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში¹⁷ და რომლის მიზანსაც ძალადობრივი ქცევის ჩადენის რისკ-ფაქტორების გამოვლენა წარმოადგენდა, დადგინ-და, რომ მონაწილეების 43% ბავშვობაში შესწრებია მშობლებს შორის ფიზიკურ ძალადობას და თავადაც იყვნენ ძალადობის მსხვერპლი. მათი თქმით, მშობლებს შორის ხშირი იყო სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები. მონაწილეთა 56%-მა აღ-ნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის გარდა, სხვა ტრავმული შემთხვე-ვები გამოუცდია, როგორებიცაა: დის/ძმის, მშობლების ან ოჯა-ხის წევრების უეცარი გარდაცვალება, მშობლის გარდაცვალება დაბადებისას და ა.შ. მონაწილეთა 81%-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ აქვთ ოჯახური პრობლემები. ოჯახში კონფლიქტების ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა უმუშევრობა, ფინანსური სირთულეე-ბი, ფინანსების გადანაწილებასთან დაკავშირებული უთანხმოება, აზარტული თამაშები და ა.შ. მონაწილეთა 68% დანაშაულის ჩადე-ნისას იყო ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ.

კვლევისას გამოიკვეთა მონაწილეთა დამოკიდებულებები და განწყობები საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული რწმენებისა და კონკრეტული სოციალური ნორმების მიმართ. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ მამაკაცის შეხედულებები, სურვილები, საჭიროებები, უფლებები სხვა პირის უფლებებზე უპირატესია და

¹⁶ მელაშვილი ლ., ამირეჯიბი ე., ძალადობრივი ქცევის გამომწვევი რისკ-ფაქტორები, 2017, 5-6, იხ. <https://bit.ly/3izzOUq> [05.01.2021].

¹⁷ კვლევის მონაწილეები სასჯელს იხდიდნენ ძალადობრივი დანაშაულისთვის (სსკის 109-ე და 126¹ მუხლები). მათი უმრავლესობა მეუღლის მიმართ ფიზიკური ძალადობის საფუძველზე იყო დაკავშებული. რამდენიმე მათგანი სას-ჯელს იხდიდა მშობლების/შვილების მიმართ ძალადობის გამო, ხოლო ოთხი მონაწილე – მკვლელობისთვის (აქედან, სამი – ცოლის/პარტნიორის, ხოლო ერთი – ოჯახის წევრის მკვლელობისთვის).

მათი დაუკმაყოფილებლობა იწვევს ფრუსტრაციასა და აგრესიას. მათი შეფასებით, ოჯახში ძალადობა მიიჩნევა ოჯახის პირად საქმედ და არა სამართალდარღვევად ან დანაშაულად.¹⁸

გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) კვლევის თანახმად, ქალების თითქმის ერთ მეოთხედს (22%) და კაცების ერთ მესამედს (31%) მიაჩნია, რომ ცოლის ცემა გარკვეულ გარემოებებში გამართლებულია, მაგ., ღალატის ან ბავშვების უგულებელყოფის შემთხვევაში. როგორც მამრობითი (50%), ისე მდედრობითი სქესის (33%) რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ პარტნიორის/მეუღლის მხრიდან ძალადობა პირადი საკითხია და მასში სხვები არ უნდა ჩაერიონ. ქალების (66%) და კაცების (78%) უმეტესობა მიიჩნევს, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სახლში წესრიგის შენარჩუნებაა, ხოლო ქალების თითქმის მეოთხედს (23%) და კაცების თითქმის ნახევარს (42%) მიაჩნია, რომ ქალი უნდა ემორჩილებოდეს კაცს იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება მას.

კვლევით ისიც დადგინდა, რომ კვლევის მონაწილეების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემის აღიარების მიუხედავად, ზოგადი განწყობა ისეთია, თითქოს აღნიშნული პრობლემა მათ გარემოში არ არის. ეს მიანიშნებს, რომ კვლევის მონაწილეებს უჭირთ პრობლემის სერიოზულობის შეფასება ან/და ძალადობის შემთხვევების განხილვა ტაბუირებული რჩება და ადამიანები ცდილობენ, გაემიჯნონ პრობლემას, არ ისაუბრონ ამ საკითხებზე. კვლევის ახალგაზრდა მონაწილეები პრობლემაზე უფრო გახსნილად საუბრობენ, ვიდრე ზრდასრულები და აცხადებენ, რომ იცოდნენ მეზობლებს ან/და ნათესავებს შორის ძალადობის შემთხვევების შესახებ.¹⁹

აღსანიშნავია, რომ ხშირად მსხვერპლი ძალადობის პირველივე შემთხვევისას ვერ ტოვებს მოძალადეს და უჭირს, დასახმარებლად შესაბამის ორგანოებს მიმართოს, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზით. შესაბამისად, ხშირად მსხვერპლი მხოლოდ მაშინ იწყებს დაცვისა და დახმარების გზების ძიებას, როდესაც

¹⁸ მელაშვილი ლ., ამირეჯაიძი ე., ძალადობრივი ქცევის გამომწვევი რისკ-ფაქტორები, 2017, 7-12, იხ. <https://bit.ly/3iZzOUq> [05.01.2021].

¹⁹ ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და საქსტატი, 2017, 64, 68.

ძალადობა უკიდურეს ზღვარს აღწევს, მას კი ამონურული აქვს ყველანაირი რესურსი, დამოუკიდებლად დააღწიოს თავი ძალა-დობრივ გარემოს.

ეს მიზეზები და ფაქტორები, შესაძლოა იყოს:

უნდობლობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ (მსხვერპლს შეიძლება პქონდეს იმის შიში, რომ მის დახმარებას ვერ შეძლებენ და მოძალადე დაუსჯელი დარჩება, რაც გააუარესებს მის მდგომარეობას და ძალადობის პირისპირ მარტო აღმოჩნდება. ამგვარი შიში შეიძლება არსებობდეს იმ შემთხვევაში, როდესაც მსხვერპლს აქვს მართლმსაჯულების ორგანოებთან ურთიერთობის ცუდი გამოცდილება. მაგ., მსხვერპლმა ადრე მიმართა დასახმარებლად პოლიციას, რომელიც სათანადოდ არ დაეხმარა ან აქვს ინფორმაცია, რომ მის მდგომარეობაში მყოფ სხვა ქალებს არ დაეხმარნენ);

მოძალადეზე ეკონომიკური და მატერიალური დამოკიდებულება (ხშირად მსხვერპლი ეკონომიკურად მთლიანად დამოკიდებულია მოძალადეზე, რომელიც არის ოჯახის ერთადერთი „მარჩენალი“. მსხვერპლი შიშობს, რომ თუ მოძალადეს დაიჭერენ, ფინანსური სახსრების არარსებობის გამო, ვეღარ შეძლებს საკუთარი თავისა და შვილების რჩენას. ხშირად სწორედ აღნიშნული მიზეზით ამბობს უარს გამოძიებისა თუ საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე ჩვენების მიცემაზე);

ოჯახური პრობლემების საჯაროდ გამოტანის შიში და ოჯახის ზენოლა (ხშირად მსხვერპლი ფიქრობს, რომ თუ ძალადობის შესახებ ისაუბრებს, ამით ხელს შეუწყობს „ოჯახური პრობლემების“ სააშკარაოზე გამოტანას და შეარცხვენს ოჯახს. ამ დროს მსხვერპლს ოჯახის წევრები ურჩევენ ხოლმე, რომ აიტანოს ძალადობა და მოძალადეს „კიდევ ერთი შანსი“ მისცეს გამოსასწორებლად);

საზოგადოებრივი სტერეოტიპების გავლენა (ზოგჯერ მსხვერპლი ელის, რომ საზოგადოება გაკიცხავს ძალადობის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირების გამო, რასაც შესაძლოა მოჰყვეს მოძალადის პასუხისმგებლობა/მისი დაკავება, ვინაიდან საზოგადოების ნაწილი ოჯახ-

ში ძალადობას აღიქვამს მსხვერპლისა და მოძალადის „პირად საქმედ“. მაგ., ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ საქმეზე დაზიარალებულმა ქალმა სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა, რომ პრეტენზია აღარ ჰქონდა და მოსამართლეს სთხოვა, რომ „ერთი შანსი“ მიეცათ მისი მეუღლისთვის და გაეთავისუფლებინათ: „მისი დაკავების შემდეგ სახლიდან არ გამოვსულვარ, მე უფრო სტრესულ მდგომარეობაში ვარ, ის რომ პატიმრობაშია... ხალხის მრცხვენია. ფსიქოლოგიური სტრესია ეს ჩემთვის“²⁰);

ძალადობის განმეორების შიში (ზოგჯერ მსხვერპლი ფიქრობს, რომ თუ საჩივარს შეიტანს მოძალადის წინააღმდეგ, ის შურს იძიებს და იგი უფრო მძიმე ძალადობის მსხვერპლი გახდება. ამას ემატება ისიც, რომ ზოგჯერ მოძალადე მსხვერპლს ემუქრება როგორც მისი, ისე მისი ახლო ნათესავების ფიზიკური ანგარიშსწორებით, თუ იგი დასახმარებლად მიმართავს შესაბამის ორგანოებს);

დაცვისა და დახმარების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა (ხშირად მსხვერპლმა არ იცის, თუ როგორი არჩევანი აქვს, ასევე არ ფლობს ინფორმაციას სამართლებრივი მექანიზმების შესახებ, ამიტომ, შესაძლოა, ძალადობა არასერიოზულად/ნორმალურად მიაჩნდეს. მან არ იცის, ვის შეიძლება მიმართოს დასახმარებლად. ზოგჯერ მოძალადე მსხვერპლს ბავშვის წართმევით ემუქრება და რადგან ქალი არ ფლობს ინფორმაციას თავისი უფლებების შესახებ, სჯერა, რომ შეიძლება მას ბავშვი ჩამოართვანი).²¹

²⁰ ხატიაშვილი გ., სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მონიტორინგი თბილისისა და ქუთაისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, მონიტორინგის ანგარიში №9, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016, 25, იხ. <https://bit.ly/3tbAGKg> [05.01.2021].

²¹ სახელმძღვანელო პოლიციის მუშავთა ტრენერებისათვის სასწავლო კურსი-სათვის თემაზე: „ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, 2011, 29-33, იხ. <https://bit.ly/2MIMb19> [05.01.2021]; ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და საქატატი, 2017, 93.

ზემოაღნიშნულის გარდა, თვისებრივმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ძალადობაგადატანილი ქალები, უფრო ხშირად მარტო უკლავდებიან ძალადობას. ასევე, ბევრი საკუთარ თავს ადანაშაულებს და ცდილობს, უკეთესი გახდეს ან ქცევა გამოასწოროს, რათა თავიდან აირიდოს ძალადობა (მაგ., გახდეს უკეთესი დიასახლისი). კვლევაში მონაწილე რესპონდენტები ცდილობდნენ პარტნიორის/მეუღლის დამშვიდებას და ძალადობრივი ქმედებების შეცვლას პასიურობითა და ჩუმად ყოფნით, ხოლო რესპონდენტების ნაწილი ფიქრობდა, რომ მათ შეეძლოთ უკეთესობისკენ შეეცვალათ მოძალადის ქცევა. ისინი ამართლებდნენ ძალადობას და მოძალადეთა ამგვარ ქცევას აბრალებდნენ ალკოჰოლს, აზარტულ თამაშებს, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ან ბავშვობაში გამოცდილ ძალადობას.²²

4. ოჯახის წევრის ცნება

კანონდებლობით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებიც ოჯახის წევრებად ითვლებიან. ოჯახის წევრთა ცნება ეფუძნება, ერთი მხრივ, ადამიანების ნათესაურ კავშირებს, მეორე მხრივ, ერთმანეთთან ემოციურად ან თანაცხოვრებით დაკავშირებულ ურთიერთობებს.

ოჯახის წევრად ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორნინებაში მყოფი პირი, შვილი (გერი), მინდობით აღსაზრდელი, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, არარეგისტრირებულ ქორნინებაში მყოფი პირის მშობელი, შვილის მეუღლე (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორნინებაში მყოფი), ყოფილი მეუღლე, წარსულში არარეგისტრირებულ ქორნინებაში მყოფი პირი, მეურვე, მზრუნველი, მხარდაჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები, აგრეთვე პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

²² ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და საქსტატი, 2017, 94-95.

ოჯახის წევრთა ეს ცნება გამოიყენება კანონმდებლობის მიზნებისათვის (მაგ., სისხლის სამართლის კოდექსის), რომელიც ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 13 ივლისის კანონით შეიცვალა ისეთი ბუნდოვანი და შეუსაბამო ცნებები, როგორიცაა: სიძე და რძალი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, ნაშვილები, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე და ა.შ. პრობლემური იყო ისიც, რომ ოჯახის წევრებს წარმოადგენდნენ მხოლოდ მეურვე, მზრუნველი და მხარდაჭერი და არ იყო მითითებული მეორე მხარეს მდგომი პირები (მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები), რაც აზრს უკარგავდა აღნიშნულ ტერმინთა არსებობას.

არარეგისტრირებულ
ქორწინებაში მყოფი პირი

მეუღლე

არარეგისტრირებულ
ქორწინებაში მყოფი
პირის მშობელი

მეუღლის მშობელი

არარეგისტრირებულ
ქორწინებაში მყოფი
შვილის მეუღლე

შვილის მეუღლე

წარსულში
არარეგისტრირებულ
ქორწინებაში მყოფი
პირი

ყოფილი მეუღლე



მოცემული ჩამონათვალი ოჯახის წევრებად არ მოიაზრებს ნათესავთა ფართო სპექტრს, მათ შორის, აღნიშნული რეგულირების მიზნებისათვის ოჯახის წევრად არ მიიჩნევა ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ძმის ცოლი, ცოლის ძმა, ცოლის და, დისშვილი, ძმისშვილი, დეიდა, მამიდა, ბიძა და ა.შ., გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

აღნიშნული პირები მუდმივად ეწეოდნენ ან ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას.

ქვემოთ მოცემულია ოჯახის წევრად მიჩნეული სუბიექტები, რომლებიც განმარტებას საჭიროებენ:

მინდობით აღსაზრდელი და მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი)

მინდობით აღზრდა არის სახელმწიფო ზრუნვის ფორმა, რომელიც მიახლოებულია ოჯახურ ზრუნვასთან, მიზნად ისახავს მინდობით აღსაზრდელის მოვლასა და აღზრდას და ხორციელდება სახელმწიფოსა და მინდობით აღსაზრდელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მინდობით აღზრდას ექვემდებარება 18 წლამდე ასაკის პირი:

- რომელიც არის ობილი (არ ჰყავს არც ერთი მშობელი);
- რომლის მშობელი (მშობლები) სასამართლომ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარა;

გ) რომლის მშობელს (მშობლებს) შეეზღუდა (შეეზღუდათ), შეუჩერდა (შეუჩერდათ) ან ჩამოერთვა (ჩამოერთვათ) მშობლის უფლებები.

მინდობით აღმზრდელი არის დედობილი/მამობილი, რომელ-საც მინდობით აღსაზრდელად გადაეცა რომელიმე ზემოაღნიშნული 18 წლამდე ასაკის პირი, ხოლო მინდობით აღსაზრდელი არის სახელმწიფოსა და მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მინდობით აღმზრდელისთვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემული პირი.²³

მეურვე, მზრუნველი, მხარდაჭერი, მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი, მხარდაჭერის მიმღები

არასრულნლოვან ბავშვს, რომელიც მზრუნველობის გარეშე დარჩა მშობლების გარდაცვალების, გარდაცვლილად აღიარების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, შეჩერების ან შეზღუდვის, მათი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან ბავშვის მიტოვებულად აღიარების გამო, უნესდება მეურვეობა და მზრუნველობა აღსაზრდელად, პირადი ან ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. მეურვეობა და მზრუნველო-

²³ „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3 – „ნ“, „ს“ და „ტ“ პუნქტები; მუხლი 70, ნაწილი I.

ბა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვნის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები.

მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც 7 წლის ასაკისთვის არ მიუღწევია, ხოლო მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლიდან 18 წლამდე.

მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობები. გარდა ამისა, სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს.

მეურვის ან მზრუნველის მოვალეობათა განსახორციელებლად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ნიშნავენ მეურვეს ან მზრუნველს. მეურვე ან მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მათი თანხმობით.

2014 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ფსიქიკური დაავადებების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები. კანონმდებლობის აღნიშნულ გადაწყვეტილებასა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 2015 წელს განხორციელდა ცვლილებები. შესაბამისად, იმ პირების მიმართ, რომლებიც მანამდე მოქმედი კანონმდებლობით „ჭკუასუსტობის“ ან „ინდივიდუალური მოშლილობის“ საფუძვლით ქმედუნაროდ იყვნენ მიჩნეული, ცვლილებების შედეგად შემოღებულ იქნა ინდივიდუალური შეფასების სისტემა, რომელიც არ ეფუძნება მხოლოდ სამედიცინო მოდელს და მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალური შეფასების კომპონენტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ახლებურად ჩამოყალიბდა იმ პირთა ცნება, რომლებიც მანამდე მოქმედი კანონის თანახმად მიიჩნეოდნენ ქმედუნარო პირებად „ჭკუასუსტობის“ და „სულიერი მოშლილობის“ გამო.

ქმედუნარიანობის შეზღუდვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქმედუნარიანობის კონკრეტული ვითარება და შესაბამისი პირის კონკრეტული საჭიროებები. პირის უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ მინიმალური მოცულობით, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. დაცვის ღონისძიებები ავტომატურად არ უნდა გულისხმობდეს პირისათვის ქმედუნარიანობის სრული მოცულობით დაკარგვას, ხოლო იქ, სადაც ეს შესაძლებელია, სრულწლოვან პირს უნდა ჰქონდეს უფლება, დადოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ყოველდღიური ყოფითი გარიგებები. ამდენად, როგორც საკონსტიტუციო სასამართლო, ისე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ უარყოფს ადამიანისათვის ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევის შესაძლებლობას და ამავე დროს, მნიშვნელოვნად და აუცილებლად მიიჩნევს, რომ პირის ინდივიდუალური შეფასებისას სახელმწიფო არ შემოიფარგლოს მხოლოდ სამედიცინო მიდგომით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამკვიდრდა ახალი ცნება – ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი, ანუ მხარდაჭერის მიმღები.

მხარდაჭერის მიმღები პირი ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქო-სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდაჭერი, ანუ პირი, რომელიც მას დაეხმარება საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში.²⁴ შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღებს ენიშნება მხარდამჭერი.²⁵

მხარდაჭერის მიმღები არის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი, ანუ პირი მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებებთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას სხვებთან შედარებით თანაბარ პირობებში. ეს დაბრკოლებები, სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე, მნიშვნელოვნად უნდა ართუ-

²⁴ განმარტებითი ბარათი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, იხ. <https://bit.ly/3rqAUfy> [05.01.2021].

²⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1277¹.

ლებდეს მხარდაჭერის მიმღების მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის, ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებთან დაკავშირებით. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი ნარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება.²⁶

მხარდაჭერი ვალდებულია, თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში.²⁷

პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას – ეს დებულება გულისხმობს პირთა თანაცხოვრებას, როდესაც ადამიანები გარკვეული პერიოდის განმავლობაში უწყვეტად ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, ანუ ცხოვრობდნენ როგორც ოჯახი და ინაწილებდნენ სახლის მოვლასთან/მეურნეობასთან დაკავშირებულ ფუნქციებსა და შრომას ან/და იყოფდნენ საყოფაცხოვრებო ხარჯებს. მაგ., ინაწილებდნენ კომუნალურ გადასახადებს. ასეთი კავშირი შესაძლებელია არსებობდეს როგორც ნათესავებს (მაგ., ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ბიძა, ბიცოლა, ძმისშვილი, დისტვილი და ა.შ.), ასევე ნათესაური კავშირის არმქონე პირებს შორის (მაგ., მეგობრები, რომლებიც ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას).

აღნიშნული ცნება მიემართება როგორც წარსულში, ისე მიმდინარე რეჟიმში არსებულ ერთიან საოჯახო მეურნეობას. შესაბამისად, თუ ძალადობა განხორციელდა თანაცხოვრების შემდეგ, კერძოდ, მაშინ, როდესაც პირები აღარ ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას, მნიშვნელობა არა აქვს თანაცხოვრებიდან რამხელა პერიოდია გასული, პირის ქმედება უნდა შეფასდეს ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის კვალიფიკაციით. ასევე, ოჯახში

²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 12.

²⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1289, ნაწილი II.

ძალადობა/ოჯახური დანაშაული იქნება მაშინ, როდესაც ძალადობა მოხდა პირთა თანაცხოვრების, ანუ ერთიანი საოჯახო მეურნეობის წარმოების დროს.

ერთ-ერთ საქმეზე მოძალადე და მსხვერპლი არ ჩაითვალნენ პირებად, რომლებიც მუდმივად ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას, ვინაიდან, სასამართლოს შეფასებით, მათი თანაცხოვრების პერიოდი შეადგენდა მხოლოდ 5-6 დღეს, რაც ვერ მიიჩნევა მუდმივი საოჯახო მეურნეობისათვის საჭირო აუცილებელ დროდ.²⁸


გასათვალისწინებელია, რომ მნიშვნელობა არ აქვს ძალადობის ჩადენის ადგილს, შესაბამისად, შემთხვევა შეიძლება მოხდეს როგორც სახლში, სადაც მსხვერპლი და მოძალადე ცხოვრობენ, ისე ღია სიკრცეში (მაგ., მამაკაცმა ყოფილ მეუღლეზე ფიზიკურად იძალადა ქუჩაში). ამდენად, ქმედების ოჯახში ძალადობად მისაჩინევად არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მისი ჩადენის ადგილს, არამედ სათანადო სუბიექტების არსებობას, რომლებიც შესაძლოა ერთად არც ცხოვრობდნენ.

5. ძალადობის ფორმები და ელემენტები

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამის ქვეპუნქტებში აღნერილია ძალადობის ფორმები და მითითებულია მათი იდენტიფიკაციისათვის საჭირო ელემენტები.

²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №487აპ-16 განაჩენი.

ძალადობის სახეები



ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ასევე, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. ფსიქოლოგიური ძალადობა გულისხმობს ქცევებს, რომელთა მიზანია, აკონტროლოს, მართოს მსხვერპლის მოქმედებები და ემოციები მის დასამორჩილებლად. ეს გამოიხატება დამამცირებელი მეტსახელებით მიმართვაში, მუქარაში, ისეთი საქციელის დაბრალებაში, რომელიც მას არ ჩაუდენია და ა.შ. ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება ვლინდებოდეს ცალკე ან წარმოადგენდეს ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემადგენელ ნაწილს. შესაძლებელია, ფსიქოლოგიური ძალადობა უშუალოდ მსხვერპლზე არ ხორციელდებოდეს, მაგრამ ოჯახის სხვა წევრებს შორის არსებული ძალადობრივი ურთიერთობები ამ პირზეც, მისი ხანდაზმულობის, მცირენლოვნობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, დამთრგუნველად მოქმე-

დებდეს.²⁹

ფსიქოლოგიური ძალადობა გულისხმობს მსხვერპლთან მუდ-მივად, მიზანმიმართულად ისეთი ურთიერთობის ფორმების გა-მოყენებას, რომელიც ინვევს ემოციურ ტკივილს, შიშს, დათრგუ-ნულობასა და რეპრესიას. ასეთი ურთიერთობის ფორმებში შეიძლება შედიოდეს: კრიტიკა, აგრესიული და შეუფერებელი მოთ-ხოვნების წაყენება ან/და ისეთი მიმართვა, დაშინება, უსამარ-თლო ბრალდებების წაყენება, ემოციური მანიპულაცია, გადამე-ტებული კონტროლი, საზოგადოებისგან იზოლირება, დაცინვა და ა.შ. ფსიქოლოგიური ძალადობის მიზანია, მსხვერპლს დაეკარგოს საკუთარი თავის რწმენა, დააეჭვოს საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და რეალურობის ადეკვატურ აღქმაში, პრობ-ლემა შეექმნას სოციუმში სრულფასოვან პიროვნებად გამოვლე-ნასა და შესაძლებლობების რეალიზებაში. ამდენად, მოძალადის მიზანია პიროვნების იდენტობის შელახვა და მასზე კონტროლის დამყარება. მოძალადე ფსიქოლოგიური ძალადობის ელემენტების გამოყენების შემდეგ იოლად მანიპულირებს მსხვერპლით და დო-მინირებს მის პიროვნებაზე. მოძალადე მიიჩნევს, რომ მისი (ძალა-დობრივი) ქმედება მსხვერპლთან ურთიერთობის „გარკვევის“ ყველაზე ეფექტური საშუალებაა, რადგან სხვა არაძალადობრივი ქმედებებით ვერ იღებს იმ „შედეგს“, რომელიც მას ამ ურთიერ-თობიდან სურს.³⁰

ფსიქოლოგიური ძალადობა ყველაზე გავრცელებული ძალა-დობის ფორმაა, თუმცა აშეკარა სამხილებს ნაკლებად ტოვებს მსხვერპლზე, რაც თავისითავად ართულებს მის იდენტიფიკაციას. ამდენად, ფსიქოლოგიური ძალადობის არსებობის დადასტურება რთულია, თუმცა შესაძლებელია მთელი რიგი ისეთი სახის მტკი-ცებულებებით, როგორებიცაა: წერილობითი, ვიდეო-აუდიო ჩანა-წერებით, მოწმეთა ჩვენებებით, ახსნა-განმარტებებითა და ა.შ.³¹

²⁹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის №3-7-20 გა-დაწყვეტილება.

³⁰ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 ივნისის №3/50-19 გა-დაწყვეტილება.

³¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 19 ნოემბრის №3ბ/2720-19 განჩინება; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის №3-7-20 გადაწყვეტილება.

იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმნეო მდგომარეობის გამოყენებით, აგრეთვე სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას. ამგვარი ქმედებებით უარესდება პირის ეკონომიკური მდგომარეობა ან/და ეზღუდება საკუთარი ან თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის უფლება.³²

არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა – მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო ან სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

³² თელავის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 12 აპრილის №3/25-19 გადაწყვეტილება.

ქვემოთ მოცემულია მაგალითები ძალადობის თითოეულ ფორმასთან დაკავშირებით

ფიზიკური ძალადობა – 60 წლის პეტრე სახლში დაღლილი დაბრუნდა. ვინაიდან საჭმელი მზად არ დახვდა, თავის მეუღლეს ორჯერ დაარტყა მუშტი თავის არეში.

ფსიქოლოგიური ძალადობა – როცა პავლე სახლში მთვრალი ბრუნდება, ცოლს აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, ლანძღავს, ეუბნება, რომ არაფრის მაქნისი, გაუნათლებელი და სულელია, რაც ქალისთვის არის პატივისა და ღირსების შემლახველი.

იძულება – ივანემ ულტიმატუმი წაუყენა თავის მეუღლეს, რომ მისთვის გადაეცა მობილური ტელეფონი და ეჩვენებინა იქ არსებული შეტყობინებები, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლიდან გაგდებითა და ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა.

სექსუალური ძალადობა – მამაკაცმა თავის პარტნიორ ქალს შესთავაზა სქესობრივი კავშირის დამყარება, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა. ამის შემდეგ მამაკაცი დაემუქრა ქალს ოჯახის წევრების, კერძოდ, მშობლების, სიცოცხლის მოსპობით, თუ მასთან სქესობრივ კავშირს არ დაამყარებდა. შეშინებულმა ქალმა წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო, ხოლო მამაკაცმა ძალადობის მუქარის გამოყენებით განახორციელა სექსუალური ხასიათის შეღწევა ქალის სხეულში სასქესო ორგანოს გამოყენებით, ე.ი. ჩაიდინა გაუპატიურება.

ეკონომიკური ძალადობა:

ლილიანამ თავის ხანდაზმულ მშობლებს აუკრძალა კომუნალური რესურსების (ელექტროენერგიისა და გაზის) გამოყენება მთელი დღის განმავლობაში და მათი მოხმარებისთვის გარკვეული საათები დაუწესა. მშობლებს შეზღუდული ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი მათი საჭიროებების მიხედვით გამოეყენებინათ;

მშობლებს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ ვაჟიშვილთან. მამის განცხადებით, მისი შვილი დამოკიდებული იყო ნარკოტიკულ საშუალებებზე, ამიტომ ოჯახში ხშირად ჰქონდათ კონფლიქტური სიტუაცია. შვილი მამას სისტე-

მატურად სთხოვდა ფულს და სახლიდან ჩუმად მიჰქონდა სხვადასხვა ფასეულობის ნივთები გასაყიდად;

მივლინებიდან სახლში დაბრუნებულ ნენსის მის მიერ ნაყიდი პერსონალური კომპიუტერი ადგილზე აღარ დახვდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქალის კუთვნილი ნივთი მისმა მეუღლემ დაალომბარდა;

ფრედი თავის მეუღლეს არ აძლევს მუშაობის დაწყების უფლებას, რადგან ფიქრობს, რომ მისი შემოსავალი სრულიად საკმარისია ოჯახის სარჩენად და უმჯობესია, თუ ცოლი სახლის საქმეებითა და ბავშვების აღზრდით დაკავდება.

უგულებელყოფა – მშობლებმა გადაწყვიტეს, რომ 8 წლის შვილი არ ატარონ სკოლაში, რადგან ფიქრობენ, რომ ბავშვის განვითარებისთვის უმჯობესია, თუ იგი დროის დიდ ნაწილს სახლში გაატარებს.

პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის ქალების დაახლოებით 6%-მა განაცხადა, რომ სიცოცხლის მანძილზე გამოცდილი აქვთ ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან. ფიზიკური ძალადობის თვალსაზრისით, ყველაზე გავრცელებული ფორმებია: სილის გაწნა ან რაიმე ნივთის სროლა, ხელი კვრა ან/და დარტყმა მუშტით ან სხვა რაიმე ნივთით. ასევე, პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი 15-64 წლის შვიდი ქალიდან ერთს (13%) სიცოცხლის მანძილზე გამოუცდია ფიზიკოლოგიური ძალადობა, ხოლო ქალების 10%-ს ეკონომიკური ძალადობა.³³

³³ ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და საქსტატი, 2017, 44-45.

6. ძალადობის ფაზები და დინამიკა


ოჯახში ძალადობის დინამიკის წარმოსადგენად არსებობს რამდენიმე მოდელი (მათ შორის, უოლკერის, ლანდერბერგის, დოლუტის და ა.შ.). ყველაზე გავრცელებულ მოდელს წარმოადგენს ლენორ უოლკერის ძალადობის ციკლის თეორია, რომელიც სამ ეტაპად ხსნის ოჯახში ძალადობის განვითარების დინამიკას.

I ფაზა – დაძაბულობის ზრდა, რომელიც ხასიათდება პიროვნებებს შორის დაძაბულობის ესკალაციით. ამ პროცესში პოტენციური მსხვერპლი ცდილობს, რომ დაამშვიდოს პოტენციური მოძალადე, რათა თავიდან აიცილოს ინციდენტი. აღნიშნული ფაზა შეიძლება გაგრძელდეს თვეებისა და ნლების განმავლობაში.

II ფაზა – ძალადობის სერიოზული ინციდენტი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს 2-24 საათის განმავლობაში. ამ ეტაპზე მსხვერპლს აღარ შეუძლია, გავლენა მოახდინოს არსებულ სიტუაციაზე, ისლა დარჩენია, სხვადასხვა გზით მიმართოს დახმარებისა და დაცვის საშუალებებს.

III ფაზა – „თაფლობის თვე“. ძალადობის სერიოზული ინციდენტის შემდეგ მოძალადე ითხოვს პატიებას და ცდილობს მსხვერპლთან შერიგებას. ხშირად მსხვერპლსაც უჩნდება ილუზია, რომ მოძალადე შეიცვლება და მომავალში აღარ განმეორდება ძალადობა, თუმცა, როგორც წესი, დროის გასვლასთან ერთად ძალადობის ინტენსივობა და ხარისხი მატულობს. სწორედ ამიტომ, ძალადობის ეს მოდელი ვიზუალურად ხშირად წრიული ფორმით არის გამოხატული (ე.წ. ძალადობის ბორბალი), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მესამე ფაზის შემდეგ თავიდან იწყება ყველა ეტაპის გავლა, რაც მის განმეორებად ბუნებაზე მიუთითებს. დროის გასვლასთან ერთად განმეორებითი ძალადობა უფრო მძიმე ფორმებს იღებს, ხოლო ფაზებს შორის არსებული პერიოდი სულ უფრო მცირდება.³⁴

³⁴ სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ავტორთა ჯგუფი, 2010, 8-9, იხ. <https://bit.ly/39uiFPr> [05.01.2021].



თავი II. ქალთა მიმართ და ოჯახში ქალადობისგან დაცვის სამართლებრივი ინსტრუმენტები

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) 45-ე მუხლი ადგენს იმ სანქციებსა და ზომებს, რომლებიც შეიძლება იქნეს გამოყენებული კონვენციით განსაზღვრული ძალადობის მიმართ. იგი მოიცავს სისხლისსამართლებრივ ან სხვა სანქციებს. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები უნდა იყოს ძალადობის სიმძიმის თანაზომიერი, ხოლო დაწესებული სანქციები კი – „ეფექტიანი, პროპორციული და გამჭვირვალე“³⁵.

ქვემოთ მოცემულ თავებში განხილულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გათვალისწინებული მექანიზმების დანიშნულება და მათი გამოყენების პროცესუალური და მატერიალური საფუძვლები.

1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი მექანიზმები

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

2012 წლის 12 ივნისის კანონით, რომელიც იმავე წლის 25 ივნისს ამოქმედდა, განისაზღვრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ჩადენისათვის. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია როგორც ოჯახში ძალადობის, ისე ოჯახუ-

³⁵ კომენტარები კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო, 70, იხ. <https://bit.ly/2QbHokk> [05.01.2021].

რი დანაშაულის მარეგულირებელი ზოგადი და სპეციალური ნორ-მები, რომლებიც სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, შინაარსისა და დამდგარი შედეგის მიხედვით გამოიყენება.

ცვლილებების მიღებას ძირითად საფუძვლად დაედო 2011 წელს სტამბულში ხელმოწერილი ევროპის საბჭოს კონვენცია და აღინიშნა, რომ ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა გამოვლენილ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შესაბამის რეაგირებას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფ-და ოჯახში ძალადობის პრევენციას. აღნიშნული ცვლილებების მიზანს ასევე წარმოადგენდა ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება ქალთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის მიმართ.

ცვლილებების მიღებისას აღინიშნა, რომ ოჯახში ძალადობა, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, ქმედების სისტემატური ბუნებით ხასიათდება, რომლის გამოვლენის მზარდი დინამიკიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში შეიცავს სხვადასხვა დანაშაულის ნიშნებს. თუმცა კონკრეტულად ოჯახში ძალადობის, როგორც დანაშაულის, არარსებობა სისხლის სამართლის კოდექსში შეუძლებელს ხდიდა მასზე სისხლისსამართლებრივი რეაგირების განხორციელებასა და „ოჯახში ძალადობის“, როგორც დანაშაულის, შესახებ მონაცემთა შეგროვებას.³⁶

შესაბამისად, ცვლილებების შედეგად, საერთაშორისო აქტებისა თუ ინსტრუმენტების სულისკვეთების გათვალისწინებასთან ერთად, კონკრეტული დეფინიციებისა თუ ნორმების შემოღებით შესაძლებელი გახდა ოჯახში ძალადობაზე, როგორც მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველ ქმედებაზე, მეტი აქცენტის გაკეთება და შესაბამისი სტატიისტიკური ინფორმაციის შეგროვება არსებული მდგომარეობისა და დინამიკის შეფასების მიზნით.

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის განხილვისას აუცილებელია, გათვალისწინებული იქნეს მათი ბუნება. ასეთი ტიპის დანაშაულებს ახასიათებთ სისტემატურობა და არაერთგზისობა. ოჯახში ძალადობა ხშირად არის არა ერთჯერადი ქმე-

³⁶ განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე“, 1-2, იხ. <https://bit.ly/3mJGIh5> [30.10.2020].

დება, არამედ ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგან. ოჯახში ძალადობა დროში გახან-გრძლივებულია და აქვს ზრდის ტენდენცია. ძალადობის ფაქტები დროთა განმავლობაში უფრო და უფრო სისტემატური და მძიმე ხდება, რასაც მოყვება ფატალური შედეგებიც.³⁷

1.1 ოჯახში ძალადობა

სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე შემადგენლობად განი-საზღვრა ოჯახში ძალადობა, რომელიც 126¹ მუხლით რეგულირ-დება.

126¹ მუხლის თანახმად, ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაც-ხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკიფი-ლი ან ტანჯვა და რასაც არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კო-დექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედე-გი.


აღნიშნული მუხლი აერთიანებს ორ ქმედებას – ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას.

დეფინიციაში მითითებულ სიტყვა „ძალადობაში“ უნდა მოვი-აზროთ მხოლოდ ფიზიკური ძალადობა, რომელიც შეიძლება გა-მოიხატოს ცემაში ან სხვაგვარ ძალადობაში, ხოლო სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება ფსიქოლოგიური ძალადო-ბის ფორმებზე მიუთითებს.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრი-მა მუხლით კვალიფიკაციისთვის საკმარისია, ფიზიკურ ძალადო-ბას ერთჯერადი ხასიათი ჰქონდეს, ხოლო ფსიქოლოგიურ ძალა-დობას დანაშაულად კვალიფიკაციისთვის სჭირდება სისტემატუ-რობა და მისი ერთჯერადად განხორციელება ვერ მოგვცემს და-ნაშაულის შემადგენლობას. შესაბამისად, ამ შემთხვევაში ტერმი-ნი „სისტემატურობა“ მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობის (შეუ-რაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება) მახასიათებელია და კანონი

³⁷ განმარტებითი ბარათი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე“, 2, იხ. <https://bit.ly/38EHzKw> [30.10.2020].

არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, რომ სსკ-ის 126-ე პრიმა მუხ-ლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძალადობა მოიცავს როგორც ერთჯერადად განხორციელებულ ქმედებას, ისე სისტე-მატურ ძალადობასაც. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1² ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, თავისი ხასიათისა და საშიშროების (სსკ-ის 126¹ მუხლით გათვალისწინე-ბული დანაშაულისგან განსხვავებით, სსკ-ის 126-ე მუხლის 1² ნა-წილით გათვალისწინებული ქმედება დასჯადია იმ შემთხვევაშიც, თუ სისტემატურმა ცემამ ან ძალადობამ გამოიწვია ჯანმრთელო-ბის მსუბუქი ხარისხის დაზიანება) გათვალისწინებით, უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, ვიდრე სსკ-ის 126¹ მუხლის პირ-ველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რაც დამატები-თი არგუმენტია იმისა, რომ სსკ-ის 126¹ მუხლში მითითებული ძა-ლადობა არ მოიცავს სისტემატურ ძალადობასაც.³⁸



ამდენად, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით განსაზღვრული ქმედებისათვის აუცილებელია შემდეგი გარემო-ების ერთობლიობა:

- ძალადობა:** ფიზიკური ან ფსიქოლოგიური;
- შედეგი:** ძალადობამ უნდა გამოიწვიოს ფიზიკური ტკივი-ლი ან ტანჯვა, ძალადობის ფორმის შესაბამისად;

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის №355აპ-18 განაჩენი.

3. **არ უნდა შეიცავდეს სხვა დანაშაულის ნიშნებს:** არ უნდა მოჰყვეს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე ან 122-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.

ფიზიკური ძალადობა გულისხმობს ცემას ან სხვაგვარ ძალა-დობას. ცემა ნიშნავს პირის სხეულზე ერთდროულად რამდენ-ჯერმე დარტყმას უშუალოდ ქმედების განხორციელების მომენ-ტში (მაგ., სახეში ორჯერ გარტყმა, რამდენჯერმე ფეხის ჩარტყმა სხეულის ერთ ან სხვადასხვა ადგილას და ა.შ.). ხოლო სხვაგვარი ძალადობა გულისხმობს ერთჯერად ძალმომრეობით აქტს/ქმედე-ბას (მაგ., სახეში ხელის გარტყმა, ხელის კვრა, თმების მოქაჩვა, ფეხის ჩარტყმა და ა.შ.). მიუხედავად იმისა, თუ ფიზიკური ძალა-დობის რომელი ფორმა იქნება გამოყენებული მოძალადის მიერ, აუცილებელია, რომ ყველა შემთხვევაში მსხვერპლმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი.

როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, ცემა გამოიხატება დაზარალებულის სხეულზე არაერთ დარტყმა-ში, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს სხეულის ანატომიური მთლიანობის დარღვევა ან მხოლოდ ფიზიკური ტკივილი. სწორედ დარტყმების რაოდენობა/ინტენსივობა განასხვავებს ცემას სხვაგვარი ძალადობისგან, რომელიც გამოიხატება ერთჯერად ძალადობრივ ქმედებაში. ცემა ან სხვაგვარი ძალადობა შედეგიანი დელიქტია და მისი შემადგენლობისთვის აუცილებელია, რომ სუ-ბიექტის ქმედებით დაზარალებულმა განიცადოს ფიზიკური ტკი-ვილი, ამასთან, არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი.³⁹

ასევე, სასამართლო აღნიშნავს, რომ „განსახილველ დანაშა-ულში მითითებული „ძალადობა“ უნდა გავიგოთ როგორც ცემა და სხვაგვარი ძალადობა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მას შედეგად არ უნდა მოჰყვეს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებაც კი. ცემა ძალადობის ერთ-ერთი სახეა და ნიშნავს სხვა პირის სხეულზე ერ-თდროულად რამდენიმე დარტყმას, რაც დაზარალებულის ფიზი-კურ ტკივილს იწვევს. სხვაგვარი ძალადობა იმით განსხვავდება ცემისგან, რომ იგი შეიძლება გამოიხატოს ერთჯერად ძალმომრე-

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის №792აპ-19 განაჩენი.

ობით ქმედებაში/აქტში (ხელის გარტყმა, ხელის კვრა, ფეხის ჩარტყმა, თმებზე მოქაჩვა და ა.შ.). ამ შემთხვევაშიც აუცილებელია, მსხვერპლმა განიცადოს ფიზიკური ტკივილი. შესაბამისად, განსახილველი დანაშაულის შედეგი არის ის, რომ მსხვერპლი ფიზიკურ ტკივილს გრძნობს. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს ხელით, ფეხით, რაიმე მკვრივი საგნით და სხვა. ცემა და სხვაგვარი ძალადობა ხშირად ტოვებს გარკვეულ კვალს ადამიანის სხეულზე. კერძოდ, დაუჯილობას, დალილავებას ან მცირე სისხლნაჟღენთის კვალს, რომელსაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი აღნიშნავს დასკვნაში. თუმცა ზოგჯერ ცემის ან/და სხვაგვარი ძალადობის შედეგად, შესაძლოა, რომ სხეულს, სხეულის ზედაპირს არანაირი კვალი არ დაეტყოს. ასეთ შემთხვევაში ძალადობის ფაქტის დადგენის ტვირთი მთლიანად სასამართლოზეა, რომელიც დაეყრდნობა მსხვერპლისა და მოწმის ჩვენებებს, ასევე საქმის სხვა გარემოებებს⁴⁰.

ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმების საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

1. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა კაცმა მეუღლეს რამდენჯერმე გაარტყა ხელი სახეში, რამაც ამ უკანასკნელის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია – აღნიშნული ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ფიზიკური ძალადობა, კერძოდ, ცემა.
2. მამამ მის არასრულწლოვან შვილს ძლიერად მოქაჩა თმები, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია – აღნიშნული ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ფიზიკური ძალადობა, კერძოდ, სხვაგვარი ძალადობა.
3. მამამ არასრულწლოვან შვილს ორჯერ გაარტყა ხელი მარჯვენა ლოყაში. დარტყმის შედეგად დაზარალებული გადავარდა უკან

⁴⁰ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განაჩენი, იბ. ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებების ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 19-21, იბ. <https://bit.ly/2KYIhdM> [30.10.2020].

და თავი კედელს მიარტყა, ამ დროს პრალდებულმა მას მარჯვენა ფეხში წიხლი ამოარტყა. აღნიშნულის შედეგად, დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი – აღნიშნული ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ფიზიკური ძალადობა, რაც გამოიხატა ცემასა (ლოყაში ხელის ორჯერ გარტყმა) და სხვაგვარ ძალადობაში (მარჯვენა ფეხში წიხლის ამორტყმა).

ფსიქოლოგიური ძალადობა გულისხმობს შეურაცხყოფას, შანტაჟს და დამცირებას, რომელსაც აქვს სისტემატური ხასიათი და შედეგად იწვევს ტანჯვას. ძალადობის სისტემატურობა გულისხმობს დროის მცირე მონაკვეთში ჩადენილ ორზე მეტ აქტს, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, საქმის გარემოებების მიხედვით უნდა შეფასდეს. ამასთან, სისტემატურობის გამოსაკვეთად კონკრეტული თარიღების მითითებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ასევე, როგორც სასასამართლო განმარტავს: „სისტემატური ნიშნავს დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქმედებების განხორციელებას ინტენსიურად, განმეორებითობის გარკვეული ხარისხით“⁴¹.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სისტემატურობა უკავშირდება ძალადობის განხორციელებას გარკვეული პერმანენტულობით, ანუ ქმედება მეორდება გამუდმებით, განუწყვეტლივ და რეგულარულად, რაც ქმნის გარკვეულ სისტემას. ამ თვალსაზრისით, გამეორება, ე.ი. **მომდევნო ქმედება მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა იქნეს ჩადენილი**, რათა გამოიკვეთოს სისტემატურობის ელემენტი და ცხადი გახდეს, რომ ძალადობას გააჩნია არაერთგზისი რეციდივი. შესაბამისად, როდესაც ქმედებები დროის ინტერვალით საკმაოდ დაშორებულია ერთმანეთისგან, არ შეიძლება მივიჩნიოთ სისტემატურად. ამდენად, სისტემატურობა გამოკვეთილია მაშინ, როდესაც ძალადობრივ ქმედებებს შორის არსებული დროის პერიოდი იმდენად ხანმოკლეა, რომ და-

⁴¹ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 8 ნოემბრის განაჩენი, იხ. ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმე-ებზე, 2016-2018, 2019, 126-129, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [30.10.2020].

ზარალებული კვლავ განიცდის პირველი ქმედებით მიყენებულ ზიანს.⁴²

კიდევ ერთ გადაწყვეტილებაში, უზენაესი სასამართლო ჩამოთვლის სისტემატურობის კრიტერიუმებს, კერძოდ, სისტემატურ ძალადობას ახასიათებს:

ძალადობის პერმანენტულობა – ერთხელ ან ორჯერ ჩადენილი ძალადობა შეუძლებელია იყოს სისტემატური, ე.ი. მომდევნო ქმედება მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა იქნეს ჩადენილი, რათა გამოიკვეთოს სისტემატურობის ელემენტი;

დროის მცირე ინტერვალები – ყოველი მომდევნო ძალადობის ინტერვალი არ უნდა იყოს იმდენად ხანგრძლივი, რომ განცდილი ტკივილი განელდეს და ვეღარ მიაღწიოს ტანჯვის ხარისხს;

ინტენსივობა – ძალადობას უნდა ჰქონდეს ხშირი, მუდმივი, უწყვეტი და რეგულარული ხასიათი. ამასთან, სისტემატური ძალადობის ფაქტი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სისტემატურ ძალადობად არ შეაფასა ისეთი ქმედება, რომელიც პირველად განხორციელდა მაისის დასაწყისში, ხოლო მეორედ – ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, ანუ თითქმის ექვსი თვის შემდეგ. სასამართლოს შეფასებით, ეს იმდენად ხანგრძლივი პერიოდია, რომ პირველ შემთხვევაში ჩადენილი ძალადობრივი ქმედების ხასიათისა და ხერხის (შუბლის არეში ხელის ერთხელ დარტყმის) გათვალისწინებით, წარმოუდგენელია, განცდილი ფიზიკური ტკივილი ამ ხნის განმავლობაში ისეთი ინტენსივობით შენარჩუნებულიყო, რომ მას სისტემატური ძალადობისთვის დამახასიათებელი ელფერი შეეძინა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაზარალებულის განმარტებით, დაახლოებით ორი კვირა აწუხებდა ტკივილი.⁴³

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 29 მაისის №733აპ-18 განაჩენი.

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 5 მაისის №747აპ-18 განჩინება.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილი პქონდა ერთჯერად, თუმცა მძიმე ხასიათისა და ინტენსივობის დამამცირებელ მოპყრობას, ქმედება შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 144³ მუხლით, კერძოდ, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა, ე.ი. პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს.

ფსიქოლოგიური ძალადობის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითი

ოლივერი და იზაბელა რამდენიმე წლის წინ დაქორწინდნენ. ბოლო პერიოდში მამაკაცი განსაკუთრებული აგრესით გამოირჩევა ცოლის მიმართ. კერძოდ, როდესაც სახლში ნასვამი ბრუნდება, იზაბელას აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას – ლანძღავს და ეუბნება, რომ არაფრის მაქნისი, გაუნათლებელი და სულელია. ეს ხდება კვირაში ერთხელ ან ორჯერ, ხოლო თვეში – რამდენჯერმე. ამის გამო იზაბელა იტანჯება და მისთვის დამთრგუნველია ამის მოსმენა.

რაც შეეხება ძალადობის შედეგად ტკივილისა და ტანჯვის გამოწვევას, აღნიშნული წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით განსაზღვრული ქმედების სავალდებულო ელემენტს. შესაბამისად, დაზარალებულისგან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, მან ძალადობის შედეგად განიცადა თუ არა ტკივილი ან ტანჯვა.

ტკივილი იწვევს უსიამოვნო შეგრძნებას და დაკავშირებულია ქსოვილის რეალურ ან პოტენციურ დაზიანებასთან, ხოლო ფსიქიკური ტანჯვა გულისხმობს უსიამოვნო გრძნობით გამოწვეულ წვალებას, ხანგრძლივ და აუტანელ წუხილს.⁴⁴

⁴⁴ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 8 ნოემბრის განაჩენი, იხ. ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმე-ებზე, 2016-2018, 2019, 126-129, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [30.10.2020].

ზოგჯერ არასწორად მიიჩნევა, რომ ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა მხოლოდ დაზარალებულის მხრიდან გაკეთებული შეფასების მიხედვით უნდა დადგინდეს, ანუ ემყარებოდეს დაზარალებულის სუბიექტურ შეფასებას იმის თაობაზე, რომ მან განიცადა ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, რაც არ არის ერთადერთი და საკმარისი კრიტერიუმი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს პირი ობიექტურად განიცდიდა თუ არა ფიზიკურ ტკივილს ან ფიზიკურ ტანჯვას. მაგ., თუ დაზარალებული განაცხადებს, რომ ძალადობის შედეგად არ განუცდია ფიზიკური ტკივილი, სასამართლო არ უნდა შეიზღუდოს დაზარალებულის განმარტებით და თავად უნდა შეაფასოს, მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული ძალადობა თავისი ხასიათითა და ხარისხით ობიექტურად გამოიწვევდა თუ არა ადამიანში ტკივილის შეგრძებას.⁴⁵

შესაბამისად, განიცადა თუ არა დაზარალებულმა ტკივილი ან ტანჯვა, უნდა შეფასდეს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური კრიტერიუმებით.

როგორც სასამართლო განმარტავს, მხოლოდ ფიზიკური ტკივილის სუბიექტური აღქმა არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი ქმედების განმსაზღვრელი (მაგ., 10-12 თვის ბავშვის ან იმ ბავშვის მიმართ, რომელსაც, ასაკიდან გამომდინარე, ჯერ არ შეუძლია საუბარი). სასამართლოს აზრით, ძალადობა არის თუ არა ფიზიკური ტკივილის გამომწვევი, უნდა შეფასდეს არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ ფიზიკური ტკივილის მიყენების ფაქტის დადგენა ნებისმიერ შემთხვევაში ობიექტურად შეუძლებელი იქნება, რადგან მცირენლოვანი ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ვერბალურად ვერ გამოთქვამს ემოციებსა და გრძნობებს.⁴⁶

⁴⁵ კოჭლამაზაშვილი ბ., „ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში“, სამართლის უურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №2, 2017, 54-55.

⁴⁶ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი, იხ. ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 53-57, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [30.10.2020].

ზემოაღნიშნულის გარდა, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ ძალადობას შედგად არ მოჰყვეს ამავე კოდექსის 117-ე, 118-ე ან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, კერძოდ, ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება.

სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლი მოიცავს ხუთ დამამძიმებელ გარემოებას, კერძოდ, ოჯახში ძალადობის ჩადენა:

- ა) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ;
- ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ;
- გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;
- დ) ჯგუფურად;
- ე) არაერთგზის.

აღნიშნულ გარემოებებს შორის განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებაა საჭირო ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ოჯახში ძალადობის ჩადენა ხდება არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ. როგორც სასამართლო განმარტავს, შესაძლოა, ოჯახში ძალადობის ჩადენამ არასრულწლოვნის თანდასწრებით სავალალო ზემოქმედება იქნიოს მის ფსიქიკასა და შემდგომ განვითარებაზე, ვინაიდან ოჯახში ძალადობა წეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვზე, უნგრევს მას სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას.⁴⁷ სესენბული კვალიფიკირებით დანაშაულის შემადგენლობა გვაქვს მამინ, როდესაც ძალადობა მიმართულია არა უშუალოდ არასრულწლოვნის, არამედ მისი თანდასწრებით მოძალადის ოჯახის წევრის მიმართ, ხოლო ძალადობის შემსწრებავშვი არის დაზარალებულის ოჯახის წევრი, ანუ ძალადობა უნდა განხორციელდეს არასრულწლოვნის ოჯახის წევრის მიმართ არასრულწლოვნის თანდასწრებით.

როგორც სასამართლო განმარტავს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვე-

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 დეკემბერის №367აპ.-17 განაჩენი.

პუნქტის საკანონმდებლო კონსტრუქციიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ამ დანაშაულის სუბიექტი და ობიექტი იყვნენ ოჯახის წევრები. ხსენებული მუხლის ობიექტური მხარე გამოიხატება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში. შესაბამისად, სწორედ „მოძალადე“ და „ძალადობის მსხვერპლი“ უნდა იყვნენ ერთი ოჯახის წევრები და არა „არასრულწლოვანი“ და ამ უკანასკნელის ოჯახის წევრი.⁴⁸

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც არასრულწლოვნის თანდასწრებით იყო ჩადენილი, დაცვის მხარემ განაჩენის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებისას აღნიშნა, რომ არასრულწლოვანს ხელოვნურად მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, ვინაიდან სასამართლოში გაკეთებული განმარტებით ძალადობის შედეგად მას ზიანი არ მისდგომია. აღნიშნულ მოსაზრებას არ დაეთანხმა საკასაციო პალატა და მიიჩნია, რომ ბავშვს, რომელიც ერთი მშობლის მხრიდან მეორის მიმართ ძალადობის შემსწრეა, ადგება მნიშვნელოვანი მორალური ზიანი, მიუხედავად იმისა, აცნობიერებს თუ არა თავად არასრულწლოვანი ამ ზიანის ხასიათსა და შესაძლო შედეგებს.⁴⁹

მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლი განვასხვავოთ ამავე კოდექსის 126-ე მუხლისგან. ოჯახური დანაშაულის მიზნებისათვის სსკ-ის 126-ე მუხლის გამოყენება მხოლოდ მაშინ არის რელევანტური, როდესაც ფიზიკურ ძალადობას აქვს სისტემატური ხასიათი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასჯად ქმედებას წარმოადგენს ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამ შემთხვევაში ქმედება ხორციელდება იმ პირებს შორის, რომლებიც ერთმანეთის ოჯახის წევრები არ არიან. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ერთი წევრი მეორე წევრის მიმართ განახორციელებს ზემოაღნიშნულ შე-

⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის №403აპ-16 განჩინება.

⁴⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 2 ივნისის №24აპ-20 განჩინება.

მადგენლობას, კვალიფიკაცია მოხდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹ მუხლით, როგორც სპეციალური ნორმით და არა 126-ე მუხლით (126-ე და 126-ე პრიმა მუხლების პირველი ნაწილები ერთმანეთის მსგავსია ფიზიკური ძალადობის ნაწილში, თუმცა, თუ აღნიშნულ ქმედებას ადგილი ჰქონდა ოჯახის წევრებს შორის, გამოიყენება სპეციალური მუხლი).

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, დანაშაულს წარმოადგენს სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც გამოიწვია პირის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა, მაგრამ არ მოჰყოლია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე ან 118-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის ერთი წევრი სისტემატურ ფიზიკურ ძალადობას განახორციელებს ოჯახის მეორე წევრზე, ქმედების კვალიფიკაცია მოხდება 11¹-126-ე მუხლის 1² ნაწილით და არა 126¹ მუხლით, ვინაიდან ეს უკანასკნელი ველარ გამოდგება სისტემატური ფიზიკური ძალადობის შესაფასებლად.

ამდენად, ოჯახის წევრის მიმართ სისტემატური ფიზიკური ძალადობის დროს ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-126-ე მუხლის 1² ნაწილით.

აუცილებელი არ არის, რამდენიმე ფიზიკური ძალადობის არსებობის შემთხვევაში, მსხვერპლი მიუთითებდეს ძალადობის განხორციელების კონკრეტულ თარიღებსა და დროებს, საქმარისია, ძალადობის განხორციელების პერიოდის დადგენა. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ფიზიკური ძალადობის ორ ან მეტ დადასტურებულ ფაქტს, ქმედება უნდა დაკვალიფირდეს დანაშაულთა ერთობლიობით (სსკ-ის 126¹ მუხლის ორი ან მეტი ეპიზოდი).

სისტემატურობის გარდა, იმისათვის, რომ ქმედება დაკვალიფირდეს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-126-ე მუხლის 1² ნაწილით, სავალდებულოა, რომ სისტემატურმა ცემამ ან სხვაგვარმა ძალადობამ გამოიწვიოს დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი ან ფსიქიკური ტანჯვა, ხოლო გამოიწვია თუ არა პირის ქმედებებმა ტანჯვა, ეს საკითხი, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სასამართლოს შეფასების საგანს. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სასურველი და უკე-

თესია, თუკი ბრალდების მხარე დაზარალებულს ჩაუტარებს სა-სამართლო-ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას და წარმოადგენს შესა-ბამის დასკვნას, მაგრამ, ამავდროულად, რათა დადგინდეს პირის უკანონო ქმედებებმა გამოიწვია თუ არა დაზარალებულის ტან-ჯვა, აუცილებელი არ არის სასამართლო-ფსიქოლოგიური ექ-სპერტიზის დასკვნის არსებობა და ეს საკითხი წარმოადგენს სა-სამართლოს შეფასების საგანს – საქმის ფაქტობრივი გარემოებე-ბიდან და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზიდან გამომ-დინარე. ამასთან, როგორც სასამართლო აღნიშნავს, მხოლოდ ის ფაქტი, რომ დაზარალებული ხანდაზმულია და ოჯახის წევრი სისტემატურად ძალადობდა მასზე, არ არის საქმარისი იმის და-სადგენად, მისმა ქმედებებმა გამოიწვია თუ არა ტანჯვა და, შესა-ბამისად, ამ შემთხვევაში ვერ მოხდება პირის დამნაშავედ ცნობა სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-126-ე მუხლის 1²-ლი ნაწი-ლით.⁵⁰

საინტერესოა, ფსიქოლოგიური ტანჯვისა და საფუძვლიანი შიშის ურთიერთგამიჯვნის საკითხი. რიგ შემთხვევებში კანონ-მდებელი დანაშაულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩ-ნევს დაზარალებულში შიშის გრძნობის გაჩენას. მაგ., სისხლის სა-მართლის კოდექსის 151-ე მუხლით კვალიფიკაციას კანონმდებე-ლი უკავშირებს მუქარის განხორციელების შიშს და არა ფსიქო-ლოგიურ ტანჯვას. კერძოდ, პირს, რომელსაც ემუქრებიან, უნდა გაუჩნდეს მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. ქმედე-ბის მუქარად დაკვალიფიცირებისათვის სავალდებულო არ არის, დაზარალებულმა განიცადოს ფსიქოლოგიური ტანჯვა, რაც იწ-ვევს ადამიანის ნერვული სისტემის ისეთ მოშლას, რომ იგი დიდი ხნის განმავლობაში კარგავს სულიერ სიმშვიდეს და იწვევს სული-ერ განცდას – წვალებას. შესაბამისად, სასამართლო-ფსიქოლო-გიური ექსპერტიზის დასკვნით, რომელიც ფსიქოლოგიური ტან-ჯვის არსებობას ადგენს, არ არის რელევანტური იმის შეფასება, პირს გაუჩნდა თუ არა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის №617აპ-18 გა-ნაჩენი.

როგორც სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმად, დაზარალებულმა არ განიცადა ფსიქოლოგიური ტანჯვა, ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით კვალიფიკაციის საკითხის გადასაწყვეტად, არარელევანტური იყო. ამდენად, სასამართლოს შეფასებით, ქმედების სსკის 151-ე მუხლით დაკვალიფიცირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულის ჩვენებას. იმავდროულად, გაუჩნდა თუ არა დაზარალებულს ძალადობის განხორციელების საფუძვლიანი შეში, შეუძლებელია დადგინდეს ექსპერტიზის დასკვნით, აღნიშნული უნდა შეფასდეს ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.⁵¹

1.2 ოჯახური დანაშაული

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის წევრებს შორის ძალადობა/დანაშაული გასცდა სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის შემადგენლობას, ქმედება დაკვალიფიცირდება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ან სხვა სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი მუხლებით. თუმცა იმისათვის, რომ აღნიშნული შეფასდეს ოჯახურ დანაშაულად, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლთან ერთად კეთდება მითითება ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-11 პრიმა მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის.

მე-11 პრიმა მუხლში ჩამოთვლილია სხვადასხვა დანაშაული, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს ოჯახში. აღნიშნული ხელს უწყობს მართლმსაჯულების ორგანოებს, ზუსტად და კონკრეტულად განსაზღვრონ, რომელი შემთხვევაა და რომელ ვითარებაში უნდა მიანიჭონ კონკრეტულ ქმედებას ოჯახური დანაშაულის კვალიფიკაცია.

⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 4 სექტემბერის №377აპ-20 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის №1პ/11-20 განაჩენი.

11¹ მუხლის თანახმად, ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹, 133², 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-144³, 149-ე-151¹, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე-255¹, 381¹ და 381² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ოჯახური დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ მუხლში აღნიშნული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით.

ოჯახური დანაშაულის კვალიფიკაციის საილუსტრაციო ქვე-მოთ მოცემულია შესაბამისი მაგალითები

1. მამაკაცი მეუღლეს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ამცირებდა მის პატივსა და ღირსებას. ამის გამო დაზარალებულმა სცადა თვითმკვლელობა – აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, 11¹ მუხლზე მითითებით (11¹-115).
2. ბრალდებულმა, დანის გამოყენებით, თავის მეუღლეს მიაყენა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება – აღნიშნული დაკვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით, 11¹ მუხლზე მითითებით (11¹-118).

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ცალკეული დანაშაულები დამამდიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს ქმედების ჩადენას ოჯახის წევრის მიმართ.

ასეთ დანაშაულებს განეკუთვნება: სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 117-ე, 120-ე, 137-ე, 138-ე, 139-ე, 151-ე, 253-ე, 254-ე, 255-ე და 255¹ მუხლები. აღნიშნული დამამდიმებელი გარემოება კანონმდებლობაში სხვადასხვა დროს განხორციელებული ცვლილებების შედეგად განისაზღვრა. თითოეული ეს მუხლი გვხვდება მე-11 პრიმა მუხლის ჩამონათვალშიც. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუხლების დამამდიმებელი გარემოება მოიცავს ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ დანაშაულს, შესაბამისი პუნქტის გამოყენებასთან ერთად, მაინც უნდა მიეთითოს 11¹ მუხლი. მაგ., თუ ოჯახის ერთი წევრი მეორეს დაემუქრა სი-

ცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებით ან/და ქონების განადგურებით და მას გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, როგორც ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული მუქარა, მე-11 პრიმა მუხლზე მითითებით (11¹-151-2 „დ“).

საკანონმდებლო ცლვილებებამდე ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია განისაზღვრებოდა სსკ-ის 108-ე მუხლით, მე-11 პრიმა მუხლზე მითითებით. მას შემდეგ, რაც ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობა გათვალისწინებულ იქნა სსკ-ის 109-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებად, მე-11 პრიმა მუხლში არსებული ოჯახური დანაშაულების ჩამონათვლიდან მოხდა სსკ-ის 108-ე მუხლის ამოღება. ამდენად, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი მკვლელობა აღარ მოგვცემს ე.წ. მარტივი მკვლელობის შემადგენლობას.

მე-11 პრიმა მუხლის შენიშვნის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 126¹, 137-ე-139-ე, 141-ე, 143-ე და 144-ე-144³ გათვალისწინებული ოჯახური დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ჩაითვლება, თუ მას წინ უსწრებდა 126-ე პრიმა მუხლით ან რომელიმე სხვა ზემოაღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ჩადენა. თუმცა აღნიშნულ შენიშვნაში გამორჩენილია სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი. შესაბამისად, თუ წარსულში პირი გასამართლებული იყო ოჯახური ნიშნით ჩადენილი მკვლელობისათვის (სსკ-ის 108-ე მუხლით მანამ, სანამ ოჯახის წევრის მკვლელობა სსკ-ის 109-ე მუხლის დამამძიმებელი გარემოება გახდებოდა), მის მიერ შენიშვნაში მითითებული რომელიმე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ვერ მოგვცემს ოჯახური დანაშაულის არაერთგზისობას.

1.3 ფემიციდი – გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა

ფემიციდი არის მკვლელობა, რომლის მსხვერპლიც არის ქალი და რომელიც ხდება ქალის გენდერთან დაკავშირებული მოტივით. შესაბამისად, ფემიციდი არის გენდერული დანაშაული, რომელიც

სტრუქტურული უთანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შედეგია.⁵² შესაბამისად, ფემიციდად ითვლება ქალის მკვლელობა იმ მიზეზით, რომ ის ქალია.

ფემიციდის, როგორც ტერმინის, საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია და განმარტება არ არსებობს, თუმცა ლათინო-ამერიკული ოქმის განმარტებაზე დაყრდნობითა და საქართველოში ჩადენილი ქალთა მკვლელობების ბუნების გათვალისწინებით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ფემიციდის შემდეგი დეფინიცია:

„ფემიციდი – გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა, ანუ ქალის მკვლელობა, რომლის ჩადენის მოტივი ან კონტექსტი კავშირშია ქალის მიმართ გენდერულ ძალადობასთან, დისკრიმინაციასა და ქალის დაქვემდებარებულ როლთან, რაც გამოიხატება ქალზე უფლებების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებით, მისი ქცევის კონტროლით ან გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზით, ასევე, ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა ზემოაღნიშნული მიზეზებით“⁵³.

რა თქმა უნდა, ქალის მკვლელობის ფაქტი ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ჩადენილია ფემიციდი. ქალის მკვლელობის ფემიციდად შესაფასებლად აუცილებელია, ქალის მკვლელობა გენდერს უკავშირდებოდეს და მისი ჩადენის მოტივი უკავშირდებოდეს გენდერულ ძალადობას ან გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას.

ფემიციდისგან განსხვავებით, ტერმინი „ფემინიციდი“ აღნიშნავს სახელმწიფოს უმოქმედობას ქალთა მკვლელობებთან მიმართებით. კერძოდ, როდესაც სახელმწიფოს არ აქვს პოლიტიკური ნება, მოახდინოს ამგვარი მსგავსი დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.⁵⁴

⁵² დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016, 5, იხ. <https://bit.ly/3tea7Uy> [30.10.2020].

⁵³ დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016, 10, იხ. <https://bit.ly/3tea7Uy> [30.10.2020].

⁵⁴ დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2016, 9-10, იხ. <https://bit.ly/3tea7Uy> [30.10.2020].

საქართველოს კანონმდებლობა ფემიციდს, როგორც ცალკე მდგომ დანაშაულს, არ იცნობს, თუმცა 2018 წლის 30 ნოემბრის კანონით სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ მუხლებში გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაული, მათ შორის, განზრას მკვლელობა, განისაზღვრა პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად.

სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას დამამდიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრას მკვლელობისათვის, ერთ-ერთ დამამდიმებელ გარემოებად ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენას გენდერის ნიშნით – საკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

განზრას მკვლელობის გარდა, გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების დამამდიმებელ გარემოებად აღიარება მოხდა ისეთ მუხლებთან მიმართებით, როგორებიცაა: თვითმკვლელობამდე მიყვანა (მუხლი 115) და ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება (მუხლი 117).

შესაბამისად, თუ ქალის მკვლელობა ან მისი თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანა მოხდა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, დანაშაულის კვალიფიკაცია განისაზღვრება არა ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ზოგადი კონტექსტით, არამედ ზემოაღნიშული რომელიმე მუხლით, შესაბამის დამამდიმებელ გარემოებაზე მითითებით.

1.4 გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის თავისებურებები

ოჯახში ძალადობის საქმეები, როგორც წესი, გამოირჩევა მტკიცებულებათა სიმწირით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაზარალებული უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე მოძალადე ოჯახის წევრის წინააღმდეგ.

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება საკმაოდ რთულია. მტკიცებულებების მოპოვებას ართულებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოწმეს უფლებას აძლევს, არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩა-

დენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს.⁵⁵ სწორედ ამ მოტივით, სრულყოფილი გამოძიების ჩატარების პირობებშიც კი, ბრალდების მხარე ობიექტურად მოკლებულია შესაძლებლობას, მრავლად მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე დანაშაულებრივი ფაქტის დამადასტურებელი პირ-დაპირი მტკიცებულებები.⁵⁶

როგორც სასამართლო განმარტავს, დაზარალებულის მიერ სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე უარის თქმა, გარდა იმისა, რომ მისი კანონიერი უფლებაა, შეიძლება აიხსნას ისეთი მოვლენით, როგორიც არის „სტოკპოლმის სინდრომი“, სიმპათიისა და მიზიდულობის პარადოქსული რეაქცია, რომელიც მსხვერპლს აგრესორის მიმართ ახასიათებს. ამ მექანიზმს აგრესორთან იდენტიფიკაცია ეწოდება და მოქმედებს მაშინ, როდესაც ამ ირაციონალური პოზიციის გასამყარებლად მოძალადე აღიქმება როგორც სიმპათიური და კარგი ადამიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში, მასთან იდენტიფიკაცია გაძნელდება. სასამართლო დაზარალებულის ქცევას, არ მისცეს ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ, მოძალადეზე ფინანსური და მატერიალური დამოკიდებულებითაც ხსნის. კერძოდ, დაზარალებულები, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და არა აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, ბავშვების გამოკვების მოტივით, იძულებულები არიან, თავი მსხვერპლად შესწირონ მოძალადეს და უარი თქვან ჩვენების მიცემაზე. მოსამართლე ყურადღებას ამახვილებს მოძალადისგან მომდინარე შურისძიების შიშჩეც, ვინაიდან ძალიან ხშირად მოძალადე დაზარალებულს ადანაშაულებს და საყვედურობს პოლიციისათვის მიმართვის გამო.⁵⁷ სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლო განხილვისას ჩვენების მიცემაზე უარის თქმა შეიძ-

⁵⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 49, ნაწილი 1, პუნქტი – „და“.

⁵⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 აგვისტოს განაჩენი, იხ. ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 50-53, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [30.10.2020].

⁵⁷ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 21 ივნისის განაჩენი, იხ. ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 53-57, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [30.10.2020].

ლება მრავალი მიზეზით იყოს განპირობებული, მათ შორის, მოწმე ან/და დაზარალებული შეიძლება მისი ოჯახის წევრისათვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას ცდილობდეს, რის გამოც, მისი მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის უტყუარობა საქმეში არსებული ყველა ფაქტობრივი გარემოებისა და მტკიცებულების დეტალური ანალიზის საფუძველზე უნდა შეფასდეს. ამასთან, მოწმის/დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა არ გულისხმობს მოწმის ახლო ნათესავის გამართლებას წარდგენილ ბრალდებაში.⁵⁸

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სამართალწარმოების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია სავარაუდო მსხვერპლთან/დაზარალებულთან აქტიური კომუნიკაცია და მისი ნდობის მოპოვება. გამოძიების ეტაპზე სავარაუდო მსხვერპლის პირველივე გამოკითხვა უნდა იყოს მაქსიმალურად ამომწურავი და სრულყოფილი, რათა საჭირო აღარ გახდეს მისი ხელახალი გამოკითხვა. გამოძიების ეტაპზე, სავარაუდო მსხვერპლის განმეორებით გამოკითხვა უნდა მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რაიმე ახალი გარემოების ან ფაქტების დაფიქსირების მიზნით. საჭიროებისას გამომძიებელმა/პროკურორმა უნდა განიხილოს საქმეში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვის საკითხი, რომელიც დაეხმარება მსხვერპლს დანაშაულის შედეგად გამოწვეული პირველადი სტრესის შემცირებაში და გაუმარტივებს სამართალწარმოების, მათ შორის, სხვადასხვა საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობას. 2019 წლის 20 სექტემბრის კანონით განისაზღვრა, რომ ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის საქმეზე ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც უშუალოდ მიადგა ამ დანაშაულის შედეგად მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობამდე, დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა შესთავაზოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა. აღნიშნულის მიზანია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე ძალადობის მსხვერპლთათვის სათანადო ინფორმაციის

⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 3 თებერვლის №766აპ-19 განჩინება.

მიწოდება არსებული სერვისებისა და მათი მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის ან თანამშრომლობაზე უარის თქმის შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ. ეს აძლევს შესაძლებლობას დაზარალებულს, რომ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორისგან მიღებული ინფორმაციისა და დახმარების შემდეგ მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება.⁵⁹

სასამართლო პროცესზე საქმის არსებითი განხილვის დროს დაზარალებულის მხრიდან ახლო ნათესავის მამხილებელი ჩვენების მიცემაზე უარის თქმა არ ნიშნავს მის მიერ გამოძიების ეტაპზე მიწოდებულ ინფორმაციაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებების უარყოფას. ოჯახური დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაზარალებულის ჩვენების არარსებობის ან საქმის მასალებში ბრალდებულის მიმართ დაზარალებულის პრეტენზიის არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში ბრალდებულის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე.⁶⁰

აღნიშნული კატეგორიის საქმეთა წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით, ბრალდების მხარემ მეტი ძალისხმევით უნდა მოიპოვოს და შეკრიბოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს წარდგენილ ბრალდებას, რათა, ერთი მხრივ, იგი არ იყოს დამოკიდებული პროცესის მონაწილეების მიერ მოწმის იმუნიტეტის გამოყენებაზე – ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობაზე და, მეორე მხრივ, არ გამოიწვიოს დაზარალებულთა მეორეული ვიქტიმიზაცია და უნდობლობა არსებული სამართლებრივი მექანიზმების ეფექტიანობისადმი.

იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო მსხვერპლი მიუთითებს მის მიმართ ჩადენილ ფიზიკურ ძალადობაზე, აუცილებელია, რომ დაინიშნოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რათა შეფასდეს

⁵⁹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 1-2, იხ. <https://bit.ly/2R2Mdgg> [30.10.2020].

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 27 მაისის №145აპ-19 განჩინება.

⁶¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 ივნისის №304აპ-20 განჩინება.

დაზიანების ხარისხი, ხოლო სავარაუდო მსხვერპლი ექსპერტიზაზე წარდგენილი უნდა იქნეს დროულად, პირველივე შესაძლებლობისთანავე. იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი ამბობს, რომ ძალადობის შემდეგ მკურნალობას გადიოდა რომელიმე სამედიცინო დაწესებულებაში, მნიშვნელოვანია, გამოთხოვილი იქნეს მისი სამედიცინო/ჯანმრთელობის ისტორია.

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეში მნიშვნელოვანია ნეიტრალური მოწმეების გამოკითხვა. ხშირად ასეთ მოწმეებად გვევლინებიან მეზობლები და ახლობლები, ან ის პირები, რომლებთანაც მსხვერპლს აქვს პირველივე კომუნიკაცია ძალადობის ჩადენის ფაქტიდან ძალიან მაღლე. ეს პირები შეიძლება არ იყვნენ ფაქტის უშუალო შემსწრეები, თუმცა ფლობდნენ ინფორმაციას სავარაუდო მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობის შესახებ (მაგ., როდესმე სმენიათ თუ არა შესაძლო ძალადობის შესახებ) ან სავარაუდო ძალადობის ფაქტთან ჰქონდათ მყისიერი შემხებლობა (სავარაუდო დანაშაულის ჩადენიდან მალევე) და დეტალურად გადმოსცემენ დაზარალებულის ფსიქოემოციურ მდგომარეობას.⁶² ამდენად, მნიშვნელოვანია იმ პირთა გამოკითხვაც, რომლებიც, მართალია, უშუალოდ არ შესწრებიან დანაშაულის ჩადენის ფაქტს, მაგრამ შეესწრნენ მისი შემდგომი მოვლენების განვითარებას და შეუძლიათ გამოძიებას მიაწოდონ ინფორმაცია გარემოებებზე, რომლებიც უშუალოდ დაინახეს.⁶³

ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, რომ მოწმის ჩვენება ნაწილობრივ იყოს ირიბი, ხოლო ნაწილობრივ – პირდაპირი. მაგ., ქალმა მეგობარს უამბო, როგორ იძალადა მასზე ქმარმა. მეგობრის მიერ მიცემული ჩვენება ქალის მონაყოლის შესახებ იქნება ირიბი ჩვენება, თუმცა იმ ნაწილში, რომელიც აღწერს მსხვერპლის ემოციურ მდგომარეობას, მათ შორის, მიუთითებს ქალზე არსებული დაზიანებების კვალს, იქნება პირდაპირი. ამდენად, თუკი ჩვენება შე-

⁶² მაგ., იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 28 აპრილის განაჩენი, ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 62-65, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [30.10.2020].

⁶³ მაგ., იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის განაჩენი, ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 66-68, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [30.10.2020].

იცავს არა მხოლოდ დაზარალებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, არამედ, მოწმის მიერ საკუთარი თვალით ნანახსაც (მაგ., დაზარალებული ნახა, რომელსაც დაზიანებები ჰქონდა ან დახეული ტანსაცმელი ეცვა), ასეთი ინფორმაცია ცალსახად ირიბად ვერ მიიჩნევა და იგი, გარკვეულ გარემოებებთან მიმართებით, უნდა შეფასდეს როგორც პირდაპირი.

როდესაც დაზარალებული უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, სასამართლოს ზოგჯერ სწორედ მოწმეთა ამგვარ ჩვენებებსა და სხვა მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი.

მოწმეთა ჩვენებების გარდა მნიშვნელოვანია წერილობითი/ნივთიერი მტკიცებულებების მოპოვებაც, რომლებიც ადასტურებს სავარაუდო დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენას ან ეხება საქმეს (მაგ., მოძალადის მიერ მსხვერპლთან მიწერილი შეტყობინებები).

როგორც სასამართლო ერთ-ერთ ოჯახში ძალადობის საქმეზე განმარტავს, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობა, რაც გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად არის საჭირო, არ გულისხმობს სისხლის სამართლის საქმეში მტკიცებულებათა სიუხვეს, არამედ საჭიროა, არსებობდეს წონადი და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელთა ურთიერთშეჯერება და არა მათი განყენებულად შეფასება გონივრულ და ობიექტურ ადამიანს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში.⁶⁴

სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის/ოჯახური დანაშაულის საქმეების გამოძიებისას.

აღნიშნული მუხლის თანახმად, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებ-

⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 იანვრის №394აპ-17 განჩინება.

ლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარე-მოება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყვე-ლა შესაბამისი დანაშაულისათვის. ასევე, პასუხისმგებლობის და-მამძიმებელი გარემოებებია: დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრე-ბით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან ია-რაღის გამოყენების მუქარით და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

2018 წლის 30 ნოემბრის ცვლილებებამდე, რომელიც ძალაში იმავე წლის დეკემბერში შევიდა, სასამართლოს აღნიშნული და-მამძიმებელი გარემოებები უნდა გაეთვალისწინებინა კონკრეტუ-ლი დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის ფარგლებში და არ იყო დაწესებული სასამართლოს მიერ დასანიშნი სასჯელის ზღვრული ოდენობა, როგორც ეს არის დანაშაულის რეციდივის დროს.⁶⁵ ვინაიდან ამგვარი რეგულაცია ვერ პასუხობდა კანო-მდებლის მიზანს, შედარებით მკაცრად დაესაჯა ზემოხსენებული რომელიმე ნიშნით დანაშაულის ჩამდენი პირები, რადგან არსებუ-ლი დებულება მინიმუმთან უკიდურესად მიახლოებული სასჯე-ლის დანიშვნის შესაძლებლობასაც იძლეოდა, შეიცვალა აღნიშნუ-ლი მიდგომა და სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-3 პუნქტში გაკეთდა დათქმა იმის თაობაზე, რომ დამამძიმებელი გა-რემოებების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვა-და სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაუ-ლისათვის ამავე კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწი-ლით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას, რომლი-თაც შეიქმნა სასჯელის დამძიმების რეალური ეფექტი. აღნიშნუ-ლი წესი სასჯელის დანიშვნისას არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია ზემოაღნიშნული რო-მელიმე დამამძიმებელი გარემოება, როგორც დანაშაულის მაკვა-

⁶⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისა მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატე-ბოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

ლიფიცირებელი ნიშანი, ანუ თუ კონკრეტული მუხლი ან მუხლის ნაწილი უკვე ითვალისწინებს ზემოხსენებულ დამამძიმებელ გარემოებას/გარემოებებს, ასევე მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადებისას. მაგ., თუ პირის ქმედება დაკვალიფიცირებულია სსკ-ის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც ნიშნავს ოჯახში ძალადობას არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, მოცემულ ვითარებაში ვეღარ მოხდება პასუხისმგებლობის დამძიმება სსკ-ის 53-ე პრიმა მუხლით იმ მოტივით, რომ არასრულწლოვნის თანდასწრებით დანაშაულის ჩადენა და ოჯახის წევრზე ძალადობა დანაშაულის შემადგენლობის სავალდებულო ნიშნებია და იგი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული.⁶⁶

რაც შეეხება აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკულ მხარეს, მნიშვნელოვნია, რომ გამოძიების ეტაპზე დადგინდეს, სავარაუდო დანაშაული ხომ არ იქნა ჩადენილი რომელიმე დამამძიმებელი გარემოების სახით. თუ იგი დასტურდება საქმის მასალებით, პროკურორმა აღნიშნულის შესახებ უნდა მიუთითოს ბრალდების შესახებ დადგენილებაში, ხოლო სასამართლომ, თუ მას გაიზიარებს, უნდა იმსჯელოს სასჯელის დანიშვნისას მისი დამძიმების პერსპექტივით.

2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) 52-ე მუხლის თანახმად, მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა, რათა ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა, უშუალო საფრთხის არსებობის შემთხვევაში, გასცენ ორდერი იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენმა დატოვოს მსხვერპლის ან რისკის ქვეშ მყოფი პირის საცხოვრებელი ადგილი საკმარისი დროით და აუკ-

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 18 სექტემბრის №436აპ-20 განჩინება.

რძალონ მოძალადეს მსხვერპლის ან რისკის ქვეშ მყოფი პირის საცხოვრებელ ადგილში შესვლა ან მასთან კონტაქტი.

ტერმინი „უშუალო საფრთხე“ გულისხმობს ოჯახში ძალადობის ნებისმიერ სიტუაციას, რომლის დროსაც პირისთვის ზიანის მიყენება ან გარდაუვალია, ან მას ასეთი ზიანი უკვე მიადგა და, სავარაუდოდ, მომავალშიც მიადგება.⁶⁷

ამავე კონვენციის 53-ე მუხლი მიუთითებს, რომ აღნიშნული ზომების პრიორიტეტული მიზანია მსხვერპლის ან რისკის ქვეშ მყოფი პირის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამდენად, შესაბამისი შემაკავებელი ან დამცავი ორდერები უნდა გაიცემოდეს კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად, ხოლო მათი დარღვევა უნდა იწვევდეს ეფექტურ, თანაზომიერ და ქმედით სისხლისსამართლებრივ ან სხვა სანქციებს.

კონვენცია მხარეებს ანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, აირჩიონ შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოსაცემად. კერძოდ, ეროვნული სამართლის სისტემაზეა დამოკიდებული, აღნიშნული ორდერები დაექვემდებარება სამოქალაქო, ადმინისტრაციულ თუ სისხლის-სამართლებრივ რეგულირებას. ორდერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს მსხვერპლის დაუყოვნებლივი დაცვის მიზნით და არ აკისრებდეს მას შეუსაბამო ფინანსურ თუ ადმინისტრაციულ ტვირთს. შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემა მსხვერპლს არ უნდა უქმნიდეს დაუძლეველ სირთულეებს და მოსამართლეს ან სხვა კომპეტენტურ თანამდებობის პირს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, იგი გამოსცეს მხოლოდ ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუმცა, კონვენციის 49-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ზოგადი ვალდებულებების შესაბამისად, ორდერის გამოცემა ზიანს არ უნდა აყენებდეს დაცვის უფლებას და არ უნდა არღვევდეს სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო განხილვის პრინციპს, რაც ნიშნავს იმას, რომ პირს, რომლის მიმართაც გამოიცა შემაკავებელი ან დამცავი ორდერი, უნდა ჰქონ-

⁶⁷ კომენტარები კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო, 76, იხ. <https://bit.ly/2QbHokk> [05.01.2021].

დეს კომპეტენტური ორგანოებისთვის მიმართვის უფლება, შიდა პროცედურების შესაბამისად.⁶⁸

საქართველოს კანონმდებლობით ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გათვალისწინებული შემაკავებელი და დამცავი ორდერები გამოიყენება როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები. აგრეთვე, ადმინისტრაციული ინსტრუმენტები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევის ხასიათი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები ძირითადად პრევენციული ხასიათისაა და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც დამოუკიდებლად, ისე სისხლისსამართლებრივ მექანიზმებთან ერთად. ეს საკითხი კანონმდებელმა დააზუსტა 2014 წლის 17 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებების გზით. კერძოდ, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება არ აფერხებს მსხვერპლის დაცვის მიზნით დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემას. კერძოდ, თუ ძალადობა თავისი ხასიათითა და ინტენსივობით ვერ აღწევს სისხლისსამართლებრივ სტანდარტს, ასეთ ფაქტებზე რეაგირება ხდება მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმებით, ანუ შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემით; ხოლო თუ ძალადობა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ორდერის გამოცემის პარალელურად, გამოყენებული უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები, რომელიც პირის დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხს დაადგენს. პრაქტიკაში ხშირად ორივე ინსტრუმენტი ერთდროულად გამოიყენება. მაგ.,

⁶⁸ კომენტარები კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, ევროპის საბჭო, 77-78, იბ. <https://bit.ly/2QbHokk> [05.01.2021].

შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად იწყება გამოძიება, თუ ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. ასევე, ორდერის გა-მოცემა შესაძლებელია პირისათვის აღკვეთის ღონისძიების სა-ხით პატიმრობის შეფარდების პარალელურად. მართალია, პატიმ-რობაში მყოფი ადამიანი პირადად (ფიზიკური სახით) ვერ დაუკავ-შირდება მსხვერპლს, მაგრამ პრაქტიკაში არის შემთხვევები, რო-დესაც ისინი პირადად ან მესამე პირების მეშვეობით ამყარებენ სატელეფონო კომუნიკაციას მსხვერპლთან მის მიმართ მუქარის, დაშინებისა თუ დამცირების განხორციელების მიზნით, შესაბამი-სად, მიზანშეწონილია, გამოიცეს ორდერი და აეკრძალოს მოძალ-დეს მსხვერპლთან კომუნიკაცია.⁶⁹

ამდენად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადო-ბის ფაქტზე ოპერატორის რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია, დროებითი ღონისძიების სახით, გამოიცეს შემაკავებელი ან დამ-ცავი ორდერი.

შემაკავებელი და დამცავი ორდერის მეშვეობით ხდება ძალა-დობის რომელიმე ფორმაზე რეაგირება და მოძალადისათვის შე-საბამისი ვალდებულებების/საპქციების დაწესება. მისი მიზანია, მსხვერპლისათვის სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებ-ლად, მოძალადეს დაუწესოს გარკვეული შეზღუდვები და აკ-რძალვები, თუ ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული ქმედე-ბა და საქმის გარემოებები ძალადობის განმეორების ან/და გაზ-რდის მაღალ რისკზე მიუთითებს. შესაძლებელია, მოძალადეს შე-ეზღუდოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული რიგი უფლებები, მათ შორის, პოლიციელი უფლებამოსილია, დამცავი ან შემაკავებელი ორდერის შესაბამისად, მოძალადე განარიდოს მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილს იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ად-გილი მოძალადის საკუთრებაა. ასეთ დროს მსხვერპლის უსაფ-რთხოების ინტერესი აღმატებულია და გადაწონის მოძალადის ინდივიდუალურ საჭიროებებს. კანონმდებლობა გამართლებუ-ლად მიიჩნევს ადამიანის ცალკეული უფლებების შეზღუდვას

⁶⁹ თოლორაია ლ., შემაკავებელი ორდერი, ირინა აქუბარდიას საიუბილეო კრე-ბული, მ. ივანიძის რედაქტორობით, 2020, 149.

უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენისა და დაცვის მიზნით.

შემაკავებელი და დამცავი ორდერი გამოიყენება ერთი და იმავე მიზნითა და დანიშნულებით. ძირითადად, ეს ორი ინსტრუმენტი ერთმანეთის მსგავსია, თუმცა მათ შორის მაინც არის რამდენიმე არსებითი განსხვავება. ორივე მექანიზმის შემუშავებით კანონმდებელმა მსხვერპლს მისცა არჩევანის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ მას არ სურს, მიმართოს პოლიციას, შეუძლია, შემაკავებელი ორდერის მსგავსი შეზღუდვების დაწესების ინიციატივით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დამცავი ორდერის გამოცემა. აღსანიშნავია ისიც, რომ შემაკავებელი ორდერი უფრო ოპერატიული მექანიზმია და დიდი დრო არ სჭირდება მის გამოცემას. განსხვავებით დამცავი ორდერისგან, რომლის გამოცემის საკითხის გადასაწყვეტად სასამართლოს 10 დღიანი ვადა აქვს დაწესებული. ზოგიერთ შემთხვევაში, მყისიერი საფრთხის არსებობისას, მიზანშეწონილია, მსხვერპლმა დაუყოვნებლივ მიმართოს პოლიციას და მოითხოვოს შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რადგან შესაძლოა, რამდენიმე წუთით დაგვიანებაც კი ფატალური შედეგით დასრულდეს.

საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია შემაკავებელი ორდერის მოქმედების პარალელურად დამცავი ორდერის გამოცემა ან პირიქით?

ერთ-ერთ საქმეზე განმცხადებლებმა მიმართეს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე. საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მიმართვამდე რამდენიმე დღით ადრე, განმცხადებელთა დაცვის მიზნით, გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერები, რომელთა მოქმედების ვადაც ჯერ არ იყო გასული. ამასთან, განმცხადებლები ადასტურებდნენ, რომ შემაკავებელი ორდერების გამოცემის შემდგომ ძალადობის ახალი ფაქტი არ მომხდარა. როგორც საქალაქო, ისე სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განცხადება (საჩივარი) დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე და ერთ-ერთ არგუმენტად მიუთითა ის ფაქტი, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა შემაკავებელი ორდერი, რომლის თანახმადაც, ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტს, ანუ, მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლებმა დამცავი ორდერის გა-

მოცემის თაობაზე სასამართლოს მიმართეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში.⁷⁰ მსგავს ვითარებაში მნიშვნელოვანია, სასამართლომ გადაამოწმოს, რამდენ ხანში გასდის მოქმედების ვადა შემაკავებელ ორდერს, რათა მსხვერპლს ჰქონდეს სათანადო დრო და შესაძლებლობა, გამოიყენოს დაცვის იგივე ან სხვა მექანიზმი და მის უსაფრთხოებას არ დაემუქროს საფრთხე. მართალია, კანონი პირდაპირ არ კრძალავს მოქმედი შემაკავებელი ორდერის პირობებში დამცავი ორდერის გამოცემის შესაძლებლობას ან პირიქით, თუმცა ისეთ ვითარებაში, როდესაც რომელიმე ორდერს ჯერ არ გასვლია მოქმედების ვადა, მსგავსი აკრძალვებითა და შეზღუდვებით კიდევ ერთი ორდერის გამოცემას, შესაძლოა, ფორმალური ხასიათი ჰქონდეს. ერთი ორდერის მოქმედების პერიოდში მეორე ორდერის გამოცემას მაშინ შეიძლება ჰქონდეს რეალური პრაქტიკული ეფექტი, როდესაც ახალი ორდერი, ახლად გამოვლენილი გარემოებების, მათ შორის, წარმოშობილი რისკებისა და საფრთხეების გამო, მოძალადისათვის დამატებითი შეზღუდვებისა და აკრძალვების დაწესების საჭიროებაზე მიუთითებს, რასაც არ ითვალისწინებდა მანამდე გამოცემული ორდერი.

შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს/სავარაუდო მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ან/და მსხვერპლის თანხმობით – სოციალურ მუშავს ან პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, ფსიქოლოგიურ ან იურიდიულ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოსაცემად საჭიროა შემდეგი ორი წინაპირობის/გარემოების ერთდროულად არსებობა:

1. სავარაუდო ძალადობის ფაქტი ან/და მსხვერპლისათვის მოსალოდნელი საფრთხე (უშუალო საფრთხის არსებობა);
2. სათანადო სუბიექტები: სავარაუდო მსხვერპლი უნდა იყოს მოძალადის ოჯახის წევრი ან სავარაუდო მსხვერპლი უნდა იყოს ქალი, რომლის მიმართაც ძალადობა მოხდა არაოჯა-


⁷⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 9 მარტის №ვბ/576-18 გადაწყვეტილება.

ხისწევრი პირის მხრიდან გენდერული დისკრიმინაციის მოტივით.

2017 წლის პირველ ივნისამდე შემაკავებელი და დამცავი ორდერის გამოცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც სავარაუდო ძალადობის ფაქტს ადგილი ექნებოდა ოჯახის წევრებს შორის, კერძოდ, ორდერი გამოიცემოდა მხოლოდ ოჯახში ძალადობის დროს. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რომლებიც უკავშირდება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირებას, გაფართოვდა შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების ფარგლები და მისი გამოცემა შესაძლებელი გახდა მაშინაც, როდესაც ძალადობა მოხდა ქალის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით არაოჯახისწევრი პირის მხრიდან.

საერთო დანიშნულებისა და მიზნების მიუხედავად, შემაკავებელი და დამცავი ორდერი განსხვავდება მისი გამომცემი სუბიექტების, ვადებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შემაკავებელი და დამცავი ორდერების განმასხვავებელ ძირითად ელემენტებს



2.1 შემაკავებელი ორდერის დანიშნულება და მისი გამოცემის წესი

შემაკავებელი ორდერი არის ოპერატიული რეაგირების მექანიზმი, რომელიც გამოიცემა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტზე მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადის გარკვეული ქმედებების შეზღუდვის ან მისთვის შესაბამისი ვალდებულებების დაკისრების მიზნით. შემაკავებელი ორდერის სამართლებრივი მოქმედების პრინციპი ეყრდნობა მხარეთა შორის არსებული იმნუთიერი, კონკრეტულ დროში აღმოცენებული კონფლიქტის სწრაფი რეაგირებით მოწესრიგებას, რათა მსხვერპლი დაცული იყოს ვითარების შემდგომი ექსკალაციისა და იმ საფრთხეებისან, რომლებიც შეიძლება მოძალადის ქმედების გაგრძელებამ გამოიწვიოს.

შემაკავებელი ორდერი არის დროებითი ღონისძიება, მისი მიზანია, თავიდან აიცილოს განმეორებითი ძალადობა მოძალადისათვის შესაბამისი ვალდებულებების დაწესების გზით. ამდენად, შემაკავებელი ორდერის დანიშნულება არა მხოლოდ დაცვის სწრაფი რეაგირების საშუალებაა, არამედ იგი ესკალირებული ძალადობის პრევენციის ინსტრუმენტსაც წარმოადგენს და გამოიცემა და ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას მაშინაც, როდესაც სახეზეა ძალადობის ფაქტი წარსულში, ანმყოში და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ დიდი ალბათობით იარსებებს მომავალშიც.⁷¹

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დროებითი ღონისძიების სახით შემაკავებელი ორდერის გამოცემის დისკრეცია სრულად არ არის მინდობილი პოლიციის თანამშრომელზე. იგი მკაცრად რეგულირდება აღნიშნული კანონის სხვადასხვა დებულებით. კერძოდ, სისხლის სამართლოს კოდექსის ცალკეული მუხლებით, გამოძიების დაწყების ან მიმდინარეობის შემთხვევაში პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს შემაკავებელი ორდერის გამოცემის პირდაპირი ვალდებულება ეკისრება, ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდე-

⁷¹ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 16 ივნისის №3/50-19 გადაწყვეტილება.

საც სახეზე არ არის მისი სავალდებულო წესით გამოცემის წინაპიროებები, პოლიციის შესაბამისი თანამშრომელი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით აფასებს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის განმეორების რისკს, რომლითაც ვალდებულია, გამოიკვლიოს ყველა რელევანტური გარემოება და სწორედ ამ რისკის სიმძიმის მიხედვით განსაზღვრავს, გამოსცეს თუ არა შემაკავებელი ორდერი.

შემაკავებელ ორდერს გამოსცემს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი. ორდერის მოქმედების მაქსიმალური ვადა არის ერთი თვე, ხოლო მისი მოქმედების კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს თავად პოლიციელი არსებული რისკებისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკით, ერთთვი-ანი ვადა ითვალისწინებს 30 კალენდარულ დღეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის ბრძანება, რომელიც ამავე წლის 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდა, ადგენს პოლიციის იმ თანამშრომელთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილი და პასუხისმგებელი არიან შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე. კერძოდ, შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილებით აღჭურვილი არიან სამინისტროს შემდეგი დანაყოფის თანამშრომლები:

ა) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შემდეგი თანამდებობის პირები:

ოცეულის მეთაური;
ათეულის მეთაური;
პატრულ-ინსპექტორი.

ბ) ტერიტორიული ორგანოების, ე.ნ. „კრიმინალური პოლიციის“ შემდეგი თანამდებობის პირები:

უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი;
უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი;
მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი;
მართლწესრიგის ოფიცერი;
დეტექტივ-გამომძიებელი;
დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი;
უფროსი დექტექტივი;

დეტექტივი;
უფროსი გამომძიებელი;
გამომძიებელი.

ზემოხსენებული პირების გარდა, სამინისტროს სხვა თანამშრომლები არ არიან უფლებამოსილი, მიიღონ გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე. 2017 წლის ივნისამდე აუცილებელი იყო შემაკავებელი ორდერის დამტკიცება სასამართლოს მიერ. კერძოდ, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემდეგ, ვალდებული იყო, დასამტკიცებლად 24 საათის განმავლობაში წარედგინა ის სასამართლოში. აღნიშნული ბიუროკრატიული პროცედურა მოითხოვდა დამატებით დროსა და რესურსს, რის გამოც შემაკავებელი ორდერი კარგავდა ოპერატიულ ბუნებას. შესაბამისად, ძალადობისგან დაცვის უფრო სწრაფი და ქმედითი მექანიზმების არსებობის პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, ცვლილებების თანახმად, შემაკავებელი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე და პოლიციელს აღარ ეკისრება მისი სასამართლოში წარდგენის ვალდებულება. აღნიშნული პროცედურის გაუქმებამ, ერთი მხრივ, გააიოლა შემაკავებელი ორდერის პრაქტიკაში გამოყენება და, მეორე მხრივ, ნაკლებად ბიუროკრატიული გახადა მისი გამოცემა, რამაც გაზარდა პოლიციელის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციისა და დამოუკიდებლობის ხარისხი.

ძალადობის ფაქტის არსებობისას შემაკავებელი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ან/და მსხვერპლის თანხმობით – სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ ან ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს.⁷²

⁷² „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 11, ნაზილი.

შესაბამისი პირის მიერ მიმართვის შემთხვევაში პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული მეთოდის საშუალებით – რისკების შეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, ანუ შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსების გზით, განსაზღვრავს ძალადობის განმეორების რისკებს და იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გამოცემის ან, სათანადო რისკების არარსებობის პირობებში, შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

შემაკავებელი ორდერით მოძალადეს შეიძლება დაუწესდეს შემდეგი შეზღუდვები და ვალდებულებები, კერძოდ, შემაკავებელი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს:

ა) მოძალადის გარიდებას მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან, მიუხედავად იმისა, მოძალადე სახლის მესაკუთრეა თუ არა. უპირატესობა ენიჭება ადამიანის უსაფრთხოებასა და მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, ამ მიზნით შესაძლებელია ლეგიტიმურად შეიზღუდოს ადამიანის საკუთრების უფლება;

ბ) მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მოთავსების საკითხს. აღსანიშნავია, რომ თავშესაფარში შესაძლოა განთავსდეს არა მხოლოდ მოძალადე, არამედ მასზე დამოკიდებული პირი (მაგ., არასრულწლოვანი შვილი), მიუხედავად იმისა, დამოკიდებული პირი უშუალოდ არის თუ არა ძალადობის მსხვერპლი;

გ) მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას;

დ) მოძალადის არასრულწლოვნისაგან განცალკევების საკითხს;

ე) მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მოძალადის მიახლოების საკითხს. ეს ადგილი შეიძლება იყოს ყველა ის ტერიტორია, მათ შორის, საცხოვრებელი ადგილი, სადაც მსხვერპლი დროებით ან მუდმივად იმყოფება;

ვ) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების საკითხს;

ზ) მოძალადისათვის შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში ან ამ ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებივ-საშტატო იარაღით სარგებლობის უფლე-

ბის შეზღუდვას ან აკრძალვას, იარაღის შეძენის, მისი შეძენის-თვის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვას და პირად საკუთრებაში არსებული იარაღის ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან დროებით ჩამორთმევის პირობებს.

ზემოხსენებული აკრძალვების გარდა, შემაკავებელი ორდერით შესაძლოა გათვალისწინებული იქნეს სხვა ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც, არსებული ვითარებისა და საფრთხის გათვალისწინებით, აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მაგ., შესაძლოა, მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის, ტელეფონის, სოციალური ქსელისა თუ სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც პრაქტიკაში შეზღუდვის საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს. დასაშვებია მოძალადისათვის ერთდროულად რამდენიმე შეზღუდვის დაწესებაც.

ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა შვილის მიერ მამის მიმართ განხორციელებულ ეკონომიკურ ძალადობას და გამოიხატა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არ გადახდაში, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერით მოძალადეს აეკრძალა იმ სახლთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი ცხოვრობდა. ასევე, აეკრძალა მსხვერპლთან, მის სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა. მოძალადე შვილს ასევე აეკრძალა თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობა. მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერის გასაჩივრებისას სასამართლომ შეაფასა ორდერის გამომცემმა ორგანომ გამოიყენა თუ არა შესაბამისი და აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფდა დადგენილი ძალადობის თავიდან აცილებას.

სასამართლომ განმარტა, რომ შესაძლო ეკონომიკური ძალადობის პირობებში შემაკავებელი ორდერის გამომცემმა პირმა შემაკავებელი ორდერის გამოცემისას არ შეაფასა ასეთი შეზღუდვის აუცილებლობა იმ საფრთხეებთან პროპორციულობაში, რომლებიც შეიძლება მოჰყოლოდა პირის საცხოვრებელ სახლთან მიახლოების აკრძალვას. სასამართლოს შეფასებით, ეკონომიკური ძალადობის პირობებშიც კი მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან მიახლოების აკრძალვა არ იყო აუცილებელი, არ ემსახურებოდა

ოჯახში შესაძლო ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებასა და ძალადობის აღკვეთას. შესაბამისად, გააუქმა შემაკავებელი ორდერი იმ ნაწილში, რომელის მიხედვითაც მოძალადეს აეკრძალა მსხვერპლის საცხოვრებელ სახლთან მიახლოება, ხოლო დანარჩენ ნაწილში ორდერი დარჩა ძალაში.⁷³

ქვემოთ მოცემულია მაგალითები იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ვითარებაში, რა სახის ვალდებულებისა და შეზღუდვის დაწესებაა მიზანშენონილი მოძალადისთვის შემაკავებელი ორდერის საფუძველზე.

მაგალითი ჟ 1

30 წლის ჯესიმ მობილურ ტელეფონზე დაურეკა ყოფილ მეუღლეს და სთხოვა შერიგება. მას შემდეგ, რაც მისგან შერიგებაზე უარყოფითი პასუხი მიიღო, ყოფილ მეუღლეს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ასევე, ჯესიმ ყოფილ მეუღლეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სოციალურ ქსელში. ჯესის ეს ქმედება წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელიც განხორციელდა დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემთხვევაში მიზანშენონილია, მოძალადეს აეკრძალოს მსხვერპლთან (ყოფილ მეუღლესთან) ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, მათ შორის, ტელეფონის, სოციალური ქსელისა თუ სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც იქნება მის მიერ განხორციელებული ქმედების ადეკვატური და პროპორციული ზომა. ამით მოძალადეს შეეზღუდება ყოფილ მეუღლესთან მიმართებით იმ მექანიზმების გამოყება, რომლითაც ძალადობა განახორციელა.

⁷³ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 14 ივნისის №820310019003037586 გადაწყვეტილება.

მაგალითი შ 2

55 წლის ნოე დაქუქუქრა ცოლს, რომ თუ კიდევ გადაწყვეტდა მის დაუკითხავად სტუმრად წასვლას, ცოცხალს არ დატოვებდა. აღნიშნული სიტყვების წარმოთქმისას ნოემ მეუღლის თვალწინ მოახდინა პირად საკუთრებაში არსებული სანადირო თოფის დემონ-სტრიოება. ნოეს ეს ქმედება წარმოადგენს ფსიქოლოგიურ ძალა-დობას, კერძოდ, მუქარას, რაც ასევე დანაშაულია. შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემთხვევაში მიზანშენონილია, მოძალადე გარიდებულ იქნეს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან და აეკრძალოს მსხვერპლთან, მის სახლთან, სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი (მეუღლე) იმყოფება. ვინაიდან მოძალადის მიერ განხორციელებული ქმედება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და მაღალია მისი განხორციელების ალბათობა, მიზანშენონილია, რომ იგი გარიდებულ იქნეს მსხვერპლისგან და აღარ მიეცეს მასთან მიახლოების შესაძლებლობა. ასევე, მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებისა და მოძალადის მიერ განხორციელებული ქმედების შინაარსის გათვალისწინებით (იარაღის დემონსტრირებით მეუღლეს დაქუქრა სიცოცხლის მოსპობით, რაც კიდევ უფრო რეალურს და შესაძლებელს ხდის მის განხორციელებას), მიზანშენონილია, რომ ნოეს, შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით, ჩამოერთვას პირად საკუთრებაში არსებული იარაღი.

მაგალითი ზ 3

ლუსია და ჯორჯი იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. მათ თანასაკუთრებაში აქვთ ავტომობილი – HYUNDAI Elantra. აღნიშნული ავტომობილით სარგებლობს მხოლოდ ჯორჯი, რომელსაც იყენებს სამსახურში წასასვლელად. მის მეუღლეს, ლუსიას, სამსახურში სიარული საზოგადოებრივი ტრანსპორტით უწევს. აღნიშნულის გამო ცოლ-ქმარს ხშირად აქვს კონფლიქტი. ჯორჯმა ლუსიას უთხრა, რომ რადგან იგი იყო ოჯახის უფროსი, მხოლოდ მას უნდა ესარგებლა აღნიშნული ავტომობილით. ლუსიას სურვილია, ავტომობილით სარგებლობის დღეები თანაბრად გადანაწილდეს მასა და ჯორჯს შორის. ჯორჯის ეს ქმედება წარმოადგენს ეკონომიკურ ძალადობას, რადგან მეუღლეს უზღუდავს თანასაკუთრებაში არსებული ქონების გამოყენების უფლებას, ამიტომ, შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რომ მოძალადეს შეეზღუდოს თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობა, რათა ავტომობილის გამოყენება ორივემ თანაბრად შეძლოს.

აუცილებელია, შემაკავებელი ორდერი შეიცავდეს მითითებას იმის თაობაზე, რომ მისი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლოა მოძალადეს დაეკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა. პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, რომ მოძალადეს ზეპირსიტყვიერად მიანოდოს ინფორმაცია შემაკავებელი ორდერის დარღვევის/დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომების შესახებ.

შემაკავებელი ორდერი უნდა დაინეროს სამართალწარმოების ენაზე. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შემუშავებულია აღნიშნული დოკუმენტის ფორმები, რომლებიც არის ბეჭდური სახით და ხელით უნდა შეივსოს პოლიციის თანამშრომლის მიერ ცხადად და გასაგებად. შემაკავებელ ორდერს ხელს აწერს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელმაც გამოსცა შემაკავებელი ორდერი, ასევე მსხვერპლი და მოძალადე. თუ მსხვერპლი ან/და მოძალადე რაიმე მიზეზის გამო ხელს არ/ვერ აწერს შემაკავებელ ორდერს, მას ხელს აწერს მხოლოდ პოლიციის უფ-

ლებამოსილი თანამშრომელი, ხოლო შემაკავებელ ორდერში კეთ-დება სათანადო აღნიშვნა და მიეთითება მსხვერპლის ან/და მოძალადის მიერ ხელმოწერაზე უარის თქმის ან ხელმოწერის შეუძლებლობის მიზეზი. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის ან მოძალადის მიერ შემაკავებელი ორდერის ხელმოწერაზე უარის თქმა ან ხელმოწერის შეუძლებლობა არ აბრკოლებს შემაკავებელი ორდერის გამოცემას და იგი იურიდიულად ძალაში შედის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერის დაფიქსირების მომენტიდან.

ვინაიდან შემაკავებელი ორდერი ივსება წინასწარ შემუშავებულ დაბეჭდილ დოკუმენტში, ყველა ზემოხსენებული საკითხი, მათ შორის, მოძალადისათვის გათვალისწინებული სავარაუდო აკრძალვები, მითითებულია ორდერის ფორმაში და პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს უწევს შესაბამისი ველების მონიშვნა და შევსება.

შემაკავებელი ორდერი დგება სამ ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი 24 საათის განმავლობაში ეგზავნება/ჰპბარდება მსხვერპლსა და მოძალადეს (ერთი egzemplari _ msxverpl s da erTi _ moZal ades), xol o Semakavebel i orderis erTi egzemplari rCeba mis gamomcem organoSi, anu pol icisi იმ დანაყოფში, რომელმაც გამოსცა შემაკავებელი ორდერი.

შემაკავებელი ორდერის ეგზემპლარების გადაცემასთან ერთად, პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, ორდერის ასლი დაუყოვნებლივ გაუგზავნოს შემდეგ დაწესებულებებს:

ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების დარღვევაზე რეაგირების მიზნით. მაგ., იმ შემთხვევაში, თუ შემაკავებელი ორდერი გამოსცა ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოს პირველმა განყოფილებამ, ხოლო მსხვერპლი ცხოვრობს მარნეულის მუნიციპალიტეტში, ორდერის გამომცემი პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, დოკუმენტის ერთი ასლი დაუყოვნებლივ გაუგზავნოს მარნეულის რაიონულ სამმართველოს, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს მონიტორინგი. შემაკავებელი ორდე-

რის გადაგზავნა, როგორც წესი, ხდება საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს, ინფორმაციის სათანადო ელექტრონულ ბაზაში შეტანის, დარღვევებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირებისა და სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვის მიზნით. არსებული პრაქტიკით, პოლიციის თანამშრომელმა თავად უნდა უზრუნველყოს მის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის დარეგისტრირება საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის სისტემაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს გამოცემიდან 12 საათისა.

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მომსახურების სააგენტოს, თუ შემაკავებელი ორდერი იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება. მაგ., თუ მოძალადეს აეკრძალა იარაღის შეძენის ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვება, შემაკავებელი ორდერის ერთი ასლი უნდა გაეგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, რათა მან არ გასცეს შესაბამისი ლიცენზია მოძალადეზე, რომელსაც აკრძალული აქვს იარაღის შეძენა/შენახვა/ტარება.

დ) შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, თუ შემაკავებელი ორდერი ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებას ითვალისწინებს.

ე) მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, თუ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული საკითხი არასრულწლოვანს შეეხება. მაგ., იმ შემთხვევაში, თუ ძალადობის მსხვერპლი არის ბაჟვი, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, შემაკავებელი ორდერის ერთი ასლი გაუგზავნოს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოს.

კანონმდებლობა ითვალისწინებს შემაკავებელი ორდერის გასაჩივრებას. მსხვერპლმა ან მოძალადემ შემაკავებელი ორდერი შეიძლება გაასაჩივროს მისთვის ამ ორდერის გადაცემიდან/ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში საქალაქო/რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. შემაკავებელი ორდერის გა-

უქმების თაობაზე სარჩელი წერილობით უნდა წარედგინოს სასამართლოს და იგი უნდა შეიცავდეს:

- ა) სარჩელის შემტანი პირის სახელსა და გვარს;
- ბ სარჩელის შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- გ) ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;
- დ) ცნობებს მოძალადის, მსხვერპლის და მათი ურთიერთობის შესახებ;
- ე) მტკიცებულებათა ჩამონათვალს;
- ვ) შემაკავებელი ორდერის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის მოთხოვნას;
- ზ) მოსარჩელის ხელმოწერას.

სასამართლოში სარჩელის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში იგი თანდართულ მასალებთან ერთად ეგზავნება შემაკავებელი ორდერის გამომცემ უფლებამოსილ ორგანოს (პოლიციის შესაბამის დანაყოფს), აგრეთვე დაინტერესებულ პირს (მსხვერპლს), რომლის დასაცავადაც გამოიცა შემაკავებელი ორდერი, მათ ეძლევათ უფლება, სარჩელთან დაკავშირებით წარადგინონ მოსაზრებები და მტკიცებულებები. პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, წერილობით უპასუხოს სარჩელში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

სასამართლო სარჩელს წარდგენიდან 3 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გაუქმების, ნაწილობრივ გაუქმების ან მის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ. შემაკავებელი ორდერის ნაწილობრივ გაუქმება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც, მაგ., მოსამართლე ამცირებს შემაკავებელი ორდერის ვადას ან/და აუქმებს შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებულ რომელიმე აკრძალვას.⁷⁴ სასამართლო გადაწყვეტილება მიღებიდან 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს.

სასამართლო სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს სარჩელის განხილვას, ასევე, მოსამართლე უფლებამო-

⁷⁴ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 6 აპრილის №3ბ/646-20 გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა შემაკავებელი ორდერის მხოლოდ ის შეზღუდვა, რომელიც მოძალადისათვის ნებისმიერი სახის კომუნიკაციის აკრძალვას ითვალისწინებდა.

სილია, მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს.

შემაკავებელი ორდერის კანონიერების შეფასების პროცესში სასამართლო ვალდებულია, დაადგინოს, ოპერატიული რეაგირების მომენტში გამოვლინდა და დადასტურდა თუ არა ის ვითარება, რომელიც ქმნიდა საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა მოსალოდნელი და შეუფერხებელი განვითარების შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ზიანი მიადგებოდა პოლიციის მიერ დასაცავ სიკეთეს.⁷⁵

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაპარებიდან 3 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლო საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ საჩივრდება.

აღსანიშნავია, რომ არცერთ ეტაპზე შემაკავებელი ორდერის გაუქმების თაობაზე საჩივრის წარდგენა არ აჩერებს მის მოქმედებას.

ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გამოცემული შემაკავებელი ორდერის გასაჩივრებისას მოსამართლემ ორდერის უსაფუძვლოდ გამოცემის ერთ-ერთ მიზეზად მიუთითა, რომ პოლიციელი, რომელიც არ არის ფსიქოლოგი და არც სპეციალური ცოდნის მქონე პირი, არ იყო კომპეტენტური, შეეფასებინა მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ამასთან დაკავშირებით არც კომპეტენტური ორგანოს დასკვნა არ წარმოუდგენია.⁷⁶ აღნიშნული განმარტება ენინააღმდეგება შემაკავებელი ორდერის ოპერატიული და სწრაფი რეაგირების პრინციპებს, ვინაიდან დამატებით ძალისხმევას მოითხოვს კომპეტენტური ორგანოს (მაგ., ექსპერტის) დასკვნის მოპოვება მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასების თაობაზე, ეს დროში გაჭია-

⁷⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 6 თებერვლის №3ბ/174-20 განჩინება.

⁷⁶ საჩერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 13 ნოემბერის №3/64-2020 გადაწყვეტილება.

ნურებული პროცედურაა და აფერხებს მყისიერი გადაწყვეტილების მიღებასა და მსხვერპლთა დაცვის მიზნით დროული ლონისძიებების გატარებას. შესაბამისად, შემაკავებელი ორდერის გამოსაცემად მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს დასკვნის წარმოდგენას არ უნდა ჰქონდეს საგალდებულო და იმპერატიული ხასიათი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება მოკლე ვადებშია მისაღები, ხოლო ძალადობა მყისიერადაა აღსაკვეთი.

აღნიშნულისგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლომ ქალის მიმართ გენდერული ნიშნით განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობა დადასტურებულად მიიჩნია მსხვერპლის ახსნა-განმარტებითა და მოწმეთა ჩვენებებით.

საქმის გარემოებების მიხედვით დგინდებოდა, რომ მამაკაცების მხრიდან ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ძალადობას მათ სამსახურებრივ დაქვემდებარებაში მყოფი ქალის მიმართ და ამის საფუძველზე გამოიცა შემაკავებელი ორდერები. შემდგომში შემაკავებელი ორდერები გაუქმდა მოძალადეთა მიერ მათი სასამართლოში გასაჩივრების გზით. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეებს ერთმანეთის მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულება და დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, ხოლო უთანხმოება უკავშირდებოდა შრომით დავას, რომელიც განიხილებოდა სასამართლოს მიერ. სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელე მხარის პოზიციას, რომ შემაკავებელი ორდერების გამოცემით მათ შეეზღუდათ სამსახურში მისვლის უფლება და შრომითი მოვალეობების განხორციელების შესაძლებლობა, ვინაიდან ორდერების ერთ-ერთ აკრძალვად განსაზღვრული იყო მსხვერპლის სამსახურთან და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც მსხვერპლი იმყოფებოდა, ხოლო მსხვერპლსა და მოძალადეებს ერთი სამუშაო სივრცე/ადგილი ჰქონდათ. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის მიმდინარე შრომითი დავა ცალსახად ქმნიდა კონფლიქტურ სიტუაციას, აღნიშნული ურთიერთობა არ შეიძლება შეფასებულიყო ფსიქოლოგიურ ძალადობად.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გა-საჩივრდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. სასამართლომ სრულად გაიზიარა პოლიციის არგუმენტები, რომ ქალთა მიმართ

და ოჯახში ძალადობის საქმეები გამოიჩინეოდა მტკიცებულებათა სიმწირით, ვინაიდან ძალადობა ხდებოდა ერთმანეთთან დაკავშირებულ პირებს შორის ან/და ლოკალურ, ჩაკეტილ წრეში. ამიტომ ასეთი ძალადობის ფაქტებს, მათი ბუნებიდან გამომდინარე, არ ჰყავს ხოლმე ბევრი მოწმე, რომლებიც ინციდენტის თვითმხილველები იქნებიან. აგრეთვე ხშირია შემთხვევები, როდესაც მოძალადე ცდილობს ძალადობა განახორციელოს არა ხალხმრავალ ადგილას, სადაც ბევრი მოწმე ეყოლება, არამედ იქ, სადაც მსხვერპლი და მოძალადე მარტონი იქნებიან. ამდენად, მოძალადე განსაზღვრული ადამიანების მიმართ განსაზღვრულ დროსა და ადგილას ძალადობს გარკვეული სითრთხილით. ის საკუთარი „ძალადობრივი საქციელის შესახებ წესებისა და კანონების“ მიხედვით მოქმედებს. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელე პოლიციის თანამშრომლის განმარტება, რომ შემაკავებელი ორდერის მიზნებისათვის არ იყო აუცილებელი, ფსიქოლოგიურ ძალადობას სისტემატური ხასიათი ჰქონდა და პირის ფსიქიკური ტანჯვა გამოეწვია, შესაბამისად, კანონი ფსიქოლოგიურ ძალადობად მიიჩნევდა მსხვერპლის მიმართ ერთჯერადად/ერთხელ განხორციელებულ ქმედებასაც.

რაც შეეხება მოძალადეთა მითითებას, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემით მათ შეეზღუდათ სამსახურში მისვლის უფლება, მოსარჩელე პოლიციის თანამშრომლის შეფასებით, მსხვერპლის უსაფრთხოების ინტერესი აღმატებულია და გადაწონის მოძალადის ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაბამისად, ასეთ დროს კანონმდებლობა გამართლებულად მიიჩნევდა ადამიანის ცალკეული უფლებების შეზღუდვას უფრო დიდი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენისა და დაცვის ხარჯზე, რაც გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ.

ზემოაღნიშულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სამართლოს გადაწყვეტილება, რითაც მოძალადეთა ნინააღმდეგ გამოცემულ შემაკავებელ ორდერებს დაუბრუნდა შესასრულებლად სავალდებულო ძალა.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განმარტავს, რომ გენდერული ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელმაც შეიძლება ქალს მიაყენოს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანი. სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვი-

ლებს იმ გარემოებაზე, რომ ფსიქოლოგიური ძალადობის ძირითადი ნიშნები ვლინდება დაცინვაში, ცინიკურ ან დამამცირებელ შენიშვნებში, მუქარაში, იზოლირებაში, დაშინებაში, ანუ იმ ქმედებებში, რომლებიც ამცირებს ადამიანის თვითშეფასებას და აკარგვინებს საკუთარი თავის რწმენას. ამასთან, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ აქვს მნიშვნელობა, მოძალადე მსხვერპლს დაემუქრება პირდაპირი ფორმით, მასთან უშუალოდ კონტაქტისას, თუ დისტანციურად, მესამე პირის მეშვეობითა და გამოყენებით.

მოცემული განმარტებების შემდეგ სასამართლომ ჩათვალა, რომ მამაკაცების მიერ მსხვერპლი ქალისათვის ნათქვამი ფრაზა, „შენ არავინ გეკითხება, ჩვენ ამას ყველაფერს დავალაგებთ“, მსხვერპლის თანამშრომელი მამაკაცის მიმართ ნათქვამი სიტყვები, „ქალთან რა გინდა, გადმოდი კაცებთან“, და მოსწავლისათვის ნათქვამი, „შენს მასწავლებელს კისერი აქვს წასამტვრევი“, პირდაპირ მიუთითებდა გენდერული ნიშნით ფსიქოლოგიური ძალადობის არსებობაზე.⁷⁷

2.1.1 შემაკავებელი ორდერის გამოცემა რისკების შეფასების საფუძველზე (რისკების შეფასების ინსტრუმენტი და მისი გამოყენების მეთოდოლოგია)

2018 წლის პირველი სექტემბრიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში დაინერგა რისკების შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ეხმარება პოლიციის თანამშრომელს, სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით, მოახდინოს ძალადობის ფაქტისა და მასში მონაწილე პირების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვება და მოძალადისაგან მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება. აღნიშნული ინსტრუმენტი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს პოლიციის მიერ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას და, მეორე მხრივ, არსებული რისკებისა და საფრთხეების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას განმეორებითი ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

⁷⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 ოქტომბრის №3/ბ-2739-18 გადაწყვეტილება.

აღნიშნული მექანიზმის დანერგვამდე პოლიციის თითოეული თანამშრომელი, სავარაუდო ძალადობაზე რეაგირებისას, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრავდა დასასმელი კითხვების რაოდენობას, შინაარსს, ფორმულირებასა და რიგითობას. გარდა იმისა, რომ ასეთი არასტრუქტურირებული მიდგომა განაპირობებდა არაერთგვაროვან მიდგომასა და პრაქტიკას, შეუძლებელი იყო რისკების სწორად შეფასება.⁷⁸

რისკების შეფასების ინსტრუმენტი ინტეგრირებულია შემაკავებელი ორდერის ოქმში, რომელიც დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 13 ივლისის 9181 ბრძანებით. შემაკავებელი ორდერის ოქმი შედგება 7 ბლოკისგან/ნაწილისგან, მასში რისკის შესაფასებლად რელევანტურ კითხვებთან ერთად გამოყოფილია შესაბამისი გრაფები, რომლებშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სავარაუდო ძალადობის შესახებ, მათ შორის, სავარაუდო ძალადობის ფაბულა, პირადი ინფორმაცია სავარაუდო მსხვერპლისა და მოძალადის შესახებ, მათი კავშირისა თუ ნათესაური ურთიერთობის თაობაზე და სხვა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ინციდენტში მონაწილე პირებსა და საქმის გარემოებებს უკავშირდება და რომლის დაფიქსირებასაც პოლიციის თანამშრომელი მიზანშეწონილად მიიჩნევს.

აღნიშნული ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით, რომელიც 2018 წლის პირველ სექტემბერს შევიდა ძალაში, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი აფასებს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის განმეორების რისკს და ამ რისკის სიმძიმის მიხედვით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

1. შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ;
2. შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

ამდენად, განმეორებითი ძალადობის რისკებისა და ამ რისკის სიმძიმის შეფასება ხდება შემაკავებელი ორდერის ოქმში ასახული კითხვების საშუალებით, ხოლო განმეორებითი ძალადობის რისკის სიმძიმე შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო და მაღალი, ეს

⁷⁸ თოლორაია ლ., შემაკავებელი ორდერი, ირინა აქუბარდიას საიუბილეო კრებული, მ. ივანიძის რედაქტორობით, 2020, 151.

განისაზღვრება შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებული კითხვებისათვის მინიჭებული ქულების საფუძველზე.

თითოეულ კითხვას, მისი შინაარსისა და ხარისხის, მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რამდენად საშიში შეიძლება იყოს მოძალადის ქცევა სამომავლოდ, მინიჭებული აქვს კონკრეტული ქულა, რომლის საშუალებითაც გამოითვლება რისკები. ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში, შემაკავებელი ორდერის ოქმის კითხვარების საშუალებით, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლები აფასებენ განმეორებითი ძალადობის რისკების სიმძიმეს და, სათანადო საფუძვლების არსებობისას, გამოსცემენ შემაკავებელ ორდერს.

განმეორებითი ძალადობის მაღალი რისკია, თუ მინიმუმ ერთი დადებითი პასუხი დაფიქსირდა შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ ისეთ კითხვაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 5 ქულა;

განმეორებითი ძალადობის მაღალი რისკია, თუ მინიმუმ ერთი დადებითი პასუხი დაფიქსირდა შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ ისეთ კითხვაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 3 ქულა;

განმეორებითი ძალადობის დაბალი რისკია, თუ დადებითი პასუხი დაფიქსირდა შემაკავებელი ორდერის ოქმში მითითებულ ისეთ კითხვაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს 1 ქულა.

როცა განმეორებითი ძალადობის მაღალი რისკია, ორდერი გამოიცემა 1 თვის (30 დღე) ვადით, ხოლო როცა საშუალო ან დაბალი რისკია, ორდერი შეიძლება გამოიცეს უფრო მცირე ვადითაც. ამ შემთხვევაში ორდერის გამოცემის კონკრეტულ ვადას განსაზღვრავს პოლიციელი საქმის გარემოების გათვალისწინებით.

განმეორებითი ძალადობის მაღალი რისკი	
maRaL i riskis ganmsazRvrel ki Txvas miniWebul i aqvs 5 qul a	Semakavebel i orderis oqmSi aris maRaL i riskis ganmsazRvrel i 5 ki Txva
განმეორებითი ძალადობის საშუალო რისკი	
saSual o riskis ganmsazRvrel ki Txvas miniWebul i aqvs 3 qul a	Semakavebel i orderis oqmSi aris saSual o riskis ganmsazRvrel i 10 ki Txva
განმეორებითი ძალადობის დაბალი რისკი	
dabal i riskis ganmsazRvrel ki Txvas miniWebul i aqvs 1 qul a	Semakavebel i orderis oqmSi aris dabal i riskis ganmsazRvrel i 9 ki Txva

შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულოა, თუ ქულათა რაოდენობამ შეადგინა მინიმუმ 5 ქულა. არ აქვს მნიშვნელობა, ქულები შეგროვდება საშუალო და დაბალი რისკის განმსაზღვრელი კითხვების შეკრების გზით, თუ ერთ მაღალი რისკის განმსაზღვრელ შეკითხვაზე დაფიქსირდება დადებითი პასუხი. შემაკავებელი ორდერის გამოცემის ვალდებულების წარმოშობისთვის მთავარია, რომ რისკების შეფასების საფუძველზე მინიმუმ 5 ქულა შეგროვდეს. თუ ქულათა რაოდენობამ შეადგინა 5 ქულაზე ნაკლები, პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს აქვს დისკრეცია, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, გამოსცეს თუ არა შემაკავებელი ორდერი. შემაკავებელი ორდერის გამოცემა შესაძლებელია მაშინაც, როდესაც მსხვერპლი არ თანამშრომლობს სამართალდამცავებთან და თავს არიდებს პოლიციის თანამშრომლის მიერ დასმულ შეკითხვებს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მოძალადის მიმართ შიში, არსებული ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოვლენებისა და რისკების ადეკვატურად გააზრების პრობლემა და ა.შ., რაც სახელმწიფოს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან, გამოიყენოს ყველა შესაბამისი ღონისძიება მსხვერპლთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თუ ამის საჭიროებას დაინახავს, მათი მხრიდან ფაქტების უარყოფის ან/და ნინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად. ზოგჯერ მსხვერპლები მხო-

ლოდ ძალადობის შედეგად გამოწვეული სტრესიდან მცირე ხნის შემდეგ აცნობიერებენ, რომ უშეუალოდ ძალადობის მომენტში მათი თავისუფალი ნება პარალიზებული იყო. მათზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს და ისინი ვერ იღებენ გადაწყვეტილებას საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, იმ მომენტში განიცდიან ძალადობისგან გამოწვეულ „ფიზიოლოგიური“ გაშეშების რეაქციას. ნათესავების ზენოლის, საზოგადოების რეაგირებისა თუ მოძალადის შიშის გამო, ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაფიქსირებას, რასაც მოგვიანებით ნანობენ კიდეც.⁷⁹ ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შესაძლებლობის ფარგლებში, პოლიციის მიერ დამატებითი ინფორმაციის მოძიება და მსხვერპლის მიერ თანამშრომლობაზე უარის თქმის შესაძლო მოტივების იდენტიფიცირება (მაგ., მსხვერპლი უარყოფს ძალადობას და უარს აცხადებს შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე, თუმცა არსებული ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა ძალადობას და პოლიციის დაკვირებით/შინაგანი რწმენით არსებობს მისი განმეორების საფრთხე).

შემაკავებელი ორდერის ოქმში სულ მოცემულია 24 ტიპის შეკითხვა. ყველა კითხვა რისკის დონის შესაფასებლად და შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენება, თუმცა კითხვების ნაწილით მოძალადისათვის ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების საფუძვლისანობა ფასდება. კითხვების უმრავლესობაზე, კერძოდ, 20 შეკითხვაზე, პასუხები უნდა დაფიქსირდეს მსხვერპლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხოლო 4 შეკითხვაზე პასუხის განსაზღვრა უნდა მოხდეს მოძალადის ნარსულის გადამოწმების შედეგად, რაშიც პოლიციის თანამშრომელს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბაზებში არსებული მონაცემები ეხმარება. კერძოდ, პოლიციელმა, შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსებისას, საინფორმაციო ბაზაში უნდა გადაამოწმოს მოძალადის მიმართ იყო/არის თუ არა გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ამავე ან სხვა მსხვერპლის მიმართ, ასევე, ფიქსირდება თუ არა

⁷⁹ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში“, 2015, 52, იხ. <https://bit.ly/3anGkk1> [30.10.2020].

მოძალადის მიერ შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი, მოძალადის მიერ წარსულში ჩადენილია თუ არა ძალადობრივი დანაშაული და მის სახელზე რეგისტრირებულია თუ არა ცეცხლსასროლი იარაღი. აღნიშნული ინფორმაცია, მსხვერპლის მიერ მიწოდებულ გარემოებებთან ერთად, პოლიციის თანამშრომელს ეხმარება, სრულყოფილად შეაფასოს მოძალადის პიროვნული და ქცევითი მახასიათებლები.

მას შემდეგ, რაც პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი დაასრულებს შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსებას, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, უნდა გადაწყვიტოს შემაკავებელი ორდერის გამოცემის საკითხი, ხოლო დადებით შემთხვევაში, უნდა დაიწყოს შემაკავებელი ორდერის შევსება. შემაკავებელი ორდერის ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერით დამოწმებული ასლი უნდა გაეგზავნოს ზედამხედველ პროკურორს. აღნიშნული გზით, შემაკავებელი ორდერის ოქმი გადის დამატებით ფილტრს, კერძოდ, პროკურორი აფასებს, დოკუმენტი დაფიქსირებული ინფორმაცია ხომ არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. თუ შეიცავს რომელიმე დანაშაულის ნიშნებს, პროკურორი მიმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფს გამოძიების დასაწყებად.

არსებული პრაქტიკით, როგორც წესი, შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსების შემდეგ, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, ძალადობის განმეორების რისკებზე დაყრდნობით (დაგროვილი ქულების მიხედვით), იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გამოიცა შემაკავებელი ორდერი, პოლიციის თანამშრომელი უკავშირდება მოძალადეს და აწვდის ინფორმაციას მის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემის, დაწესებული შეზღუდვებისა და მათი დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თაობაზე და ადგენს სატელეფონო გასაუბრების ოქმს იმის დასტურად, რომ ნამდვილად მიაწოდა მოძალადეს ინფორმაცია.

ზოგჯერ რთულდება მსხვერპლისა და მოძალადის იდენტიფიცირება, ვინაიდან ადგილზე მისულ პოლიციის თანამშრომელს ორივე მხარე უცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა ძალადობას (ამას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ის ფაქტი, რომ ზოგჯერ, ორი-

ვე მხარეს აღნიშნება დაზიანებები). რადგან ორივე მხარე მიუ-
თოვებს განხორციელებულ ძალადობაზე, როგორც წესი, პოლი-
ციის თანამშრომლის მიერ ორივე პირთან, როგორც პოტენციურ
მსხვერპლთან, ივსება შემაკავებელი ორდერის ოქმი, რომელიც
შემდგომში, შესაბამისი ქულების დაგროვების გამო, ხდება ე.წ.
„ჯვარედინი“ შემაკავებელი ორდერების გამოცემის საფუძველი.
კერძოდ, ერთი შემაკავებელი ორდერით პირი იძენს მსხვერპლის
სტატუსს, ხოლო მეორე ორდერით – მოძალადის. ასეთ შემთხვე-
ვაში ორივე მხარე მოკლებული იქნება შესაბამისი სერვისებით,
მათ შორის, თავშესაფრით, სარგებლობის შესაძლებლობას, ვინა-
იდან ორივე მათგანს ექნება მოძალადის სტატუსი. შესაბამისად,
მოცემულ ვითარებაში მნიშვნელოვანია, დეტალურად იქნეს გა-
მოკვლეული, თუ ვინ იყო ძალადობის ინიციატორი, რომელიმე
მხარე ხომ არ იმყოფებოდა თავდაცვის რეჟიმში და ხომ არ მოი-
პოვება დამატებით სხვა მტკიცებულება, რომელიც უფრო ნა-
თელსა და გასაგებს გახდის არსებულ გარემოებებს.

2.1.2 რისკების შეფასება და შემაკავებელი ორდერის გამო- ცემა გამოძიების დაწყების ან მიმდინარეობისას

2018 წლის 30 მაისს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში
ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახ-
მარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლში განხორ-
ციელებული ცვლილებების შესაბამისად, რომელიც იმავე წლის
ივნისში ამოქმედდა, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის
ვალდებულებად განისაზღვრა შემაკავებელი ორდერის გამოცემა
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლე-
ბით (108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 137-ე და 138-
ე, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილით,
144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით,
144¹ - 144³ და 151-ე მუხლებით, 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“
ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილით და 381¹ მუხლით) გამოძიების დაწ-
ყების ან მიმდინარეობის შემთხვევაში.

აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულია შემდეგი დანაშა-
ულები:

- სსკ-ის 108-ე მუხლი** – განზრას მკვლელობა;
- სსკ-ის 109-ე მუხლი** – განზრას მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში;
- სსკ-ის 115-ე მუხლი** – თვითმკვლელობამდე მიყვანა;
- სსკ-ის 117-ე მუხლი** – ჯანმრთელობის განზრას მძიმე დაზიანება;
- სსკ-ის 118-ე მუხლი** – ჯანმრთელობის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანება;
- სსკ-ის 120-ე მუხლი** – ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანება;
- სსკ-ის 126-ე მუხლი** – ძალადობა;
- სსკ-ის 137-ე მუხლი** – გაუპატიურება;
- სსკ-ის 138-ე მუხლი** – სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება;
- სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი** – თავისუფლების უკანონო აღკვეთა სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
- სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილი** – თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან/და თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი;
- სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი** – მძევლად ხელში ჩაგდება სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;
- სსკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილი** – მძევლად ხელში ჩაგდება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან/და მძევლად ხელში ჩაგდება, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი;
- სსკ-ის 144¹ მუხლი** – წამება;
- სსკ-ის 144² მუხლი** – წამების მუქარა;
- სსკ-ის 144³ მუხლი** – დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა;

სსკ-ის 151-ე მუხლი – მუქარა;

სსკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი – ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით;

სსკ-ის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილი – ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა ჯგუფურად ან/და სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით;

სსკ-ის 38¹ მუხლი – შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა.

ზემოხსენებულ დანაშაულებზე შესაბამისი მუხლით გამოძიების დაწყების შემთხვევაში პოლიციელი აღარ აფასებს რისკებს და სავალდებულო წესით გამოსცემს შემაკავებელ ორდერს.

მიუხედავად იმისა, რომ მუხლების ჩამონათვალი არის ზოგადი, შემაკავებელი ორდერის გამოცემა მაინც შეზღუდულია შესაბამის სუბიექტთა წრით, ამიტომ შემაკავებელი ორდერის გამოცემის ვალდებულება პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოხსენებული რომელიმე მუხლით გამოძიება დაიწყო 11¹ მუხლზე მითითებით (მაგ., 11¹-151) ან გამოძიება დაიწყო რომელიმე ზემოხსენებული მუხლით და ირკვევა, რომ სავარაუდო დაზარალებული არის ქალი, რომელიც არაოჯახისწევრის მხრიდან გენდერული დისკრიმინაციის მოტივით გახდა შესაძლო დანაშაულის მსხვერპლი.

ამდენად, ზემოხსენებული რომელიმე მუხლით გამოძიების დაწყების მიუხედავად, აუცილებელია, რომ იგი განხილულ იქნეს ოჯახური დანაშაულის კონტექსტში ან სავარაუდო დანაშაულებრივ ფაქტს ადგილი ჰქონდეს ქალის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით. აღნიშნული განმარტება გამომდინარეობს შემაკავებელი ორდერის გამოცემის ზოგადი პრინციპებიდან, რომლებიც ითვალისწინებს სათანადო სუბიექტების არსებობას.

მაგ., ერთ-ერთ საქმეზე, სისხლის სამართლის კოდექსის 11¹-151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ. 2019 წლის 15 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციით, ოჯახის წევ-

რის მიმართ ჩადენილი მუქარა სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ფასდებოდა) გამოძიების დაწყების პარალელურად, პოლიციის თანამშრომელმა, მსხვერპლის დაცვის მიზნით, გამოსცა შემაკავებელი ორდერი. მოძალადემ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში. მოსამართლემ არ დაკამაყოფილა სარჩელი, ძალაში დატოვა შემაკავებელი ორდერი და დასაბუთებისას მიუთითა, რომ გასაჩივრებული შემაკავებელი ორდერი გამოიცა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების/მიმდინარეობის პროცესში. ასეთ შემთხვევაში პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველ-საყოფად დროებითი ღონისძიების სახის შემაკავებელი ორდერის გამოცემა სავალდებულო იყო.⁸⁰

ალსანიშნავია, რომ ზემოხსენებული დებულება შემაკავებელი ორდერის გამოცემის ვალდებულებას ითვალისწინებს ისეთი მუხ-ლებით გამოძიების დაწყების შემთხვევაშიც, რომლებიც მიუთი-თებს დასრულებულ დანაშაულზე (მაგ., სსკ-ის 108-ე, 109-ე, 115-ე მუხლი – იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა პირის თვითმკვლე-ლობამდე მიყვანას). ასეთ დროს აღარ არის რელევანტური შემა-კავებელი ორდერის გამოცემა, ვინაიდან მსხვერპლი უკვე გარ-დაცვლილია და აღარ არსებობს სამართლებრივი სიკეთე, რომ-ლის დაცვის ვალდებულებაც აქვს პოლიციელს. ნორმის ლოგიკუ-რი განმარტებიდან გამომდინარე, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს რელევანტური შემაკავებელი ორდერის გამოცემა, როდესაც ად-გილი აქვს დანაშაულის მომზადებას ან მცდელობას. მოცემული მიზნებისათვის აღარ არის რელევანტური ამ ჩამონათვალში სსკ-ის 108-ე მუხლის არსებობა, რადგან 2018 წლის 30 ნოემბერს სა-ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მიღებული ცვლილე-ბების შესაბამისად, განზრას მკვლელობა ოჯახის წევრის მიმართ ან გენდერის ნიშნით განისაზღვრა სსკ-ის 109-ე მუხლის დამამძი-მებელ გარემოებად, შესაბამისად, ამავე კოდექსის 11¹ მუხლიდან ამოღებულ იქნა სსკ-ის 108-ე მუხლი. პარალელურად ცვლილებე-ბი არ განხორციელებულა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და

⁸⁰ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 5 მარტის №340370520003505401 გადაწყვეტილება.

ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამის დებულებებში, რომლებიც უკვე აღარ შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლს. ამდენად, ზემოხსენებული ცვლილებების შესაბამისად, შეუძლებელია ოჯახის წევრის ან გენდერის ნიშნით ქალის მკვლელობა, მათ შორის, მისი მომზადება და მცდელობა, დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 108-ე მუხლით.

ზემოხსენებული გარემოებების არსებობისას, შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, სავალდებულოა მასში იარაღით სარგებლობის შეზღუდვაზე მითითება.⁸¹ ეს შეიძლება იყოს იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან აკრძალვა, იარაღის შეძენის ან მის შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) დროებით ჩამორთმევა.

ზემოხსენებული დებულებების მიღების საჭიროება განაპირობა ოჯახში ძალადობის ფაქტებთან/ოჯახურ დანაშაულებთან ბრძოლის მექანიზმების დახვენის აუცილებლობამ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება დანაშაულის ჩადენას იარაღის გამოყენებით. კერძოდ, ოჯახური დანაშაულის აღკვეთისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის უკეთ დაცვის მიზნით გაიზარდა პოლიციელის უფლებამოსილება და განისაზღვრა შემთხვევები, როდესაც მას შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და აღნიშნულ დოკუმენტში იარაღით სარგებლობის უფლების შეზღუდვის მითითების კანონით უზრუნველყოფილი უფლება ექნება.⁸²

თუმცა აღნიშნული ნორმა, რომელიც შემაკავებელი ორდერის გამოცემის ვალდებულებას განსაზღვრავს, არის ბუნდოვანი და

⁸¹ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10, ნაწილი 3⁴.

⁸² განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“, 1, იხ. <https://bit.ly/3miA7v6> [30.10.2020].

პრაქტიკაში ქმნის გარკვეულ სირთულეებს. კერძოდ, ზოგჯერ გამოძიება იწყება მინიმალური ინფორმაციის საფუძველზე და არ არის ხოლმე იდენტიფიცირებული სავარაუდო მსხვერპლის ან/და მოძალადის ვინაობა. შესაბამისად, ფორმალურად გამოძიების დაწყება მაშინ, როდესაც შესაძლოა არც დადასტურდეს ძალადობის ფაქტი, არ უნდა განიხილავდეს შემაკავებელი ორდერის გამოცემის ვალდებულებას. გასათვალისწინებელია, რომ პოლიციელმა გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის თაობაზე უნდა მიიღოს რისკების შეფასების საფუძველზე, რომელიც შესაბამისი მეთოდოლოგიით აფასებს, რამდენად არსებობს ძალადობის განმეორების საფრთხე. ნორმის ბუნდოვანებაზე მეტყველებს ისიც, რომ შემაკავებელი ორდერი უნდა გამოიცეს არა მარტო გამოძიების დაწყების, არამედ მისი მიმდინარეობის შემთხვევაშიც. იმ ვითარებაში, როდესაც ხშირად გამოძიება რამდენიმე თვე გრძელდება, გაუგებარია, რამდენჯერ უნდა გამოსცეს პოლიციის თანამშრომელმა შემაკავებელი ორდერი და ვალდებულია თუ არა, რომ ერთვიანი ვადის გასვლის შემდეგ კვლავ გამოსცეს აღნიშნული დოკუმენტი მანამ, სანამ ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ შეიცვალოს კანონმდებლობის ის ჩანაწერი, რომელიც პოლიციელს გამოძიების დაწყების ან მიმდინარეობისას შემაკავებელი ორდერის გამოცემის ვალდებულებას აკისრებს, ვინაიდან შეუძლებელია, წინასწარ, ყოველგვარი შეფასების გარეშე, გადაწყდეს ორდერის გამოცემის საკითხი. სწორედ რისკების შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების გზით უნდა განისაზღვროს მისი გამოცემის რელევანტურობა.

2.1.3 რისკების შეფასება და შემაკავებელი ორდერის გამოცემა მოძალადის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვებისას

მსხვერპლის უსაფრთხოებისა დაცვისა და განმეორებითი ძალადობის პრევენციის მიზნით, კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის ინფორმირებას მას შემდეგ, რაც მოძალადე დატოვებს პენიტენციურ დაწესებულებას. ასეთ დროს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი აფასებს მოძალადის მიერ

მსხვერპლის მიმართ შესაძლო ძალადობის განმეორების რისკებს და საკუთარი ინიციატივით იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. აღსანიშნავია, რომ შემაკავებელი ორდერის გამოსაცემად აუცილებელი არ არის ძალადობის ახალი ფაქტის არსებობა და მთავარია იმის შეფასება, რამდენად მაღალია ალბათობა, რომ მოძალადე პენიტენციური დაწესებულების დატოვების შემდეგ კვლავ იძალადებს მსხვერპლზე.

პენიტენციური დაწესებელება ვალდებულია, ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, გაქცევის, მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის (პატიმრობის კოდექსის 27-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად), ასევე გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის გასვლის შემთხვევაში (პატიმრობის კოდექსის 71⁶ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად), დაუყოვნებლივ გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

აუცილებელია, რომ პენიტენციურმა სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია გაუგზავნოს ზემოაღნიშნული გარემოებების დადგომამდე, რათა სამინისტრომ დროულად შეძლოს მსხვერპლისთვის ინფორმაციის მიწოდება. მიზანშეწონილია, პენიტენციურმა სამსახურმა სამინისტროს ინფორმაცია მიანოდოს ზემოაღნიშნული გარემოებების დადგომამდე რამდენიმე დღით ან კვირით ადრე, თუ, რა თქმა უნდა, ამის წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელია. მაგ., თუ ინურება მსჯავრდებულის მიერ მოსახდელი სასჯელის ვადა. წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, მაგ., ისეთი შემთხვევის არსებობისას, როდესაც მსჯავრდებული გაიქცევა პენიტენციური დაწესებულებიდან.

მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრო პენიტენციური დაწესებულებიდან მიიღებს შესაბამის ინფორმაციას, ვალდებულია, აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია შეატყობინოს მსხვერპლს, რის თაობაზეც პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ადგენს შესაბამის ოქმს. ოქმში ასახული უნდა იყოს პოლიციის მიერ მსხვერპლთან გასაუბრების შედეგები, კერძოდ, მსჯავრდებულისადმი მსხვერპლის დამოკიდებულება მსხვერ-

პლისადმი მსჯავრდებულის დამოკიდებულება სასჯელის მოხდის პერიოდში და სხვა ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს მსხვერპლის მიმართ ძალადობის განმეორების რისკის შესაფასებლად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომელი აფასებს მსხვერპლისგან მიღებულ ინფორმაციას. რისკის შეფასების პროცესში იგი უფლებამოსილია, პენიტენციური დაწესებულებიდან გამოითხოვოს მსჯავრდებულის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლისგან მიღებული ინფორმაცია და მსჯავრდებულის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში ასახული ცნობები იძლევა საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მსხვერპლის მიმართ ძალადობა შეიძლება განმეორდეს, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ადგენს პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლებული/გამოსული პირის ადგილსამყოფელს და მისთვის შესაბამისი ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას შემაკავებელი ორდერის გამოცემის ან მის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ. შემაკავებელი ორდერის გამოცემის შემთხვევაში სავალდებულო არ არის მსხვერპლის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის არსებობა. პოლიცია უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ შეიძლება დაირღვეს პირის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები უგულებელყოფით ან იძულებით ან/და მის მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან/და სექსუალური ძალადობით.

2.2 მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესება

2020 წლის პირველ სექტემბერს ამოქმედდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ახალი მექანიზმი. ელექტრონული ზედამხედველობა არის შემაკავებელი ორდერის აღსრულების ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მოძალადის კონტროლი მის მიერ მსხვერპლთან მიახლოების თავიდან ასაცილებლად.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს შეუძლია შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, რომლითაც მოძალადეს აკრძალული აქვს მსხვერპლთან მიახლოება, მის მიმართ დააწესოს ელექტრონული ზედამხედველობა. ამდენად, მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა შეიძლება დაწესდეს შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, აგრეთვე შემაკავებელი ორდერის მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს და იგი ხორციელდება არაუმეტეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით, ანუ მაქსიმუმ ერთი თვის (30 დღე) განმავლობაში, თუმცა მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა შესაძლებელია დაწესდეს უფრო ნაკლები ვადითაც.

მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის, როგორც მსხვერპლის დაცვის დროებითი ლონისძიების, დაწესება დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ არსებობს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების რეალური საფრთხე. პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი აღნიშნულს აფასებს შინაგან საქმეთა მინისტრის ¶ 81 პრძანებით დამტკიცებული შემაკავებელი ორდერის ოქმით განსაზღვრული რისკების შეფასების კითხვარის მიხედვით. აღნიშნული საფრთხეების შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, წარსულში მოძალადის მიერ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი და ხასიათი, წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მოძალადის მხრიდან მუქარის ან/და მის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების/დემონსტრირების ფაქტი და სხვა გარემოებები.

მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მსხვერპლის ოჯახის წევრს ან/და მსხვერპლის თანხმობით – სოციალურ მუშაქს ან პირს, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ ან ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში – აგრეთვე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

იმის მიუხედავად, თუ ვინ მიმართავს პოლიციას ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების თაობაზე, მის გამოსაყენების მიზანი არ ისახოვთ და მიმართავთ მსხვერპლის უფლებამოსილ თანამშრომელს შემაკავებელი მსხვერპლის მიერ მის მიმართ გამოცემული შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერის დარღვევის ფაქტი და ხასიათი, წარსულში ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, მოძალადის მხრიდან მუქარის ან/და მის მიერ ფიზიკური ძალადობის განხორციელებისას ცივი/ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების/დემონსტრირების ფაქტი და სხვა გარემოებები.

ნებლად სავალდებულო და აუცილებელია მსხვერპლის ან მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა. თუ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებაზე არასრულწლოვანი მსხვერპლი თანხმობას აცხადებს, ხოლო მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენელი – უარს, გადაწყვეტილება მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

შემაკავებელი ორდერის ოქმში ინტეგრირებული კითხვებიდან 7 შეკითხვა განკუთვნილია ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ეს კითხვები ძალადობის განმეორების რისკების შესაფასებლადაც გამოიყენება. პოლიციის თანამშრომელმა უნდა შეკრიბოს მხოლოდ ელექტრონული ზედამხედველობის სვეტით გათვალისწინებული ქულები. აღნიშნულ სვეტში თავმოყრილია ყველა მაღალი რისკის შეკითხვა (სულ არის 5 კითხვა), რომლებიც ფასდება 5 ქულით და ორი საშუალი რისკის შეკითხვა, რომლებიც ფასდება 3 ქულით.

მოგროვებულ ქულათა რაოდენობის მიხედვით შესაძლებელია გამოიკვეთოს სამი სხვადასხვა გარემოება. სწორედ ამ გარემოებათა გათვალისწინებით იღებს პოლიციის თანამშრომელი გადაწყვეტილებას ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების თაობაზე.

ელექტრონული
ზედამხედველობის
დაწესების
ვალდებულება

მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობა სავალდებულოა, თუ ქულათა რაოდენობამ შეადგინა 15 ან მეტი და მსხვერპლი აცხადებს თანხმობას

ელექტრონული
ზედამხედველობის
დაწესება პოლიციის
დისკრეციით

შემაკავებელი ორდერის შემდგენელის გადაწყვეტილებით, დაწესდეს ან არ დაწესდეს ელექტრონული ზედამხედველობა, თუ მსხვერპლი აცხადებს თახმობას და ქულათა რაოდენობამ შეადგინა 10-დან 15 ქულამდე. ასეთ შემთხვევაში პოლიციელმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების თაობაზე.

ელექტრონული
ზედამხედველობის
დაწესებასათვის
საკმარისი
საფუძვლების
არარსებობა

ელექტრონული ზედამხედველობა არ განხორციელდეს ქულათა არასაკმარისი (10-ზე ნაკლები) რაოდენობის გამო. ამ შემთხვევაში პოლიციელს არ აქვს შესაძლებლობა თავისი შეხელულებით გადაწყვეტოს ელექტრონული ზედამხედველობის საკითხი.

თუ შემაკავებელი ორდერის გამოცემისას მიიღება გადაწყვეტილება მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესახებ, ამის თაობაზე მიეთითება შემაკავებელ ორდერში. გამოცემა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმი და იგი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებულად წარედგინება სასამართლოს. ელექტრონული ზედამხედველობა ძალაში შედის შესაბამისი ოქმის გამოცემისთანავე, თუმცა მის საფუძვლიანობასა და კანონიერებას ამოწმებს სასამართლო. ელექტრონული ზედამხედველობის ოქმის 24 საათის ვადაში სასამართლოსთვის წარუდგენლობის ან სასამართლოს მიერ ამ ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დაწესებული ელექტრონული ზედამხედველობის ღონისძიება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმში უნდა მიეთითოს:

- ა) ოქმის გამოცემის თარიღი და ადგილი;
- ბ) გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ ოქმის გამოცემას;
- გ) მოძალადის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი და საცხოვრებელი ადგილი;
- დ) ინფორმაცია მოძალადის ნასამართლობის შესახებ;
- ე) მსხვერპლის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი;
- ვ) მსხვერპლის თანხმობა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებაზე;
- ზ) იმ შემაკავებელი ორდერის რეკვიზიტები, რომელთა უზრუნველსაყოფადაც გამოიყენება ელექტრონული ზედამხედველობის ღონისძიება;
- თ) მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მოძალადის მიახლოების აკრძალვის შესახებ;
- ი) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეღწევის ან/და ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობის

ან/და ელექტრონული ზედამხედველობისათვის თავის არიდების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ, აგრეთვე ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით გადაცემული ელექტრონული საშუალების დაზიანების ან განადგურების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მოძალადის გაფრთხილების თაობაზე;

- კ) სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განსახორციელებლად.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმი მიეთითება ელექტრონული საშუალების ექსპლუატაციის ინსტრუქცია, რომელიც შესასრულებლად სავალდებულოა.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:

- ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შემდეგი თანამდებობის პირები:

ოცეულის მეთაური;
ათეულის მეთაური;
პატრულ-ინსპექტორი.

- ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შემდეგი თანამდებობის პირები:

უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი;
უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი;
მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი;
მართლწესრიგის ოფიცერი;
დეტექტივ-გამომძიებელი;
დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი;
უფროსი დეტექტივი;
დეტექტივი;
უფროსი გამომძიებელი;
გამომძიებელი.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმს ხელს აწერენ მისი გამოცემის უფლების მქონე პირი (პოლი-

ციის უფლებამოსილი თანამშრომელი), მსხვერპლი და მოძალადე, რომლის მიმართ გამოიცა ოქმი. თუ მსხვერპლი ან/და მოძალადე რაიმე მიზეზის გამო ხელს არ/ვერ აწერს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმს, მას ხელს აწერს მხოლოდ პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმში უნდა მიეთითოს მსხვერპლის ან/და მოძალადის მიერ მის ხელმოწერაზე უარის თქმის ან ხელმოწერის შეუძლებლობის მიზეზი.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმი ამოქმედდება გამოცემისთანავე და იგი 24 საათის განმავლობაში ეგზავნება/პპარდება მსხვერპლსა და მოძალადეს. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის ერთი ეგზემპლარი რჩება მის გამომცემ ორგანოში – პოლიციის შესაბამის დანაყოფში, ხოლო ერთი ეგზემპლარი მისი გამოცემი-დან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სა-სამართლოს.

ზემოაღნიშნული დაწესებულებების/სუბიექტების გარდა, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის ასლი დაუყოვნებლივ ეგზავნება:

- ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საუბრობის მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ელექტრონული ზე-დამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობაზე რეაგირების მიზნით;
- ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს – საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს ინფორმაციის სათანადო ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანის, დარღვევაზე სწრაფი და ეფექტური რეაგირებისა და სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვის მიზნით;
- გ) სსიპ „112“-ს, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით.

მას შემდეგ, რაც პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი მიიღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული ზედამხედველობის

განხორციელების თაობაზე და დაასრულებს შესაბამისი ოქმის შედგენას, მან უნდა უზრუნველყოს მისი ტექნიკური აღსრულება. კერძოდ, ერთი მხრივ, აღნიშნული ოქმის გამოცემის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მონიტორინგის ცენტრს ელექტრონული საშუალების გააქტიურების მიზნით და, მეორე მხრივ, უნდა უზრუნველყოს მსხვერპლისა და მოძალადის ელექტრონული საშუალებებით აღჭურვა. მართალია, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმი უნდა დამტკიცდეს სასამართლოს მიერ, მაგრამ იგი ძალაში შედის გამოცემისთანავე, ამიტომ მის აღსასრულებლად პოლიციელი არ უნდა დაელოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს პოლიციელის შუამდგომლობას, აღნიშნული გახდება ელექტრონული ზედამხედველობის გაუქმებისა და მოძალადისა და მსხვერპლისთვის სპეციალური საშუალებების მოხსნის/ჩამორთმევის საფუძველი.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით მოძალადისათვის გადაცემული ელექტრონული საშუალება შედგება ელექტრონული სამაჯურისა და მიმღები აპარატისგან, რომლის დაზიანება ან განადგურება იწვევს მოძალადისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას სსკ-ის 187-ე მუხლის შესაბამისად.

თუ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით მოძალადისათვის ელექტრონული საშუალების სხეულზე დამაგრება ადგილზე შეუძლებელია, პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს, მოძალადე გადაიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში.

პოლიციაში იძულებით მიყვანისას მოძალადეს განემარტება:

- ა) პოლიციაში მიყვანის საფუძველი;
- ბ) ადვოკატის ყოლის უფლება;
- გ) უფლება იმის შესახებ, რომ სურვილის შემთხვევაში, მისი პოლიციაში მიყვანის ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს, აგრეთვე მისი სამუშაო ან სასწავლო ადგილის ადმინისტრაციას.

მოძალადის პოლიციაში მიყვანისას დგება ოქმი პირის მიყვანის შესახებ, რომელშიც მიეთითება: ოქმის შედგენის თარიღი და ადგილი; ოქმის შემდგენელი თანამდებობის პირის სახელი, გვარი

და თანამდებობა; ცნობები მოძალადის შესახებ; პოლიციაში მიყვანის დრო და საფუძველი. აღნიშნულ ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენელი პოლიციის თანამშრომელი და მოძალადე. თუ მოძალადე ოქმის ხელმოწერაზე უარს აცხადებს, ოქმში კეთდება შესაბამისი მითითება.

მოძალადე პოლიციაში უნდა დაყოვნდეს ელექტრონული საშუალების სხეულზე დამაგრებისათვის საჭირო გონივრული ვადით. ასევე, მოძალადის პოლიციაში ყოფნის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 საათს.

თუ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემისას ადგილზე არ იმყოფება მოძალადე, პოლიციელი უფლებამოსილია, ელექტრონული საშუალების სხეულზე დასამაგრებლად იგი დაიბაროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში. მოძალადის მიერ ამ ორგანოში გამოუცხადებლობის შემთხვევაში პოლიცია უფლებამოსილია, განახორციელოს მისი ძებნა ქვეყნის მასშტაბით.

აღანიშნავია, რომ პოლიციელი უფლებამოსილია, მოძალადისათვის ელექტრონული საშუალების სხეულზე დასამაგრებლად, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს იძულების პროპორციული ღონისძიებები.

ელექტრონული ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, ამიტომ მოძალადესა და მსხვერპლს ეკრძალება ელექტრონული საშუალებით საქართველოს საზღვრის გადაკვეთა. მოძალადე/მსხვერპლი ვალდებულია, მის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესახებ წინასწარ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მოძალადის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების (სისხლის-სამართლებრივი მექანიზმების) გამოყენება არ აფერხებს მსხვერპლის დაცვის უზრუნველსაყოფად მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებას, თუმცა შესაძლებელია, სათანადო საფუძვლების არსებობისას, პოლიციელს მოუწიოს ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების პროცედურის შეწყვეტა. კერძოდ, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული ზედამხედველობის

დაწესების პროცედურის შეწყვეტის თაობაზე, თუ შემაკავებელი ორდერის ოქმით გათვალისწინებული ქულათა რაოდენობა საკმარისია ელექტრონული ზედამხედველობის დასაწესებლად და არსებობს მსხვერპლის ან მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ:

- ა) მოძალადე დაკავეს;
- ბ) მოძალადეს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა ან მის მიმართ გამოყენებულ იქნა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა;
- გ) მიღებულია გადაწყვეტილება მოძალადის მიმართ დაკავების/დაპატიმრების დაუყოვნებლივ გამოყენებაზე.

ამ შემთხვევაში ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი ადგენს ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების პროცედურის შეწყვეტის ოქმს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 7¹⁷ თავი არეგულირებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებასთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში, მისი გამოცემის ადგილის მიხედვით დასამტკიცებლად წარედგინება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, მოსამართლე 24 საათის განმავლობაში განიხილავს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემის მიზანშეწონილობის საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების თაობაზე. მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის ნაწილობრივ დამტკიცება გულისხმობს ამავე ოქმში მითითებული ვადის შეცვლას.

სასამართლო მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების საფრთხის რეალურობის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს რისკების შეფასების ინსტრუმენტში არსებულ გარემოებებს.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამომცემი პოლიციის უფლებამოსილი პირი ან სასამართლო პროცესის მონაწილე სხვა პირის შესაბამის სასამართლოში გამოუცხადებლობა არ აფერხებს აღნიშნული საკითხის განხილვას და სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. მოსამართლე უფლებამოსილია, სასამართლო პროცესის მონაწილე მხარის (არასრულწლოვნის შემთხვევაში – მისი კანონიერი წარმომადგენლის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს) ან საკუთარი ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს.

მნიშვნელოვანია, რომ მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილებაში დეტალურად იყოს ასახული მოძალადისათვის დაწესებული შეზღუდვები და მსხვერპლის დასაცავად განსაზღვრული ღონისძიებები. სასამართლომ უნდა განსაზღვროს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის მოქმედების ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადას, თუმცა შეიძლება იყოს უფრო ნაკლები. ვადის განსაზღვრისას სასამართლო სხდომაზე ისმენს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილე სხვა პირის (მისი დასწრების შემთხვევაში) პოზიციას.

მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებაში მიეთითება:

- ა) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
- ბ) სასამართლოს დასახელება: მოსამართლის სახელი და გვარი;
- გ) სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეები;
- დ) მოძალადის, მსხვერპლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- ე) სასამართლო გადაწყვეტილება მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დამტკიცების, დამტკიცებაზე უარის თქმის ან ნაწილობრივ დამტკიცების თაობაზე;

- ვ) იმ შემაკავებელი ორდერის რეკვიზიტები, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოიყენება ელექტრონული ზედამხედველობის;
- გ) გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამოცემას;
- თ) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების ვადა;
- ი) ინფორმაცია მოძალადის ნასამართლობის შესახებ;
- კ) ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებაზე მსხვერპლის თანხმობა, არასრულწლოვანი მსხვერპლის შემთხვევაში – მსხვერპლის ან მისი კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლის თანხმობა;
- ლ) ინფორმაცია მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება მოძალადის მიახლოების აკრძალვის შესახებ;
- მ) სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განსახორციელებლად.

მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოცხადებისთანავე. ეს გადაწყვეტილება დგება რამდენიმე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სასამართლოში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები ამ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში ეგზავნება:

1. მოძალადეს;
2. მსხვერპლს;
3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს;
5. ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის გამომცემ ორგანოს;

6. მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, თუ საკითხი არასრულწლოვან მსხვერპლს ეხება.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის მოქმედებას. სააპელაციო სასამართლო აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების კონკრეტულ წესს, ელექტრონული საშუალების მახასიათებლებსა და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის, იმ გეოგრაფიული ზონების პარამეტრებს, სადაც აკრძალულია მსხვერპლთან მიახლოება, განსაზღვრავს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 26 აგვისტოს ¶ 126 ბრძანება „ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც იმავე წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა.

აღნიშნული ბრძანების თანახმად, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას გამოიყენება შესაბამისი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც ითვალისწინებს ელექტრონულ სამაჯურს (გადამცემი) და მოძალადის/მსხვერპლის მიმღებ აპარატს.

ელექტრონული სამაჯური არის მოწყობილობა, რომელიც დამაგრებულია მოძალადის სხეულზე. იგი, როგორც წესი, მაგრდება მოძალადის ქვედა კიდურზე, (წვივზე) გარდა იმ შემთხვევისა, თუ, ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ელექტრონული სამაჯურის დამაგრება მოძალადის ქვედა კიდურზე. ასეთ შემთხვევაში ელექტრონული სამაჯური მაგრდება მოძალადის მაჯაზე. სამაჯურის გააქტიურება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური მოწყობილობით და მაგრდება იმგვარად, რომ მისი მოხსნა დაზიანების გარეშე შეუძლებელია. იგი არის წყალგამძლე და ფუნქციონირებს წყალ-

ში 5 მეტრის სიღრმეზე, უძლებს დაბალ (-25 გრადუსი ცელსი-უსით) და მაღალ ტემპერატურას (+50 გრადუსი ცელსიუსით); მოძალადის მიმღები აპარატი უზრუნველყოფს მოძალადისა და მსხვერპლის ადგილმდებარეობის მონიტორინგს და მოძალადეს განგაშის სიგნალის მეშვეობით ატყობინებს მსხვერპლთან მიახლოებას შესაბამისი გეოგრაფიული ზონების მიხედვით. შესაბამისად, მიმღები აპარატი ახორციელებს მოძალადის მიერ მსხვერპლთან/მსხვერპლის სამსახურთან, სახლთან და სხვა აკრძალულ ტერიტორიასთან მიახლოების მონიტორინგს;

მსხვერპლის მიმღები აპარატი უზრუნველყოფს მსხვერპლისა და მოძალადის ადგილმდებარეობის მონიტორინგს და მსხვერპლს განგაშის სიგნალის მეშვეობით ატყობინებს მოძალადის მიახლოებას შესაბამისი გეოგრაფიული ზონების მიხედვით.

2.2.1 მოძალადისა და მსხვერპლის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

მოძალადე და მსხვერპლი ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას ვალდებულია, დაიცვას როგორც ელექტრონული ზედამხედველობის, ისე ელექტრონული საშუალების მოხმარებისა და ექსპლუატაციის წესები, კერძოდ:

დაიცვას მისთვის გადაცემული ელექტრონული სამაჯური/მიმღები აპარატი დაზიანებისგან/განადგურებისგან, ხოლო მათი დაზიანების ან განადგურების ან გაუმართაობის შემთხვევაში აცნობოს მონიტორინგის ცენტრს;

არ დატოვოს საქართველოს ტერიტორია ელექტრონულ სამაჯურთან/მიმღებ აპარატთან ერთად;

შეატყობინოს სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესახებ (საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის დროის შესახებ) ინფორმაცია საზღვრის კვეთამდე არანაკლებ 48 საათით ადრე;

ელექტრონული საშუალება/მიმღები აპარატი საქართველოდან გასვლამდე არაუმეტეს 12 საათით ადრე გადასცეს უფლებამოსილ ტერიტორიულ ორგანოს;

საქართველოში შემოსვლიდან არაუგვიანეს 12 საათისა გამოცხადდეს უფლებამოსილ ტერიტორიულ ორგანოში ელექტრონული ზედამხედველობის გაგრძელების მიზნით ელექტრონული საშუალების/მიმღები აპარატის დასამაგრებლად/გადასაცემად;

ელექტრონული ზედამხედველობის დასრულების შემდეგ მოთხოვნისთანავე გამოცხადდეს სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოში, რათა მოხდეს ელექტრონული სამაჯურის მოხსნა და მოძალადის/მსხვერპლის მიმღები აპარატის ჩაბარება;

შეასრულოს მონიტორინგის ცენტრის მითითებები;

მოძალადე ვალდებულია, საცხოვრებელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დატოვებისას შეატყობინოს მონიტორინგის ცენტრს.

საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოძალადეს/მსხვერპლს ეზღუდება საქართველოს ტერიტორიის დატოვება.

ელექტრონული ზედამხედველობისას მოძალადე და მსხვერპლი ვალდებულია, დაიცვას ელექტრონული საშუალების ექსპლუატაციის წესი, კერძოდ:

შეინარჩუნოს მიმღები აპარატი დამუხტულ მდგომარეობაში. მონიტორინგის ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომელი უკავშირდება მოძალადეს/მსხვერპლს მიმღები აპარატის დამუხტვის საჭიროების შესახებ გაფრთხილების მისაცემად, თუ მიმღები აპარატის დამუხტვის დონე 30 პროცენტზე ნაკლებია;

მუდმივად თან იქონიოს მიმღები აპარატი (არაუმეტეს 20 მეტრის რადიუსში);

განზრას არ დაახმოს GPS დაფარვის ზონა;

იმყოფებოდეს GPS დაფარვის ზონაში.


მოძალადის მიერ ექსპლუატაციის წესის დარღვევის ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში ასახვის შემდეგ უფლებამოსილი თანამშრომელი უკავშირდება მას და აფრთხილებს დარღვევის აღმოფხვრის შესახებ. მოძალადეს უფლებამოსილი თანამშრომლი უკავშირდება როგორც მიმღები აპარატის, ისე კომუნიკაციის აღტერნატიული საშუალებების გამოყენებით (მაგ., პირად მობილურ ტელეფონზე დარეკვის გზით).

თუ ექსპლუატაციის წესების დაღვევის შედეგად შეუძლებელია მოძალადესთან დაკავშირება, აღნიშნულის თაობაზე უფლებამოსილი პირი ინფორმაციას აწვდის სამინისტროს შესაბამის ორგანოს. მოძალადის ადგილსამყოფელის დადგენამდე/მასთან დაკავშირებამდე სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენელი უკავშირდება მსხვერპლს და მასთან შეთანხმებით იგეგმება და ტარდება დაცვის საჭირო ღონისძიებები.

თუ მოძალადის მიერ ექსპლუატაციის წესის დარღვევის შედეგად შეუძლებელია ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება, აღნიშნული ჩაითვლება ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდებად, რაც იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

2.2.2 გეოგრაფიული ზონები

ელექტონული ზედამხედველობა მოიცავს ორ გეოგრაფიულ ზონას, საგანგაშო და ბუფერულ ზონას.



საგანგაშო ზონა
დაცვის შიდა ზონა (მსხვერპლის
ადგილსამყოფელიდან, მისი
საცხოვრებელი სახლიდან,
სამსახურიდან და სხვა
ადგილიდან 100 მეტრის რადიუსი)

ბუფერული ზონა
დაცვის გარე ზონა (საგანგაშო
ზონის ირგვლივ არსებული 500
მეტრიანი რადიუსი)

აღნიშნული ზონები იყოფა სტატიკურ და დინამიკურ საგანგაშო/ბუფერულ ზონებად, რომელთა მიზანია არა მარტო მსხვერპლისა და მოძალადის განზრას შეხვედრის, არამედ მათი შემთხვევითი შეხვედრების თავიდან აცილება.

სტატიკური საგანგაშო/ბუფერული ზონა გულისხმობს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმში წინასწარ მითითებულ ადგილებთან (სახლი, სამსახური და სხვა ადგილი) არსებულ გეოგრაფიულ ზონებს, ანუ წინასწარ განისაზღვრება ის გეოგრაფიული ზონები, სადაც აკრძალულია შეღწევა. ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში აღნიშნულს პროგრამულად უზრუნველყოფს მონიტორინგის ცენტრი, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.

დინამიკური საგანგაშო/ბუფერული ზონა გულისხმობს მსხვერპლის გადაადგილებისას მისი ადგილმდებარეობის შესაბამისად წარმოქმნილ გეოგრაფიულ ზონებს.

მოძალადის მიმღები აპარატი მოძალადეს ატყობინებს სტატიკურ ბუფერულ ზონაში შეღწევის/შემთხვევით მოხვედრის შესახებ. სტატიკურ ბუფერულ ზონაში შეღწევისთანავე მოძალადე უფლებამოსილი პირისგან იღებს გაფრთხილებას ტერიტორიის დატოვებისა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ. მოძალადე ვალდებულია, დატოვოს შესაბამისი ტერიტორია. მოძალადის მიერ აღნიშნული გაფრთხილების შეუსრულებლობა იწვევს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ამასთან, შემდგომი რეაგირების მიზნით, გაფრთხილების შეუსრულებლობის შესახებ ინფორმაციას უფლებამოსილი პირი უგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის დანაყოფს.

მოძალადის მიერ საგანგაშო ზონაში განზრას შეღწევა იწვევს მის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და ამის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდება სამინისტროს შესაბამის დანაყოფს.

თუ საჯარო სივრცეში მოძალადე დინამიკურ ბუფერულ/საგანგაშო ზონაში შემთხვევით მოხვდება, უფლებამოსილი პირი უკავშირდება მოძალადეს და აძლევს მითითებას ბუფერული/საგანგაშო ზონის დატოვების შესახებ, მოძალადისა და მსხვერპლის შემთხვევითი შეხვედრის თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული

მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს მოძალადის სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, რო-დესაც მსხვერპლისა და მოძალადის ბუფერულ/საგანგაშო ზონა-ში შემთხვევითი მიახლოება ხდება დროის მცირე ინტერვალში და აღნიშნულის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო ობიექტური გა-რემოებების გათვალისწინებით.

2.2.3 ელექტრონული ზედამხედველობის შეჩერება, შეწყვეტა და მისი ვადამდე გაუქმება

კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც შე-საძლებელია ელექტრონული ზედამხედველობა შეჩერდეს გარ-კვეული ვადით, შეწყდეს ან ვადაზე ადრე გაუქმდეს სასამართლო-სადმი მიმართვის გზით.

ელექტრონული ზედამხედველობა ჩერდება შედეგი გარემოებე-ბის არსებობისას:

მოძალადის ან მსხვერპლის მიერ საქართველოს ტერიტო-რიის დატოვებისას – საზღვარგარეთ ყოფნის ვადით;

მოძალადის ან მსხვერპლის დაკავებისას – დაკავების ვა-დით;

მოძალადის ან მსხვერპლისათვის ადმინისტრაციული პა-ტიმრობის შეფარდებისას – ადმინისტრაციული პატიმრო-ბის ვადით;

მოძალადის ან მსხვერპლის მიმართ აღკვეთის ღონისძიე-ბის სახით პატიმრობის გამოყენებისას – პატიმრობის ვა-დით.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ზედამხედველობის ვადის შეჩერება არ იწვევს შემაკავებელი ორდერის ვადის შეჩერებას და იგი კვლავ განაგრძობს მოქმედებას იმ ვადით, რომელი ვადითაც არის გამოცემული. ელექტრონული ზედამხედველობის შეჩერები-სას პოლიციის შესაბამისი თანამაშრომელი უზრუნველყოფს მო-ძალადისათვის სამაჯურის მოხსნას და ადგენს შესაბამის ოქმს, რომელშიც უნდა მიეთითოს მისი მოხსნის დრო და მისი მოქმედე-ბის შეჩერების ვადა. მას შემდეგ, რაც ამოიწურება შეჩერების ვა-და და ამასთან, შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადა ჯერ არ

არის გასული, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს მოძალადისათვის ელექტრონული სამაჯურის თავიდან დამაგრებას და ადგენს შესაბამის ოქმს.

ელექტრონული ზედამხედველობა ავტომატურად წყდება შემდეგი გარემოებების არსებობისას:

ელექტრონული ზედამხედველობის ვადის გასვლისას;

მოძალადის ან მსხვერპლის გარდაცვალებისას;

შემაკავებელი ორდერის გაუქმებისას.

ზემოაღნიშნულის გარდა, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ოქმის დასამტკიცებლად მისი სასამართლოსთვის 24 საათის ვადაში წარუდგენლობის ან სასამართლოს მიერ ამ ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმის შემთხვევაში დაწყებული ელექტრონული ზედამხედველობა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს.

ელექტრონული ზედამხედველობის ვადაზე ადრე შეწყვეტის კიდევ ერთ გზას წარმოადგენს სასამართლოსათვის მიმართვის გზით მისი გაუქმება.

გამოყენებული ელექტრონული ზედამხედველობის ღონისძიება სასამართლოსთვის მიმართვის გზით ვადამდე შეიძლება გაუქმდეს:

ვითარების შეცვლის, მათ შორის, მოძალადის მძიმე ავადმყოფობის გამო, თუ შეცვლილი ვითარება გამორიცხავს მოძალადის მხრიდან ძალადობის განმეორების რისკს;

თუ მსხვერპლი პოლიციას მიმართავს ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების გაუქმების მოთხოვნით.

აღნიშნული რომელიმე გარემოების დადგომიდან 24 საათის განმავლობაში პოლიცია მიმართავს სასამართლოს ელექტრონული ზედამხედველობის გაუქმების მოთხოვნით. სასამართლო ამ მიმართვიდან 24 საათის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იხილავს აღნიშნულ საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას ელექტრონული ზედამხედველობის ღონისძიების გაუქმების ან ძალაში დატოვების შესახებ.

ელექტრონული ზედამხედველობის დასრულების შემდგომ პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს მო-

ძალადისათვის სამაჯურის მოხსნას, ამ მიზნით ის უფლებამოსილია, მოძალადე დაიპაროს ან გადაიყვანოს პოლიციის განყოფილებაში. ელექტრონული ზედამხედველობის დასრულებისას ხდება მოძალადის/მსხვერპლის მიმღები აპარატის დაბრუნება და დგება შესაბამისი ოქმი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თავიდან აცილების მიზნით, დაამუშაოს მოძალადისა და მსხვერპლის პერსონალური, მათ შორის, ელექტრონული ზედამხედველობის შედეგად მოპოვებული და მოძალადესთან/მსხვერპლთან კომუნიკაციის ამსახველი მონაცემი.

ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების მიზნით დასაშვებია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სასამართლოსა და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამის უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა.

2.3 დამცავი ორდერის დანიშნულება და მისი გამოცემის წესი

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები.

კანონის თავდაპირველი რედაქციით დამცავი ორდერის გამოცემა შესაძლებელი იყო 3 თვემდე ვადით. 2009 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაიზარდა დამცავი ორდერის მოქმედების ვადა 6 თვემდე, ხოლო ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელი გახდა ორდერის მოქმედების პერიოდში და დამატებით არა უმეტეს 3 თვით, მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ საფრთხის არსებობისას. დამცავი ორდერის გამოცემის ვადასთან დაკავშირებით კიდევ ერთი ცვლილება ამოქმედდა 2020 წლის პირველ სექტემბერს. მართალია, საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ დამცავი ორდერის გამოცემის წესი

უცვლელი დარჩა, თუმცა გაიზარდა მისი მოქმედების ვადა და პირველივე ეტაპზე შესაძლებელი გახდა მისი გამოცემა 9 თვემდე ვადით და დამატებით – მისი მოქმედების გაგრძელება 3 თვემდე. საერთო ჯამში, დამცავი ორდერი შესაძლოა გამოიცეს და მოქმედებდეს მაქსიმუმ ერთი წლის ვადით. ამდენად, დამცავი ორდერი გამოიცემა 9 თვემდე ვადით, ხოლო მისი მოქმედების კონკრეტულს ვადას განსაზღვრავს სასამართლო. დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს ასევე წყვეტს სასამართლო. გასათვალისწინებელია, რომ დამცავი ორდერის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია ორდერის მოქმედების პერიოდში და არა უმეტეს 3 თვით, თუ კვლავ არსებობს საფრთხე მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

დამცავი ორდერის გამოცემის, ასევე სასამართლოსადმი მიმართვის წესი და პროცედურა განსაზღვრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 7³ თავით.

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე განცხადება განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილებით აღჭურვილმა პირმა განცხადება უნდა წარადგინოს წერილობითი ფორმით. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას/მონაცემებს:

- ა) განცხადების შემტანი პირის სახელსა და გვარს;
- ბ) განცხადების შემტანი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართს;
- გ) მოძალადის საცხოვრებელი ან/და სამუშაო ადგილის მისამართსა და ტელეფონის (მათ შორის, მობილურის) ნომერს, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- დ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის აღნერას;
- ე) ცნობებს მოძალადისა და მსხვერპლის, მათი ურთიერთკავშირის შესახებ;
- ვ) მტკიცებულებათა ჩამონათვალს;
- ზ) დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნას;
- თ) მსხვერპლის ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირის ხელმოწერას.

დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე წარდგენილ წერილობით განცხადებას შესაძლებელია დაერთოს შემდეგი მტკიცებულებები/დოკუმენტები:

სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ-112-ში შესული შეტყობინება სავარაუდო ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით (პირს აქვს უფლება, რომ მოითხოვოს მის მიერ დაფიქსირებული შეტყობინების ამონაწერი);

არსებობის შემთხვევაში, პოლიციის რეაგირების ოქმი/პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერი;

ექიმის კონსულტაციის შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა;

იმ შემთხვევაში, თუ მოძალადე ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით შეტყობინებების გაგზვის გზით ამყარებს მსხვერპლთან კომუნიკაციას და ეს კავშირშია სავარაუდო ძალადობასთან, აღსრულების ეროვნული ბიუროს მეშვეობით შესაძლებელია ამ ინფორმაციის სათანადო წესით დაფიქსირება, ე.წ. ფაქტების კონსტატაცია. ასევე, შესაძლებელია მიმოწერის ე.წ. „სქრინების“ წარდგენაც.

მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას შესაძლო ძალადობის შესახებ.

ეს მტკიცებულები არ არის ამომწურავი და შესაძლებელია, პირმა სასამართლოში წარადგინოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს შესაძლო ძალადობის ფაქტზე/ფაქტზე.

გავრცელებული პრაქტიკით, როგორც წესი, მხოლოდ მსხვერპლის ახსნა-განმარტებით არ კმაყოფილდება დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნა. როგორც მოსამართლეთა წაწილი მიუთითებს, დამცავი ორდერის გამოცემისათვის მთავარია ძალადობის ფაქტის დადასტურება, რაც დგინდება მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე. თუ მოძალადები ადასტურებენ ძალადობის ფაქტს, მსხვერპლის ახსნა-განმარტებასთან ერთად ეს საკმარისია დამცავი ორდერის გამოცემისთვის, ხოლო თუ მოძალადებები არ ეთანხმებიან მსხვერპლის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებულ ინფორმაციას მის მიმართ შესაძლო

ძალადობასთან დაკავშირებით, მაშინ მოსამართლე დამატებითი ინფორმაციის მოძიებას ცდილობს, ასეთი შეიძლება იყოს მოწმეთა ჩვენებები, ძალადობის შემცველი მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ა.შ. წერილობით მტკიცებულებებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის ზეპირი განხილვის სხდომას, პროცესს, რომლის დროსაც მოსამართლეს ხშირად უყალიბდება შინაგანი რწმენა დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით. მაგ., ერთ-ერთი მოსამართლე იხსენებს შემთხვევას, როდესაც პროცესზე მოძალადის აშკარა აგრესიამ მსხვერპლის მიმართ შექმნა შთაბეჭდილება, რომ მაღალი ალბათობით, მსხვერპლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ძალადობის თაობაზე იყო რეალური და დამაჯერებელი.⁸³

მოსამართლე განცხადებას სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრაციიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის, გაუქმების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში რეგისტრაციიდან 24 საათის განმავლობაში განცხადებასა და თანდართულ მასალებს უგზავნის პირს, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება და აძლევს მას უფლებას, წარადგინოს მტკიცებულებები. პირი, რომლის მიმართაც არის შეტანილი განცხადება, უფლებამოსილია, წერილობით უპასუხოს მასში მითითებულ საკითხებს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლო უწყების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

მოსამართლე უფლებამოსილია, მხარის, ხოლო არასრულწლოვნის შემთხვევაში – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან საკუთარი, ინიციატივით საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილოს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აფერხებს საქმის განხილვას.

დამცავი ორდერის გამოცემა ხდება სამართალწარმოების ენაზე, ცხადად და გასაგებად. იგი შეიძლება წარმოებულ იქნეს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

⁸³ ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აქტუალური საკითხები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2019, 16, იხ. <https://bit.ly/3r5LNT5> [05.01.2021].

დამცავი ორდერის თაობაზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს:

- ა) მისი გამოცემის თარიღი და ადგილი;
- ბ) გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მის გამოცემას;
- გ) მოძალადის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი;
- დ) ინფორმაცია იმ მოქმედებებისა თუ შეზღუდვების შესახებ, რომელთა განხორციელებაც ეკრძალება მოძალადეს;
- ე) მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლისა და შესაბამისი საფასურის გადახდის საკითხები.

დამცავი ორდერით მოძალადისათვის შეიძლება დაწესდეს შემდეგი შეზღუდვები/ვალდებულებები, ხოლო მსხვერპლის დაცვის მიზნით შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი საკითხები:

მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომები;

მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან გარიდებისა და მათი თავშესაფარში მოთავსების საკითხები;

მოძალადის მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილიდან გარიდების საკითხი;

მოძალადის ვალდებულება – არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც აუცილებელია ადამიანის ნორმალური არსებობისათვის;

მოძალადისათვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;

მოძალადის არასრულწლოვნისგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხი;

მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების აკრძალვა;

მოძალადისათვის დამცავი ორდერის მოქმედების პერიოდში ან დამცავი ორდერით განსაზღვრულ პერიოდში იარაღით (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღით) სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან აკრძალვა, იარაღის შეძენის ან მის შეძენაზე ნებართვის ან ლიცენზიის მოპოვების უფლების აკრძალვა და პირად საკუთრებაში არსებული ან/და კუთვნილი იარაღის (მათ შორის, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის) შენახვის ან დროებით ჩამორთმევის პირობები;

მოძალადის მიერ მსხვერპლის მკურნალობის, თავშესაფარში ყოფნის ან სხვა გონივრული ხარჯების ანაზღაურების საკითხები;

მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები;

მოძალადის გაფრთხილება დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

სხვა საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

დამცავ ორდერში, ძალადობის ფაქტობრივი გარემოებების პროპორციულად და ადეკვატურად, შესაძლებელია მიეთითოს ზემოხსენებული ერთ-ერთი ან ყველა საკითხი/შეზღუდვა, თუმცა, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, დამცავი ორდერი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის გავლის ვალდებულებას. სასამართლო შებოჭილი არ არის დამცავი ორდერის გამოცემის თაობაზე განცხადებაში განმცხადებლის მიერ დაყენებული

მოთხოვნით და მას შეუძლია დაადგინოს იმ ღონისძიებების გატარება, რომელიც ძალადობის ფაქტის პროპორციულია და, არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან, გამომდინარე აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.⁸⁴

დამცავი ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე და მზადდება არანაკლებ 4 ეგზემპლარად. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს, ერთი ეგზემპლარი რჩება დამცავი ორდერის გამომცემ უფლებამოსილ ორგანოში, ანუ სასამართლოში, ხოლო ერთი ეგზემპლარი, დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებაზე ზედამხედველობისა და მის შესაძლო დარღვევაზე რეაგირებისათვის, მიღებიდან 24 საათის განმავლობაში, ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შესაბამის საუბნო სამსახურს მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ დამცავი ორდერით გათვალისწინებული საკითხი არსარულწლოვანს შეეხება, აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება მეურვეობისა და მზრუნველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოს, ხოლო თუ სასამართლო გადაწყვეტილება იარაღთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება, სასამართლო გადაწყვეტილების ერთი ეგზემპლარი ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს. დამცავ ორდერთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მხარეებს ბარდება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში. გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გამოცემული დამცავი ორდერის მოქმედებას. სააპელაციო სასამართლო საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს სააპელაციო სასამართლოში საჩივრის წარდგენიდან 7 დღის ვადაში.

⁸⁴ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 27 მაისის №02031-919002999061 (3/95-19) გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

ახალი კანონმდებლობის ძალაში შესვლიდან მალევე ერთ-ერთი პირველი დამცავი ორდერი გამოსცა სასამართლომ არაოჯახისწევრის მიერ ქალის მიმართ გენდერული დისკრიმინაციის მოტივით განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებზე. საქმის გარემოებების თანახმად, მსხვერპლმა ქალმა რამდენიმე წლის წინ საქმიანი ურთიერთობისას გაიცნო მამაკაცი, თუმცა მოგვიანებით მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ მათი ურთიერთობა უნდა გასცდენოდა საქმიან თანამშრომლობას. ამ მიზნით დაიწყო ქალის ნათესავების შენუხება და ცდილობდა ქალის ადგილსამყოფელისა და მის შესახებ სხვა მონაცემების მოძიებას. მსხვერპლს აკითხავდა სახლში და ემუქრებოდა ფანჯრიდან გადაგდებით. თუმცა მსხვერპლი ვერ სარგებლობდა დაცვისა და დახმარების ისეთი მექანიზმებით, როგორებიცაა: შემაკავებელი და დამცავი ორდერი, ვინაიდან მოძალადე არ იყო მისი ოჯახის წევრი. კანონის ძალაში შესვლიდან ერთ თვეში ქალმა კვლავ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დამცავი ორდერის გამოცემა იმ საფუძვლით, რომ მამაკაცი, რომელიც არ იყო მისი ოჯახის წევრი, მისი, როგორც ქალის მიმართ ახორციელებდა ძალადობას გენდერული დისკრიმინაციის მოტივით. მოსამართლემ მამაკაცის ქმედებები შეაფასა ფსიქოლოგიური ძალადობად და მიუთითა, რომ კვლავ არსებობდა მისი განხორციელების საშიშროება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლემ გამოსცა დამცავი ორდერი მაქსიმალური 6 თვის ვადით (იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა მხოლოდ 6 თვემდე ვადით იძლეოდა დამცავი ორდერის გამოცემის შესაძლებლობას).⁸⁵ მიუხედავად მოძალადის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებისა, დამცავი ორდერი ძალაში დარჩა.

⁸⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 ივლისის №3/4502-17 გადაწყვეტილება.

2.4 დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემა და მოქმედება მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების დროს

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვე-
თის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“
საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით,
მხარეთა შერიგებისას მათ მიერ სასამართლოსთვის/პოლიციის
უფლებამოსილი თანამშრომლისათვის ერთობლივი მიმართვის
საფუძველზე დამცავი ან შემაკავებელი ორდერების მოქმედება
შეიძლება გაუქმდეს მოსამართლის/პოლიციის უფლებამოსილი
თანამშრომლის შესაბამისი გადაწყვეტილებით, საქმის გარემოე-
ბების ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლის შედეგად. ამავე
კანონის მე-13 მუხლის თანახმად, მსხვერპლისა და მოძალადის
შერიგება არ აფერხებს დამცავი და შემაკავებელი ორდერების გა-
მოცემას და არ იწვევს დამცავი და შემაკავებელი ორდერების
მოქმედების გაუქმებას, თუ ჯერ კიდევ არსებობს მსხვერპლის ან
მისი ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის საფრთხე ან ქალის მი-
მართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი ეწინააღმდე-
გება მსხვერპლის ოჯახის სხვა წევრის, განსაკუთრებით არას-
რულწლოვნის, ინტერესებს.

ამდენად, მხარეების ერთობლივი მიმართვის შემთხვევაში, სა-
სამართლო (თუ მხარეებს სურთ დამცავი ორდერის გაუქმება) ან
პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი (თუ მხარეებს სურთ
შემაკავებელი ორდერის გაუქმება) არ არის ვალდებული, ავტომა-
ტურად გააუქმოს ორდერის მოქმედება. მოსამართლემ და პოლი-
ციელმა ხელახლა უნდა შეაფასონ საქმის გარემოებები, მათ შო-
რის, სათანადოდ გამოიკვლიონ მსხვერპლის სურვილი, თუ რატომ
უნდა ორდერის გაუქმება და მოძალადე ხომ არ ზემოქმედებს მას-
ზე და იძულებული ხომ არ არის, რომ შესაბამის ორგანოში ამგვა-
რი მოთხოვნა წარადგინოს.

2.5 შემაკავებელი, დამცავი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის მონიტორინგი

პოლიცია ზედამხედველობს გამოცემული დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას,⁸⁶ რაც ნიშნავს, რომ დამცავი, შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის⁸⁷ გამოცემის შემდეგ დოკუმენტის ერთი ასლი უნდა გაეგზავნოს პოლიციის უფლებამოსილ დანაყოფს/თანამშრომელს და უნდა განხორციელდეს მისი მონიტორინგი ორდერის მოქმედების ვადით. აღნიშნულის მიზანია, პოლიციის თანამშრომელმა, ერთი მხრივ, გააკონტროლს მოძალადე, რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებსა თუ დაწესებულ შეზღუდვებს და დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოს გადაცდომის გამოვლენა და, მეორე მხრივ, არ დატოვოს მსხვერპლი მარტო და გარკვეული პერიოდულობით გადაამოწმოს მისი მდგომარეობა და ვითარება.

მონიტორინგი ხორციელდება ძალადობის განმეორების რისკების, მსხვერპლთა ინდივიდუალური მახასიათებლების, მისი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. დიდი ხნის განმავლობაში კანონი არ არეგულირებდა ზედამხედველობის განხორციელების კონკრეტულ წესსა და ინსტრუქციას, ამიტომ პოლიციის თანამშრომლის მიერ მონიტორინგი ქაოტურად და არა-თანმიმდევრულად ხორციელდებოდა და დამოკიდებული იყო მსხვერპლის ინიციატივასა და აქტიურობაზე, მსხვერპლი კი ხშირად არ აწვდიდა სამართალდამცავებს ინფორმაციას ორდერის შესაძლო დარღვევის თაობაზე. თავდაპირველად ზედამხედველობის განხორციელების კონკრეტული წესი და პროცედურა დამტკიცდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2018 წლის 20 ივლისის

⁸⁶ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 16, ნაწილი 6.

⁸⁷ პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერს გამოსცემს სოციალური მუშაკის მიერ არასრულნოვნის განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. დეტალურად იხ. III თავი.


■ 1/336 ბრძანებით, რომელიც რისკების შეფასების ინსტრუმენტთან ერთად 2018 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა. აღნიშნული არეგულირებდა მხოლოდ შემაკავებელი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს, თუმცა 2019 წლის პირველ ოქტომბერს, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტში ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად, არა მარტო შემაკავებელი ორდერის, არამედ დამცავი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და პირობების შესრულების ზედამხედველობის განხორციელების კონკრეტული წესი განისაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 11 დეკემბრის ვ 100 ბრძანებით.

ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილი თანამშრომელი, მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება აქვთ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შემდეგ მოსამსახურებს:

- ა) უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი;
- ბ) უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი;
- გ) მართლწესრიგის უფროსი ოფიცერი;
- დ) მართლწესრიგის ოფიცერი;
- ე) უფროსი დეტექტივი;
- ვ) დეტექტივი;
- ზ) უმცროსი დეტექტივი;
- თ) დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი;
- ი) დეტექტივ-გამომძიებელი.

ქვემოთ მოცემული სქემა ასახავს დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემისას მისი შესაბამისი ტერიტორიული ორგანოსთვის/უფლებამოსილი პირისთვის გადაგზავნის წესს.



როდესაც მსხვერპლისა და მოძალადის საცხოვრებელი ადგილი სამინისტროს სხვადასხვა ტერიტორიულ ორგანოს მიეკუთვნება, მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაცია ხორციელდება მათი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოების უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ. ამდენად, შემაკავებელი ორგანის გამომცემი ან დამცავი ორგანის მიმღები პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, რომ ორგანის გადაგზავნა უზრუნველყოს როგორც მსხვერპლის, ისე მოძალადის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სამინისტროს შესაბამის ტერიტორიული ორგანოსათვის.

შემაკავებელი ან დამცავი ორგანის გამოცემისას მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაციას საწყის ეტაპზევე აქვს განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ამ პერიოდში მაღალია ორგანის დარღვევის საფრთხე, იმის გათვალისწინებით, რომ ჯერ კიდევ უცნობია, როგორი რეაქცია ექნება მოძალადეს მის მიმართ ორგანის გამოცემისას და დაემორჩილება თუ არა დაკისრებულ ვალდებულებებს. ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირი დამცავი ან/და შემაკავებელი ორგანის მი-

ლებიდან შეძლებისდაგვარად მოკლე დროში უნდა გაესაუბროს მსხვერპლს, მათ შორის, კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, დაიბაროს მსხვერპლი პოლიციაში ან/და განახორციელოს ვიზიტი მის საცხოვრებელ ადგილზე.

ზედამხედველობაზე უფლებამოსილმა პირმა დამცავი ან/და შემაკავებელი ორდერის მიღებიდან შეძლებისდაგვარად მოკლე დროში უნდა უზრუნველყოს მოძალადესთან გასაუბრება და, საჭიროების შემთხვევაში, პოლიციაში მისი დაბარება ან განახორციელოს ვიზიტი მის საცხოვრებელ ადგილზე. ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირის მიერ მოძალადის დაბარების შემთხვევაში პოლიციაში გამოცხადება სავალდებულოა.

ზემოაღნიშნული წესი განსაზღვრავს პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის პირველ კომუნიკაციას როგორც მსხვერპლთან, ისე მოძალადესთან. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც შემაკავებელი ან დამცავი ორდერი მიუვა მონიტორინგის განმახორციელებელ სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, პოლიციელმა დაუყოვნებლივ უნდა მოიძიოს მსხვერპლისა და მოძალადის ადგილსამყოფელი/საკონტაქტო ინფორმაცია და გაესაუბროს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (მაგ.: მობილური ტელეფონით) ან, საჭიროების შემთხვევაში, დაიბაროს იგი პოლიციაში, ან/და განახორციელოს ვიზიტი მათ საცხოვრებელ ადგილზე.


ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირი მსხვერპლს, პირველი კომუნიკაციისთანავე, მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტავს:

- ა) ორდერით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და პირობებს;
- ბ) მსხვერპლის უფლებებს;
- გ) ინფორმაციას ქვეყანაში არსებული მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების მექანიზმებისა და შესაბამისი მომსახურების სახეების შესახებ;
- დ) ზედამხედველობის განხორციელების წესსა და პროცედურებს, ზედამხედველობის განხორციელების პოლიციასთან თანამშრომლობის მნიშვნელობასა და ძალადობის განმეორების სავარაუდო რისკებს.

ზედამხედველობაზე უფლებამოსილმა პირმა მსხვერპლს უნდა გადასცეს პირადი ტელეფონის ნომერი მასთან დროული კომუნიკაციის უზრუნველყოფად.

რაც შეეხება მოძალადეს, ზედამხედველობაზე უფლებამოსილმა პირმა, პირველივე კომუნიკაციისთანავე, მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განუმარტოს შესაბამისი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაციის გზებსა და ფორმებს.



წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის განხორციელებამდე ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუკავშირდეს მსხვერპლს და მოძალადეს შეხვედრის დროის შეთანხმების მიზნით. დაუშვებელია მსხვერპლთან ვიზიტის განხორციელება სააღმოს 22:00 საათიდან დილის 08:00 საათამდე პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსხვერპლთან კომუნიკაცია დღე-ლამის სხვა დროს ვერ ხერხდება. ზედამხედველობის ზემოხსენებული ფორმების გარდა, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, პოლიციელი უფლებამოსილია, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებები.

2.5.1 შემაკავებელი ორდერის მონიტორინგი

შემაკავებელი ორდერის ზედამხედველობისას მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაციის ფორმებისა და სიხშირის განსაზღვრა ხდება ძალადობის განმეორების რისკის ხარისხისა და სიმძიმის მიხედვით. რაც უფრო მაღალია ძალადობის განმეორების ალბათობა, მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაცია ხორციელდება უფრო მეტი ინტენსივობითა და სიხშირით.

განმეორებითი
ძალადობის
მაღალი რისკი

- მსხვერპლთან მინიმუმ ხუთი გასაუბრება და ოთხი შეხვედრა მინიმუმ სამ დღეში ერთხელ;
- მოძალადესთან მინიმუმ ორი გასაუბრება ან ორი შეხვედრა.

განმეორებითი
ძალადობის
საშუალო რისკი

- მსხვერპლთან მინიმუმ ოთხი გასაუბრება და ორი შეხვედრა მინიმუმ ხუთ დღეში ერთხელ;
- მოძალადესთან მინიმუმ ერთი გასაუბრება ან ერთი შეხვედრა.

განმეორებითი
ძალადობის
დაბალი
რისკი

- მსხვერპლთან მინიმუმ სამი გასაუბრება და ერთი შეხვედრა მინიმუმ შვიდ დღეში ერთხელ;
- მოძალადესთან მინიმუმ ერთი გასაუბრება ან ერთი შეხვედრა.

ალსანიშნავია, რომ პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი კომუნიკაციის კონკრეტული ფორმის რიგითობასა და თანმიმდევრობას განსაზღვრავს ინდივიდუალურად, არსებული გარემოებებისა და მსხვერპლისა და მოძალადის თავისებურებების გათვალისწინებით. მთავარია, რომ შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადის განმავლობაში სრულად და შესაბამისი ინტენსივობითა და სიხშირით იქნეს გამოყენებული ზემოხსენებული კომუნიკაციის საშუალებები.

2.5.2 დამცავი ორდერის მონიტორინგი

დამცავი ორდერის ზედამხედველობის განხორციელების მიზნით მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაციის სიხშირე ეფუძნება დამცავ ორდერში მითითებული ძალადობის ფორმას,

ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირის ხელთ არსებული ინფორმაციისა და ზედამხედველობის განხორციელებისას ადგილზე გაცნობილი ფაქტების შეჯერებასა და ანალიზს.

ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირი მსხვერპლთან და მოძალადესთან ახორციელებს თვეში მინიმუმ ერთ გასაუბრებას კომუნიკაციის ტექნიკური საშუალების გამოყენებით და მინიმუმ ერთხელ პოლიციაში იბარებს ან ახორციელებს ვიზიტს მათ საცხოვრებელ ადგილზე.

2.5.3 იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის მონიტორინგი

იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის გამოცემმა პირმა ორდერის ასლი დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – მომსახურების სააგენტოს.

მომსახურების სააგენტო, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ გასცემს ლიცენზიას (ნებართვას) იმ პირზე, რომლის მიმართაც გამოცემულია დამცავი, შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერი – ამ ორდერით განსაზღვრულ შემთხვევებში და განსაზღვრული ვადით.

თუ პირი, რომლის მიმართაც გამოცემულია დამცავი, შემაკავებელი ან იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერი, რომელიც ითვალისწინებს იარაღით სარგებლობის უფლების შეზღუდვას, მიმართავს მომსახურების სააგენტოს იარაღთან დაკავშირებული ლიცენზიის (ნებართვის) მოპოვების მიზნით, მომსახურების სააგენტო აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს.

2.5.4 შემაკავებელი და დამცავი ორდერის მონიტორინგისას გასათვალისწინებელი სხვა გარემოებები

არასრულწლოვანთან ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ურთიერთობისას მონიტორინგის განმახორციელე-

ბელმა პოლიციის უფლებამოსილმა თანამშრომელმა უნდა გაითვალისწინოს მისი ინდივიდუალური საჭიროებები. მაგ., არასრულნლოვანი ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსხვერპლის შემთხვევაში ზედამხედველობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება მსხვერპლთან ვიზიტს. ზედამხედველობაზე უფლებამოსილ პოლიციელს შეუძლია გაესაუბროს არასრულნლოვან მსხვერპლს მისი კანონიერი წარმომადგენლის ან ახლო ნათესავის თანხმობით ან/და თანდასწრებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ენინააღმდეგება არასრულნლოვნის კანონიერი ინტერესებს. მაგ., თუ მოძალადე არის არასრულნლოვნის კანონიერი წარმომადგენლი ან ახლო ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენლის/ახლო ნათესავის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე.

შემაკავებელი და დამცავი ორდერების მონიტორინგისას მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაციის ინტენსივობა და სიხშირე განსხვავებულად რეგულირდება მოძალადის მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში ან სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნის პერიოდში, ან მისთვის ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებისას, მოძალადის ან მსხვერპლის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას, მსხვერპლის მიერ თავშესაფარში ყოფნისას.

ქვემოთ მოცემულია ზედამხედველობის ზემოაღნიშნული განსაკუთრებული შემთხვევებისას მონიტორინგის განხორციელების წესი

<p>msxverpl Tan komuni kaci a moZa- l adi s პენიტენციურ დაწესებულე- ბაში ან სამინისტროს დროებითი მო- თავსების იზოლატორში yofni peri odSi</p>	<p>msxverpl Tan komuni kaci a mi si თავშესაფარში yofni sas</p>
<p>შემაკავებელი ორდერის შემთხვევაში – minimum ori gasaubreba, ori viziti an/da minimum orj er dabareba pol iciaSi, riskis simZimis</p>	<p>შემაკავებელი ორდერის შემთხვევაში – minimum ori gasaubreba, riskis simZimis mi uxedavad;</p>

<p>mi uxedavad;</p> <p>დამცავი ორდერის შემთხვევაში _ minimum TveSi erTi gasaubreba, erTi viziti an/da minimum erTxel dabareba pol iciaSi.</p>	<p>დამცავი ორდერის შემთხვევაში _ TveSi mi nimum erTi gasaubreba.</p>
<p>მოძალადის ან მსხვერპლის მიერ საქართველოს ტერიტორიის დატოვებისას saqarTvel os teritoriaze darCenil msxverpl Tan/ moZal adesTan xorciel deba</p> <p>შემაკავებელი ორდერის შემთხვევაში _ minimum ori gasaubreba, ori viziti an/da minimum orj er dabareba pol iciaSi, riskis simZimis mi uxedavad;</p> <p>დამცავი ორდერის შემთხვევაში _ minimum TveSi erTi gasaubreba, erTi viziti an/da minimum erTxel dabareba pol iciaSi, riskis simZimis mi uxedavad.</p>	<p>moZal adis mimarT Semakavebel i orderiT ელექტრონული ზედამ- ხედველობის დაწესებისას</p> <p>მსხვერპლთან _ minimum erTi gasaubreba an/da erTi viziti, riskis simZimis mi uxedavad;</p> <p>მოძალადესთან _ minimum erTi gasaubreba an/da minimum erTxel dabareba pol iciaSi, riskis simZimis mi uxedavad.</p>

მოძალადის მიერ პენიტენციური დაწესებულების ან სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის დატოვებისას, მსხვერპლის მიერ თავშესაფრის დატოვებისას, მოძალადის ან მსხვერპლის საქართველოს **ტერიტორიაზე** დაბრუნებისას, მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის შეჩერების, ელექტრონული ზედამხედველობის ვადის გასვლის ან სასამართლოს მიერ ელექტრონული ზედამხედველობის ღონისძიების გაუქმებისას ზედამხედველობა უნდა გაგრძელდეს ზემოთ განხილული ზოგადი წესის მიხედვით.

ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილმა პოლიციელმა მსხვერპლთან და მოძალადესთან კომუნიკაციის დროს უნდა შეავსოს შესაბამისი ოქმი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლთან ან მოძალადესთან კომუნიკაცია ვერ ხერხდება, აღ-

ნიშნულის შესახებ მითითება უნდა გაკეთდეს შესაბამის ოქმში, რაც არ ჩაითვლება ზედამხედველობის წესის დარღვევად.

2.6 შემაკავებელი და დამცავი ორდერის დარღვევი- სათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა

სისხლის სამართლის კოდექსის 381¹ მუხლით გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შემაკავებელი და დამცავი ორდერით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ასევე არასრულწლოვანის განცალევების შესახებ სოციალური მუშავის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში. კერძოდ, დანაშაულს წარმოადგენს შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა ან/და ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელებისას მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების წესით განსაზღვრულ საგანგაშო ზონაში შეღწევა ან/და მოძალადის მიერ საგანგაშო ან ბუფერული ზონის დატოვების შესახებ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შეუსრულებლობა ან/და მოძალადის მიერ ელექტრონული ზედამხედველობისთვის თავის არიდება, ესე იგი, ქმედება, რომლის შედეგადაც შეუძლებელი გახდა ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება.

აღნიშნული ნორმა პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს შემდეგი შემთხვევების არსებობისას:

Semakavebel i an damcav'i orderiT gaTva-i iswinebul i mo-Txovnebis da val-debul ebebi s Seusru-l ebl oba	mag., moZal adis mier msxverpl Tan komunikaciis damyareba, Tu mas orderiT akrZal ul i hqonda msxverpl Tan urTiertoba tel efonis, social uri qsel isa Tu sxva teqnikuri saSual ebebis gamoyenebiT.
--	---

el eqtronul i zedam-xedvel obis ganxorciel ebis moZal adis mier el eqtronul i zedamxedvel obis ganxorciel ebis wesiT gansazRvrul	moZal adis mier sagangaSo zonaSi ganzrax SeRweva, romel ic ar saWiroebs ufl ebamosili piris mxridan gafrTxil ebi s mi Rebas da igi avtomaturad iwvevs sisxl is samarTI is pasuxismgebl obas.
--	--

sagangaSo SeRweva	zonaSi	
----------------------	--------	--

moZal adis mier sagangaSo an buferul i zonis datovebis Se-saxebe ufl ebamosil i piris moTxovnis Se-usrul ebl oba	im SemTxvevaSi, Tu saj aro sivrceSi moZal ade dinamikur buferul /sagangaSo zonaSi SemTxvevi T moxvdeba, ufl ebamosil i piri ukavSirdeba moZal ades da mouwodebs datovos teritoria, raTa moZal adisa da msxverpl is SemTxvevi Ti Sexvedra Tavidan iqnes acil ebul i. mxol od aRniSnul i moTxovnis Seusrul ebl oba iwevs sisxl is samartI is pasuxismgebl obas, garda im SemTxvevisa, TU miaxl oeba xdeba drois mcire interval Si da misi Tavidan acil eba SeuZI ebel ia.
--	---

moZal adis mier el eqtronul i zedamxedvel obisaTvis Tavis arideba, ese igi, qmedeba, roml is Sedegadac SeuZI ebel i gaxda el eqtronul i zedamxedvel obis ganxorciel eba	moZal adis mier eqspl uataciis wesis darRveva, kerZod, mimRebi aparatis damuxtvis gareSe datoveba, mimRebi aparatis misi adgil mdebareobidan 20 metrze met radiusSi datoveba, GPS sixSiris ganzrax daxSoba an/da GPS sistemi s dafarvis zonidan gasvl a, roml is Sedegad SeuZI ebel i xdeba el eqtronul i zedamxedvel obis ganxorciel eba.
---	--

ზემოხსენებული გარემოებები შეიძლება არსებობდეს როგორც ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად, ისე ერთობლივად.

2018 წლის დეკემბრამდე შემაკავებელი ან დამცავი ორდერის დარღვევის პირველი შემთხვევა განიხილებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, რომელიც მხოლოდ განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. კერძოდ, თუ შემაკავებელი ან დამცავი ორდერის დარღვევის გამო ადმინისტრაციული სახდელის შეფარდებიდან ერთი წლის განმავლობაში მოძალადე კვლავ დაარღვევდა ორდერის პირობებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიყენებოდა რეაგირების სისხლისამართლებრივი ინსტრუმენტები. თუმცა, ვინაიდან შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისას შედარებით მსუბუქი ზომების გამოიყენება არაეფექტური აღმოჩნდა პრობლემის წინაშე საბრძოლველად, საჭირო გახდა პასუხისმგებლობის გამკაცრება. ამდენად, ქმედების სისხლის სამართლის

კოდექსის 381¹ მუხლით კვალიფიკაციისათვის აღარ არის საჭირო პრეიუდიციული ფაქტის არსებობა – დამრღვევის მიმართ ადმისტრაციული სახდელის შეფარდება. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები გატარდება შემაკავებელი ან დამცავი ორდერის დარღვევის პირველივე შემთხვევაზე.

3. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები

სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მსხვერპლს აქვს უფლება, მიმართოს შესაბამის სასამართლოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის მოძალადის მიერ ანაზღაურების მოთხოვნით. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 1-ლი იანვრიდან კანონმდებლობა გაითვალისწინებს მსხვერპლის უფლებასა და შესაძლებლობას, მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან, თუ მისთვის მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება მოძალადის მიერ ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროებით.

მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით, რაც გულისხმობს ზიანის მიმყენებლის პრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცხადების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურებების, ისეთი ობიექტური გარემოებების

(როგორიცაა: მორალური ტანჯვის ხარისხი, დაზარალებულის ცხოვრების პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი, ქონებრივი მდგომარეობა) გათვალისწინებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რაც დაეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევასა და სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში.⁸⁸

⁸⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 11 იანვრის №3ბ/1693-15 განჩინება.

თავი III. ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ზავშვია გამოვლენის, დაცისა და დასმარების მექანიზმები

ოჯახში ძალადობა წევატიურად აისახება ოჯახის სხვა წევრებზე, განსაკუთრებით არასრულნლოვნებზე, რომლებიც შესაძლოა იყვნენ როგორც ძალადობის პირდაპირი ობიექტები, ისე ძალადობის შემსწრენი, რაც დამანგრეველ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე. კანონმდებლობა განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენას ავალდებულებს შესაბამის სპეციალისტებს არა მარტო მაშინ, როდესაც ბავშვი უშუალოდ დაექვემდებარება ძალადობას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი ოჯახში ძალადობის შემსწრე გახდება.

აღნიშნულ სულისკვეთებას იზიარებს საქართველოს კანონმდებლობაც და მსხვერპლად მიიჩნევს ბავშვს, რომელიც ძალადობის შემსწრეა, რაც ნიშნავს, რომ ასეთ დროს გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა ის მექანიზმი, რომელიც ზოგადად ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით გამოიყენება.⁸⁹ ოჯახში ძალადობის/დანაშაულის ჩადენა არასრულნლოვნის თანდასწრებით არის პასუხისმგებლობის დამამაძიმებელი გარემოება.⁹⁰

ბავშვთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ოჯახის წევრების მხრიდან ძალადობაა. ბავშვები ხშირად არიან ქალების მიმართ ოჯახში ძალადობის მოწმეები.⁹¹ ამიტომ, არსე-

⁸⁹ მაგ., სასამართლომ ფსიქოლოგიური ძალადობის შემსწრე ბავშვის დაცვის მიზნით დამცავი ორდერი გამოსცა, იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 აგვისტოს №3/5504-17 გადაწყვეტილება.

⁹⁰ სისხლის სამართლის კოდექსის 53¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმნეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულნლოვნის მიმართ ან მისი თანადასწრებით, განსაკუთრებული სისასტემით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამავე კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე და 126¹ მუხლების დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს არასრულნლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობა.

⁹¹ COVID-19-ის გავლენა ბავშვებზე, პოლიტიკის მოქლე მიმოხილვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2020, 9, იხ. <https://bit.ly/3rJMFx7> [12.01.2021].

ბული მასშტაბებისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით,⁹² წინამდებარე თავში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ბავშვის მიმართ ოჯახში ჩადენილი ძალადობის მარეგულირებელი ნორმების განმარტებებზე.

1. ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფორმები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198-ე მუხლის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. დაუშვებელია, არასრულწლოვნის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც არასრულწლოვნის ფიზიკურ ან/და ფიქიკურ ტანჯვას იწვევს.

მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში – კანონიერ მეურვეებს აკისრიათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის. ბავშვის საუკეთესო ინტერესები მათი ძირითადი ზრუნვის საგანია, რაც იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვების ჰარმონიული აღზრდა-განვითარება და ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს უნდა მიენიჭოს. შესაბამისად, ჩარევის პროპროცესულობის დასაშვები ზღვარი გულისხმობს იმის დადგენას, რამდენად წარმოადგენს ამგვარი ჩარევა ერთადერთ სწორ და მისაღებ გადაწყვეტი-

⁹² მაგ., 2020 წლის პირველ 6 თვეში არასრულწლოვან დაზარალებულთა მაჩვენებელი შეადგენდა 663 პირს. აქედან, არასრულწლოვანთა 62% გახდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, 13% – ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლი, 10% – სექსუალური ძალადობს მსხვერპლი, 5% საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ხოლო 1%-სხვა დანაშაულის მსხვერპლი. იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობის 6 თვის ანგარიში, 2020, 19, იხ. <https://bit.ly/3bwHGeo> [12.01.2021].

ლებას არასრულწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის, განვითარებაში.⁹³

2014 წლის 17 ოქტომბრის კანონით განისაზღვრა ძალადობის ახალი ფორმა, უგულებელყოფა, რომელიც ეხება ბავშვების მიმართ მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობას. კერძოდ, არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა არის მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო ან სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

მოცემულ დეფინიციაში განსაზღვრული ფორმები შეიძლება რამდენიმე კომპონენტად დავყოთ:

1. ბავშვის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა (მაგ., ჰიგიენა, კვება და ა.შ.);
2. ბავშვის სამედიცინო საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა;
3. ბავშვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა (მაგ., უყურადღებოდ დატოვება, საფრთხისაგან დაუცველობა);
4. ბავშვის ინტელექტუალური და გონებრივი განვითარებისათვის საჭირო პირობების უგულებელყოფა (მაგ., როცა ბავშვი არ დადის სკოლაში);
5. ბავშვის სოციალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა.

უგულებელყოფის ზემოაღნიშნულ რომელიმე ფორმასთან ერთად მნიშვნელოვანია იმის დადგენაც, მშობელს, სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს ჰქონდა თუ

⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 დეკემბერის №ა-3666-შ-83-2020 გადაწყვეტილება.

არა სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდებოდა თუ არა შესაბამის მომსახურებაზე. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოჯახის წევრების გარდა, სხვა პასუხისმგებელ პირად მიიჩნევა ის სუბიექტი, რომელთანაც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს არასრულნლოვანი, რომელზე ზრუნვისა და რომლის კანონიერი ინტერესების დაცვის ვალდებულებაც დაეკისრა იმავე სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე (მაგ., ძირა).

როგორც წესი, უგულებელყოფა ქრონიკულია, თუმცა მას შეიძლება ეპიზოდური ხასიათიც ჰქონდეს. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები განსაკუთრებით ადვილად შეიძლება გახდნენ უგულებელყოფის მსხვერპლი. მართალია, უგულებელყოფა ძირითადად სილარიბესთანაა დაკავშირებული, თუმცა იგი შეძლებულ ოჯახებშიც ვლინდება.⁹⁴

არსებული პრაქტიკით, არასრულნლოვნის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა ძირითადად გამოიხატება ბავშვის მოუვლელობაში, საკვების მიუცემლობაში, ბავშვის ანტისანიტარულ გარემოში ცხოვრებაში, ბავშვის მიერ მავნე-ჩვევების ათვისების ხელშეწყობაში და ა.შ.⁹⁵

მშობლის, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულნლოვანი შვილების კანონიერი ინტერესების უგულებელყოფისას, აღნიშნულ პირებს, არსებული მექანიზმების გამოყენებით (მაგ., შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემით), უნდა დაეკისროთ იმგვარი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებას და უზრუნველყოფს უგულებელყოფის პრევენციას.

⁹⁴ ბავშვზე ძალადობა და უგულებელყოფა, გამოვლენა და რეაგირება (სახელმძღვანელო სოციალური მუშაკებისთვის), საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, 2017, 41.

⁹⁵ იხ. <https://bit.ly/3b2CLS7> [13.01.2021].

მაგ., ერთ-ერთ საქმეზე გამოცემული დამცავი ორდერით მო-
ძალადე მშობელს, რომელიც უგულებელყოფდა არასრულწლოვა-
ნი შვილების ინტერესებს, დაევალა შემდეგი მომსახურებების მი-
წოდება ბავშვებისათვის: ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყო-
ფა (პროფილაქტიკური და გეგმიური სამედიცინო შემოწმების
მიზნით ბავშვის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში შემოწ-
მებაზე მიყვანა); განათლების ხელშეწყობის უზრუნველყოფა (გა-
ნათლების მიზნით, საგაკვეთილო პროცესზე დასასწრებად, სას-
წავლო კალენდრის შესაბამისად ბავშვის საჯარო სკოლაში გა-
მოცხადების უზრუნველყოფა, ასევე ბავშვის მიერ განათლების
მიღების ყოველდღიური მონიტორინგი); ბავშვის სასწავლო აქტი-
ვობებსა და ღონისძიებებში ჩართვა; ბავშვის განვითარების ხელ-
შეწყობის უზრუნველყოფა, არასრულწლოვნის ჩართვა საჭირო
ფსიქოლოგიურ სერვისებში და ა.შ.⁹⁶

ზემოაღნიშნული რეგულაციების გარდა, მშობლის ან ბავშვის
სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის აღ-
ზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუს-
რულებლობა, რაც გამოიხატება არასრულწლოვნის აღზრდისა და
სწავლების, საცხოვრებლით, საკვებითა და ნორმალური განვითა-
რებისათვის საჭირო სხვა პირობებით უზრუნველყოფის მოვალე-
ობათა ბოროტად შეუსრულებლობით, არასრულწლოვნის მიერ
ნარკოტიკული ნივთიერების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხ-
მარებით, ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობით, რამაც მისი
ტანჯვა, სხეულის დაზიანება, მისთვის ტკივილის მიყენება გამო-
იწვია, როგორც ერთჯერადად, ისე განსაზღვრული პერიოდის
განმავლობაში, ან/და ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობით, რა-
მაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, ნერილმანი ხულიგ-
ნობით, ხულიგნობით, ალკოჰოლიანი სასმლის სმით, თამბაქოს
მოხმარების წესის დარღვევით, ცივი იარაღის ტარებით, სქესობ-
რივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმარ-
თული უკანონო ქმედების ჩადენით, საგანგებო (ექსტრემალური)
სამსახურის გამოძახების ერთიანი სატელეფონო ნომრის – „112“-
ის არამიზნობრივი გამოყენებით, აგრეთვე მშობლის ან ბავშვის

⁹⁶ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 29 ოქტომბრის №3/598-19 გა-
დაწყვეტილება.

სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა ან მასთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას 172-ე მუხლის შესაბამისად, რაც ინვენს მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის დაჯარიმებას 100 ლარიდან 300 ლარამდე თანხის ოდენობით.

მოცემული სამართალდარღვევა წარმოადგენს მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევას, განსაკუთრებით, აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილი, რომელიც გულისხმობს არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების, საცხოვრებლით, საკვებითა და ნორმალური განვითარებისათვის საჭირო სხვა პირობებით უზრუნველყოფის მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლში, წლების განმავლობაში, განხორციელდა სხვადასხვა ცვლილება, ამით, ერთი მხრივ, იცვლებოდა სანქციები (ადმინისტრაციული სახდელები) და, მეორე მხრივ, ნორმის შემადგენლობას ემატებოდა სხვადასხვა ვალდებულება. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წლის 17 ოქტომბრის ცვლილებები, რომლებიც ძალაში ამავე წლის 14 ნოემბერს შევიდა. აღნიშნული განხორციელდა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში უგულებელყოფის ცნების შემოტანის პარალელურად. ცვლილებების გზით, მანამდე მოქმედ რედაქციაში არსებული სიტყვა „უგულებელყოფა“ შეიცვალა სიტყვებით „ბოროტად შეუსრულებლობა“ და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „არასრულწლოვნის აღზრდის, სწავლების, საცხოვრებელით, საკვებით და ნორმალური განვითარებისთვის საჭირო სხვა პირობებით უზრუნველყოფის მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობა“.

ცვლილებების მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში იმ თავისებურებების გათვალისწინება, რომლებიც უკავშირდება ოჯახში ძალადობის ნიშნით ჩადენილ ადმინისტრაციულ გადაცდომებზე მიმდინა-

რე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერებას ისეთ შემთხვევებში, როდესაც ისინი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი არიან.⁹⁷

2014 წლის შემდეგ კიდევ რამდენიმე ცვლილება განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლში, თუმცა ეს იყო არა ნორმის ძირეული ცვლილება, არამედ გარკვეული ვალდებულებების დამატება. მაგ., 2018 წლის 13 დეკემბრის კანონით დეფინიციას დაემატა თამბაქოს მოხმარების წესების დარღვევა, რაც ჩაითვალა მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობად, ხოლო 2019 წლის 29 მაისის კანონით აღნიშნულ მუხლს დაემატა მშობლის პასუხისმგებლობა არასრულწლოვნის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა იმგვარი შეუსრულებლობა, რომელიც გულისხმობს ცხოველის ან/და ფრინველისადმი არასათანადო ან/და სასტიკ მოპყრობას. ცვლილების მიზანი იყო ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის შემთხვევებისა და მათდამი არაპუმანური დამოკიდებულების პრევენცია, რაც ხშირად სწორედ პირის ადრეულ ასაკში განცდილი მენტალური და ფსიქოლოგიური ტრავმით იყო განპირობებული.⁹⁸ ბოლო ცვლილება განხორციელდა 2019 წლის 29 ნოემბრის კანონით, რომელიც 2020 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა და შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება იმ მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლისათვის, რომელიც უარს აცხადებს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრთან ხელშეკრულების დადებაზე ან დაარღვევს ამავე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვნის აღზრდისა

⁹⁷ განმარტებითი ბარათი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, იხ. <https://bit.ly/2LEyhqz> [16.01.2021].

⁹⁸ განმარტებითი ბარათი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, იხ. <https://bit.ly/3oSehiv> [16.01.2021].

და სწავლების მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა წარმოადგენს ბავშვის ოჯახში ძალადობისაგან დაცვის კიდევ ერთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მექანიზმს.

უგულებელყოფის გარდა, ბავშვზე ნეგატიურად აისახება ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ხშირად ემოციური ძალადობის სახელითაც მოიხსენიებენ. ძალადობის ეს ფორმა გულისხმობს არასრულწლოვნის დაშინებას, კრიტიკას, მის მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას, ემოციურ მანიპულაციას, უსამართლო დადანაშაულებასა და ბრალდებას, მომეტებულ და გადაჭარბებულ კონტროლს, დაცინვას, ყვირილს, შეურაცხყოფას და ა.შ. ძალადობის ეს ფორმა საკმაოდ რთული გამოსავლენია და განგრძობითი ხასიათი აქვს.⁹⁹ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის ¶ 437 დადგენილების თანახმად, ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა განიმარტება, როგორც შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი ქმედება, მათ შორის, ოჯახის წევრის მიერ/მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლში მითითებული ან/და ამავე კოდექსის 126¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისას ბავშვის მიერ განცდილი ძლიერი ემოციური სტრესი, რომელიც ინვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას ან დაშინებას. ქალის მიმართ ან/და ოჯახში ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობისგან განსხვავებით, ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები უფრო ფართოა და მოიცავს ოჯახში ძალადობის ან/და ოჯახური დანაშაულის ჩადენისას ფაქტის შემსწრე ბავშვის მიერ განცდილ ძლიერ ემოციურ სტრესსაც, რაც ინვევს არასრულწლოვნის პატივისა და ღირსების შელახვას ან მის დაშინებას.

ფსიქოლოგიური ძალადობის შედეგები კიდევ უფრო დამამიმდებელია არასრულწლოვან შვილებთან მიმართებით, რადგან ისინი, სრულწლოვანებთან შედარებით, უფრო მოწყვლადები არიან.

⁹⁹ მესხი მ., არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართალწარმოებისას (გაერთიანებული ერების სამოდელო კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით), უურნალი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 2017, 55.

ამგვარი სტრუქტული გარემო იწვევს არასრულწლოვნის ფსიქიკისა და ცნობიერების დამახინჯებას, რაც მთლიანად საზოგადოებაში არაჯანსაღი სიტუაციის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. შესაბამისად, მრავალი რისკი არსებობს იმ ბავშვების ჯანსაღ განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებიც განმეორებადი ცოლ-ქმრული კონფლიქტის შემსწრენი არიან და, ამავდროულად, ძალადობის მსხვერპლებადაც გვევლინებიან.¹⁰⁰

ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიურ ძალადობად შეაფასა სასამართლომ არასრულწლოვნის თანდასწრებით ერთი მშობლის მიერ მეორე მშობლის აუგად და შეურაცხმყოფელ/დამამცირებელ კონტექსტში მოხსენიება.

საქმის გარემოებების თანახმად, მამა ბავშვებს ეუბნებოდა, რომ დედა იყო „ნაგავი და ცუდი ქალი და ის ქუჩაში დარჩებოდა, ბავშვები კი მასთან იცხოვრებდნენ. თუ დედა კარგად მოიქცეოდა და მას დაუჯერებდა, მაშინ იქნებოდა მათთან სადამდეც ბავშვებს მოუნდებოდათ და თუ ცუდად მოიქცეოდა, მაშინ ქუჩაში დარჩებოდა“. ამის გამო ბავშვები ძალიან ნერვიულობდნენ და არ უნდოდათ, რომ დედა წასულიყო. სოციალურ მუშავთან საუბრისას ერთ-ერთმა ბავშვმა აღნიშნა, რომ დედას არ ახსენებდა მამასთან, რადგან ფიქრობდა, რომ მამა გაბრაზდებოდა და იყვირებდა. სასამართლოს შეფასებით, ეს გარემოებები ადასტურებდა, რომ მამის მხრიდან შვილებზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ძალადობა, რაც გამოიხატებოდა დედის აუგად მოხსენიებაში. სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ბავშვებს ეშინოდათ მამასთან დედის ხსენებაც კი, რომ მამა არ გაბრაზებულიყო და არ ეყვირა.

მოსამართლის შეფასებით, ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ისეთი გარემოს შექმნაში, როდესაც ბავშვი ვერ აფიქსირებს თავის ნებას და ვერ გამოხატავს გრძნობებს. როდესაც ბავშვს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ეშინია, ამის გამო ვინმეს უკმაყოფილება არ დაიმსახუროს, ესეც ფსიქოლოგიური ძალადობის გამოხატულებაა. ბავშვი ამ დროს ახდენს თავისი სურვილების უგულებელყოფას, ხოლო ბავშვის სურვილე-

¹⁰⁰ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 21 იანვრის №3/ბ-11-20 განჩინება.

ბის გამოხატვა თუ არ მოხდება, ამან შეიძლება დააზიანოს ბავშვის ფსიქიკა.

სასამართლომ სწორად შეაფასა არსებული გარემოებები და ბავშვის საუკეთესო ინტერესები და დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა მამის მიერ არასრულწლოვანი შვილების მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტს, რაც გამოიხატებოდა დედის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოხსენიებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვებს უყვარდათ დედა, რომელსაც მამა დამამცირებელი სიტყვებით მოიხსენიებდა ბავშვების თანდასწრებით, შესაბამისად, მიიჩნია, რომ არასრულწლოვნების მამასთან ფსიქოლოგიური ზეგავლენის რეზიტაციის ყოფნა მათ ფსიქიკურ მდგომარეობას დააზიანებდა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა გამოუსწორებელი შედეგები.¹⁰¹

ზემოაღნიშნულის გარდა, ბავშვი ოჯახში შეიძლება დაექვემდებაროს ძალადობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ფიზიკური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობა, ასევე იძულება.

ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობისათვის დამახასიათებელი ელემენტების გარდა, ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობა, მათ შორის, მოიცავს ბავშვის ფიზიკური დასჯისკენ მიმართულ მოქმედებას, ხოლო იძულება, მათ შორის, მოიცავს იძულებით ქორწინებას, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმას ან/და თანამონანილეობას, ნივთიერებათა ავად მოხმარებას, მოწყალების თხოვნას, აგრეთვე ბავშვის ჩართვას შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს ბავშვის საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღ ფიზიკურ და მენტალურ გარემოში განვითარების) შეზღუდვას. იძულებად ჩაითვლება ბავშვის შრომის შედეგად მოპოვებული თანხის მთლიანი ან/და ნაწილობრივი მითვისებაც.

რაც შეეხება ბავშვთა მიმართ ეკონომიკური და სექსუალურ ძალადობის დეფინიციებს, აღნიშნული მსგავსია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული განმარტებებისა.

¹⁰¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 31 მაისის №ვბ/1367-19 გადაწყვეტილება.

მამის მიერ არასრულწლოვანი შვილის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის საქმეზე, რაც გამოიხატა სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ზურგის არეში ქამრის რამდენჯერმე დარტყმაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მკაცრად უნდა გამიჯნულიყო არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობანი და ოჯახში ძალადობა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საკითხი ეხებოდა არასრულწლოვანს და ბავშვის უფლებათა კონვენციით რეგლამენტირებულ მის ფუნდამენტურ უფლებებს. სასამართლოს შეფასებით, „მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულის მხრიდან უხეშად გადაილახა არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობანი და გადაიზარდა ძალადობაში, რასაც სისტემატური ხასიათი მიეცა. ბრალდებულმა ვერ გააცნობიერა საკუთარი შვილის ასაკი, მასთან ურთიერთობის ფორმა, ხოლო მისი ქმედების მიზანი და მოტივი ვახდა ძალადობით არასრულწლოვანი შვილის დამორჩილება. დანაშაული ჩადენილ იქნა საქმაოდ მძიმე ფორმით, რაც გამოიხატა არასრულწლოვნის ქამრით ცემაში. სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ დაზარალდებული არ არის შერიცებული ბრალდებულთან. ამ უკანასკნელს საამისოდ არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს, უფრო მეტიც, ბრალდებულს არც სამომავლოდ აქვს დასახული საკუთარ არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის ნომინალიზაცია და, ამ მხრივ, მას სასამართლოსთვის განმარტება არ მიუცია“¹⁰².

ბავშვზე პირდაპირი ფორმით ძალადობის გარდა, მის ფსიქიკა-სა და განვითარებაზე მძიმე ზეგავლენას ახდენს მშობლებს შორის სისტემატური კონფლიქტი, ჩხუბი, ფიზიკური შეურაცხყოფა და ა.შ. კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული ფაქტების შემსრე ბავშვიც მიიჩნევა მსხვერპლად, ვინაიდან ოჯახის სხვა წევრებს შორის არსებული კონფლიქტისას ბავშვი განიცდის მძიმე მორალურ და ფსიქიკურ ტანჯვას.¹⁰³

¹⁰² ფორმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 აგვისტოს განაჩენი, იხ. ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 109-110, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [20.01.2021].

¹⁰³ ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 108-109, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [20.01.2021].

მამაკაცის მიერ მეუღლის მიმართ არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით ფიზიკური ძალადობის საქმეზე სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ძალადობის ფაქტის შემსწრე არასრულწლოვნის მდგომარეობასა და მისთვის ოჯახში ძალადობის ფაქტის სავალალო ზეგავლენაზე. როგორც სასამართლო მიუთითებს, „მდგომარეობას ამძიმებს ის, რომ არასრულწლოვნის თანდასწრებით ოჯახში ძალადობა, როგორი ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს, მის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე სავალალო ზეგავლენას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ძალადობის უშუალო მსხვერპლს არ წარმოადგენს, ძალადობის მოწმედ ყოფნა, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ადამიანებს შორის, როგორებიც მშობლები არიან, უარყოფითად აისახება მის კეთილდღეობაზე და მოწყვლადს ხდის აგრესიული ქცევების ათვისებისა და შემდგომი გამოვლინების მიმართ“¹⁰⁴.

2. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა და პროცედურები

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის 9 437 დადგენილებით დამტკიცებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, რომელთა მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტუანი სისტემის ჩამოყალიბების გზით. აღნიშნული დოკუმენტის მიღება განაპირობა 2016 წლის 22 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებშიც გაკეთდა პირდაპირი მითითება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცების საჭიროებაზე. მანამდე „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“ დამტკიცებული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ში-

¹⁰⁴ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი, იხ. ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, 2016-2018, 2019, 112-115, იხ. <https://bit.ly/2KYIhdM> [20.01.2021].

ნაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანებით. აღნიშნული ნორმატიული აქტის მიზანი იყო ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბების გზით. მითითებული რეგულაციის თანახმად, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტები იყვნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საუბნო სამსახურები, საიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო და მისი სტრუქტურული ერთეული – მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები, სკოლები, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები (ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება, ბავშვთა სახლი, დღის ცენტრი, მცირე საოჯახო ტიპის სახლი), სამედიცინო დაწესებულებები და სოფლის ექიმები. თუმცა აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრული პროცედურების პრატიკიკაში დაწერგვამ ეტაპობრივად გამოკვეთა რიგი საკითხები, რომლებიც მოითხოვდა მითითებულ რეგულაციებში ცვლილებების შეტანასა და მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტების გაფართოებას. ამიტომ, ვინაიდან 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით გაფართოვდა აღნიშნულ პროცედურებში მონაწილე სუბიექტების წრე, აუცილებელი გახდა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ დოკუმენტის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცება.¹⁰⁵

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს:

1. ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას;
2. ბავშვის მდგომარეობის შეფასებას;
3. ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას;
4. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებებში მდგრადი მოვლენების მიმღებად განვითარებას.

¹⁰⁵ განმარტებითი ბარათი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პრექტზე, იხ. <https://bit.ly/3qzXMrQ> [20.01.2021].

- ბულებაში/თავშესაფარში/მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტიციას;
5. ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას.

არასრულნლოვნის მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის (პირველადი იღენტიფიკაციის) და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებებს, სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს, აგრეთვე ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ სხვა შესაბამის დაწესებულებებსა და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს.

რეფერირების პროცესში ჩართული სუბიექტები არიან:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფები (პოლიცია);

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა¹⁰⁶ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი დაწესებულებები და ამ სამინისტროთა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;

საქართველოს პროკურატურა;

სსიპ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი;

საბავშვო ბალები;

სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;

¹⁰⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან კულტურისა და სპორტის კომპონენტის გამოყოფის შემდეგ დამოუკიდებელ უწყებად ჩამოყალიბდა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. აღნიშნულის თაობაზე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები აისახა 2021 წლის 16 მარტის კანონით, თუმცა 2021 წლის 31 მაისის მდგომარეობით შესაბამისი ცვლილებები არ შესულა საქართველოს მთავრობის 437-ე დადგენილებაში.

საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები;

ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები და თავშესაფრები;

სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები);

მუნიციპალიტეტის გამგეობა/მერია (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა)/მისი უფლებამოსილი დაწესებულება (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი).

ბავშვზე ძალადობის შემთხვევის გამოვლენა ევალება ზემოაღნიშნულ დაწესებულებებსა და ყველა ორგანოს, რომელსაც აქვს შეხება ბავშვებთან ან/და იმ ოჯახებთან და გარემოსთან, რომელშიც ბავშვი იმყოფება.

აღნიშნული დაწესებულების წარმომადგენლები ვალდებული არიან, კომპეტენციის ფარგლებში, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გადაამოწმონ ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი შემთხვევა, მოახდინონ ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და ანარმოონ შემთხვევის მართვა.

ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე შესაძლოა მიუთითობდეს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე გარემოება:

ბავშვის სხეულზე დაზიანების ნიშნების არსებობა (სხვადასხვა ფერის სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები და ნაკანრები, იარები, გაძნელებული სიარული, სხეულის შეშუპებული ნაწილები, მოტეხილობები, დამწვრობის კვალი, კოპები და სხვა სახის დაზიანებები);

ბავშვი იქცევა საეჭვოდ (ბავშვის აღგზნებულია, დათრგუნულია, ეშინია, არ უნდა სახლში დაბრუნება, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი და სხვ.);

ბავშვი არ დადის ან/და არარეგულარულად დადის საგანმანათლებლო ან/და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბავშვი არ არის რეგისტრირებული ან ბავშვს არ აქვს დაბა-
დების მოწმობა, არ არის პედიატრის/ექიმის მეთვალყურე-
ობის ქვეშ;

ბავშვი მოუვლელია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიკურ
განვითარებაში, ბავშვს აქვს მოუწესრიგებელი გარეგნუ-
ლი იერ-სახე (აქვს უსუფთაო სახე და სხეული, აცვია ჭუჭ-
ყიანი ან/და სეზონისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი, იკ-
ვებება საჭმლის ნარჩენებით);

ასაკის შეუფერებლად დროს ატარებს უმეთვალყურეოდ,
საცხოვრებელი გარემო შეიცავს საფრთხეებს ბავშვის
ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის, ცხოვრობს ბავ-
შვთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად;

ჩართულია ისეთ შრომით საქმიანობაში, მათ შორის,
წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საპაზისო
უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტა-
ლური განვითარების) შეზღუდვას;

ბავშვი გამოყენებულია ან ჩაბმულია მისი ასაკისათვის შე-
უფერებელ სამუშაოში ან/და ანტისაზოგადოებრივ საქმია-
ნობაში (ითხოვს მოწყალებას/მათხოვრობს, არაგონივრუ-
ლად დიდ დროს ატარებს ქუჩაში);

ბავშვი ხშირად გადაადგილდება უცხო პირთან/პირებთან
ერთად ნათესავის ან ახლობლის გარეშე ან იმყოფება უც-
ხო პირების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ან/და უწევს
მათ მომსახურებას;


ბავშვის სათამაშოები, საწოლი, ტანისამოსი ან სხვა ნივთე-
ბი აღმოჩენილია შეუფერებელ ადგილებში (მათ შორის,
ქარხანა და სხვა), ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)
რისკის შემცველ დაწესებულებებში.

აღნიშნული გარემოებები არ არის ამომწურავი და ყოველ კონ-
კრეტულ შემთხვევაში შესაძლოა ნებისმიერი სხვა ფაქტორი მიუ-
თითებდეს ბავშვზე ძალადობაზე.

რეფერირების პროცედურებში ჩართული თითოეული სუბიექ-
ტი უფლებამოსილია, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ბავ-
შვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გააანა-
ლიზოს შემთხვევა და საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას დაუყოვ-

ნებლივ უზრუნველყოს სასიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა (შემდეგში – სააგენტო) და პოლიციის ინფორმირება.

რეფერირების პროცედურა ერთმანეთისაგან განასხვავებს ბავშვზე ძალადობის ეჭვს და **საფუძვლიან ეჭვს** და შესაბამის უწყებას მხოლოდ მაშინ აკისრებს სააგენტოსა და პოლიციაში შეტყუბინების გაგზავნის ვალდებულებას, როდესაც შემთხვევის შესწავლის პროცესში წარმოიშობა საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი.



რეფერირების პროცედურის მიზნებისათვის საფუძვლიანი ეჭვი შესაძლებელია წარმოიშვას, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები:

ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;

მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა, როგორიცაა: ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან; ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკ-

ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;

მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა, როგორიცაა: ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან; ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკ-

ვატური რეაგირება ბავშვის ტრავმაზე; ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზის აუხსნელობა;

სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

რეფერირების პროცედურაში ჩართული უფლებამოსილი პირები, პოლიციის გარდა, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, ვალდებული არიან, შეავსონ ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი, რომელიც ეგზავნება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს ფოსტით, ფაქსით ან, არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში აღნიშნული უწყების წარმომადგენლები ვალდებული არიან, ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობონ პოლიციას, გამოიძახონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სააგენტოს შეატყობინონ „ცხელი ხაზის“ (116 006) მეშვეობით ან/და წერილობითი ფორმით.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის 172⁶ მუხლის შესაბამისად, კერძოდ, ფიზიკური პირის შემთხვევაში – გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, ხოლო შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) შემთხვევაში – დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით.

ბავშვის მიმართ შესაძლო ძალადობის გამოვლენის შემდეგ მნიშვნელოვანია შემთხვევის სიღრმისეული შესწავლა სავარაუდო მსხვერპლ ბავშვთან გასაუბრებისა და სხვა მტკიცებულებების მოპოვების გზით, პროცესში წამყვანი როლი პოლიციასა და სააგენტოს ეკისრება, ანუ იმ ორგანოებს, რომლებსაც საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას მიაწოდეს ინფორმაცია ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი ბავშვის შესახებ.

რეფერირების პროცედურებში მონაწილე სუბიექტებიდან ან სხვა წყაროდან ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ან ისეთი ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენისას, რომლებიც აჩენს ეჭვს, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა, პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის/გამოძახების ადგილზე, ხოლო ადგილზე მისვლისას უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები: წარადგინოს ვინაობა, შეისწავლოს და შეაფასოს მდგომარეობა, გაესაუბროს სავარაუდო მსხვერპლს, სავარაუდო მოძალადეს, ოჯახის წევრებს, მოწმეებს (მეზობლებს, ნათესავებს და ა.შ. მათი არსებობის შემთხვევაში), მოიპოვოს მტკიცებულებები და ძალადობის ნიშნების (საფუძვლიანი ეჭვის) არსებობისას ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სააგენტოს.

ალსანიშნავია, რომ პოლიციას, როგორც რეფერირების პროცედურაში ჩართულ სუბიექტს, ასევე ეკისრება შეტყობინების გაკეთების ვალდებულება, თუმცა ადრესატი არის მხოლოდ სააგენტო.

პოლიციის მიერ სააგენტოსთვის გადაცემული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

- ა) პოლიციელის სახელს, გვარსა და თანამდებობას;
- ბ) ბავშვის სახელსა და გვარს, მის ასაკს, სქესს, მისამართს, შემთხვევის/გამოძახების ადგილს, თუ იგი განსხვავდება ბავშვის საცხოვრებელი მისამართისგან;
- გ) ძალადობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის ან ძალადობის ფაქტის მოკლე აღწერას;
- დ) პოლიციის მიერ ჩატარებული ქმედებების ჩამონათვალს.

პოლიციამ მყისიერად უნდა აღკვეთოს ბავშვზე ძალადობის ფაქტი და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

შემთხვევის შესწავლის შემდეგ, სათანადო საფუძვლების არსებობისას, უნდა გამოწეროს შემაკავებელი ორდერი და, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანა მარტო ან მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან/სხვა პასუხისმგებელ პირთან ერთად.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესი განსხვავებულ რეგულაციებსა და სამოქმედო გეგმას განსაზღვრავს პოლიციისათვის სამუშაო და არასამუშაო დღეებში/საათებში გამოძახებისას.

რეაგირება სამუშაო დღეებში

თუ პოლიციის გამოძახება ან შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა მოხდა სამუშაო დღის განმავლობაში და არ არის აუცილებელი შემაკავებელი ორდერის გამოცემა და ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანა, მაგრამ არსებობს ბავშვზე ძალადობის საფუძვლის მქონი ეჭვი, პოლიციის თანამშრომელი უნდა დაელოდოს სოციალური მუშაკის გამოცხადებას შემთხვევის/გამოძახების ადგილზე და დაქმაროს მას ბავშვთან დაკავშროებით მიღებული გადაწყვეტილების, კერძო, ბავშვის განცალკევების შესახებ მიღებული აქტის, აღსრულებაში.

რეაგირება
არასამუშაო
საათებში,
დასვენების ან უქმე
დღეებში

თუ პოლიციის გამოძახება ან შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა მოხდა არასამუშაო საათებში (18 საათიდან 9 საათამდე), დასვენების დღეებში, ამ შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომელი აღარ ელოდება სოციალური მუშაკის ადგილზე მისვლას და საჭიროების შემთხვევაში, დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას მის კომპეტენციას მიუკონვებული ღონისძიებების განხორციელებასთან, მათ შორის, შემაკავებელი ორდერის გამოცემასა და აღნიშნულის საფუძველზე, აუცილებლობის შემთხვევაში, ბავშვის განცალკევების/მის უსაფრთხო გარემოში გადაყვანასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული ყველა ღონისძიება თუ მოქმედება ბავშვის უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მისი საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზანს ემსახურებოდეს, ამიტომ პოლიციის თითოეულმა თანამშრომელმა მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი ამ სულისკვეთებით უნდა გამოიყენოს.

რაც შეეხება სააგენტოს როლს, სააგენტოში ინფორმაციის შესვლისთანავე, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ბავშვზე ძალადობის შემთხვევაზე რეაგირება, მათ შორის, სოციალურმა მუშაკმა შემთხვევის/გამოძახების ადგილზე გასვლისას უნდა შეაფასოს ბავშვზე ძალადობის შემთხვევა, კერძოდ, მოახდინოს ბავშვზე ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაცია და ძალადობის შედეგებისა და ბავშვის უსაფრთხოების რისკების გათვალისწინებით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება ბავშვთან დაკავშირებით, რაც ძალადობის აღმოფხვრასა და პრევენციას შეუწყობს ხელს.

სააგენტო, ბავშვზე განხორციელებული ძალადობის ან ძალა-დობის ეჭვის შემთხვევაში, საქმის განხილვას იწყებს სააგენტოში შესული წერილობითი, სატელეფონო ან/და სხვა საკომუნიკაციო შეტყობინების საფუძველზე, ასევე სააგენტოს მიერ მოძიებულ/გამოვლენილ შემთხვევებში, როდესაც მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შიდა ინსტრუქციის შესაბამისად.

ამდენად, სააგენტო მიმართვიანობის (რეფერირების) პროცესში ერთვება იმ შემთხვევებაში, თუ:

- ა) ძალადობის ფაქტი დადასტურებულია და ბავშვი მოთავსებულია დროებით საცხოვრებელში ოჯახის ან/და მუდმივი ადგილსამყოფელის გარეთ. ასეთ შემთხვევაში სააგენტოს სოციალური მუშაკი მიდის ბავშვის დროებით განთავსების ადგილზე და ახდენს ბავშვის მდგომარეობის შეფასებას, რის საფუძველზეც შეიმუშავებს არასრულწლოვნის ინდივიდუალური განვითარების გეგმას. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, ბავშვის მშობლისთვის/მშობლებისთვის მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის შესახებ;
- ბ) მიღებული ინფორმაცია ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ბავშვზე განხორციელდა ან ხორციელდება ძალადობა. სოციალური მუშაკი ინფორმაციის მიღებისთანავე ახორციელებს ვიზიტს ბავშვთან. საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშაკი სააგენტოს ფსიქოლოგთან ერთად აფასებს ბავშვს და მისი უსაფრთხოების რისკებს, ადგენს არასრულწლოვნის ინდივიდუალური განვითარების გეგმას, ოჯახის წევრებს/კანონიერ წარმომადგენლებს/სხვა პასუხისმგებელ პირებს უწევს კონსულტაციას ან/და ახორციელებს ბავშვის რეფერირებას საჭირო მომსახურებაში (მინდობით აღზრდა, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება ან თავშესაფარი).

თუ ბავშვთან ვიზიტის დროს სოციალური მუშაკის შეფასების შედეგად დადგინა, რომ საქმე ეხება გადაუდებელ შემთხვევას, იგი დაუყოვნებლივ მიმართავს პოლიციას და იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას. სოციალური მუშაკი დაუყოვნებლივ მიმართავს პოლიციას იმ შემთხვევაშიც, თუ ჩათვლის სა-

ჭიროდ ბავშვის ერთ მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან/სხვა პასუხისმგებელ პირთან ერთად ან მარტო უსაფრთხო გარემოში გადაყვანას.

თუ ბავშვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას არ ემუქრება საფრთხე, მაგრამ არასრულწლოვნის ოჯახის წევრი/კანონიერი წარმომადგენელი/სხვა პასუხისმგებელი პირი უარს აცხადებს სააგენტოსთან თანამშრომლობაზე, სააგენტოს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია აღნიშნულ პირებს დაეკისროთ შესაბამისი ვალდებულებები და დაუწესდეთ სათანადო შეზღუდვები.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის ბოლო და მნიშვნელოვანი კომპონენტია ძალადობის შემთხვევაზე/ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა.

ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესრულებაზე მონიტორინგს და ბავშვის მდგომარეობის ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტო. ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობის ფუნქცია აკისრია პოლიციასაც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაგ., გამოცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერის მონიტორინგის განხორციელებისას. ასევე, პოლიციელი თვალყურს ადევნებს ძალადობის მსხვერპლ ბავშვს და მდგომარეობას მის ოჯახში, თუ ძალადობა ოჯახში განხორციელდა.

ზედამხედველობის პროცესში ერთვებიან რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტებიც, მათი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში. კერძოდ, აღნიშნული სუბიექტები, მათ შორის, სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები, რომლებშიც ბავშვი რეგისტრირებულია ამბულატორიული სერვისის მისაღებად, პოლიციისა და პროკურატურის გარდა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან:

- სააგენტოსთან შეთანხმებით თვალყური ადევნონ ბავშვის მდგომარეობას და რეგულარულად მიაწოდონ სააგენტოს სოციალურ მუშაქს წერილობითი ანგარიში ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ბავშვის აკადემიურ მოსწრებას, ბავშვის ქცევებზე ჩანაწერებს, ბავშვის ჯანმრთელობის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკური მდგო-

- მარეობის შესახებ ინფორმაციას და მონაცემებს არას-რულწლოვნის სხვა აქტივობებში ჩართვის შესახებ;
- ბ) მიაწოდონ ინფორმაცია პოლიციას მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის შესახებ, თუ გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერი და საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები, საბავშვო ბალი ან ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება გახდა მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე. მაგ., თუ სააგენტოს ინიციატივით, ბავშვის დაცვის მიზნით, სასამართლოს მიერ გამოწერილია დამცავი ორდერი, სააგენტო აცნობებს საგანმანათლებლო ან/და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საბავშვო ბალებსა და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებას ბავშვის დაცვასთან დაკავშირებით გამოცემული ორდერის თაობაზე.

ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტზე რეაგირებისა და შემთხვევის შემდგომი მონიტორინგის მიზნით მნიშვნელოვანია რეფერირების პროცედურებში ჩართულ სუბიექტებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია, მათ შორის, შესაბამისი ინფორმაციის გაცვლა.

ოჯახურ დანაშაულზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე ან/და ოჯახში ძალადობაზე სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, გამოკითხვისას/დაკითხვისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის საუკეთესო ინტერესები, მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვან მსხვერპლთან გასაუბრება (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით. დაუშვებელია სისხლის სამართლის პროცესში არასრულწლოვნის კანონი-

ერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან რომლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არ-სებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევა, აგრეთვე მისთვის (მათვის) არას-რულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახ-სნა-განმარტების) გაცნობა ან გადაცემა. ამ შემთხვევაში მშობ-ლის უფლებამოსილება, იყოს არასრულწლოვნის წარმომადგენე-ლი სისხლის/ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცეს-ში, შეჩერებულად ითვლება სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, ხოლო მეურვე-ობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს არასრულწლოვნის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლოში განხილვის დროს არასრულწლოვნის ინტერესებს წარმოადგენს.

3. ბავშვის ოჯახიდან გამოყვანისა და მშობლისგან/სხვა ჰასუხისმგებელი პირისგან განცალკევების საფუძვლები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახ-მად, ბავშვს აქეს უფლება, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი, „ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ“, მიუთითებს, რომ მშობლებთან და-შორების ზეგავლენის სიმძიმის გათვალისწინებით, განცალკევება უნდა განხორციელდეს მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების სახით, როდესაც ბავშვს ემუქრება უშუალო საფრთხე ან როდესაც ეს სხვა საჭიროებისთვის არის აუცილებელი. განცალკევება და ბავ-შვის მშობლისგან დაშორება არ უნდა მოხდეს, თუ ნაკლებად ინ-ტრუზიური/მკაცრი ზომებით შესაძლებელია არასრულწლოვნის დაცვა. განცალკევებამდე სახელმწიფო უნდა დაეხმაროს მშობ-ლებს ჰასუხისმგებლობის შესრულებაში და აღადგინოს, გააძლიე-როს ოჯახის შესაძლებლობები/უნარი, იზრუნოს ბავშვზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაშორება აუცილებელია ბავშვის დასაცა-ვად. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბავშვის მშობლებისგან განცალ-

კევება არ შეიძლება იქნას გამართლებული ეკონომიკური მიზე-ზებით.¹⁰⁷

არასრულწლოვანზე ძალადობის დროს პოლიციის უფლებამო-სილი თანამშრომლის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერის საფუძველზე, ხოლო ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერი-რების) პროცედურებით განსაზღვრულ შემთხვევებში – სოცია-ლური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით ხდება ბავშვის განცალკევება მოძალადე მშობლისგან (მშობლებისგან), სხვა კა-ნონიერი წარმომადგენლისაგან ან ნებისმიერი სხვა მოძალადისა-გან. ამდენად, ბავშვის მოძალადისგან განცალკევების ინიციატო-რი შეიძლება იყოს პოლიციის თანამშრომელი ან სოციალური მუ-შაკი. სოციალურ მუშაკს ამგვარი უფლებამოსილება – ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტე-რესის დაცვის მიზნით, არასრულწლოვანი განაცალკევოს მოძა-ლადე ოჯახის წევრისაგან, კანონიერი წარმომადგენლისგან ან სხვა პირისგან, 2016 წელს მიენიჭა. მოტივად დასახელდა არას-რულწლოვნის ოჯახიდან გამოყვანის საკითხში სოციალური მუ-შაკის, როგორც სპეციალური ცოდნისა და კვალიფიკაციის მატა-რებელი პროფესიონალის, შეფასება და ჩართულობა.¹⁰⁸

არასრულწლოვნის მშობლისაგან (მშობლებისაგან), სხვა კანო-ნიერი წარმომადგენლისაგან ან არასრულწლოვანთან ფაქტობრი-ვად მყოფი/მცხოვრები ნებისმიერი სხვა პირისაგან განცალკევე-ბა არის უკიდურესი ზომა, კერძოდ, განცალკევება წარმოადგენს არასრულწლოვნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფ უკიდურეს ზომას, რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდე-საც გამოყენებულ იქნა ყველა სხვა, ნაკლებად მკაცი ზომა (მათ შორის, გასაუბრება და გაფრთხილება) და ამ ზომებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ან როდესაც შექმნილ ვითარებაში აშკარაა,

¹⁰⁷ General comment No. 14 (2013) on the right of the child to have his or her best interests taken as a primary consideration (art. 3, para. 1), Committee on the Rights of the Children, 2013, V – Implementation: assessing and determining the child's best interests, §c-61, nб. <https://bit.ly/3bJKk0j> [15.01.2021].

¹⁰⁸ განმარტებითი ბარათი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლი-ლებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, იხ. <https://bit.ly/3qzXMrQ> [20.01.2021].

რომ მომდევნო 24 საათის განმავლობაში ნაკლებად მკაცრი ზომის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, რაც გამოიწვევს ბავშვის გარდაუვალ დაღუპვას ან ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას. ბავშვი მშობლისგან არ უნდა განცალკევდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მშობელს არ აქვს საათანადო საცხოვრებელი პირობები ან ფინანსური სახსრები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელება სასურველ შედეგს არ იძლევა ან არსებობს საქმარისი საფუძველი დასკვნისათვის, რომ ამ ღონისძიების განხორციელებას სასურველი შედეგი არ ექნება. შესაბამისად, ბავშვის განცალკევება/მისი ოჯახიდან გამოყვანა განხილული უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ინსტრუმენტების ეფექტითან უნდა შეფასდეს არასრულწლოვნის მშობლებთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებთან დატოვების პერსპექტივით.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნის განცალკევების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შეფასდეს, წარმოადგენს თუ არა ეს უკიდურეს ზომას, ანუ რა გაკეთდა ბავშვის ოჯახთან კავშირის შესანარჩუნებლად და გამოიღო თუ არა ამან სასურველი შედეგი ან/და ადგილი ხომ არ აქვს გადაუდებელ შემთხვევას – მდგომარეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო დებულებების ანალიზი მიუთითებს, „უკიდურესი ზომა“ ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ადგილი აქვს „გადაუდებელ მდგომარეობას“. კერძოდ, კანონმდებლობა უკიდურეს ზომად განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც გამოყენებულ იქნა ყველა სხვა, ნაკლებად მკაცრი ზომა (მათ შორის, გასაუბრება და გაფრთხილება) და ამ ზომებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რაც ავტომატურად არ გულისხმობს გადაუდებელი ვითარების შექმნას (მაგ., შესაძლოა მოძალადე მშობლის/მშობლების მიმართ, რომლებიც უგულებელყოფენ არასრულწლოვნის კანონიერ ინტერესებს, განხორციელებულმა ყველა მცდელობამ და ღონისძიებამ, ბავშვის ოჯახთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნების თაობაზე, არ

გაამართლა, რამაც შექმნა უკიდურესი ვითარება, მაგრამ არა გა-დაუდებელი შემთხვევა, რადგან ბავშვის სიცოცხლეს ან ჯან-მრთელობას მომდევნო 24 საათის განმავლობაში საფრთხე არ ექ-მნება). გადაუდებელი მდგომარეობა მიუთითებს უკიდურეს ვითა-რებაზე, როდესაც საჭიროა არასრულწლოვნის მშობლისაგან ან სხვა პასუხისმგებელი პირისაგან განცალკევება.

2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან ამოქმედდა ბავშვის უფლება-თა კოდექსი, რომლის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნ-ველყოფა. იგი განსაზღვრავს ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ქმნის ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავი-სუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირე-ბის სამართლებრივ საფუძვლებს. კოდექსის 26-ე მუხლი ადგენს სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის მშობლისაგან განცალკევების საფუძვლებსა და პროცედურებს.

აღნიშნული მუხლის თანახმად, ბავშვი მისი ნების საწინააღ-მდეგოდ არ უნდა განცალკევდეს მშობლისგან, გარდა იმ შემთხვე-ვისა, როდესაც მათი დაშორება აუცილებელია ბავშვის საუკეთე-სო ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების სა-ფუძველზე.

ბავშვის მშობლისაგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილე-ბას იღებს სოციალური მუშაკი, რის შემდეგაც შუამდგომლობით მიმართავს რაიონულ (საქალაქო) სასამართლო ბავშვის ადგილ-სამყოფელის მიხედვით. მოსამართლე სოციალური მუშაკის შუამ-დგომლობას ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხი-ლავს და 24 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ბავ-შვის მშობლისაგან განცალკევების ან განცალკევებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული წესისგან არსებობს გამონაკლისი, როდესაც შესაძლებელია, ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას მყისიერი და უშუალო საფრთხე შეექმნას, ანუ როდესაც არსებობს გადაუდებელი შემთხვევა, სოციალური მუშა-კი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ მიიღოს ბავშვის მშობლის-გან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება, რის შემდეგაც 24 საათის განმავლობაში შუამდგომლობით უნდა მიმართოს სასა-მართლოს თანხმობის მისაღებად. შუამდგომლობა უნდა შეიცავ-დეს დასაბუთებას ბავშვის მშობლისგან განცალკევების გადაუ-

დებელი აუცილებლობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკის მიერ შესაძლო საფრთხეების შეფასებაში უნდა მონაწილეობდეს პოლიციის თანამშრომელიც. მოსამართლე სოციალური მუშაკის შუამდგომლობას ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს და 24 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის მშობლისგან განცალკევებაზე თანხმობის გაცემის ან ბავშვის მშობლისგან განცალკევებაზე თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტში გაკეთდა პირდაპირი მითითება, რომ ბავშვი მშობლისგან არ უნდა განცალკევდეს მხოლოდ იმის გამო, რომ მშობელს არ აქვს სათანადო საცხოვრებელი პირობები ან ფინანსური სახსრები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება სასურველ შედეგს არ იძლევა ან არსებობს საკმარისი საფუძველი დასკვნისთვის, რომ ამ ღონისძიებების განხორციელებას სასურველი შედეგი არ ექნება. დაუშვებელია ბავშვის მშობლისგან განცალკევება იმის გამო, რომ ბავშვი ან მშობელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. ამდენად, ოჯახის ეკონომიკური ან სოციალური პრობლემები უპირობოდ არ უნდა გახდეს ბავშვის ოჯახიდან გაყვანის მიზეზი და უპირატესობა უნდა მიენიჭოს ოჯახის გაძლიერებისა და მხარდაჭერის პროგრამებს.

რა მიზეზითაც არ უნდა მოხდეს ბავშვის მშობლისგან განცალკევება, აღნიშნული გადაწყვეტილება პერიოდულად უნდა გადაისინჯოს იმ პერსპექტივით, რომ შესაძლოა, ბავშვი დაბრუნდეს ოჯახში. ბავშვის მშობლისგან განცალკევების მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ ბავშვის ოჯახში დაბრუნება მის საუკეთესო ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს.

ზემოაღნიშნული დებულება ასევე განამტკიცებს მოსაზრებას, რომ ბავშვის მშობლისაგან განცალკევება შეიძლება მოხდეს არა-გადაუდებელ ვითარებაში, თუმცა ყველა შემთხვევაში ეს უნდა იყოს უკიდურესი ზომა.

აღნიშნული კოდექსით შეიცვალა სოციალური მუშაკის როლი და მის მიღებული გადაწყვეტილება, ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ, დაექვემდებარა სასამართლოს კონტროლს. შესაბამისად, თუ მანამდე სოციალურ მუშაკს შეეძლო

დამოუკიდებლად მიეღო გადაწყვეტილება ბავშვის განცალკევების თაობაზე, ბავშვის უფლებათა კოდექსმა სავალდებულოდ განსაზღვრა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების არსებობა ბავშვის მშობლისაგან განცალკევების თაობაზე. სოციალურ მუშაკს ერთადერთ შემთხვევაში დარჩა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის განცალკევების შესახებ სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, როდესაც არსებობს გადაუდებელი შემთხვევა, თუმცა შემდგომში აღნიშნული მაინც ექვემდებარება სასამართლო კონტროლს.

ბავშვის უფლებათა კოდექსისა და აღნიშნული ჩანაწერის ამოქმედების შემდეგ, რომელმაც სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაუქვემდებარა სასამართლო კონტროლს, შესაბამისი ცვლილებები არ განხორციელებულა სხვა აქტებში, მათ შორის, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსსა და „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის ¶ 437 დადგენილებაში. მაგ., ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹² მუხლის მე-7-მე-17 პუნქტები ითვალისწინებს არასრულწლოვნის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვნაზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას და ადგენს ამისათვის საჭირო სათანადო პროცედურებს, როდესაც ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, ბავშვის მშობლისაგან განცალკევების თაობაზე საბოლოო აქტის/გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არა სოციალური მუშაკი, არამედ სასამართლოა. ლოგიკურია, რომ გასაჩივრებას უნდა დაექვემდებაროს არა სოციალური მუშაკის, არამედ სასამართლოს გადაწყვეტილება.

ეს მოითხოვს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას ზემოხსენებულ აქტებში, რათა ისინი არ ეწინააღმდეგებოდეს და სათანადოდ არეგულირებდეს ბავშვის უფლებათა კოდექსის 26-ე მუხლიდან გამომდინარე არსებულ ვალდებულებებსა და პროცედურებს.

**ბავშვის მოძალადისაგან განცალკევების
საფუძველი და ფორმები**

ადგილი უნდა ჰქონდეს
არასრულწლოვნის მიმართ
ძალადობას, ხოლო
განცალკევება უნდა მოხდეს
უკიდურეს შემთხვევაში ან/და
გადაუდებელი
აუცილებლობის მოტივით

პოლიციის მიერ გამოცემული
შემაკავებელი ორდერის
საფუძველზე

სასამართლოს ნებართვით, სოციალური
მუშაკის შუამდგომლობის საფუძველზე
ან გადაუდებელ შემთხვევაში -
სოციალური მუშაკის ინიციატივით,
რომელიც შემდგომში ექვემდებარება
სასამართლოს კონტროლს

საინტერესო საკითხია, რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს საჭირო სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის მშობლისაგან განცალკევების თაობაზე სასამართლოს წინასწარი თანხმობის მოპოვება? ამგვარ პროცედურას, როდესაც მიზანშეწონილი იქნება სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენა, ვერ დაექვემდებარება ე.წ. გადაუდებელი შემთხვევები, ვინაიდან ასეთ დროს სოციალურ მუშაკს ეკისრება დაუყოვნებლივი რეაგირების ვალდებულება და აქვს სასამართლოსგან წინასწარი ნებართვის მოპოვების გარეშე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა

ასეთ შემთხვევებს, როდესაც რელევანტური იქნება სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვა ბავშვის განცალკევების თაობაზე, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს იმგვარი უკიდურესი ვითარების არსებობისას, როდესაც ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება სასურველ შედეგეს არ იძლევა ან არსებობს საკმარისი საფუძველი დასკვნისათვის, რომ ამ ღონისძიების განხორციელება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს და, ამავე დროს, ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას მყისიერი და უშუალო საფრთხე არ ემუქრება.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ მუშაკს ყველა შემთხვევაში ეხმარება პოლიციის თანამშრომელი ბავშვის განცალკევების თაო-

ბაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში. შესაბამისად, სოციალური მუშაკი განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე მიმართავს პოლიციას, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას. როდესაც სოციალური მუშაკი გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში იღებს გადაწყვეტილებას, აღნიშნული საჭიროებს დაუყოვნებლივ აღსრულებას. ეს გადაწყვეტილება შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში, შემოწმდება სასამართლოს მიერ. თუ სოციალური მუშაკი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით ბავშვის განცალკევების თაობაზე ნებართვის მისაღებად (ე.ნ. წინასწარი ნებართვის მოპოვება), მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში აღსრულება მოხდება უკვე სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობისას (ამ ნაწილში მნიშვნელოვანი იქნება იმის განსაზღვრა, სასამართლოს გადაწყვეტილების დაუმორჩილებლობაც უნდა მოვიაზროთ, თუ მხოლოდ სოციალური მუშაკის მიერ გადაუდებელ ვითარებაში მიღებული გადაწყვეტილება), მათ შორის, იმ შემთხვევაში, როდესაც მოძალადეს არ გააჩნია პირად საკუთრებაში არსებული ან/და სამსახურებრივ-საშტატო სტატუსის მქონე იარაღი, პოლიციის თანამშრომელი გამოსცემს იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერს. იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერი გამოიცემა 1 თვის ვადით. მისი ფორმა დამტკიცებულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 11 აგვისტოს ქ 442 ბრძანებით. აღნიშნული ინსტიტუტის დამკვიდრება უკავშირდება 2016 წლის 22 ივნისის ცვლილებებს, რომელთა მიზანიც იყო ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ნებისმიერი ფორმის არსებობისას მოძალადისგან არასრულწლოვნის განცალკევების შემთხვევაში სოციალური მუშაკის როლის გაძლიერება და მისი ჩართულობის გაზრდა. კანონპროექტში მკაფიოდ არ არის დასაბუთებული მიზანი, რომელსაც ემსახურებოდა იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერის ინსტიტუტისა და მისი საფუძვლების

შემოტანა,¹⁰⁹ თუმცა, სავარაუდოდ, ეს ნაკარნახევია იმით, რომ იარაღი არის მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი საგანი, მოძალადეს კი, რომელიც არ ემორჩილება ბავშვის მისგან განცალკევების გადაწყვეტილებას, არ ჰქონდეს იარაღთან თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა.

სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობისას პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175² მუხლით, რომელიც იწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით. აღნიშნული პასუხისმგებლობის საფუძველი კანონმდებლობაში გაჩნდა 2016 წლის 22 ივნისს, რომლის მიზნადაც განისაზღვრა სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის განცალკევებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ეფექტიანობის უზრუნველყოფა.¹¹⁰ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს ასევე აქვთ უფლებამოსილება არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობისას დამრღვევის მიმართ გამოიყენონ ადმინისტრაციული დაკავება. არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა იმ პირის მიერ, რომელსაც ასეთი ქმედების ჩადენისათვის უკვე შეფარდებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი, ანუ ქმედების განმეორებით ჩადენა, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას 381¹ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის ამოქმედების შემდეგ აღნიშნული რეგულაციები უნდა გავრცელდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სოციალური მუშაკი გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის განცალკევების თაობაზე. თუ პირი არ დაემორჩილება სა-

¹⁰⁹ განმარტებითი ბარათი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, იხ. <https://bit.ly/3bVHnKd> [20.01.2021].

¹¹⁰ განმარტებითი ბარათი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე, იხ. <https://bit.ly/39MgOV6> [20.01.2021].

სამართლოს გადაწყვეტილებას, ანუ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მიმართავს დაუმორჩილებლობის ღონისძიებებს, აღნიშნული განხილული უნდა იქნეს, როგორც დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით – განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან/და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა.

მას შემდეგ, რაც მიიღება გადაწყვეტილება არასრულწლოვნის მოძალადისაგან განცალკევების შესახებ, მოძიებული უნდა იქნეს შესაბამისი ადგილი, სადაც განთავსდება ბავშვი.

ბავშვის უსაფრთხო გარემოში გადაყვანისას შესაძლებელია მიღებულ იქნეს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილ გადაწყვეტილებათაგან:

ა) ბავშვი განთავსდეს არამოძალადე ოჯახის წევრთან, რომელიც სხვა მისამართზე ცხოვრობს;

ბ) ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ბავშვი განთავსდეს მესამე პირთან (ნათესავი, მეზობელი და სხვ.);

გ) ბავშვი განთავსდეს მინდობით აღზრდაში ან/და ბავშვთა სპეციალიზებულ ერთ-ერთ დაწესებულებაში;

დ) ბავშვი განთავსდეს თავშესაფარში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ოჯახში ძალადობას ან/და არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) და ბავშვი ცნობილია ოჯახში ძალადობის ან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად ან/და დაზარალებულად და ვერ ხერხდება ზემოაღნიშნული „ა-გ“ პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებებით უზრუნველყოფა;

ე) თუ ძალადობა მოხდა ოჯახის გარეთ ოჯახის არაწევრის მიერ, ბავშვი უნდა დაბრუნდეს სახლში პოლიციის თანხლებით;

ვ) გადაუდებელ შემთხვევაში ბავშვი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, განთავსდეს სამედიცინო დაწესებულებაში.

ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებებსა და თავშესაფრებში უნდა არსებობდეს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ცხოვრების, მოვლისა და რეაბილიტაციისთვის ყველა საჭირო პირობა.

ადგილის მოძიებისას, პირველ რიგში, უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოს, რომელიც ბავშვისთვის არის ნაცნობი და მშობლიური (მაგ., ეს შეიძლება იყოს ბავშვის არამოძალადე მშო-

ბელი, თუ იგი სხვა მისამართზე ცხოვრობს, ახლო ნათესავი და ა.შ.).

შესაბამისი ადგილის/სივრცის მოძიებისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის აზრი მისი ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით. წებისმიერ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

თავი IV. სექსუალური შევიწროება და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა.

შევიწროება არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შეღახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ხოლო სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შეღახვას და მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს ქმნის.¹¹¹

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია) მე-40 მუხლის თანახმად, მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შეღახვას მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნის გზით, დაექვემდებაროს სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივ სანქციებს.

ამიტომ, 2017 წელს, მისი ხელმოწერისა და რატიფიცირების შემდეგ, საქართველოს გაუჩნდა ვალდებულება, რომ შიდა კანონმდებლობა შესაბამისობაში მოეყვანა კონვენციის მოთხოვნებთან.

გაეროს კონვენცია „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა დასაქმების დარგში ქალ-

¹¹¹ საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 2, ნაწილი 3¹, 3².

თა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყონ მა-
მაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე თანაბარი უფ-
ლებები, ¹¹² ხოლო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ ევროკავ-
შირის განახლებული დირექტივა აღნიშნავს, რომ შევიწროება და
სექსუალური შევიწროება ეწინააღმდეგება ქალისა და მამაკაცის
თანაბარი მოპყრობის პრინციპს და წარმოადგენს სქესის ნიშნით
დისკრიმინაციას, რომელიც გვხვდება არა მარტო სამუშაო ად-
გილზე, არამედ დასაქმების ხელმისაწვდომობის კონტექსტში,
პროფესიული სწავლებისა და დაწინაურების პირობებში. შესაბა-
მისად, იგი უნდა აიკრძალოს და დაექვემდებაროს ეფექტურ და
პროპორციულ სანქციებს.¹¹³

სექსუალური შევიწროება შეიძლება ხდებოდეს როგორც სა-
ჯარო სივრცეში, ისე სამუშაო ადგილას/სერვისის მიწოდების
დროს. ორივე მათგანს განსხვავებული წინაპირობა, ჩადენის მო-
ტივი და მატერიალური თუ არამატერიალური შედეგები გააჩ-
ნია. ¹¹⁴ განსხვავებულია რეაგირების მექანიზმებიც.

სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი
ფორმით: ფიზიკური, სიტყვიერი და არასიტყვიერი (არავერბალუ-
რი).

ფიზიკური ქცევა ნიშნავს არასასურველ შეხებას (ფიზიკურ
კონტაქტს) ადამიანის სხეულის სხვადასხვა ადგილას (მაგ.,
მკერდზე, ფეხებზე და ა.შ.). ფიზიკური ფორმა შეიძლება მოი-
ცავდეს კოცნას, ჩქმეტას, ჩახუტებას და ა.შ.;

სიტყვიერი ანუ ვერბალური ქცევა გამოიხატება სექსუალუ-
რი შინაარსის ფრაზებით მიმართვაში. სიტყვიერია შეუფერე-
ბელი და სექსუალური ხასიათის შეურაცხმყოფელი შენიშვნე-
ბი, ხუმრობა და კომენტარები, შეკითხვები ადამიანის პირად
ცხოვრებასთან ან ცხოვრების სტილთან დაკავშირებით და
ა.შ.;

¹¹² გაეროს კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის
შესახებ“, 1979, მუხლი 11.

¹¹³ Directive 2006/54/EC of the European Parliament and of the Council, on the
implementation of the principle of equal opportunities and equal treatment of men
and women in matters of employment and occupation (recast), 5 July, 2006, §6, ob.
<https://bit.ly/3sZGDK1> [27.01.2021].

¹¹⁴ სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში: საკანონმდებლო პრაქტიკის
ანალიზი, კავშირი „საფარი“, 2017, 13.

არასიტყვიერი ანუ არავერბალური ქცევა ნიშნავს სექსუალური ხასიათის ჟესტიკულაციის გამოყენებით ან კონკლუდენტური მოქმედებით განხორციელებულ ქმედებას (მაგ., სექსუალური ხასიათის ფოტოების/ვიდეოების ჩვენება ან გაგზავნა, სექსუალური ხასიათის წერილის/შეტყობინების გაგზავნა, გენიტალიების ჩვენება, სექსუალური აქტის იმიტაცია ჟესტიკებით და ა.შ.).¹¹⁵

რა თქმა უნდა, აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, თუ რამდენად არის ქმედება არასასურველი შინაარსის მატარებელი.

სექსუალური შევიწროების მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი სქესისა თუ სხვა მდგომარეობის/ნიშნის მიუხედავად.

მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური შევიწროების ობიექტს უფრო ხშირად ქალი წარმოადგენს, იმატებს ისეთი შემთხვევების რიცხვი, რომელთა დროსაც კაციც ექვემდებარება მსგავსი ხასიათის არასასურველ ქცევას.¹¹⁶

2017 წელს საქართველოში ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის თანახმად, ხუთიდან ერთ ქალს (20%), სულ მცირე, ერთი სახის სექსუალური შევიწროება მაინც გამოუცდია. ქალების 10%-მა განაცხადა, რომ სექსუალური შევიწროება გამოცდილი აქვს სამუშაო ადგილას. ამავე კვლევის თანახმად, სექსუალური შევიწროების ყველაზე გავრცელებული სახეებია: უადგილო ყურება ან შემოხედვა (15%), მომაბეზრებელი კომენტარები პირად ცხოვრებაზე (7%), სექსუალური ხასიათის კომენტარები ან ხუმრობები და არასასურველი შეხება, ჩახუტება ან კოცნა (6%).¹¹⁷ რაც შეხება შემავიწროებელს, ზემოხსენებული

¹¹⁵ ქცევა, რომელიც შეფასებულია სექსუალურ შევიწროებად შეგიძლიათ იხ. Sexual Harassment at Work, Fact Sheet, International Labour Office, 1, იხ. <https://bit.ly/393HdiC>; ასევე, იხ. What is Sexual Harassment?, UN, 1; <https://bit.ly/36SAXax>.

¹¹⁶ გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, „უფლებები საქართველო“ (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი), 2014, 78.

¹¹⁷ ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და საქსტატი, 2017, 56.

კვლევით დადგინდა, რომ სექსუალურ შევიწროებას ყველაზე ხშირად უცნობი კაცები (14%) და კაცი მეგობრები/ნაცნობები (4%) ჩადიან. სექსუალური შევიწროების სუბიექტად დასახელებული იყვნენ ქალი მეგობრები და ნაცნობებიც (2%).¹¹⁸

საინტერესოა, რომ ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ 2014 წელს თბილისში, საჯარო ტრანსპორტსა და სხვა მსგავს ადგილებში, სექსუალური შევიწროების გამოცდილების შესახებ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 200 რესპონდენტიდან 45%-ს გამოუცდია სექსუალური შევიწროება თბილისის მეტროში, ხოლო შევიწროების ყველაზე გავრცელებული ფორმები იყო მიშტერება (73%), სექსუალური ხასიათის კომენტარები (31%), არასასურველი შეხება (38%) და ა.შ.¹¹⁹

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის თებერვალსა და მაისში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც, სექსუალური შევიწროების ქცევის განჭვრეტადობისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების განსაზღვრის თვალსაზრისით, სავარაუდო მსხვერპლისათვის მეტად დაცული სივრცე შექმნა.¹²⁰

1. სექსუალური შევიწროება საჯარო სივრცეში

2019 წლის მაისში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროება განისაზღვრა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და მისი ჩადენისათვის შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელები დაწესდა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166¹ მუხლის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის

¹¹⁸ ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და საქართველოს მთავრობა, 2017, 57.

¹¹⁹ Georgia: Rapid Assessment of Sexual Harassment in Public Transport and Connected Spaces in Tbilisi, Technical Assistance Consultant's Report, Women's Information Center, Asian Development Bank, 2014, 5.

¹²⁰ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგრმარეობის შესახებ, 2019, 7, იხ. <https://bit.ly/3sPjz58> [30.10.2020].

ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შე-ლახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს. პირის პასუ-ხისმგებლობას ამძიმებს, თუ სამართალდარღვევა ჩადენილი იქ-ნება განმეორებით – ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში, ნინასნარი შეცნობით არარულწლოვნის, ორსულის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძ-ლებლობის მქონე პირის მიმართ ან არასრულწლოვნის თანდას-წრებით. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებაა სამარ-თალდარღვევის ჩადენა ორი ან მეტი პირის მიმართ. დამამძიმებე-ლი გარემოებების არსებობისას იზრდება ჯარიმის ოდენობა და სახდელის ზომა და ყველაზე მძიმე გარემოების არსებობისას, ჯა-რიმასთან ერთად, ალტერნატივის სახით, გათვალისწინებულია გამასწორებელი სამუშაოები 1 თვემდე ვადით ან ადმინისტრაცი-ული პატიმრობა 10 დღემდე ვადით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიზნები-სათვის, სექსუალური შევიწროების დასადგენად, მნიშვნელოვა-ნია შემდეგი გარემოებების ერთობლივად არსებობა:

1. ადგილი უნდა ჰქონდეს სექსუალური ხასიათის ქცევას;
 2. სექსუალური ხასიათის ქცევა ჩადენილი უნდა იქნეს საჯა-რო სივრცეში (საზოგადოებრივ ადგილებში);
 3. სექსუალური ხასიათის ქცევა არასასურველი უნდა იყოს იმ პირისთვის ვისკენაც არის მიმართული;
 4. სექსუალური ხასიათის ქცევა მიზნად უნდა ისახავდეს ან/და იწვევდეს იმ პირის ღირსების შელახვას, ვისკენაც არის მიმართული;
 5. სექსუალური ხასიათის ქცევა უნდა ქმნიდეს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეუ-რაცხმყოფელ გარემოს იმ პირისათვის, რომელსაც მიე-მართება.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიზნე-ბისათვის სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალუ-რი ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არა-სიტყვიერი ფიზიკური ქცევა.

- საჯაროდ სივრცედ, ანუ საზოგადოებრივ ადგილად, უნდა ჩაითვალოს ისეთი სივრცე (ტერიტორია ან ადგილი), სადაც ნებისმიერ პირს აქვს ყოფნის უფლება ან ამ უფლების მოპოვების შესაძლებლობა, ანუ სივრცე ღია და ხელმისაწვდომია ყველა ადამიანისთვის. ეს არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები, როგორებიცაა: პლაზები, სკვერები და პარკები, დამაკავშირებელი სივრცეები – ტროტუარები და ქუჩები. კონკრეტული ტერიტორია შესაძლოა არსებობდეს კერძო საკუთრებაში, თუმცა ის მაინც იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი. საჯარო სივრცე შეიძლება იყოს როგორც ღია, ისე დახურული.

მაგა:

- **ღია** საჯარო სივრცეა ქუჩა, ეზო, სკვერი, პარკი, დაწესებულების გარე ტერიტორია და ა.შ.
- **დახურული** საჯარო სივრცეა კაფე, რესტორანი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, კინოთეატრი, საკონცერტო დარბაზი, გასართობი ობიექტები, მაღაზია და ა.შ.

საინტერესოა, უნდა ჩაითვალოს თუ არა ე.წ. ვირტუალური სივრცე (სოციალური ქსელი, ელექტრონული საკომუნიკაციო წყაროები და ა.შ.) საზოგადოებრივ ადგილად?

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ პირადი მიმოწერისას გაგზავნილი სექსუალური შინაარსის შეტყობინებები და ფოტოები, რომლებმაც გამოიწვია ქალის ღირსების შელახვა და შეურაცხყოფა, მიიჩნია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, ანუ სოციალური ქსელის პირადი კომუნიკაცია ჩათვალა საზოგადოებრივ ადგილად.¹²¹ მართალია, სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რატომ მიიჩნევა სოციალურ ქსელში მიმოწერის ფორმატი საზოგადოებრივ ადგილად, თუმცა ნათელია, რომ ადამიანებს შორის ამგვარი პირადი მიმოწერა/კერძო შეტყობინებების გაგზავნა არ უნდა მივიჩნიოთ საჯარო სივრცედ, შესაბამისად, შემავიწროებელს პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166¹ მუხლით.

¹²¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 აგვისტოს №4/1670-19 დადგენილება.

თუმცა დასაფიქრებელია, სოციალურ ქსელში საჯაროდ გან-
თავსებული და ყველასთვის ან ბევრი ადამიანისთვის ხელმისაწ-
ვდომი „პოსტი“ რამდენად შეიძლება მივიჩნიოთ საჯარო სივრცე-
ში სექსუალურ შევიწროებად, თუ მას აქვს სექსუალური შინაარ-
სი?

21-ე საუკუნეში ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი
ვირტუალი სივრცეებიც განიხილება, როგორც ახალი ტიპის სა-
ჯარო სივრცე, რომელიც ავითარებს ინტერაქციასა და სოცია-
ლურ ურთიერთობებს.¹²² ერთ-ერთ საქმეზე უზენაესი სასამარ-
თლო ყურადღებას ამახვილებს სოციალური ქსელის არსა და და-
ნიშნულებაზე და აღნიშნავს, რომ სოციალური ქსელი არის პლატ-
ფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად
იმ ადამიანებისგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქ-
მიანობის სფერო, პოპი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი
(ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ.). თითოეული სო-
ციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისა-
გან (ე.წ. „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვი-
სებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოცი-
ალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით
მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს, მისი საშუალებით კონ-
კრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია
ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისათვის ან
ყველა მომხმარებლისათვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინ-
ფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ
ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისათვის თუ პირთა
განუსაზღვრელი წრისათვის, მისი ციტირება პირად საუბარში,
პრესასა თუ ინტერნეტგამოცემებში. სასამართლოს მოსაზრებით,
სოციალური ქსელის ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრე-
ტული მომხმარებლის მიერ ე.წ. სტატუსისა თუ კომენტარის გა-
მოქვეყნება ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფას-
დეს.¹²³

ამ მხრივ, საინტერესოა ერთი საქმე, რომელიც ეხება სოცია-
ლურ ქსელში შესაძლო წვრილმანი ხულიგნობის ჩადენის ფაქტს.

¹²² Inclusion Through Access to Public Space, იბ. <https://bit.ly/3iPxxLh> [30.10.2020].

¹²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-
2012 გადაწყვეტილება.

მართალია, მოცემული შემთხვევა წარმოადგენს სხვა ტიპის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, თუმცა მისი განხილვა საინტერესოა საზოგადოებრივი ადგილის შეფასების თვალსაზრისით, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166¹ მუხლის არსებობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოცემული მიზნების გათვალისწინებით, აქცენტი გაკეთდება არა ქმედების შინაარსის შეფასებაზე, თუ რამდენად წარმოადგენს აღნიშნული ქმედება წვრილმან ხულიგნობას, არამედ მისი განხორციელების ადგილზე. საქმის გარემოებების მიხედვით, სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ ჯგუფში, რომელშიც გაწევრიანებული იყო სამი ათასი ადამიანი, ერთმა პირმა მეორეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ აღნიშნული შემთხვევა შეფასდა, როგორც წვრილმანი ხულიგნობა, რაც გულისხმობს საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინებას, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს წარმოადგენს ადგილი, სადაც საზოგადოების გარკვეული წევრები არიან შეკრებილი და სადაც ნებისმიერი პირი ვალდებულია, დაიცვას საზოგადოდ მიღებული ეთიკისა და ზნეობის ნორმები. სასამართლომ დასაბუთებისას აღნიშნა, რომ კანონი ევოლუციურად უნდა განმარტებულიყო და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილად მიჩნეულიყო სოციალური ქსელი, რომელიც დიდ როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში და განუსაზღვრელი წრისათვის კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების საშუალებას წარმოდგენს. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სოციალური ქსელი, მათ შორის, „ფეისბუქი“ და მისი დახურული ჯგუფი, რომელშიც, მოცემულ შემთხვევაში, სამიათასამდე მომხმარებელი იყო განევრიანებული, წარმოადგენდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს.¹²⁴ მოცემული გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებისას, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის აზრით, სოციალური ქსელი წარმოადგენს სოციალური მედიის ყველაზე გამოყენებად და აქ-

¹²⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 25 სექტემბერის №4/8628-19 დადგენილება.

ტუალურ სახეს, ვინაიდან ადამიანებს შორის სოციალური კომუნიკაცია უმეტესად სწორედ მისი საშუალებით მყარდება. სასამართლოს შეფასებით, იგი არის ინტერნეტ (ონლაინ) პლატფორმა, რომელიც მომხმარებლებს შესაძლებლობას აძლევს, ერთმანეთთან დაამყარონ კავშირი, რის გამოც დახურული ჯგუფი, რომელშიც განევრიანებულია სამი ათასზე მეტი სტუდენტი, ამ პირთა წრის საზოგადოებრივ სივრცეს წარმოადგენს, სადაც შესაძლოა დარღვეული იქნეს საზოგადოებრივი წესრიგი. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უფრო მეტი ყურადღება გაამახვილა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სტანდარტზე და სწორად აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლების საზღვრები ფასდება მის მიერ შექმნილი საფრთხის და იმ ზიანის დადგენით, რომელიც ამ გამოხატვამ შეიძლება გამოიწვიოს. შესაბამისად, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ პასუხისმებელი მიცემული პირის მიზანს არ წარმოადგენდა სხვა პირისთვის პირისპირ შეურაცხყოფის მიყენება და იგი მასთან დაკავშირებით გამოთქვამდა შეხედულებას, თუნდაც უცენზურო ფორმით, პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება პირის მიერ გაკეთებული გამონათქვამის მიზანი ყოფილიყო უკანონო ქმედების მყისიერი გამოწვევა. სასამართლომ დასკვნა, რომ იმ პირობებში, როდესაც უხამსობასთან მიმართებით საკანონმდებლო თვალსაზრისით საერთოდ არ არის დადგენილი შინაარსობრივი რეგულირება, არ შეიძლება პასუხისმებელი მიცემული სუბიექტის გამოხატვის თავისუფლება დაექვემდებაროს შეზღუდვას, როდესაც თავად პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა არ ითვალისწინებს სოციალური ქსელის მეშვეობით კრიტიკული განცხადების ან უხამსი გამონათქვამის გამოქვეყნებისთვის პასუხისმგებლობას. პალატამ განმარტა, რომ ამგვარ შემთხვევებში, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, შესაძლოა დაცული უფლების აღდგენა განხორციელდეს სხვა წესით და მისი უზრუნველყოფის მიზნით, მოთხოვნილი იქნეს გარკვეული ქმედებების დავალდებულება მოპასუხისთვის (შეურაცხმყოფელი ინფორმაციის უარყოფა, ზიანის ანაზღაურება, ბოდიშის მოხდა და სხვ.), კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი საერთო წესების დაცვით. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კა-

ნონი, რომელიც სოციალური ქსელის გამოყენების შემთხვევაში აწესებს სიტყვისა და გამოხატვის შინაარსობრივ რეგულირებას უხამსობასთან მიმართებით, არ შეიძლება, აღნიშნული წესით დადგეს პირის პასუხისმგებლობის საკითხი.¹²⁵

აღსანიშნავია, რომ საჯარო სივრცეში, ანუ საზოგადოებრივ ადგილებში, სექსუალური შევიწროების ჩადენისას შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს უფლების დაცვის მექანიზმებს შორის კომპეტენციის გადაფარვის საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით სახალხო დამცველის მანდატი ვრცელდება ნებისმიერ სფეროში მომხდარ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტებზე, შესაძლებელია, პრაქტიკაში, საზოგადოებრივ ადგილას სექსუალური შევიწროების სავარაუდო ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით, გართულდეს სახალხო დამცველისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციების გამიჯვნა, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი ადგილის განმარტებისას.¹²⁶ თუმცა, თუ სახალხო დამცველისთვის მიმართვისას ირკვევა, რომ სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტი ჩადენილია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას, შემთხვევა უნდა გადამისამართდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ვინაიდან საჯარო სივრცეში მომხდარ სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მანდატი აქვს პოლიციას.

- სექსუალური ხასიათის ქცევის არასასურველობა გულისხმობს იმას, რომ იგი მიუღებელი უნდა იყოს ადრესატისთვის. ქმედების არასასურველობა შეიძლება დადგინდეს არა მარტო მსხვერპლის მიერ გაკეთებული კომენტარით, რომელიც შემავიწროებელს მიემართება, არამედ მისი ქცევით, უესტიკულაციითა და სხვა გარემოებებით. ზოგჯერ შემავიწროებლის ქცევა იმთავითვე არასასურველი და მიუღებელია (მაგ., გენიტალიების ჩვენება, ადამიანის სხეულის სხვადასხვა ადგილას შეხება და ა.შ.).

¹²⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის №4/ა-889-19 დადგენილება.

¹²⁶ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019, 9, იხ. <https://bit.ly/3sPijs58> [30.10.2020].

- სექსუალური ხასიათის ქცევა მიზნად უნდა ისახავდეს ან უნდა იწვევდეს პირის ღირსების შელახვას. შესაძლოა, შემავიწროებლის მიზანი არ იყოს პირის ღირსების შელახვა, თუმცა მის ქცევას მოჰყვეს ადრესატისათვის ღირსების შელახვა. შემავიწროებლის ქმედება მიზნად ისახავდა თუ არა პირის ღირსების შელახვას ან მისი ქცევა იყო თუ არა ღირსების შემლახველი, უნდა დადგინდეს კონკრეტული გარემოებების, მათ შორის, შემავიწროებლის ქცევის, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის, მსხვერპლის მოწყვლადობისა (მისი ემოციური მდგომარეობის) და დამდგარი შედეგების საფუძველზე.
- სექსუალური შევიწროების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომ სექსუალური ხასიათის ქცევა უნდა ქმნიდეს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს, ვისკენაც არის იგი მიმართული. აღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის არსებობაც საკმარისია იმისათვის, რომ ამან მსხვერპლზე მოახდინოს მძიმე ემოციური გავლენა. მსხვერპლისათვის დამაშინებელი შეიძლება იყოს ისეთი გარემო, რომელშიც მას გაუჩნდება შიშისა და დაუცველობის განცდა, შიში იმის თაობაზე, რომ შესაძლოა შემავიწროებელმა მას რაიმე დაუშაოს. მტრული და არამეგობრული შეიძლება იყოს ისეთი გარემო, რომელშიც მსხვერპლის მიმართ უარყოფითად არიან განწყობილი და მაღალია მის მიმართ ძალადობის ან შეურაცხყოფის განხორციელების რისკი. აქედან გამომდინარე, შეიძლება მსხვერპლს ხელი შეეშალოს საკუთარი მოვალეობებისა და სურვილების განხორციელებაში. რაც შეეხება დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს, ასეთ დროს მსხვერპლი თავს გრძნობს დამცირებულად, შეურაცხყოფილად და ღირსებაშელახულად იმის გამო, რომ მის მიმართ სექსუალური ხასიათის ქცევა განხორციელდა.

ქვემოთ მოცემულია საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ჩადენის მაგალითები

2019 წლის იანვარს, დაახლოებით 20:00-21:00 საათის შუალედში სამარშუტო მიკროავტობუსში, მოქალაქეების თანდასწრებით, მამაკაცი ერთ-ერთი მგზავრ ქალს შეეხო სხეულზე, კერძოდ, ფეხებზე, რაც მისთვის იყო დამამცირებელი და ღირსების შემლახველი.

უცნობი მამაკაცი მეტროს ვაგონში მეტისმეტად მიაუახლოვდა კართან მდგომ ერთ-ერთ მგზავრ ქალს. ქალს დაეუფლა უსიამოვნო შეგრძნება, შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი განცდა და სცადა, უკან დაწეულიყო. თუმცა შემდეგ კვლავ იგრძნო სხეულზე სასქესო ორგანოს მჭიდროდ შეხება და მამაკაცს მოსთხოვა, უკან დაეხია.

ქუჩაში სეირნობისას ახალგაზრდა ქალს უცნობმა მამაკაცმა შესთავაზა სქესობრივი კავშირის დამყარება და აჩვენა სასქესო ორგანო, რამაც ქალს შეუქმნა შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი გარემო და მამინვე გაეცალა ტერიტორიას.

საზოგადოებრივ ტრანსპორტში მამაკაცმა უთხრა მგზავრ ქალს, რომ ძალიან ლამაზი მკერდი ჰქონდა და მასთან ისურვებდა სქესობრივი კავშირის დამყარებას, რაც ქალისთვის იყო დამამცირებელი და ღირსების შემლახველი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და შეურაცხმყოფელი ქმედების ჩადენისათვის. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილი სამართალდარღვევად აცხადებს საზოგადოებრივ ადგილებში ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას, რაც გამოიხატება საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესების აშკარა უპატივცემულობით და იწვევს ადამიანისთვის დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას (სექსუალური ხასიათის ქცევა, სრული ან ნაწილობრივი

უხამსი გაშიშვლება, საზოგადოებრივ ადგილებში ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება). მოცემულ შემთხვევაშიც აუცილებელია, რომ ამ ქმედებამ ადამიანისათვის/ადამიანებისათვის შექმნას დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემო. შესაბამისად, თუ სექსუალური ხასიათის ქცევა მიმართული არ იყო კონკრეტულ პირზე/პირებზე და კანონდამრღვევი სექსუალური ან სხვა ხასიათის ქცევით იჩენს უპატივცემულობას საზოგადოების მიმართ (ანუ მიემართება პირთა განუსაზღვრელ წრეს), მისი ქმედება უნდა შეფასდეს აღნიშნული მუხლით (მაგ., პირი ტანსაცმლის გარეშე, შიშველი გადაადგილდება ქუჩაში). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166¹ მუხლის დეფინიცია, რომელიც სექსუალურ შევიწროებად მიიჩნევს საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევას, სწორედ „პირზე“ ხაზგასმით აკეთებს აქცენტს კონკრეტულ სუბიექტზე, რომელსაც ან რომლებსაც უნდა მიემართებოდეს სექსუალური შინაარსის ქმედება. რადგან სექსუალურ შევიწროებას ჰყავს კონკრეტული ადრესატი, ამიტომაც არის მისი შედეგები განსაკუთრებით მძიმე მსხვერპლისთვის.

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირებას ახდენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. შესაბამისად, საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების ჩადენისას სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირები,¹²⁷ რის შემდეგაც შესაბამისი მასალები უნდა გაიგზავნოს საქალაქო/რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომელიც 7 დღის ვადაში განიხილავს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს.¹²⁸

სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს საქალაქო (რაიონული) სასამართლო.¹²⁹

¹²⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 239, ნაწილი 60¹.

¹²⁸ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 262, ნაწილი 2.

¹²⁹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 208.

საქმის განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის მიერ.¹³⁰

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის მართებულად გადაწყვეტისთვის. ეს მონაცემები დგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგები მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტიზის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმისა და სხვა დოკუმენტებით.¹³¹ სწორედ აღნიშნული ინფორმაციისა და მტკიცებულებების საფუძველზე დგინდება, ჰქონდა თუ არა ადგილი კონკრეტული პირის მიმართ სექსუალური შევიწროების ფაქტს.

სასამართლო ერთ-ერთი სექსუალური შევიწროების საქმეზე განმარტავს, რომ კანონი არ ავალდებულებს მხარეს ზემოაღნიშნული მტკიცებულებების ერთობლიობაში წარმოდგენას (მაგ., რიგ შემთხვევებში საკმარისია მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წარმოდგენა ან სამართალდარღვევის ოქმთან ერთად წარმოდგენილი იქნეს ადმინისტრაციულ პასუხისმგები მიცემული პირის ახსნა-განმარტება, ან მოწმის ჩვენება, ან ექსპერტიზის დასკვნა, ან ფოტოფირი). ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად,

¹³⁰ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 252, ნაზღილი 2.

¹³¹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 236.

ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც ხელმძღვანელობს კანონითა და მართლშეგნებით, მტკიცებულებას აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცების პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ თვითმხილველი მოწმეები, რომელთა ჩვენებები, ახსნა-განმარტებები მომეტებული ინფორმაციულობით გამოირჩევა და წარმოადგენს საქმის მტკიცებულების უმნიშვნელოვანეს წყაროს. თუმცა, როგორც სასამართლო მიუთითებს, მოწმეთა ეს ჯგუფი შედარებით მცირეა და მას ძირითადად პოლიციის ოპერატიული მუშაკები შეადგენენ. მოსამართლის შეფასებით, თვითმხილველთა ამ ჯგუფს მიზანმიმართული ყურადღება ახასიათებთ, რაც პროფესიული საქმიანობის შინაარსით, თავისი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებით არის განპირობებული. შესაბამისად, თვითმხილველ მოწმეთა ამ ჯგუფის მიერ სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღება უკავშირდება მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას.

რაც შეეხება იმ პირის ახსნა-განმარტებას, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, სასამართლო განმარტავს შემდეგს: „იურისდიქციული საქმიანობის ფარგლებში ქცევის ეგატიური შეფასება ინვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რის გამოც მისი, როგორც საქმის შედეგში უშუალოდ დაინტერესებული პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, შესაძლოა ნაკარნახევი იყოს დარღვევის დაფარვის ან მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით. ასეთი პირის ჩვენება ყოველთვის უნდა შეჯერდეს საქმეზე შეკრებილ სხვა მტკიცებულებებთან“.

როგორც სასამართლო უთითებს, მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ იმ პირისაგან განსხვავებით, რომლის მიმართაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე და რომელიც პასუხს არ აგებს ცრუ ჩვენების, ახსნა-განმარტების მიცემისათვის თავის არიდების გამო, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი ჩვენებას იძლევა არა უფლების, არამედ თავისი მორალური და იურიდიული ვალდებულების გამო, რომლის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს მის მიმართ სახელ-

მნიშვნელოვანი იძულების პროპორციული ზომების გამოყენება (დისციპლინური, ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა). შესაბამისად, მოსამართლის შეფასებით, ფაქტებისა და გარემოებების წრე, რომლის შესახებაც იძლევა ჩვენებას პოლიციის თანამშრომელი, განპირობებულია საქმეზე მტკიცების საგნით, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია სამართალდარღვევის შემადგენლობით. სხვა მოწმეების ჩვენებებისგან განსხვავებით, სამართალდამცავი ორგანოს იმ თანამშრომლის ჩვენებას, რომელიც შეესწრო სამართალდარღვევას, ყოველთვის უშუალო კავშირი აქვს საქმეთან, შეიცავს ინფორმაციას სასამართლოს მიერ შესაფასებელი ფაქტების შესახებ და პასუხობს მტკიცებულებების დასაშვებობის მოთხოვნას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიუთითებს, რომ საჯარო მოსამსახურის ახსნა-განმარტება შეიცავს სანდონის ნიშანს, რომელსაც მნიშვნელობა აქვს მოსამართლის შინაგანი რწმენის ფორმირებისათვის.¹³²

საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საქმეზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი ინფორმაცია/მტკიცებულება:

სავარაუდო მსხვერპლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია; შემთხვევის შემსწრე პირის მიერ მოწოდებული ინფორმაცია;

იმ პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლებსაც შემთხვევიდან მალევე ჰქონდათ მსხვერპლთან კომუნიკაცია და ამ უკანასკნელმა მას მოუყვა ფაქტობრივი გარემოებები;

მსხვერპლის ან/და მესამე პირების მიერ გაკეთებული ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი;

სათვალთვალო ვიდეო-კამერის ჩანაწერები;

სავარაუდო სამართალდამრღვევის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ეს მტკიცებულები არ არის ამომწურავი და შესაძლებელია, პოლიციელმა მოიპოვოს და სასამართლოში წარადგინოს ნებისმი-

¹³² ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 8 თებერვლის №4-165/20 დადგენილება.

ერი სხვა ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს სექ-
სუალური შევიწროების ჩადენის ფაქტზე.

2. სექსუალური შევიწროება სამუშაო/დასაქმების ადგილას

შრომის და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას ან შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.¹³³

საქართველოს შრომის კოდექსის მიზნებისათვის დისკრიმინაციად განიხილება განზრას ან გაუფრთხილობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გართიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას.¹³⁴

საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, სამუშაო ადგილზე შევიწროება, მათ შორის, სექსუალური შევიწროება, არის დის-

¹³³ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 2, ნაწილი 3.

¹³⁴ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 4, ნაწილი 1.

კრიმინაციის ფორმა, კერძოდ, პირის მიმართ ზემოაღნიშნული რომელიმე ნიშნით განპირობებული არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემ-ლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.¹³⁵

2021 წელის პირველ იანვარს შრომის კოდექსში ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად, გათვალისწინებულია სანქციები (გაფრთხილება ან ჯარიმა) იმ დამსაქმებლებისათვის, რომლებიც დაარღვევენ დისკრიმინაციის, მათ შორის, პირდაპირი და არა-პირდაპირი დისკრიმინაციის, სამუშაო ადგილზე შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების, აკრძალვის, გონივრული მისადაგების, თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდის შესახებ პრინციპებსა და დებულებებს. შევიწროებისას ან/და სექსუალური შევიწროებისას სამართალდამრღვევი დასაქმებულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება დამსაქმებელს არ ათავისუფლებს შესაბამისი პასუხისმგებლობისგან. კერძოდ, დამსაქმებელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, თუ მისთვის ცნობილი გახდა შევიწროების ან/და სექსუალური შევიწროების ფაქტი და მან ამ ფაქტის შესახებ არ შეატყობინა შრომის ინსპექციას ან/და არ მიიღო შესაბამისი ზომები აღნიშნული ქმედების აღსაკვეთად. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შრომის ინსპექციის მიერ დამსაქმებლისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება არ ათავისუფლებს მას სხვა პასუხისმგებლობისგან, რომელიც შეიძლება დამსაქმებელს სასამართლომ პირის მიერ აღძრული სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში დააკისროს.¹³⁶

„გზნდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია პირის შევიწროება, მათ შორის, სექსუალური შევიწროება, კერძოდ, სქესის ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის ქმნის დამაშინებელ,

¹³⁵ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 4, ნაწილი 5.

¹³⁶ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს შრომის კოდექსი“, მუხლი 77, 78, 81.

მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 2019 წლის 21 ივნისს მიღებული „ძალადობისა და შევიწროების შესახებ“ ახალი კონვენციის თანახმად, დასაქმების ადგილად ითვლება არა მარტო სამუშაოს შესრულების ძირითადი ადგილი, არამედ სამუშაოს-თან დაკავშირებული ნებისმიერი აქტივობა, მათ შორის, მივლინება, შესვენება ან სამუშაოსთან შემხებლობაში მყოფი ნებისმიერი კომუნიკაცია.¹³⁷ დასაქმების ადგილას სექსუალური შევიწროება შეიძლება განხორციელდეს როგორც სამუშაო სივრცის მიღმა, ისე სამუშაო საათების შემდგომ. მაგ., ერთი თანამშრომლის მიერ მეორის მიმართ სექსუალური შინაარსის შეტყობინების გაგზავნა სოციალურ ქსელში უნდა ჩაითვალოს სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებად, ვინაიდან ისინი სამსახურებრივად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.

სასამართლო განმარტავს, რომ შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული ვალდებულია, პირადად და კეთილსინდისიერად შეასრულოს სამუშაო, დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ შინაგანანესს, ხოლო დამსაქმებელი ვალდებულია, უზრუნველყოს კანონითა და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული შრომის პირობები, რაც გულისხმობს დამსაქმებლის მოვალეობას – უზრუნველყოს დასაქმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისი, კონკრეტული სამუშაოთი, შექმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები და გასწიოს ზედამხედველობა ამ პირობების დაცვაზე. ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა გულისხმობს დასაქმებულების დაცვას, სამსახურებრივი ურთიერთობის დროს, ყოველგვარი შევიწროებისგან, რომელიც მომდინარეობს თუნდაც იმავე საწარმოში/დაწესებულებაში დასაქმებული სხვა თანამშრომლებისგან, მათ მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.¹³⁸

¹³⁷ Violence and Harassment Convention, 2019 (No. 190), Article 3, იხ. <https://bit.ly/2Nzlia9> [30.10.2020]. კონვენციის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 25 ივნისა.

¹³⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის №2ბ/1609-18 განჩინება.

სექსუალური შევიწროება სერიოზულ გავლენას ახდენს და ზიანს აყენებს ადამიანის პირად კეთილდღეობას. იგი მძიმე შედეგების მომტანია დასაქმებულებისთვის და მათში ფსიქოლოგიური პრობლემების გაღვივებას უწყობს ხელს. სექსუალურმა შევიწროებამ შესაძლოა გამოიწვიოს მათი მუშაობის ხარისხის დაქვეითება, დეპრესია და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის კარიერულ განვითარებასა და ზრდის მის მიერ სამსახურის დაკარგვის რისკს.¹³⁹

სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროება, დასაქმებულების გარდა, მნიშვნელოვან დაბრკოლებებს უქმნის დამსაქმებელსაც. დასაქმებულების ხშირი ავადმყოფობა, სამსახურის გაცდენა, სტრესის გამო შესრულებული სამუშაოს დაბალი ხარისხი კომპანიისა თუ დაწესებულების შრომისუნარიანობის დაქვეითების მიზეზი შეიძლება გახდეს. დასაქმებულის პროდუქტიულობის დაქვეითება, პროფესიონალი და მნიშვნელოვანი კადრის დაკარგვა, სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები დამსაქმებლის რეპუტაციასა და ბიუჯეტს სერიოზულ ზიანს აყენებს.¹⁴⁰

სასამართლოს შეფასებით, შევიწროებაა, როდესაც ხდება ცალკეული პირის მიმართ სხვებთან შედარებით არახელსაყრელი გარემოს შექმნა. კონკრეტულ შემთხვევაში შევიწროება ვლინდება ისეთ ფორმებში, როგორიცაა: არასასიამოვნო მზერა, შეურაცხმყოფელი ხუმრობა ან შენიშვნა, მიუღებელი კომენტარი, პირის იზოლირება, უსამართლო კრიტიკა, არასასურველი ფიზიკური კონტაქტი, უხამსი შეთავაზება. ასევე, სასამართლო უთითებს, რომ ყველა მინიშნება, შეთავაზება, კომპლიმენტი, შენიშვნა და ა.შ., ნეგატიური შეიძლება სულაც არ იყოს, მაგრამ ზოგიერთი კომპლიმენტი უტაქტია, ადამიანს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს და მასში სირცხვილის განცდას აჩენს. უფრო მეტიც, სავსებით შესაძლებელია, რომ ხელმძღვანელი პირები ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ნაკლებად უწევენ ანგარიშს გარშემომყოფთა

¹³⁹ Sexual harassment in the workplace in the European Union, European Commission, 1998, 29, იხ. <https://bit.ly/2MDuiX9> [30.10.2020].

¹⁴⁰ გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, უფლებები საქართველო (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი), 2014, 79.

ემოციებს და დასაქმების ადგილებზე იმპულსურად არღვევენ ეთიკურ ნორმებს.¹⁴¹

სექსუალური შევიწროება შევიწროების ერთ-ერთი სპეციფიკური გამოვლინების ფორმაა, ხოლო სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროების ორი ძირითადი სახე არსებობს:

1. Quid Pro Quo ანუ მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც ითვალისწინებს სექსუალური ხასიათის მოთხოვნის არსებობას ქმედებაში¹⁴² და მიზნად ისახავს ზემოქმედების მოხდენას ადამიანის სამსახურსა და კარიერულ წინსვლაზე;
2. მტრული სამუშაო გარემო, რაც სამუშაო ადგილზე დამაშინებელი და შეურაცხმყოფელი პირობების შექმნას ნიშნავს.¹⁴³

სექსუალური შევიწროება შეიძლება გამოვლინდეს როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი და იმავე სქესის პირებს შორის.

Quid Pro Quo – ძალადობა, არის თანამდებობის ბოროტად გამოყენება, რომელიც ხდება მაშინ, როდესაც: а) სამსახურებრივი წახალისება, დასაქმება, დაწინაურება, ხელფასის გაზრდა, ნაკლები სამუშაოს მიცემა და სხვა სამსახურებრივი გარემოებები, ხდება სქესობრივი კავშირის სანაცვლოდ, ხოლო მოძალადე, ძირითადად, არის სამსახურის უფროსი, მეთვალყურე, დასაქმების აგენტი, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, დასაქმებულის საქციელზე იქონიოს გავლენა ან ბ) სექსუალურ კავშირზე უარი გავლენას ახდენს პირის სამსახურებრივ მდგომარეობაზე (მაგ., დაქვეითება).¹⁴⁴

რაც შეეხება მტრულ სამუშაო გარემოს, აღნიშნული ხდება მაშინ, როდესაც მსხვერპლისათვის იქმნება არასასურველი და აუტანელი სამუშაო გარემო, რომელიც შეიცავს სექსუალური ხასია-


¹⁴¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის №2ბ/1609-18 განჩინება.

¹⁴² Sexual Harassment at Work, Fact Sheet, International Labour Office, 1, n.b. <https://bit.ly/393HdiC> [30.10.2020].

¹⁴³ Sexual Harassment at Work, Fact Sheet, International Labour Office, 1, n.b. <https://bit.ly/393HdiC> [30.10.2020].

¹⁴⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის №2ბ/1609-18 განჩინება.

თის მრავალ ფორმას (რომელიც არ გულისხმობს მომსახურების სანაცვლოდ შანტაჟს). კერძოდ, როგორიც არის: სექსუალური ხასიათის დამამცირებელი კომენტარები, მინიშნებები, სექსუალური შინაარსის მასალის ტირაჟირება და ა.შ.¹⁴⁵



146

ქვემოთ მოცემულია სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ჩადენის მაგალითები

მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ	მტრული სამუშაო გარემოს შექმნა
<p>31 წლის ლაილას, რომელიც მუშაობს ერთ-ერთ კომპანიაში, დაწინაურების შანსი გამოუჩნდა. მისმა უშუალო მენეჯერმა უთხრა, რომ ახალი სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი „არაფორმალურ გარემოში ურთიერთობა“ იქნებოდა, ხოლო როდესაც ლაილა დაინტერესდა, რა იგულისხმებოდა „არაფორმალურ გარემოში ურთიერთობის“ მიღმა, მენეჯერმა უპასუხა, რომ იგი მის-</p>	<p>ერთ-ერთ კომპანიაში ლოლას მისამართით ხშირად ამბობენ სექსისტურ კომენტარებს. კერძოდ, მამაკაცები ლოლას უუბნებიან, რომ უკეთესი იქნება, თუ ქალები სახლებში ისხდებიან და სამზარეულოს საქმეებით შემოიფარგლებიან. გარდა ამისა, ისინი ლოლას თანდასწრებით უხამს ანეკდოტებს ყვებიან, რაც მას არ სიამოვნებს.</p>

¹⁴⁵ გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, „უფლებები საქართველო“ (ყოფილი კონსტიტუციის 42-ე მუხლი), 2014, 81.

¹⁴⁶ პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, 5, იხ. <https://bit.ly/3v3RuDF> [20.05.2021].

გან მეტ სიახლოვესა და სითბოს ელოდა. ლაილამ მენეჯერს უარი უთხრა „არაფორმალურ გარემოში ურთიერთობაზე“, რის გამოც მენეჯერმა ლაილას მიერ შესრულებული სამუშაო არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.	
---	--

სექსუალური შევიწროების იდენტიფიკაციისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ქმედების არასასურველობა – იყო თუ არა სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც საჭიროებს საქმის კონტექსტისა და სხვადასხვა გარემოების შეფასებას, მსხვერპლისთვის არასასურველი. „არასასურველობის სტანდარტის“ დადგენისას მნიშვნელოვანია მსხვერპლის სუბიექტური აღქმის გათვალისწინება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების შინაარსისა და ფორმის გათვალისწინებით, არ არის აუცილებელი მსხვერპლმა აღნიშნოს მისი არასასურველობა, ვინაიდან იმთავითვე აშკარაა, რომ ამგვარი ქცევა არასასურველი და მიუღებელია ნებისმიერი ადამიანისთვის (მაგ., სხეულზე ფიზიკური შეხება, გენიტალიების ჩვენება და ა.შ., რომელთა საჭიროებაც არ არსებობს საქმიან ურთიერთობებში). მაგ., ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ ვულგარული იუმორი და ხუმრობები, რომლებიც იწვევს უხერხულობასა და სირცხვილს, უხამსი ჟესტიკულაცია, სექსუალური ფოტოების დემონსტრირება მიუღებელი ქცევა იყო და სექსუალიზებულს ხდიდა სამუშაო გარემოს.¹⁴⁷

მნიშვნელოვანია ქმედების არასასურველობის განჭვრეტაც. ზოგჯერ მსხვერპლი შეიძლება ეთანხმებოდეს კონკრეტულ ქმედებას და აქტიურად მონაწილეობდეს მასში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისთვის ეს ქცევა უსიამოვნო და შეურაცხმყოფელი იყოს. სექსუალური ხასიათის ქცევა არასასურველია, როდესაც მას დაქვემდებარებული სუბიექტი მიიჩნევს არასასურვე-

¹⁴⁷ Nova Scotia Construction Safety Association v. Nova Scotia Human Rights Commission, 2006 NSCA 63 (CanLII), NOVA SCOTIA COURT OF APPEAL, May 19, 2006, §106, *nb.* <https://bit.ly/3qUgv1j> [27.01.2021].

ლად.¹⁴⁸ შესაბამისად, თუ მსხვერპლი არ აფიქსირებს, რომ მის-
თვის გარკვეული ხასიათის ქცევა არასასურველია, ეს არ გამო-
რიცხავს შემავიწროებლის პასუხისმგებლობას, ვინაიდან, გონივ-
რულობის ფარგლებში, სავარაუდო შემავიწროებელს უნდა
სცოდნოდა, რომ კონკრეტული სექსუალური ხასიათის ქცევა არა-
სასურველი, შეურაცხმყოფელი და მიუღებელი იქნებოდა მსხვერ-
პლისთვის. აღნიშნული მიდგომა განსაზღვრავს სუბიექტურობისა
და ობიექტურობის ტესტს, რომელშიც სუბიექტურობა გულის-
ხმობს შემავიწროებლის დამოკიდებულებას მისი ქცევის მიმღებ-
ლობასთან დაკავშირებით, ხოლო ობიექტურობის კომპონენტი
ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ აღიქვამდა, გონივ-
რულობის ფარგლებში, კონკრეტულ ქცევას მესამე პირი.¹⁴⁹ მაგ.,
ერთ-ერთ საქმეზე მამაკაცი, რომელიც იყო მედდა და 18 წლის
განმავლობაში საავადმყოფოში მუშაობდა, გაფრთხილების გარე-
შე გაათავისუფლეს სამსახურიდან, ვინაიდან იგი თავის კოლეგა
ქალებს სექსუალურად ავიწროებდა. კერძოდ, მამაკაცმა პორნოგ-
რაფიული ხასიათის სურათი აჩვენა მის კოლეგა ექთან ქალს და
ესაუბრა წარმოსახვითი სქესობრივი კავშირის შესახებ, რომელიც
თითქოს კოლეგა ექთან ქალებს ერთმანეთთან ჰქონდათ. სასა-
მართლომ აქცენტი გააკეთა საავადმყოფოში მომუშავე მედდა ქა-
ლების ღირსებასა და სექსუალურ ავტონომიაზე და აღნიშნა, რომ
დამსაქმებელი ვალდებული იყო, დაეცვა ისინი კოლეგა მამაკაცის
მხრიდან სექსუალური ხასიათის ენის გამოყენებისაგან, განსა-
კუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დასაქმებულთა უმრავ-
ლესობას ქალები წარმოადგენდნენ. სასამართლომ მიუთითა, რომ
აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მსხვერპლებს ღიად დაეფიქ-
სირებინათ პოზიცია ქმედების არასასურველობის შესახებ, ვინაი-
დან საკმარისი იყო ის გარემოება, რომ ამგვარი ქცევა წეიტრა-
ლური/ობიექტური თვალსაზრისით მიუღებელი იქნებოდა.¹⁵⁰

¹⁴⁸ What is Sexual Harassment?, UN, 1, n.b. <https://bit.ly/36SAXax> [30.10.2020].

¹⁴⁹ Policy on preventing sexual and gender-based harassment, Ontario Human Rights Commission, 2. Identifying sexual Harassment, 2013, 10, n.b. <https://bit.ly/35QsmpD> [30.10.2020].

¹⁵⁰ Numhauser-Henning A., Laulom S., Harassment related to Sex and Sexual Harassment Law in 33 European Countries, Discrimination versus Dignity, European Commission, 2011, 113, n.b. <https://bit.ly/3t1C428> [27.01.2021].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველი სექსუალური შევიწროების საქმეების განხილვისას იყენებს „ქალის მიერ გონივრული აღქმის სტანდარტს“ (reasonable woman standard), რომელიც მხედველობაში იღებს სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ აღქმებს მისაღები და მიუღებელი ქცევის შესახებ. აღნიშნული სტანდარტის მთავარი სულისკვეთება არის ის, რომ სექსუალური შევიწროების კონკრეტულ ფაქტს განიხილავს ქალის პერსპექტივიდან, რაც გამორიცხავს სექსუალური შევიწროების უნივერსალურად მიღებული წესით განსაზღვრისა და ნებისმიერი სხვა ქმედების მსგავსად შეფასების შესაძლებლობას. სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ სავარაუდო სექსუალური შევიწროების საქმეზე მსჯელობისას საჭიროა იმ სოციალური კონტექსტის გათვალისწინებაც, რომელშიც ხდება ამგვარი ქცევა, ვინაიდან სწორედ ამ სოციალური კონტექსტისადმი შესაბამისი დამოკიდებულება იძლევა საშუალებას, ობიექტურად შეფასდეს, რამდენად გონივრულად მოხდა სექსუალური ქცევის აღქმა მსხვერპლის მიერ. როგორც სახალხო დამცველი აღნიშნავს, საქართველოში დღემდე არსებობს უარყოფითი გენდერული სტერეოტიპები, რომელთა თანახმად, დასაქმების ადგილზე თუ სხვა სიტუაციაში არასასურველი მოპყრობის გამომწვევი არის თავად ქალი, ამიტომ ის მოელის, რომ კაცის მხრიდან შევიწროების შემთხვევაში საზოგადოებამ, ოჯახმა თუ კოლეგებმა შესაძლოა იგი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მორალურ პრინციპებთან შეუსაბამო ქცევაში დაადანაშაულონ. შესაბამისად, ქალის მოწყვლადობის ხარისხი კიდევ უფრო იმატებს და სექსუალური შევიწროებაც დაფარული რჩება, ვინაიდან მსხვერპლს ეშინია ვიქტიმიზაციის.¹⁵¹

თუმცა რიგ შემთხვევებში, იმისათვის, რომ დადგინდეს მისაღები იყო თუ არა სავარაუდო მსხვერპლისთვის გარკვეული ხასიათის ქცევა, მნიშვნელოვანია, ადრესატმა გააკეთოს მინიშნება ქმედების არასასურველობის შესახებ. ეს მიდგომა უნდა გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კონკრეტული ქცევა, გონივრულობის ფარგლებში, შეურაცხმყოფელი და დამამცირე-

¹⁵¹ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე, 2018, 4-6, იხ. <https://bit.ly/2NGS6hC> [27.01.2021].

ბელი არ არის. შესაბამისად, ქმედება არასასურველი ხდება იმ მომენტიდან, როდესაც ერთი მხარე რაიმე ფორმით (ვერბალური, არავერბალური ან სხვა ფორმით – სახის გამომეტყველება, სხეულის ენის გამოყენება და ა.შ.) დააფიქსირებს ან გამოხატავს, რომ ქმედება მისთვის არასასურველია. მაგ., საქმეში *Smith v. The Rover's Rest* კანადის ადამიანის უფლებათა ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ მკაფიოდ გამოხატული უარის გარდა, მომჩივანმა ქმედების არასასურველობაზე მინიშნება გააკეთა სხეულის ენით, კერძოდ, ეძაბებოდა ტანი და თავს არიდებდა თვალით კონტაქტს. იგი ცდილობდა, რომ თავი აერიდებინა ისეთი სიტუაციისათვის, რომელშიც მოპასუხეს შეეძლო შეხებოდა მას ან რაიმე კომენტარი გაეკეთებინა.¹⁵²


იმისათვის, რომ ქმედება ჩაითვალოს სექსუალურ შევიწროებად, აუცილებელი არ არის, რომ შემავიწროებელს ჰქონდეს მისი განხორციელების გაზრახვა და ითვალისწინებდეს/აცნობიერებდეს შედეგებს, რომლებიც შესაძლოა მის ქმედებას მოჰყვეს, მათ შორის, თანამშრომლის ღირსების შელახვა და ა.შ. სექსუალურ შევიწროებას არ სჭირდება მოტივი. სექსუალური ხასიათის ქცევა შეიძლება შეურაცხმყოფელი და ღირსების შემლახველი იყოს სავარაუდო მსხვერპლისთვის, შემავიწროებლის გაზრახვის მიუხედავად, ამიტომ ყურადღება უნდა გამახვილდეს არა განზრახვასა და მოტივზე, არამედ ქმედების შედეგზე.¹⁵³

კანონმდებლობა ითვალისწინებს სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროებისას უფლების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს. კერძოდ, როდესაც საკითხი ეხება სამუშაო ადგილზე სექსუალურ შევიწროებას, პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საქართველოს სახალხო დამცველს ან გამოიყენოს მის ორგანიზაციაში/უწყებაში არსებული შიდა რეგულირების/გასაჩივრების მექანიზმი. ამდენად, სავარაუდო მსხვერპლს აქვს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

¹⁵² *Smith v. The Rover's Rest*, 2013 HRTO 700 (CanLII), HUMAN RIGHTS TRIBUNAL OF ONTARIO, §79, nб. <https://bit.ly/39kzRXD> [26.01.2021].

¹⁵³ Policy on preventing sexual and gender-based harassment, Ontario Human Rights Commission, 2013, 34-35, 42, nб. <https://bit.ly/35QsmpD> [30.10.2020].

კერძო სივრცეში (მაგ., სამუშაო ადგილზე ან პროფესიულ ურთიერთობებში) სექსუალური შევიწროებისას რეაგირების სამართლებრივი მექანიზმები:



სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 7³ თავი არეგულირებს სამართალწარმოების საკითხს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, ეს მოიცავს სექსუალურ შევიწროებასაც, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას.

ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების ნინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.¹⁵⁴

სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა და მასზე ვრცელდება ის სტანდარტი, რომელიც დისკრიმინაციის სხვა საქმეებზე, თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრისით, სექსუალური შევიწროების დადგენის ტესტი განსხვავდება დისკრიმინაციის დადგენის ტექსტისგან. კერძოდ, თუ პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის საქმეებში საჭიროა შესადარებელი სუბიექტი, ე.წ. კომპარატორი და დაცული ნიშანი, სექსუალური შევიწროების სავარაუდო მსხვერპლს კომპარატორი არ ჰყავს და არც დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნის არსებობა არ არის მისი დადგენის ნინაპირობა.¹⁵⁵ შესაბამისად, შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების დროს არ არის აუცილებელი, არსებობდეს შესადარებელი სუბიექტი, ვინაიდან თავიდანვე ნათელია, რომ ნების-

¹⁵⁴ საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 10, ნაწილი 2.

¹⁵⁵ პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, 12, იხ. <https://bit.ly/3v3RuDF> [20.05.2021].

მიერი ფორმით განხორციელებული შევიწროება არასწორი და ადამიანის ღირსების შემლახველი ქმედებაა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის სავალდებულო წინაპირობა არ არის საქართველოს სახალხო დამცველის, სხვა პირის ან ორგანოს მიერ საქმის განხილვა.¹⁵⁶

სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა შესაძლებელია 1 წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირმა გაიგო ან პირს უნდა გაეგო იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია. პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სარჩელით მიმართოს სასამართლოს მაშინაც, თუ უკვე დასრულებულია შრომითი ურთიერთობა, რომლის დროსაც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა.¹⁵⁷

სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული ვადის კონკრეტული ერთი ქმედებიდან ათვლა დაუშვებელია, რადგან ამ შემთხვევაში სარჩელის აღდვრის უფლების ხანდაზმულობის ვადა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მხოლოდ სასამართლოს მიერ დადასტურებულ ერთ კონკრეტულ ქმედებაზე.¹⁵⁸ მაგ., თუ სექსუალურ შევიწროებას აქვს განგრძობადი ხასიათი, ხანდაზმულობის ვადა ათვლილი უნდა იქნეს ბოლო ქმედების განხორციელების მომენტიდან.

პირს უფლება აქვს, მის მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე მოითხოვოს:

1. დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა;
2. მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

სასამართლო განმარტავს, რომ თავად მოსარჩელის უფლებაა, აირჩიოს აღნიშნულთან დაკავშირებით, პასუხისმგებლობა მოსთხოვოს უშუალოდ ქმედების ჩამდენ პირს თუ დამსაქმებელს, რომლის ვალდებულებაა შრომითი ურთიერთობის დროს უზრუნ-

¹⁵⁶ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363², ნაწილი I.

¹⁵⁷ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363², ნაწილი 2, 2².

¹⁵⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის №2ბ/1609-18 განჩინება; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 3 იანვრის გადაწყვეტილება.

ველყოს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა.¹⁵⁹ ასეთ დროს მოქმედებს პასუხისმგებლობის სამკუთხა პრინციპი. როდესაც სექსუალური შევიწროების ჩამდენი და დაწესებულების ხელმძღვანელი სხვადასხვა პირია, სავარაუდო მსხვერპლს შეუძლია ორივე მხარის წინააღმდეგ წარადგინოს საჩივარი/სარჩელი. სავარაუდო შემავიწროებლის პასუხისმგებლობა მის მიერ ჩადენილი ქმედებით შემოიფარგლება, ხოლო დაწესებულების ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა კი მის უმოქმედობაში გამოიხატება¹⁶⁰ კერძოდ, სამსახურის ხელმძღვანელს ევალებოდა, შეექმნა შესაბამისი სამუშაო გარემო და შეემუშავებინა ისეთი მექანიზმი/პოლიტიკა, რომელიც დაიცავდა მსხვერპლს შესაძლო სექსუალური შევიწროებისგან.

ერთ-ერთი საკვანძო საკითხია მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილება. მოცემულ შემთხვევაში მხარეები არ არიან თანაბარ მდგომარეობაში, ვინაიდან ერთ მხარეს არის სავარაუდო მსხვერპლი და მეორე მხარეს – სავარაუდო შემავიწროებელი. თუ მსხვერპლს მოვთხოვთ ფაქტების სრულ მტკიცებას, მას ყოველ-თვის გაუჭირდება სექსუალური შევიწროების დამტკიცება. ამიტომ მსხვერპლს მხოლოდ ის მოეთხოვება, სასამართლოს წარუდგინოს ფაქტები, ანუ აღწეროს მდგომარეობა, რომელიც ქმნის ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ სექსუალური შევიწროება განხორციელდა და წარადგინოს მტკიცებულება, რომლის მოპოვებაც ობიექტურად შესაძლებელია, ანუ მისთვის ხელმისაწვდომია (მაგ., სავარაუდო მსხვერპლმა შესაძლოა მიუთითოს იმ მეგობრის/ნაცნობის შესახებ, რომელიც ფლობს ინფორმაციას სექსუალური შევიწროების თაობაზე). ამის შემდეგ მტკიცების ტვირთი გადადის მეორე მხარეს, ანუ სავარაუდო შემავიწროებელმა უნდა შეძლოს ამ გარემოებების გაქარნყლება. მსხვერპლი არის მტკიცებით უპირატესობაში, რომელიც ფაქტების წარდგენით ქმნის პრეზუმფციას.

სარჩელის აღძვრისას სავარაუდო მსხვერპლმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები,

¹⁵⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 12 დეკემბრის №2ბ/1609-18 განჩინება.

¹⁶⁰ პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2020, 47, იბ. <https://bit.ly/3v3RuDF> [20.05.2021].

რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს (სავარაუდო შემავიწროებელს) ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.¹⁶¹ ამავე დროს, სავარაუდო შემავიწროებლის მიერ ფაქტის ზოგადი უარყოფა არ არის წონადი არგუმენტი, როდესაც მას უპირისპირდება სხვა მტკიცებულებები.¹⁶²

სასამართლო სარჩელის შეტანიდან 3 დღის ვადაში იხილავს მისი წარმოებაში მიღების საკითხს. სარჩელის საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნების დაუცველად წარდგენის შემთხვევაში სასამართლო ადგენს ხარვეზს და მოსარჩელეს მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები. განსაზღვრულ ვადაში, თუ მოსარჩელე აღმოფხვრის ხარვეზს, სასამართლო სარჩელს იღებს წარმოებაში, ხოლო თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა – გამოაქვს განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და სარჩელსა და თანდართულ დოკუმენტებს უბრუნებს მოსარჩელეს.

სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინება შეიძლება კერძო საჩივრით გასაჩივრდეს საპელაციო სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსარჩელისათვის მისი გაცნობიდან 3 დღის ვადაში. თუ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, საპელაციო სასამართლო საქმეს პირველი ინსტანციის სასამართლოს უბრუნებს.

თუ მოსამართლემ სავარაუდო მსხვერპლის სარჩელი მიიღო წარმოებაში, სარჩელი და თანდართული დოკუმენტების ასლები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაუყოვნებლივ ეგზავნება მოპასუხეს (სავარაუდო შემავიწროებელს) და მას შესაგებლის წარსადგენად 10 დღის ვადა ეძლევა.¹⁶³

საქმის განხილვის შედეგად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება დისკრიმინაციის ფაქტის, მათ შორის, სექსუალური

¹⁶¹ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363³.

¹⁶² Policy Guidance on Current Issues of Sexual Harassment, The U.S. Equal Employment Opportunity Commission, 1990, B. Evaluating Evidence of Harassment, n.b. <https://bit.ly/39gWZq2> [26.01.2021].

¹⁶³ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363⁴.

შევიწროების, დადასტურებისა და დისკრიმინაციის (მათ შორის, სექსუალური შევიწროების) მსხვერპლის სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ ან გადაწყვეტილება დისკრიმინაციის მსხვერპლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თუ სექსუალური შევიწროების ფაქტი დადგინდა, სასამართლო შემავიწროებელს აკისრებს:

1. დისკრიმინაციული ქმედების, მათ შორის, სექსუალური შევიწროების, შეწყვეტას ან/და მისი შედეგების აღმოფხვრას ან/და
2. მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება მხარემ შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო სასამართლოში, რომელსაც 3 დღის ვადაში, საჩივრის დასაშვებობის შემონაბეჭის შემდეგ, გამოაქვს განჩინება ან სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ან განსახილველად იღებს სააპელაციო საჩივარს.

სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებიდან 1 თვის ვადაში ზეპირი მოსმენით განიხილავს სააპელაციო საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას მისი მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე, ან უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.¹⁶⁴

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.

შესაბამისად, სასამართლოს მსგავსად, სახალხო დამცველი განიხილავს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებას და საჩივარს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს.¹⁶⁵ აღნიშნული მოიცავს საჩივრებს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებითაც.

¹⁶⁴ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363⁶.

¹⁶⁵ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 14¹, პუნქტი 2-„ა“ ქვეპუნქტი; „დისკრიმინაციის ყველა ფორმის

სახალხო დამცველისთვის მიმართვის ხანდაზმულობის ვადები განსაზღვრული არ არის. თუმცა პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლია, შეუძლია სახალხო დამცველს მიმართოს ნებისმიერ დროს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, 2014 წლის 7 მაისიდან, ან თუ სექსუალური შევიწროება დაიწყო უფრო ადრე, თუმცა კანონის ძალაში შესვლის შემდეგაც გრძელდება.

პირმა, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით/საჩივრით მიმართავს, უნდა მიუთითოს ის ფაქტები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების, მათ შორის, სექსუალური შევიწროების, განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა და უნდა წარადგინოს შესაბამისი მასალები. სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების (მათ შორის, სექსუალური შევიწროების) განმახორციელებელ პირს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

თუ საქართველოს სახალხო დამცველი საჭიროდ მიიჩნევს, იგი უფლებამოსილია, დანიშნოს ზეპირი მოსმენა და მოიწვიოს მხარეები საქმის მორიგებით დასასრულებლად. საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში, სახალხო დამცველი ახორციელებს მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.¹⁶⁶

დისკრიმინაციის საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის, სექსუალური შევიწროების ფაქტის შესწავლისას, სახალხო დამცველს უფლება აქვს საჯარო თუ კერძო სამართლის პირს, ფიზიკურ პირს ან ორგანიზაციას მოსთხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია (დოკუმენტი ან სხვა მასალა) და წერილობითი ახსნა-განმარტება.¹⁶⁷

აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 2-„ა“ ქვეპუნქტი.

¹⁶⁶ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.

¹⁶⁷ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 18-„ბ“ და „გ“ პუნქტები.

ნებისმიერი ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლების (მათ შორის, პროკურატურა, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები) და მუნიციპალიტეტის ორგანო ვალდებულია, საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუთი, ახსნა-განმარტება და სხვა ინფორმაცია კანონით დადგენილი წესის დაცვით გადასცეს სახალხო დამცველს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. თუ ინფორმაცია ნებაყოფლობით კერძო პირისგან მიიღება, მას, მოთხოვნის შემთხვევაში, შეიძლება აუნაზღაურდეს ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებული ასლის გადაღებისა და საფოსტო მომსახურების ხარჯები.¹⁶⁸

განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დისკრიმინაციის ფაქტის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების, დადასტურების შემთხვევაში, თუ დისკრიმინაციის (სექსუალური შევიწროების) შედეგები არ არის აღმოფხვრილი, საქართველოს სახალხო დამცველი, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ასრულებს საქმის წარმოებას და გამოსცემს რეკომენდაციას,¹⁶⁹ რომლითაც დისკრიმინაციული ქმედების (მათ შორის, სექსუალური შევიწროების) განმახორციელებელ სახელმწიფო ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანოს, თანამდებობის პირს, ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, პირთა გაერთიანებას იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტს სთავაზობს დისკრიმინაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების, აღმოსაფხვრელად და მის შედეგად დარღვეული თანასწორობის აღსაღენად ღონისძიებების განხორციელებას მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.¹⁷⁰

ამდენად, დისკრიმინაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების, ფაქტის დადგენის შემთხვევაში სახალხო დამცველი მოპასუხეს (შემავიწროებელს) მიმართავს რეკომენდაციით, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

¹⁶⁸ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8, ნაწილი 4.

¹⁶⁹ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9, ნაწილი 3.

¹⁷⁰ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 20¹.

1. სექსუალური შევიწროების შეწყვეტას ან/და მომავალში სექსუალური შევიწროების თავიდან აცილებას;
2. იმ შემთხვევაში, თუ რეკომენდაციის ადრესატია ორგანიზაცია/დაწესებულება – სექსუალური შევიწროების პრევენციის/რეაგირების შიდა მექანიზმის დოკუმენტის შემუშავებას.

თუ დისკრიმინაციის/სექსუალური შევიწროების ფაქტი არ და-დასტურდება, სახალხო დამცველი იღებს გადაწყვეტილებას საქ-მის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

სახელმწიფო ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანო, საჯარო დაწესებულება, თანამდებობის პირი, ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გა-ერთიანება იურიდული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებებს ან რეკომენდაციებს მიიღებს, ვალდებულია, განიხილოს ისინი და სა-ხალხო დამცველს 20 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს განხილვის შედეგები.¹⁷¹

იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებულმა ორგანოებმა/პირებმა არ უპასუხეს ან არ გაიზიარეს რეკომენდაცია და არსებობს საკმა-რისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას, მათ შორის, სექსუალურ შევიწროებას, ადასტურებს, სახალხო დამცველი უფ-ლებამოსილია:

1. საჯარო პირის წინააღმდეგ დისკრიმინაციის/სექსუალური შე-ვიწროების დადგენის შემთხვევაში, **როგორც დაინტერესე-ბულმა პირმა**, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მიმართოს სასამართლოს და მოითხო-ვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაი-ზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს;¹⁷²

¹⁷¹ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კა-ნონი, მუხლი 24.

¹⁷² „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კა-ნონი, მუხლი 14¹, პუნქტი 2-„თ“ ქვეპუნქტი.

2. როგორც მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარჩელით მიმართოს სასამართლოს, თუ იურიდიულმა პირმა, სხვა ორგანიზაციულმა ნარმონაქმნმა, პირთა გაერთიანებამ იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტმა მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომელიც დისკრიმინაციას ადასტურებს, და მოითხოვოს ამ რეკომენდაციის შესრულება.¹⁷³ ეს შესაძლებლობა არ მოქმედებს მაშინ, როდესაც ამ რეკომენდაციის ადრესატი ფიზიკური პირია. თუმცა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173⁴ მუხლის თანახმად, სამართალდარღვევას ნარმოადგენს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიკურ პირებთან მიმართებით. ამავე კოდექსის მიხედვით, სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს სახალხო დამცველი.

ამდენად, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციები დისკრიმინაციის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების, დადგენის თაობაზე, შესასრულებლად სავალდებულო შეიძლება გახდეს მხოლოდ სასამართლოს საშუალებით.

სასამართლოსა და სახალხო დამცველის გარდა, არსებობის შემთხვევაში, სავარაუდო მსხვერპლს შეუძლია გამოიყენოს შიდა გასაჩივრების/რეგულირების მექანიზმი და სავარაუდო სექსუალური შევიწროების ფაქტზე განცხადებით/საჩივრით მიმართოს მის ორგანიზაციაში/უწყებაში არსებულ შესაბამის ორგანოს/პირს. აუცილებელია, რომ შიდა გასაჩივრების/რეგულირების მექანიზმი იყოს ცენტრალიზებული და ექვემდებარებოდეს ორგანიზაციის/დაწესებულების ხელმძღვანელს, რაც მას უფრო მეტ სერიოზულობასა და მნიშვნელობას მატებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშვნული მექანიზმი მორგებული იყოს ორგანიზაციის/დაწესებულების სტრუქტურაზე, კულტურასა და მუშაობის სპეციფიკაზე. ორგანიზაციაში/დაწესებულებაში ამგვარი მექანიზმის არსებობა,

¹⁷³ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 14¹, პუნქტი 2-„თ¹“ ქვეპუნქტი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 363², ნაწილი 1¹; 4.

ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სექსუალური შევიწროების პრევენციას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სწრაფი და ეფექტური რეაგირების განხორციელებას. ორგანიზაციაში არსებული რეაგირების მექანიზმი აუცილებლად უნდა მოიცავდეს მისი მოქმედების ფარგლებს, სექსუალური შევიწროების განმარტებას, შეტყობინებისა და საჩივრის წარდგენის პროცედურას, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესებსა და შემავიწროებლის მიმართ გამოსაყენებელ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს.

აღსანიშნავია, რომ მსხვერპლმა შესაძლოა გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის სამიერ საშუალება და მიმართოს როგორც სასამართლოს, ისე საქართველოს სახალხო დამცველს ან, არსებობის შემთხვევაში, გამოიყენოს შიდა გასაჩივრების/რეგულირების მექანიზმი, თუმცა კანონი ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს. ამდენად, მართალია, სავარაუდო სექსუალური შევიწროების მსხვერპლს შეუძლია ფორმალურად ერთდროულად მიმართოს სახალხო დამცველსა და სასამართლოს, მაგრამ სახალხო დამცველი აჩერებს საქმისწარმოებას, თუკი იმავე ფაქტობრივ გარემოებებს შეისწავლის სასამართლო, ხოლო წყვეტს საქმისწარმოებას სასამართლოს მიერ იმავე ფაქტობრივ გარემოებებზე მიღებული გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს სახალხო დამცველი აჩერებს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის, მათ შორის, სავარაუდო სექსუალური შევიწროების, იმავე ფაქტის გამო:

- ა) დავას სასამართლო განიხილავს;
- ბ) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;
- გ) მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა.

საქართველოს სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას, თუ სავარაუდო დისკრიმინაციის, მათ შორის, სავარაუდო სექსუალური შევიწროების, იმავე ფაქტის გამო:

- ა) არსებობს სასამართლო გადაწყვეტილება;
- ბ) განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.¹⁷⁴

¹⁷⁴ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 9.

ნებისმიერი მექანიზმის გამოყენებისას სექსუალური შევიწ-
როების ფაქტის დადგენა უნდა მოხდეს ორივე მხარის მოსმენისა
და მტკიცებულებების სათანადოდ გამოკვლევის შემდეგ. ამავე
დროს, ყურადღება უნდა მიქცეს ირიბ მტკიცებულებებსაც, რო-
მელთა ერთობლიობამაც სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სა-
მართალნარმოებაში შეიძლება შექმნას პრეზუმაცია სექსუალუ-
რი შევიწროების არსებობის თაობაზე. გასათვალისწინებელია,
რომ სექსუალური შევიწროება, როგორც წესი, გამოირჩევა ფა-
რულობით, შესაბამისად, რთულდება მოწმეების ან/და მატერია-
ლური/დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვება. შესაბამი-
სად, ფაქტის დადგენისას პრაქტიკულად შეუძლებელია მხოლოდ
უტყუარ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების
მიღება, რის გამოც, მსგავს საქმეებში მნიშვნელობა ენიჭება მხა-
რეთა მიერ წარმოდგენილ სუბიექტურ მტკიცებულებებს.¹⁷⁵

¹⁷⁵ Policy on preventing sexual and gender-based harassment, Ontario Human Rights Commission, 7. Burden of proof: evidentiary issues, 2013, 41, n.b. <https://bit.ly/35QsmpD> [30.10.2020].

თავი V. სპეციალისტების მიერ ძალადობის ფაქტის შეტყობინების წესი და ძალადობის მსხვერპლებისათვის გათვალისწინებული სერვისები

1. სპეციალისტების მიერ ძალადობის ფაქტის თაობაზე შე- საბამისი ორგანოების ინფორმირების წესი

სხვადასხვა სამსახურებრივი თუ პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის, შესაბამისი პირებისათვის მომსახურების გაწევის პროცესში, შესაძლებელია, სპეციალისტისთვის ცნობილი გახდეს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტი. ასეთ დროს, დღის წესრიგში დგება, ერთი მხრივ, სპეციალისტის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის საკითხი, რომელიც მას გაანდეს სამსახურებრივი საქმიანობის დროს და, მეორე მხრივ, იმ პირის დახმარების აუცილებლობა, რომელიც დაექვემდებარა ძალადობას.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) 28-ე მუხლის მიხედვით, მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონფიდენციალურობის დაცვის წესებმა, რომლებსაც შიდა კანონმდებლობა აკისრებს ზოგიერთ სპეციალისტს, ხელი არ შეუშალოთ, განსაზღვრულ გარემოებებში, შეატყობინონ კომპეტენტურ ორგანიზაციებს ან ხელისუფლების ორგანოებს, თუ მათ გონივრული საფუძველი გააჩნიათ, ივარაუდონ, რომ ჩადენილია როგორც ოჯახში ძალადობის, ისე ქალთა მიმართ ძალადობის სერიოზული აქტი და, სავარაუდოდ, მოსალოდნელია ძალადობის შემდგომი გამეორება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს კანონი აძლევს შესაძლებლობას, გამონაკლის შემთხვევებში, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის მიზნით, გაამჟღავნონ კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

ასეთი სპეციალისტები შეიძლება იყვნენ:

სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (ექიმები);

ადვოკატები;

საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი (სკოლის დირექტორი, მასწავლებელი, მანდატური, აკადემიური პერსონალი).

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მიზნით, შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრიათ სამედიცინო დაწესებულებების უფლებამოსილ თანამშრომლებს.

სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში ჩარევა აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინფორმაცია ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს და არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება. ეს ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, დასაშვებია სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამუღავნება.¹⁷⁶ დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს უფლება აქვს, გაამუღავნოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ ეს ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს და არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება. ეს ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.¹⁷⁷

ადვოკატს უფლება აქვს პოლიციას ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის

¹⁷⁶ „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 28, პუნქტი 1-„გ¹“ ქვეპუნქტი; მუხლი 29-„გ“ პუნქტი.

¹⁷⁷ „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 48, პუნქტი 2-„ვ“ ქვეპუნქტი.

ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.¹⁷⁸

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი ვალდებულია, პოლიციას ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს მიაწოდოს სტუდენტის შესახებ პირადი ინფორმაცია, რომელიც ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.¹⁷⁹

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის დირექტორს, მასწავლებელსა და მანდატურს აქვთ ვალდებულება, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ პირს მიაწოდონ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.

სკოლის დირექტორი ვალდებულია, მის მიერ განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება;

მასწავლებელი ვალდებულია, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება;

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ვალდებულია, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.

¹⁷⁸ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4, პუნქტი 1-„გ“ ქვეპუნქტი.

¹⁷⁹ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 37, პუნქტი 2-„ე“ ქვეპუნქტი.

საბოლოოდ, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია, პოლიციას ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს მიაწოდოს ზემოაღნიშნული წესით მიღებული ინფორმაცია, რომელიც ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.¹⁸⁰

საინტერესოა, რომ სამედიცინო მომსახურების გამწევი პირებისა და ადვოკატებისგან განსხვავებით, რომლებსაც უფლება აქვთ, პირის შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ შესაბამის ორგანოებს, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს კანონმდებლობა აკისრებს პოლიციის ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულებას. თუმცა ზემოაღნიშნულ სპეციალისტებს მხოლოდ მაშინ აქვთ უფლება/ვალდებულება, ინფორმაცია მიაწოდონ შესაბამის ორგანოებს, როდესაც არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება, რაც უნდა შეფასდეს მათ მიერ, არსებული გარემოებების გათვალისწინებით.

სამედიცინო მომსახურების გამწევ პირებთან მიმართებით კანონი ზოგადად მიუთითებს, რომ ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში კანონი უფრო კონკრეტულ ჩანაწერს შეიცავს და შეტყობინების ერთ-ერთ ადრესატად მიიჩნევს პოლიციას ან/და სხვა უფლებამოსილ ორგანოს.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 20 სექტემბერს მიღებულ იქნა ახალი კანონი პროფესიული განათლების შესახებ, რომლის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 28 მარტის კანონი.

ახალმა კანონმა აღარ გაითვალისწინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის შესაძლებლობა, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაცია, რომელიც ეხება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს, მიაწოდოს პოლიციას ან/და სხვა უფლებამოსილ ორგა-

¹⁸⁰ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 20¹; მუხლი 43: პუნქტი 1-„ლ¹“ ქვეპუნქტი, პუნქტი 4; მუხლი 48³, პუნქტი 3.

ნოს, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება, მაშინ როდესაც აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ჩანაწერი არსებობდა 2018 წელის 20 სექტემბრამდე მოქმედი კანონის დებულებებში.¹⁸¹ აღნიშნული, სავარაუდოდ, გამონვეულია იმით, რომ ახალმა კანონმა დეტალურად აღარ განსაზღვრა/მოაწესრიგა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც, მათ შორის, ითვალისწინებდა მის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე პოლიციის ან სხვა უფლებამოსილი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდების წესს.

2. სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების საფუძვლები და პროცედურები

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მსხვერპლად მიიჩნევა ქალი ან ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან იძულებით და რომლებსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (შემდგომ – მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი).

მსხვერპლის სტატუსი პირს აძლევს შესაძლებლობას, ისარგებლოს არსებული სერვისებითა და დახმარების პროგრამებით, მათ შორის, თავშესაფრის მომსახურებით.

ძალადობის სავარაუდო მსხვერპლმა სტატუსი შეიძლება მიიღოს სხვადასხა გზით:

¹⁸¹ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 34, პუნქტი 1-„ზ“¹ ქვეპუნქტი – ძალადაკარგულია – 20.09.2018, №3442.

პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შემაკავებელი ორდერის გამოცემით;

სასამართლოს მიერ დამცავი ორდერის გამოცემით;

პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობით.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისი პირების მიერ გამოცემულ დოკუმენტებში არ ხდება იმის მითითება, რომ მსხვერპლს ენიჭება სტატუსი, შესაბამისად, რომელიმე აქტის (მაგ., შემაკავებელი ორდერის) გამოცემისას პირი ავტომატურად იღებს მსხვერპლის სტატუსს.

არსებობს მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის კიდევ ერთი გზა. აღნიშნული ხორციელდება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფისათვის მიმართვის გზით.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი იქმნება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ, რომლის საქმიანობის წესი, მათ შორის, მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის განსაზღვრის წესი, მსხვერპლის სტატუსის მინიჭებაში მონაწილე სუბიექტები და მათი კომპეტენცია, დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 დეკემბრის ვა 684 დადგენილებით.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი შედგება სამოქალაქო სექტორის ნარმომადგენელი 12 წევრისგან. ამ ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ სოციალური მუშავი, ფსიქოლოგი, იურისტი, ექიმი, ფსიქიატრი და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტი.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის უფლებამოსილების ვადა შეადგენს 3 წელს და მისი წევრობა არ ნარმოადგენს ანაზღაურებად საქმიანობას.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის საქმიანობაში, დამატებით, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებს სახალხო დამცველი ან მისი უფლებამოსილი ნარმომადგენელი.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახური).

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე იდენტიფიცირების პროცედურის დაწყების საფუძველია უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარდგენილი ინფორმაცია და შევსებული საიდენტიფიკაციო კითხვარი, რომელიც განსაზიდველად წარედგინება მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს.

საიდენტიფიკაციო კითხვარის შევსებისა და წარდგენის უფლება აქვთ:

ა) გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დასადგენად საჭირო პროცედურების მწარმოებელ, არასამენარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს;

ბ) სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს;

გ) სავარაუდო მსხვერპლს;

დ) სავარაუდო მსხვერპლის კანონიერ წარმომადგენელს.

ამის შემდეგ მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის სამდივნო:

1. იღებს და რეგისტრაციაში ატარებს უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარდგენილ ინფორმაციასა და შევსებულ საიდენტიფიკაციო კითხვარს;
2. ანაწილებს საქმეებს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის წევრებს შორის. საქმეების განაწილებისას ვალდებულია, დაკომპლექტოს ჯგუფი ზემოაღნიშნული სხვადასხვა სპეციალიზაციის მქონე პირებისგან (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი, ექიმი, ფსიქიატრი და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე ექსპერტი) და უზრუნველყოს მათი ჩართულობა;
3. უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარდგენილ ინფორმაციასა და შევსებულ საიდენტიფიკაციო კითხვარს,

- ელექტრონული ფორმით, დაუყოვნებლივ აწვდის განხილვაში მონაწილე მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის წევრებს;
4. იწვევს და წარმართავს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის სხდომას და განსაზღვრავს სხდომის თარიღს, დროსა და დღის წესრიგს;
 5. ატყობინებს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის სხდომის თარიღსა და დროს მსხვერპლის იდენტიფიცირების საკითხის განვილვაში მონაწილე ჯგუფის წევრებს და საიდენტიფიკაციო კითხვარის წარმდგენ სუბიექტებს სხდომამდე არა უგვიანეს 2 დღისა;
 6. იმ შემთხვევაში, თუ იდენტიფიცირების საკითხის განხილვაში მონაწილე მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის რომელიმე წევრი ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, იწვევს ალტერნატიულ წევრს;
 7. ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც საჭიროა მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის ორგანიზებული და შეუფერხებელი საქმიანობისათვის.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი უფლებამოსილი სუბიექტის მიერ სავარაუდო მსხვერპლისთვის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის შესახებ მიმართვას განიხილავს, თუ არ გამოიყენება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები – დამცავი და შემაკავებელი ორდერები, ასევე, თუ სავარაუდო მსხვერპლს მინიჭებული არ აქვს დაზარალებულის სტატუსი.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი იკრიბება, საჭიროებისამებრ, საიდენტიფიკაციო კითხვარის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს უფლება აქვს, შეაჩეროს საქმის განხილვა, თუ საქმის შესწავლის პერიოდში წარმოიშვა ობიექტური სირთულეები (მაგ., ჯგუფის წევრის ავადმყოფობა, მტკიცებულე-

ბების შეგროვებისთვის საჭირო დრო და სხვ.), რის გამოც შეუძლებელია საქმის განხილვის გაგრძელება. ამ შემთხვევაში საქმის განხილვის შეჩერების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 5 დღეს. საქმის განხილვის შეჩერების დრო არ ჩაითვლება ზემოაღნიშნულ 3-დღიან ვადაში.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის სხდომაზე სამდივნოს მიერ მიწვეული უნდა იქნეს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის 5 წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას მიწვეულ წევრთაგან ესწრება არანაკლებ 3 წევრი. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის სხდომა ტარდება კოლეგიურად.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის, უფლებამოსილი სუბიექტების მიერ წარდგენილი ინფორმაციის, შევსებული საიდენტიფიკაციო კითხვარის, მის მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციისა და რიგ შემთხვევებში, სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრებისას მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. თუ სავარაუდო მსხვერპლი თავად ავსებს კითხვარს, სავალდებულოა მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ სხდომის ფარგლებში მასთან გასაუბრება, რომელიც უნდა ჩატარდეს საიდენტიფიკაციო კითხვარის განხილვისთვის განსაზღვრულ ვადაში.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის, მესამე პირებისგან და მოიწვიოს შესაბამისი სპეციალისტი.

საკითხის შესწავლის შემდეგ მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფი პირისათვის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის ან განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ადგილზე თათბირის საფუძველზე, ღია ყენჭისყრით. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის წევრი არ არის უფლებამოსილი, არასაპატიო მიზეზით უარი თქვას კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე ან გადაწყვეტილებაზე ხელის მოწერაზე. მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის თათბირი და კენჭისყრის პროცესი კონფიდენციალურია და მას არ შეიძლება ესწრებოდნენ საიდენტიფიკაციო კითხვარის წარმდგენი სუბიექტი და სავარაუდო მსხვერპლი.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის წევრები, სამდივნოს თანამშრომლები, იდენტიფიცირების პროცესში მონაწილე სუბიექტები ვალდებული არიან, დაიცვან იმ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის შესახებ საქმის წარმოების დროს.

გადაწყვეტილებას მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრის ან სტატუსის განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერის-თანავე.


მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ სავარაუდო მსხვერპლისათვის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ ჯგუფი დაუყოვნებლივ აცნობებს სავარაუდო მსხვერპლს, ხოლო სტატუსის მინიჭების შემთხვევაში ახდენს მსხვერპლის ინფორმირებას არსებული სერვისებისა და ამ სერვისებით სარგებლობის შესახებ.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსი ძალაშია მინიჭებიდან 18 თვის განმავლობაში, ხოლო თუ მსხვერპლი სარგებლობს თავშესაფრით – მსხვერპლის თავშესაფრში მოთავსებისათვის განსაზღვრული 3 თვემდე ვადით.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უფლება აქვს, კვლავ მიმართოს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფს სტატუსის გაგრძელების ან ხელახლა მინიჭების მოთხოვნით. სტატუსის გაგრძელება ხდება მოქმედი სტატუსის ამონურვამდე ერთი კვირით ადრე.

მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის სამდივნო ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შემთხვევაში მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და ოქმს დაუყოვნებლივ გადასცემს სისიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს.

ქვემოთ მოცემული ცხრილი თანმიმდევრულად აღნერს მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფისათვის მიმართვისა და საქმის განხილვის პროცედურებს



3. ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესე- ბულება – თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესე-ბულებები, რომლებიც წარმოდგენილია თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების სახით. მათ მიერ შეთავაზებული სერვისები მნიშვნელოვანია, რათა მსხვერპლმა დააღწიოს თავი ძალადობრივ გარემოს და მოემზადოს ძალადობისგან თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის/მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის უზრუნველყოფს სხვადასხვა მომსახურებას, როგორებიცაა:

1. სადღედამისო მომსახურება;
2. ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია/დახმარება;
3. სამედიცინო მომსახურების ორგანიზება/მიღება (მათ შორის, მედიკამენტოზური);
4. სამართლებრივი დახმარება (იურიდიული კონსულტაცია და ადვოკატირება);

5. საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება.

თავშესაფარი არის ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი ან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბაზაზე არსებული მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებას და დაცვას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდეგში – სააგენტო), სტრუქტურულ ერთეულს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ თავშესაფარის შექმნა დასაშვებია, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს.

თავშესაფრის საქმიანობა რეგულირდება წესდებით (შინაგანაწესით), რომელიც განსაზღვრავს მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსებისა და რეაბილიტაციის წესს.

მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. ეს ვადა შესაძლოა გაგრძელდეს თავშესაფრის წესდებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლს არ სურს ზემოაღნიშნულ პერიოდზე მეტი ხნით იქ დარჩენა. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამონურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს 5 თავშესაფარი, რომლებიც განთავსებულია თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სიღნაღმა

და გორში. თავშესაფრით სარგებლობა შეუძლია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს ან/და სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს და მათზე დამოკიდებულ პირებს. თბილისის თავშესაფრი ემსახურება ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლებს/დაზარალებულებსა და მათზე დამოკიდებულ პირებს, ხოლო ბათუმის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მიიღებიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლები/დაზარალებულები და მათზე დამოკიდებული პირები. საჭიროების შემთხვევაში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლები/დაზარალებულები (მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად).

როგორც ზემოაღნიშნული თავშესაფრების შინაგანანესშია მითითებული, დამოკიდებული პირი არის ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის/სავარაუდო მსხვერპლის 18 წლამდე ასაკის შვილი, ასევე პირი, რომლის კანონიერი წარმომადგენელიც არის ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული/სავარაუდო მსხვერპლი.

პოლიცია ვალდებულია, მსხვერპლის მოთხოვნით, აგრეთვე, გადაუდებელ შემთხვევაში მსხვერპლის თანხმობით, უზრუნველყოს მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში გადაყვანა. არსებული პრაქტიკით, თუ მსხვერპლი გამოთქვამს თავშესაფარში მოთავსების სურვილს, რაც ხშირად ხდება შემაკავებელი ორდერის გამოცემისას, პოლიციის თანამშრომელი უკავშირდება ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზს 116 006-ს და არკვევს, თუ რომელ თავშესაფარშია თავისუფალი ადგილი. შეთანხმების შემდეგ უზრუნველყოფს მსხვერპლისა და, საჭიროების შემთხვევაში, მასზე დამოკიდებული პირის თავშესაფარში გადაყვანას. მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თავშესაფრის კონკრეტული ადგილსამყოფელი კონფიდენციალურია და მისი უცხო პირებისათვის გამუდავნება დაუშვებელია. თავშესაფარში პირი არ მიიღება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ პირს (გარდა დამოკიდებული პირისა) არ აქვს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან სექსუალური ხასიათის ძალა-

- დობის მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსი. პირმა მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსი შეიძლება შეიძინოს ზემოაღნიშნული ერთ-ერთი ფორმით (იხ. მე-5 თავის მე-2 ქვეთავი);
- ბ) უშუალოდ მისგან არსებობს სხვა ბენეფიციარებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხე;
 - გ) ჰყავს შინაური ცხოველი ან ფრინველი (კატა, ძალლი და სხვ.) და ითხოვს მასთან ერთად თავშესაფარში განთავსებას;
 - დ) თუ არის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი/დაზარალებული და უარს აცხადებს, ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე;
 - ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

თავშესაფარი განთავსებულ პირებს (ბენეფიციარებს) უსასყიდლოდ უზრუნველყოფს შემდეგი მომსახურებებით:

1. სადლელამისო მომსახურება (24 საათიანი საცხოვრისით);
2. ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია/დახმარება;
3. სამედიცინო მომსახურება;
4. სამართლებრივი დახმარება;
5. საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის მომსახურება;
6. საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომსახურება.

თავშესაფარში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ასევე ძალადობის სრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად) განთავსება შესაძლებელია მხოლოდ მსხვერპლის/დაზარალებულის თანხმობით, ხოლო არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევაში (რომელმაც თავშესაფრის მომსახურებით უნდა ისარგებლოს მარტომ, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე) – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მომართვისას, მისი შუამდგომლობით.

თავშესაფრის მომსახურების მიზნით, სააგენტოსა და მსხვერპლს/დაზარალებულს შორის ფორმდება თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობის ხელშეკრულება 3 თვემდე ვადით, მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოქმედების ვადის გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც 14 წლამდე არასრულწლოვანმა მსხვერპლმა/დაზარალებულმა თავშესაფრის

მომსახურებით უნდა ისარგებლოს მარტომ, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე.

14 წლამდე არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევაში (რომელმაც თავშესაფრის მომსახურებით უნდა ისარგებლოს მარტომ, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე), ხელშეკრულება ფორმდება არაუმტეს 10 კალენდარული დღის ვადით, არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთან, ხოლო 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვნის შემთხვევაში (რომელმაც თავშესაფრის მომსახურებით უნდა ისარგებლოს მარტომ, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე) ხელშეკრულება ფორმდება არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთან 3 თვემდე ვადით, მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოქმედების ვადის გათვალისწინებით (მაგ., თუ პირმა მსხვერპლის სტატუსი შეიძინა შემაკავებელი ორდერის საფუძველზე და სურს თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობა, მასთან ხელშეკრულება გაფორმდება შემაკავებელი ორდერის მოქმედების ვადით).

საქართველოში არსებული თავშესაფრების შინაგანაწესით გათვალისწინებულია ხელშეკრულების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა. ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, 14 წლამდე არასრულწლოვანი დაზარალებულის/მსხვერპლის გარდა (რომელიც თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობს მარტო, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე), შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ:

სრულად არ/ვერ მოხერხდა შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

გამოიკვეთა ახალი ღონისძიებების განხორციელების საჭიროება;

მსხვერპლის/დაზარალებულის მიმართ მოძალადის/ტრეფიკიორის მხრიდან მომდინარეობს რეალური საფრთხე;

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულზე არ არის დასრულებული სისხლის სამართლის საქმის წარმოება;

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევის მართვის (რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის) გეგმის გადასინჯვა/შეფასებაში მითითებუ-

ლია ხელშეკრულების გაგრძელების დასაბუთებული სხვა საჭიროება.

ხელშეკრულების ვადის გაგრძელება შესაძლებელია დამატებით არაუმეტეს 3-3 თვით, მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოქმედების ვადის გათვალისწინებით, ხოლო 14 წლამდე არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევაში (რომელიც თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობს მარტო, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე) – დამატებით 10 კალენდარული დღის ვადით, მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოქმედების ვადის გათვალისწინებით.

ძალადობის მსხვერპლისთვის თავშესაფრით სარგებლობის ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მოქმედების პერიოდში სტატუსის გაგრძელებისთვის/დადგენისთვის დაწყებული პროცედურები არ არის დასრულებული. ამ შემთხვევაში ვადა გაგრძელდება პროცედურების დასრულებამდე, კერძოდ:

ა) დამცავი ორდერის გამოცემის/გამოცემაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე;

ბ) ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) მიერ ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადა (ხელშეკრულების გაგრძელების პერიოდების ჩათვლით, მათ შორის, სააგენტოს ფარგლებში მოქმედი თავშესაფრიდან თავშესაფარში რეფერირების შემთხვევების გათვალისწინებით) არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, ხოლო 14 წლამდე არასრულწლოვანი მსხვერპლის/დაზარალებულის შემთხვევაში (რომელიც თავშესაფრის მომსახურებით სარგებლობს მარტო, კანონიერი წარმომადგენლის გარეშე), მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, 20 კალენდარულ დღეს.

თავშესაფრის მულტიდისციპლინური გუნდი (დაწესებულების სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი, იურისტი, მედდა, ძიძა) ახორციელებს თავშესაფრის ბენეფიციარის შემთხვევის მართვას, ბენეფიციართან დაკავშირებით გამოვლენილი პრობლემების იდენ-

ტიფიცირებას და მსჯელობს მისი დაძლევის გზებსა და საშუალებებზე. საჭიროების შემთხვევაში, მულტიდიციპლინური გუნდის მუშაობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, შესაძლებელია მონვეულ იქნეს სააგენტოს ცენტრალური აპარატის ან სააგენტოს სხვა სტრუქტურული ერთეულის შესაბამისი თანამშრომელი/სპეციალისტი.

კრიზისული ცენტრი არის სავარაუდო მსხვერპლთა და მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილი, რომელიც ემსახურება მათ ფსიქოლოგიურ-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისულ ცენტრში პირის და მასზე დამოკიდებული პირების განთავსება შესაძლებელია მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრამდე და ამ სტატუსის განსაზღვრის შემდეგ, თუ მსხვერპლი არ გამოთქვამს საცხოვრებლად თავშესაფარში განთავსების სურვილს და საჭიროებს მხოლოდ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას და სამართლებრივ დახმარებას თავშესაფარში ცხოვრების გარეშე.

კრიზისული ცენტრი, თავშესაფრის მსგავსად, იქმნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ან/და არასამენარმეო იურიდიული პირის ბაზაზე. არასამენარმეო იურიდიული პირის მიერ შექმნილი კრიზისული ცენტრი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამ ტიპის დაწესებულებისათვის დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც დამტკიცებულია მინისტრის 2017 წლის 10 ნოემბრის № 01-64/ნ ბრძანებით.

საქართველოს მასშტაბით კრიზისული ცენტრი ფუნქციონირებს 5 ქალაქში, კერძოდ, თბილისში, ქუთაისში, მარნეულში, ოზურგეთსა და გორში. კრიზისული ცენტრი (გარდა თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრისა) წარმოადგენს დღის მომსახურების ცენტრს, სადაც მომსახურებების მიღება შესაძლებელია ყოველდღე, შაბათ-კვირისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უქმედლების გარდა, 9 საათიდან 18 საათამდე.

კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან/და ადა-მიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სექსუალური ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს/სავარაუდო მსხვერპლს და მათზე დამოკიდებულ პირებს.

თავშესაფრისგან განსხვავებით, კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობა შეუძლია როგორც ძალადობის მსხვერპლს/დაზარალებულს, ისე სავარაუდო მსხვერპლს დამოკიდებულ პირებთან ერთად. ძირითადად, მომსახურება ხორციელდება ბენეფიციართა მიერ ვიზიტების განხორციელების გზით (დღის მომსახურებები), ცენტრში ცხოვრების გარეშე. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი, რომელიც ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს (მასზე დამოკიდებულ პირებთან ერთად), სხვა მომსახურებებთან ერთად, უზრუნველყოფს დროებითი (სადღე-ლამისო) საცხოვრისის მომსახურებით, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის და მასზე დამოკიდებული პირისთვის, სააგენტოს სხვა სტრუქტურულ ერთეულში – ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში) რეფერირებამდე, დროებითი (არაუმეტეს 48 საათისა) სადღელამისო საცხოვრისით.

თბილისის კრიზისული ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზი – 116 006, რომელიც სატელეფონო კონსულტაციებს უწევს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საკითხებით დაინტერესებულ პირებს 24 საათის განმავლობაში. ზარის განხორციელება უფასოა და უზრუნველყოფილია კონფიდენციალურობა, ხოლო კონსულტაციის მიღება შესაძლებელია 8 ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული, თურქული, აზერბაიჯანული, სომხური, არაბული და სპარსული ენები). კრიზისულ ცენტრში მოქმედებს ბავშვთა დახმარების უფასო „ცხელი ხაზი“ – 111, რომელიც, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ახორციელებს ინდივიდუალური და

სიტუაციური რისკების გამოვლენას, შეფასებას, რეაგირებასა და მონიტორინგს, სამუშაო დღეებში – 10:00-19:00 საათებში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს კრიზისული ცენტრის მომსახურებებს ძალადობის მსხვერპლისთვის/დაზარალებულის-თვის, ასევე ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის თბილისის კრიზისული ცენტრის მაგალითზე.

კრიზისული ცენტრის მომსახურებები ძალადობის მსხვერპლის-თვის/დაზარალებულისთვის	თბილისის კრიზისული ცენტრის მომსახურებები ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის
<ol style="list-style-type: none"> ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაცია; სამედიცინო მომსახურება; საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმის მომსახურება; საჭიროების შემთხვევაში, სხვა მომსახურება 	<ol style="list-style-type: none"> დოროებითი (სადღედამისო) საცხოვრისი (გარდა სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისა, როცა ასეთი ძალადობა არ განხორციელებულა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ნიშნით) ფსიქო-სოციალური დახმარება; პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება; სამართლებრივი დახმარება; საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმის მომსახურება.

ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის ვადა

კრიზისული ცენტრის მოსამახურებით სარგებლობის მიზნით, ძალადობის მსხვერპლის/დაზარალებულს და სააგენტოს შორის ფორმდება ხელშეკრულება 3 თვემდე ვადით, მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოქმედების ვადის გათვალისწინებით.

კრიზისული ცენტრების შინაგანაწესის თანახმად, შესაძლებელია აღნიშნული ვადის გაგრძელება, რომლის საჭიროების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

- იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლთან/დაზარალებულთან ხელშეკრულება დადებულია 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები ვადით, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონურვამდე, არაუადრეს 2 სამუშაო დღისა, კრიზისული ცენტრის

- შესაბამისმა თანამშრომელმა ან მულტიდისციპლინურმა გუნდმა უნდა გააანალიზოს მსხვერპლის/დაზარალებულის მდგომარეობა;
2. თუ მსხვერპლთან/დაზარალებულთან ხელშეკრულება და-დებულია 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით, ხელშეკ-რულების მოქმედების ვადის ამონურვამდე, არაუადრეს 3 სამუშაო დღისა, კრიზისული ცენტრის თანამშრომელმა ან მულტიდისციპლინურმა გუნდმა უნდა გააანალიზოს მსხვერპლის/დაზარალებულის მდგომარეობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხელშეკ-რულების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვის ვადით, მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოქმედების ვა-დის შესაბამისად.

ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის მიერ კრიზისული ცენ-ტრის მომსახურებით სარგებლობის ვადა

კრიზისული ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მიზნით, სააგენტოსა და ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს შორის ფორ-მდება ხელშეკრულება არაუმეტეს 12 სამუშაო დღის ვადით, სექ-სუალური ძალადობის (გარდა ოჯახში ძალადობის ან/და ადამია-ნით ვაჭრობის ნიშნით ჩადენილი სავარაუდო ძალადობის/დანაშა-ულის) სავარაუდო მსხვერპლის გარდა. სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთან ხელშეკრულება ფორმდება 3 თვემდე ვადით.

კრიზისული ცენტრების შინაგანაწესი ითვალისწინებს ხელ-შეკრულების ვადის გაგრძელების შესაძლებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დადგე-ნისთვის დაწყებული პროცედურები არ არის დასრულებული. ასეთ შემთხვევაში კრიზისული ცენტრით სარგებლობის ვადა გაგ-რძელდება პროცედურების დასრულებამდე, კერძოდ:

- ა) დამცავი ორდერის გამოცემის/გამოცემაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე;
- ბ) მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის/ადამიანით ვაჭ-რობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიე-ბების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორ-დინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფის

მიერ ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისთვის ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის მიერ კრიზისული ცენტრის მომსახურების მისაღებად მომართვის შემთხვევაში, სხვა პროცედურების გავლასთან ერთად, სავალდებულოა ძალადობის სავარაუდო მსხვერპლის იდენტიფიცირების სპეციალური კითხვარის შევსება და კითხვარის საფუძველზე პირის ძალადობის სავარაუდო მსხვერპლად განსაზღვრა. კითხვარის საფუძველზე გადაწყდება კრიზისული ცენტრის დღის მომსახურებების ან/და სადღედამისო დროებითი საცხოვრისის (გარდა სექსუალური ძალადობის სავარაუდო მსხვერპლისა, როცა ასეთი ძალადობა არ განხორციელებულა ოჯახში ძალადობის ან/და ადამიანით ვაჭრობის (ტრეთიკინგის) ნიშნით) მომსახურების მიწოდების მიზანშეწონილობის საკითხიც. თუ სპეციალური კითხვარის საფუძველზე პირი ცნობილი იქნება ძალადობის სავარაუდო მსხვერპლად და დადგინდება სადღედამისო დროებითი საცხოვრისის საჭიროება, მისი რეფერირება მოხდება თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში. თუ პირი სპეციალური საიდენტიფიკაციო კითხვარის საფუძველზე არ იქნება მიჩნეული ძალადობის სავარაუდო მსხვერპლად, იგი ვერ მიიღებს კრიზისული ცენტრის მომსახურებას.

აღსანიშნავია, რომ სავარაუდო მსხვერპლს/მსხვერპლს თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე. თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში ყოფნისას იგი უფლებამოსილია ისარგებლოს შრომითი ურთიერთობის შეჩერების უფლებით, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 30 კალენდარულ დღეს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილება ჩერდება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსებისას, თუ მოხელეს აღარ შეუძლია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, მაგრამ წელიწადში არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა. ამ შემთხვევაში შესაბამისი საჯარო დაწესებულებისათვის შეტყობინების ვალდებუ-

ლება ეკისრება მოხელისათვის მომსახურების გამწევ ორგანიზაციას.

თავი VI. ქალთა მიმართ და ოჯახში ქალადობის სფეროში არსებული საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები

საერთაშორისო ინსტრუმენტები მოიცავს ყველა დოკუმენტსა თუ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და აერთიანებს ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმებსა და პრინციპებს. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სფეროში მიღებულმა აქტებმა მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების დამატებითი გარანტიები და მათ სპეციფიკაზე მორგებული მექანიზმები შექმნა.

1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი საერთაშორისო და რეგიონული აქტები – ზოგადი მიმოხილვა

გენდერული თანასწორობის მიღწევისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დოკუმენტია 1979 წელს გაეროს გენერალური ანსამბლეის მიერ მიღებული კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა. იგი მიუთითებს, რომ ქალთა დისკრიმინაცია არღვევს თანასწორუფლებიანობისა და ადამიანური ღირსების პატივისცემის პრინციპებს, აბრკოლებს მამაკაცთან თანაბრად ქალის მონაწილეობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ხელს უშლის საზოგადოებრივი და ოჯახური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და კიდევ უფრო ართულებს ქალთა შესაძლებლობების სრულად გამოვლენას ქვეყნისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მე-17 მუხლის საფუძველზე შეიქმნა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (შემდეგში, CEDAW კომიტეტი), რომლის მიზანია, მონიტორინგი გაუწიოს კონვენციის აღსრულების პროცესს და შეაფასოს ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა კონვენციი-

ის მოთხოვნებთან, ანუ კომიტეტი ზედამხედველობას უწევს, როგორ ასრულებენ სახელმწიფოები კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, მისი მიზნებისათვის, ცნება „ქალთა მიმართ დისკრიმინაცია“ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისსა და შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს (ან შედეგად მოსდევს), შეასუსტოს და გამორიცხოს ქალთა მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო ან ნებისმიერ სხვა დარგში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება, სარგებლობა ან განხორციელება. ამავე კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, რათა შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელი ცრურნმენათა აღმოფხვრისა და ყველა იმ ჩვეულებისა და პრაქტიკის გაუქმების მიღწევის მიზნით, რომელიც ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან/და მამაკაცებისა და ქალების როლის სტერეოტიპულ იდეას ეფუძნება.

კონვენცია არ შეიცავს დებულებებს გენდერული ძალადობის შესახებ, თუმცა CEDAW კომიტეტის მიერ 1992 წელს მიღებული იქნა მე-19 ზოგადი რეკომენდაცია,¹⁸² რომლის თანახმად, კონვენციის პირველ მუხლში მოცემული დისკრიმინაციის განმარტება მოიცავს გენდერულ ძალადობას, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ის ქალია, ან რომელიც არაპროპორციულად დამაზიანებელ მდგომარეობაში აყენებს ქალებს, ანუ რომელსაც უფრო ხშირად ქალები განიცდიან. აღნიშნული ქმედებები მოიცავს ფიზიკურ, მენტალურ ან სექსუალურ ზიანს ან ტანჯვას, ასეთი ქმედებების მუქარას, იძულებასა და თავისუფლების აღკვეთის სხვა ფორმებს. გენდერულმა ძალადობამ შესაძლოა დაარღვიოს კონვენციის ცალკეული რეგულაციები, იმის მიუხედავად, აღნიშნული ქმედებები სიტყვა-სიტყვით არის თუ არა გათვალისწინებული კონვენციის შესაბამის დებულებებში. ზოგადი რე-

¹⁸² General recommendation No. 19: Violence against women, 1992, n.b. <https://bit.ly/2L2bFQu> [05.01.2021].

კომენდაცია განმარტავს კონვენციის პირველ მუხლს ქალთა დისკრიმინაციასთან დაკავშირებით და მიუთითებს, რომ დისკრიმინაციად ჩაითვლება გენდერული ძალადობა, რომელიც აფერხებს ან შეუძლებელს ხდის ქალთა მიერ საერთაშორისო სამართლითა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული კონვენციებით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებით სარგებლობას, რომელსაც განეკუთვნება, მათ შორის, სიცოცხლის უფლება, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, ოჯახურ ცხოვრებაში თანასწორობის უფლება, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლება და ა.შ.¹⁸³

რეკომენდაცია დასაქმების ადგილზე სექსუალურ შევიწროებაზეც ამახვილებს ყურადღებას და მიუთითებს, რომ დასაქმების სფეროში მნიშვნელოვნად იზღუდება თანასწორობა, როდესაც ქალი ხდება გენდერული ნიშნით ძალადობის, მათ შორის, სექსუალური შევიწროების, მსხვერპლი. სექსუალური შევიწროება მოიცავს არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევას, მათ შორის, ფიზიკურ კონტაქტს, სექსუალური შინაარსის განცხადებებს, პორნოგრაფიის ჩვენებასა და სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს, ვერბალური თუ არავერბალური (არასიტყვიერი) გზით. ამგვარი მიდგომა დამამცირებელია და შეიძლება გამოიწვიოს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები.¹⁸⁴

CEDAW კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ უზრუნველყონ ქალების ძალადობისაგან, მათ შორის, გაუპატიურების, სექსუალური და გენდერული ძალადობის სხვა ფორმებისაგან დაცვა. მსხვერპლებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაცვისა და დახმარების მექანიზმები, მნიშვნელოვანია სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოებისა და სხვა ოფიციალური პირებისათვის გენდერულად მგრძნობიარე სწავლებისა და ტრენინგების ჩატარება. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ სტატისტიკის შევ-

¹⁸³ General recommendation No. 19: Violence against women, General comments, §6-7, 1992, n.b. <https://bit.ly/2L2bFQu> [05.01.2021].

¹⁸⁴ General recommendation No. 19: Violence against women, Comments on specific articles of the Convention, Article 11, §17-18, 1992, n.b. <https://bit.ly/2L2bFQu> [05.01.2021].

როვებას და უნდა უზრუნველყონ ძალადობის მასშტაბების, მიზე-ზებისა და შედეგების შინაარსობრივი ანალიზი და ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული აქტი-ვობების შეფასება. ეფექტიანი ზომები უნდა იქნეს მიღებული მე-დიაში ქალთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით. სა-ხელმწიფოებმა უნდა დანერგონ საგანმანათლებლო და საინფორ-მაციო პროგრამები იმ ცრურნებულების აღმოსაფხვრელად, რომ-ლებიც ხელს უშლის ქალთა თანასწორობას. ძალადობის მსხვერ-პლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სამართლებრივი დაცვის მექა-ნიზმებზე, უნდა არსებობდეს საჩივრის განხილვის ეფექტური პროცედურები, მათ შორის, გათვალისწინებული უნდა იყოს კომ-პენსაციის მიღების შესაძლებლობა და ა.შ.¹⁸⁵

აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაცია არ მოიცავს მხოლოდ სა-ხელმწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებებს, შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი სახელმწიფოებს ავალდებუ-ლებს, რომ ყველა ზომა მიიღონ ქალთა წინააღმდეგ ნებისმიერი პირის, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების მიერ განხორციელე-ბული დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით. ამდენად, სახელმწი-ფოს პასუხისმგებლობის საკითხი შესაძლოა დადგეს კერძო პირე-ბის მიერ განხორციელებული ქმედებების შემთხვევაშიც, თუკი სახელმწიფო არ მიიღებს სათანადო ზომებს, თავიდან აიცილოს აღნიშნული უფლებების დარღვევა ან გამოიძიოს და დასაჯოს ძა-ლადობრივი ქმედებების ჩამდენი პირები და უზრუნველყოს მსხვერპლებისათვის სათანადო კომპენსაციის მიღება.¹⁸⁶

მოგვიანებით, მე-19 ზოგადი რეკომენდაციის მიღებიდან 25 წლის თავზე, CEDAW კომიტეტმა მიიღო 35-ე ზოგადი რეკომენდა-ცია, რომელიც ავსებს და აახლებს მონაწილე სახელმწიფოების-თვის 9 19 რეკომენდაციაში ჩამოყალიბებულ სახელმძღვანელო პრინციპებს, რის გამოც იგი წაკითხული უნდა იქნეს აღნიშნულ რეკომენდაციასთან ერთად.¹⁸⁷ 35-ე რეკომენდაციამ გაითვალის-

¹⁸⁵ General recommendation No. 19: Violence against women, Specific recommendations, §24, 1992, n.b. <https://bit.ly/2L2bFQu> [05.01.2021].

¹⁸⁶ General recommendation No. 19: Violence against women, General comments, §9, 1992, n.b. <https://bit.ly/2L2bFQu> [05.01.2021].

¹⁸⁷ General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, 2017, n.b. <https://bit.ly/3nmp7Mk> [05.01.2021].

წინა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელი-სუფლების დონეზე გასატარებელი ღონისძიებები. კერძოდ, **საკანონმდებლო დონეზე** სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, მიიღონ ქალებისა და გოგოების მიმართ გენდერული ძალადობის ყველა ფორმის ამკრძალავი კანონმდებლობა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანონ კონვენციის მოთხოვნებთან, მათ შორის, უნდა გაუქმდეს ყველა ის ნორმა, რომელიც რელიგიური, ჩვეულებითი ან სხვა ტრადიციის გავლენით უმვებს დისკრიმინაციას და ხელს უწყობს ან ამართლებს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას ან ამკვიდრებს ამგვარი ქმედებების დაუსჯელობას; **აღმასრულებელ დონეზე** სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ ხელმისაწვდომი და ადეკვატური მომსახურებები გენდერული ძალადობისგან ქალების დასაცავად, თავიდან აიცილონ ძალადობის განმეორებითი შემთხვევები და უზრუნველყონ ყველა მსხვერპლისათვის ზიანის ანაზღაურება, უნდა აღმოფხვრან იმგვარი ინსტიტუციური პრაქტიკა და საჯარო მოხელეთა ისეთი იდივიდუალური ქცევა, რომელიც წარმოადგენს ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას ან მათ მიმართ იჩენს შემწყნარებლურ დამკვიდრებულებას; **სასამართლო დონეზე** ყველა სასამართლო ორგანო ვალდებულია, თავი შეიკავოს ქალთა მიმართ წებისმიერი დისკრიმინაციული მოქმედების ან გენდერული ძალადობის ჩადენისგან, ზედმინევნით გამოიყენოს სისხლის სამართლის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს ამ სახის ძალადობის დასჯას და უზრუნველყოს, ყველა სამართლებრივი პროცედურა ქალთა მიმართ სავარაუდო გენდერული ძალადობის შემთხვევებში იყოს მიუკერძოებული და სამართლიანი და მათზე არ მოქმედებდეს გენდერული სტერეოტიპები ან სამართლებრივი დებულებების დისკრიმინაციული ინტერპრეტაცია. წინასწარ ჩამოყალიბებულმა შეხედულებებმა და სტერეოტიპულმა წარმოდგენებმა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ქალის მიმართ გენდერული ძალადობა, როგორი უნდა იყოს ქალის რეაქცია ასეთ ძალადობაზე და ძალადობის შემთხვევის ნამდვილობის დამადასტურებელი მტკიცების სტანდარტისადმი წაყენებულმა მოთხოვნებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ქალთა უფლებებზე კანონის წინაშე თანასწორად სარგებლობის, სამართლიანი სასამართლო განხილვისა და

სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებების გამოყენების კუთხით.¹⁸⁸

რადგან ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არის ქალის დისკრიმინაციის ფორმა, რეკომენდაციის მიხედვით, ეს კი-დევ უფრო აშკარას ხდის და აღრმავებს ძალადობას, როგორც სო-ციალურ და არა ინდივიდუალურ პრობლემას, რომელიც საჭირო-ებს ყოველმხრივ და არა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებზე, ცალკეულ დამნაშავეებსა და მსხვერპლებზე მიმართულ რეაგირებას.¹⁸⁹

2015 წელს CEDAW კომიტეტმა განიხილა საქმე „**X და Y საქართველოს წინააღმდეგ**“, რომელმაც შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში შესაბამისი კანონმდებლობის მიღებისა და სახელმწიფო ორგანოებში არსებული ხარვეზიანი პრაქტიკების გადახედვის/შეცვლის თვალსაზრისით.¹⁹⁰

საქმე ეხებოდა გენდერული ნიშნით ქალისა და მისი არასრულწლოვანი შვილების მიმართ მეულლის მიერ განხორციელებულ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას. ქალი აცხადებდა, რომ იგი გააუპატიურა მამაკაცმა ერთ-ერთ სტუდენტურ წვეულებაზე, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა დაქორწინებულიყო აღნიშნულ პირზე. ვინაიდან ქართული საზოგადოება ქალწულობას მიიჩნევდა ახალგაზრდა ქალის ლირსებად, ქალს სჯეროდა, რომ აღნიშნული ინციდენტის შემდეგ მასთან დაქორწინებას არავინ ისურვებდა. ქორწინების განმავლობაში ქალმა 5 შვილი გააჩინა. მომჩივანი ქალი აცხადებდა, რომ მისი ქმარი ხშირად უკმაყოფილო იყო ცოლის საოჯახო საქმიანობით და ღიზიანდებოდა, როცა მისი მითითებები არ სრულდებოდა. კონფლიქტები წარმოიშობოდა წვრილმან საყოფაცხოვრებო საკითხებზე და ძალადობრივი

¹⁸⁸ General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, III – General obligations of States parties under the Convention relating to gender-based violence against women, §26, 2017, n.b. <https://bit.ly/3nmp7Mk> [05.01.2021].

¹⁸⁹ General recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating general recommendation No. 19, II – Scope, §9, 2017, n.b. <https://bit.ly/3nmp7Mk> [05.01.2021].

¹⁹⁰ X and Y v. Georgia, Communication No. 24/2009, August 25, 2015, n.b. <https://bit.ly/2XpatsY> [10.01.2021].

ინციდენტებით სრულდებოდა. იგი მიუთითებდა, რომ ქმრის მხრიდან ფიზიკურ ძალადობას განიცდიდა 1996 წლიდან. მამაკაცი რამდენჯერმე ფიზიკურად გაუსწორდა მის ვაჟიშვილსაც. ზოგადად, მამაკაცი ძალადობრივად რეაგირებდა, თუ ბავშვები თამაშის დროს ჩხუბობდნენ, იგი უყვიროდა მათ, ანჯღრევდა ძალის გამოყენებით და საპირფარეშოში კეტავდა.

ქალის მიერ პოლიციასა და პროკურატურაში არაერთი განცხადების წარდგენის მიუხედავად, არ მომხდარა შესაბამისი რეაგირება, კერძოდ, არ დაწყებულა გამოძიება და მოძალადის მიმართ სათანადო ზომები არ გატარებულა, რაც რიგ შემთხვევაში განპირობებული იყო იმით, რომ ქალმა უკან გაიტანა თავისი საჩივარი. ქალის საჩივარი განიხილებოდა, როგორც კერძო ბრალდების საქმე. პოლიციამ, ქალის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის საპასუხოდ, რამდენჯერმე მოძალადის მიმართ გამოიყენა წერილობითი გაფრთხილება – დაავალდებულა ქმარი, აღარ განეხორციელებინა ძალადობა საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ, რაც არ წარმოადგენს ქალის ფიზიკური ძალადობისგან დაცვის პროპორციულ და ადეკვატურ მექანიზმს და არ გააჩნია შესასრულებლად სავალდებულო ძალა.

მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი ქმარი ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას ახორციელებდა მათი ორი წლის ქალიშვილის მიმართ. აღნიშნულის თაობაზე პროკურატურის ინფორმირების მიუხედავად, გამოძიება არც ამ შემთხვევაში დაწყებულა.

გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის სხვადასხვა მიზეზთან ერთად საგამოძიებო ორგანო მიუთითებდა, რომ მამაკაცი დადებითად ფასდებოდა მეზობლებისა და ბიზნესპარტნიორების მიერ, რის გამოც ქალის საჩივარს დაუსაბუთებლად მიიჩნევდა.

მოცემული ფაქტობრივი გარემოებები და მათზე სახელმწიფო უწყებების მხრიდან განხორციელებული „რეაგირების ხარისხი“ ნათლად მიუთითებდა როგორც ეროვნული კანონმდებლობის, ისე შესაბამისი ორგანოების პოლიტიკის/საქმიანობის პრობლემატურობასა და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების მიმართ. იმ დროს, როცა ხორციელდებოდა ძალადობა, სახელმწიფოს არ ჰქონდა სამართლებრივი ნორმები და საკანონმდებლო ბაზა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად.

საქმის გაცნობის შედეგად კომიტეტმა მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულება, გაეტარებინა შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის, სანქციები, რომლებიც აკრძალავდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობას, როგორც ქალთა დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას. კომიტეტმა მიუთითა, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა ვალდებულება – გაეტარებინა ყველა შესაბამისი ღონისძიება, რათა შეეცვალა ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალური და კულტურული ნორმები იმისათვის, რომ აღმოფხვრილიყო ცრუ შეხედულებები და ჩვევები, რომლებიც ეფუძნებოდა რომელიმე სქესის წარმომადგენლისათვის უპირატესობის მინიჭებას, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას მეორე სქესთან მიმართებით ან ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპულ როლს.

კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პოლიცია მოძალადეს ხელწერილს აწერინებდა, რომ მომავალში იგივე ქმედებას აღარ ჩაიდენდა. კომიტეტის შეფასებით, ასეთი ხელწერილები არ იყო სამართლებრივად მბოჭავი და, შესაბამისად, არ სრულდებოდა. პროკურატურამ, გამოძიების დაწყებისა და დამნაშავის დასჯის ნაცვლად, მეუღლებს შორის მედიატორის როლი შეასრულა, ხოლო ძალადობის მსხვერპლს საქმესთან დაკავშირებულ მტკიცების ტვირთთან მიმართებით, ზედმეტად გადაჭარბებული მოთხოვნები დააკისრა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომიტეტმა სახელმწიფოს შემდეგი ზოგადი რეკომენდაციების შესრულება დააკისრა, კერძოდ:

უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლები და მათი შვილები დროული და სათანადო დახმარებით, მათ შორის, თავშესაფრითა და ფსიქოლოგის მხარდაჭერით;

გააძლიეროს ცნობადობის ასამაღლებელი კამპანიები და დაამკვიდროს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით;

მოახდინოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიცირება;

მოსამართლეების, ადვოკატებისა და სამართალდამცავი უწყების, მათ შორის, პროკურატურის წარმომადგენლებისთვის ჩაატაროს სავალდებულო ტრენინგები, რომლებიც შექება ოჯახში ძალადობის პრევენციას, გენდერულ სტერეოტიპებს, კონვენციისა და კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციების, განსაკუთრებით მე-19 რეკომენდაციის განმარტებას და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ პირველი რეგიონული აქტი ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით არის 1994 წლის ინტერ-ამერიკული კონვენცია (Belem Do Para) ქალთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილების, დასჯისა და აღკვეთის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ქალთა უფლებებს, რათა მათ იცხოვრონ ძალადობისგან თავისუფალ გარემოში. კონვენციის პირველი მუხლი ქალთა მიმართ ძალადობას განმარტავს, როგორც გენდერზე დაფუძნებულ ნებისმიერ აქტსა და ქცევას, რომელიც იწვევს სიკვდილს ან ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს ან ტანჯვას, საჯარო (საზოგადოებრივ), თუ კერძო სფეროში.¹⁹¹

მეორე რეგიონულ ხელშეკრულებას წარმოადგენს 2003 წელს მიღებული ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული ქარტიის ოქმი აფრიკაში ქალთა უფლებების შესახებ, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას ცხოვრების ყველა ასპექტში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან წინაპირობად განიხილავს და მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს, შეიმუშაონ ისეთი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც აუცილებელია ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ყველა ფორმის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრისათვის.¹⁹²

მესამე რეგიონულ ინსტრუმენტს წარმოადგენს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), რომელიც მის წინამორბედ აქტებსა და ადამიანის უფლე-

¹⁹¹ Inter-American Convention on the Prevention, Punishment and Eradication of Violence against Women (Belém do Pará), 1994, n.b. <https://bit.ly/2XcVfxS> [05.01.2021].

¹⁹² Protocol to the African Charter on Human and Peoples' Rights on the Rights of Women in Africa, July 11, 2003, Article 4.2 (b), n.b. <https://bit.ly/38y5Zxm> [05.01.2021].

ბათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ეფუძნება და გვთავაზობს ახალ და თანამედროვე ხედვას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სფეროში.¹⁹³ იგი არის ცენტრალური რეგიონული მექანიზმი, რომელიც 2011 წელს იქნა მიღებული. საქართველომ აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება 2017 წლის 5 აპრილს მოახდინა, რომელიც ამავე წლის პირველ სექტემბერს შევიდა ძალაში.

კონვენციის პრეამბულაში მითითებულია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ისტორიულად ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალთა უთანასწორობის გამოვლენა, რომელმაც მიგვიყვანა მამაკაცების მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაციამდე და მათ დომინირებამდე და ხელი შეუშალა სრული თანასწორუფლებიანობის განხორციელებას. კონვენცია აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობას, როგორც გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის სტრუქტურულ ბუნებას, და მიიჩნევს, რომ ძალადობა არის ერთ-ერთი მთავარი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებული არიან, დაიკავონ მამაკაცებთან შედარებით დაქვემდებარებული მდგომარეობა.

კონვენცია მიიჩნევს, რომ ქალები და გოგოები იმყოფებიან მათ მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის ჩადენის უფრო მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე მამაკაცები. ოჯახში ძალადობას გაცილებით ხშირად ექვემდებარებიან ქალები, თუმცა მამაკაცებიც შეიძლება გახდნენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ბავშვიც, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, მათ შორის, მამინაც, როცა იგი ოჯახში ძალადობის მოწმეა.

აღნიშნული სულისკვეთების გათვალისწინებით, კონვენციის მიზანს წარმოადგენს:

ქალების ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვა, ძალადობის აღკვეთა და მოძალადეთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით;

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის ხელშეწყობა და ქალებსა და მამაკაცებს შორის რეა-

¹⁹³ კურტანიძე მ., აბრამიშვილი ნ., პატარაია ბ., ფემიციდი – დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, 2016, 15, იხ. <https://bit.ly/2L8HqaG> [05.01.2021].

ლური თანასწორობის ჩამოყალიბება, მათ შორის, ქალებისთვის შესაძლებლობების გაზრდის გზით;

კომპლექსური მიღებობის შემუშავება და შესაბამისი ზომების მიღება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად და დასახმარებლად;

საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით;

სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა ინსტიტუციების მხარდაჭერა და დახმარება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად კომპლექსური მიღებობის შესამუშავებლად.

ამდენად, კონვენციის წევრმა ქვეყნებმა, მათ შორის, საქართველომ, აიღეს ვალდებულება, ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ ქალების და მამაკაცების თანასწორობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნის გზით.

კონვენცია ჩამოთვლის ძალადობის/დანაშაულის იმ ფორმებს, რომელთა ჩადენაც სისხლის სამართლის წესით უნდა იყოს დასჯადი, კერძოდ:¹⁹⁴

ფსიქოლოგიური ძალადობა – წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ადამიანზე სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს იძულების ან მუქარის გამოყენებით;

ადევნება – პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს;

ფიზიკური ძალადობა – პირის მიმართ ფიზიკური აქტების ჩადენით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა;

სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება – წინასწარგანზრახული ქცევის ისეთი ფორმები, როგორიცაა:

- სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე,¹⁹⁵ სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორა-

¹⁹⁴ ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, 2011, მუხლები: 33-39.

ლური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით;

- ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხა-სიათის სხვა აქტების განხორციელება;
- სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მე-სამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები.

ქორნინების იძულება – წინასწარგანზრახული ქცევა, რომელიც ზრდასრულ ადამიანს ან ბავშვს აიძულებს ქორ-ნინებაში შესვლას;

ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება – წინასწარ-განზრახული ქცევა, რომელიც ითვალისწინებს:

- ქალის დიდი სასირცხვო ბაგების, მცირე სასირცხვო ბაგების ან კლიტორის მთლიან ან ნაწილობრივ ამოკ-ვეთას, ინფიბულაციას ან სხვა ნებისმიერი სახით დასა-ხიჩრებას;
- ქალის/გოგონას იძულებას ან დაყოლიებას, ასევე გო-გონას წაქეზებას იმ მიზნით, რომ მას ჩაუტარდეს ზე-მოაღნიშნული რომელიმე მანიპულაცია.

იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია – წინასწარგანზრახული ქცევის ისეთი ფორმები, რომელიც ითვალისწინებს:

- ქალისთვის აბორტის გაკეთებას წინასწარი და ინფორ-მირებული თანხმობის გარეშე;
- ისეთი ქირურგიული ოპერაციის ჩატარებას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ქალის ბუნებრივი რეპრო-დუქციის უნარის შეწყვეტას მისი წინასწარი ან ინფორ-მირებული თანხმობის ან ამ პროცედურების გააზრე-ბის გარეშე.

ზემოაღნიშნულის გარდა, კონვენცია სისხლის სამართლის ან სხვა სახის სამართლებრივი სანქციების დაწესებას ითვალისწი-

¹⁹⁵ თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავი-სუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინე-ბით.

ნებს სექსუალური შევიწროების ჩადენისათვის, რომელიც გულისხმობს სექსუალური ხასიათის ნებისმიერი ფორმის არასასურველ სიტყვიერ, არასიტყვიერ ან ფიზიკურ ქცევას, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს ადამიანის ღირსების შელახვას, კერძოდ, მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ან აგრესიული გარემოს შექმნის გზით.¹⁹⁶

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კრიმინალიზებულია ზემოაღნიშნული ქმედებები, ასევე არსებობს არასისხლის-სამართლებრივი მექანიზმები სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების თვალსაზრისით. თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს **სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა ვერ აკმაყოფილებს სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა დანაშაულების დეფინიციებთან მიმართებით. კერძოდ, სტამბოლის კონვენციისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სქესობრივი ხასიათის დანაშაულები არ ითვალისწინებს მსხვერპლის თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას, როგორც დანაშაულის დეფინიციის შემადგენელ მთავარ ელემენტს.**

ძალადობის/დანაშაულის შემადგენლობების განსაზღვრის გარდა, კონვენცია ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, განაჩენის გამოტანის დროს, კერძოდ:

- ა) დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ოჯახის წევრის მიერ, მსხვერპლთან ერთად მცხოვრები პირის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება;
- ბ) დანაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილ იქნა არაერთგზის;
- გ) დანაშაული ჩადენილი იყო იმ პირის მიმართ, რომელიც მოწყვლადია გარკვეული გარემოებების გამო;

¹⁹⁶ ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, 2011, მუხლი 40.

- დ) დანაშაული ჩადენილი იყო ბავშვის მიმართ ან ბავშვის თან-დასწრებით;
- ე) დანაშაულის ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად (ჯგუფურად);
- ვ) დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესად მაღალი დონის ძალადობა;
- ზ) დანაშაული ჩადენილი იყო იარაღით ან იარაღის მუქარის გამოყენებით;
- თ) დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მსხვერპლს;
- ი) დამნაშავე ადრეც ყოფილა ნასამართლევი მსგავსი ხასიათის დანაშაულისათვის.¹⁹⁷

მოცემული დამამძიმებელი გარემოებები ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ დებულებებში.

აღსანიშნავია, რომ კონვენცია ითვალისწინებს მონიტორინგის კონკრეტულ მექანიზმს, რომლის მიზანია, შეაფასოს, რამდენად ეფექტურად და სრულყოფილად ასრულებენ მხარეები კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს. მხარეების მიერ კონვენციის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი – „გრევიო“. იგი შედგება მინიმუმ 10 და მაქსიმუმ 15 წევრისგან, გენდერული და გეოგრაფიული ბალანსისა და მულტიდისციპლინური გამოცდილების გათვალისწინებით. „გრევიოს“ წევრებს 4 წლის ვადით ირჩევს მხარეთა კომიტეტი მხარეების მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან.¹⁹⁸ კონვენცია ასევე ითვალისწინებს მხარეთა კომიტეტის შექმნას, რომელიც არის პოლიტიკური ორგანო და მონიტორინგის სისტემის კიდევ ერთი სტრუქტურული ერთეული. მხარეთა კომიტეტის შემადგენლობაში არიან კონვენციის მონაწილე მხარეთა წარმომადგენლები. მხარეთა კომიტეტს პირველად იწვევს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი. მისი პირველი სხდომა იმართება კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში „გრევიოს“

¹⁹⁷ ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, 2011, მუხლი 46.

¹⁹⁸ ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, 2011, მუხლი 66.

წევრების არჩევის მიზნით, ხოლო კომიტეტი მომდევნო სხდომებს მართავს მხარეთა ერთი მესამედის, მხარეთა კომიტეტის პრეზიდენტის ან გენერალური მდივნის მოთხოვნით.¹⁹⁹

რაც შეეხება მონიტორინგისა და შეფასების პროცედურას, მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს წარუდგენენ ან-გარიშს, „გრევიოს“ მიერ მომზადებული კითხვარის საფუძველზე, იმ საკანონმდებლო და სხვა ზომების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ კონვენციის დებულებების ამოქმედებას. „გრევიო“ აღნიშნულ ანგარიშს განიხილავს შესაბამისი მხარის წარმომადგენლებთან ერთად. შეფასების შემდგომი პროცედურები დაყოფილია ეტაპებად, რომელთა ხანგრძლივობას განსაზღვრავს „გრევიო“. ყოველი ეტაპის დასაწყისში „გრევიო“ არჩევს კონკრეტულ დებულებებს, რომელთა საფუძველზეც უნდა ჩატარდეს შეფასების პროცედურა და აგზავნის კითხვარს. მხარეები პასუხობენ ამ კითხვარს და ინფორმაციის თაობაზე „გრევიოს“ მხრიდან შემოსულ ნებისმიერ მოთხოვნას. მხარეების გარდა, „გრევიომ“ კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაცია შეიძლება მიიღოს არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, სამოქალაქო საზოგადოებიდან და ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ორგანოებიდან.

შემდეგ ეტაპზე „გრევიო“ ამზადებს ანგარიშის პროექტს, რომელიც მოიცავს იმ დებულებების შესრულების ანალიზს, რომელსაც ეფუძნება შეფასება, ამზადებს მოსაზრებებსა და წინადადებებს იმის თაობაზე, თუ რა გზით შეუძლია შესაბამის მხარეს გამოვლენილი პრობლემების მოგვარება. ანგარიშის პროექტი კომენტარებისთვის ეგზავნება იმ მხარეს, რომელსაც უტარდება შეფასება.

საბოლოოდ, ყველა მიღებული ინფორმაციისა და მხარეთა კომენტარების საფუძველზე, „გრევიო“ ამზადებს ანგარიშს იმის თაობაზე, თუ რა ზომები მიიღო შესაბამისმა მხარემ კონვენციის დებულებების შესასრულებლად. ანგარიში ეგზავნება შესაბამის მხარეს და მხარეთა კომიტეტს. „გრევიოს“ ანგარიში, შესაბამისი მხა-

¹⁹⁹ ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, 2011, მუხლი 67.

რის საბოლოო კომენტარებთან ერთად, ქვეყნდება დამტკიცების-თანავე.²⁰⁰

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პროცესში მონაწილეობს ეროვნული პარლამენტიც, შესაბამისად, კონვენციამ განსაზღვრა მხარეთა ვალდებულება, ეროვნული პარლამენტიც ჩართონ კონ-ვენციის განხორციელების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა მონიტორინგის პროცესში და წარუდგინონ „გრევიოს“ ანგარიშები კონსულტაციის გამართვის მიზნით.²⁰¹

ამდენად, „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღ-მოფხვრის შესახებ“ კონვენცია და სამი რეგიონული ხელშეკრუ-ლება წარმოადგენს მნიშვნელოვან რეგიონულ ჩარჩოს, ასევე ადა-მიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სა-მართლი, რომელიც განსაზღვრავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძა-ლადობის წინაღმდეგ ბრძოლის თანმიმდევრულ და ეფექტურ პო-ლიტიკას.²⁰²

1993 წელს გაეროს გენერალური ანსამბლეის მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია „ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესა-ხებ“²⁰³, რომელიც სტამბოლის კონვენციის მსგავსად მიუთითებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ქალთა და მამაკაცთა ისტო-რიულად უთანასწორო ურთიერთობების გამოვლინება, მან გამო-იწვია ქალებზე ბატონობა და ქალთა დისკრიმინაცია, ხოლო ქალ-თა მიმართ ძალადობა არის ერთ-ერთი გადამწყვეტი სოციალური მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ქალები იძულებული არიან, იყვნენ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, მამაკაცებთან შედა-რებით. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ ქალთა ზოგიერთი ჯგუფი, მაგ.: ლტოლვილი და მიგრანტი ქალები, სოფლად ან შერეულ თემ-ში მცხოვრები ქალები, საპატიმრო დაწესებულებაში მყოფი ქალე-

²⁰⁰ ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალა-დობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, 2011, მუხლი 68.

²⁰¹ ევროპის საბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალა-დობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, 2011, მუხლი 70.

²⁰² კურტანიძე, მ., აბრამიშვილი ნ., პატარაია, ბ., ფემიციდი – დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, 2016, 15, იხ. <https://bit.ly/2L8HqaG> [05.01.2021].

²⁰³ Declaration on the Elimination of Violence against Women, Proclaimed by General Assembly resolution 48/104 of 20 December 1993, იხ. <https://bit.ly/3oieb3g> [05.01.2021].

ბი, გაჭირვებასა და სილარიბეში მყოფი ქალები, არასრულწლოვანი გოგოები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ხანდაზმული ქალები და ქალები, რომლებიც იმყოფებიან შეიარაღებულ კონფლიქტებში, განსაკუთრებით დაუცველნი არიან ძალადობისგან. აღნიშნული დეკლარაციის მიზებისათვის, ტერმინი „ქალთა მიმართ ძალადობა“ ნიშნავს გენდერზე დაფუძნებულ აქტს, რომელიც იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს ქალების ფიზიკური, სექსუალური ან ფსიქოლოგიური ზიანი ან ტანჯვა, მათ შორის, ამგვარი ქმედებების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, მიუხედავად იმისა, ეს ხდება საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.²⁰⁴

2002 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა გამოსცა რეკომენდაცია „ქალთა ძალადობისგან დაცვის შესახებ“, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის ძალაუფლების დისპალანსი კაცებსა და ქალებს შორის და იწვევს სერიოზულ დისკრიმინაციას ქალების მიმართ, როგორც საზოგადოებაში, ისე ოჯახში.²⁰⁵

კომიტეტმა აღნიშნა, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ, განავითარონ და/ან გააუმჯობესონ, საჭიროების მიხედვით, ეროვნული პოლიტიკა ძალადობის წინააღმდეგ, კერძოდ, უზრუნველყონ: მსხვერპლთა მაქსიმალური უსაფრთხოება და დაცვა, დაზარალებული ქალების გაძლიერება მხარდაჭერისა და დახმარების საშუალებით, რაც მათ თავიდან ააცილებს მეორად ვიქტიმიზაციას; სისხლისა და სამოქალაქო სამართალში ცვლილებების განხორციელება; საზოგადოების, მათ შორის, ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლება და ცნობიერების ამაღლება; ქალთა მიმართ ძალადობის სფეროში მომუშავე პროფესიონალე-

²⁰⁴ Declaration on the Elimination of Violence against Women, Proclaimed by General Assembly resolution 48/104 of 20 December 1993, Article 1, n.b. <https://bit.ly/3oieb3g> [05.01.2021].

²⁰⁵ On the protection of women against violence, Council of Europe, Recommendation Rec(2002)5, n.b. <https://bit.ly/2X9UYVx> [05.01.2021].

ბის გადამზადება/სპეციალური ტრენინგების ჩატარება და პრე-ვენცია ყველა შესაბამის სფეროში.²⁰⁶

რეკომენდაცია აღნიშნავს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ძალადობის ყველა მსხვერპლმა, ასევე იურიდიული პროფილის მქონე საჯარო და კერძო ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ მსხვერპლთა დაცვას, დაზარალებულთან ერთად ან მათი სახელით, შეძლონ სამართალწარმოების დაწყება, ასევე მოუწოდებს პროკურორებს, რომ დევნის საკითხის გადაწყვეტისას ქალთა ან ბავშვთა მიმართ ძალადობა განიხილონ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ ან გადამწყვეტ გარემოებად, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე. სამართალწარმოების ყველა ეტაპზე გათვალისწინებული უნდა იყოს დაზარალებულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მათ უნდა შეეძლოთ სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების მიღება. მიღებულ უნდა იქნას ეფექტიანი ზომები მსხვერპლთა დასაცავად, მათ მიმართ მუქარისა და შურისძიების შესაძლო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და ა.შ.²⁰⁷

რეკომენდაციამ მოძალადეთა ინტერვენციის პროგრამებზეც გამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი ინტერვენციის პროგრამების განხორციელება, რომელთა მიზანია ძალადობის ჩამდენი პირის წახალისება, მიიღონ ძალადობისგან თავისუფალი ქცევის ნიმუში, მათ მიერ საკუთარი ქმედების გაცნობიერებისა და პასუხისმგებლობის აღიარების გზით. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დამნაშავისათვის ინტერვენციის პროგრამებში ჩართვის შესაძლებლობა და ეს უნდა იყოს არა სასჯელის ალტერნატივა, არამედ დამატებითი ზომა, რომლის მიზანია ძალადობის აღკვეთა, ხოლო აღნიშნულ პროგრამაში ჩართვა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით. არსებული რესურსების ფარგლებში მნიშვნელოვანია სპეციალიზებული, სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ინტერვენციისა და

²⁰⁶ On the protection of women against violence, Council of Europe, Recommendation Rec(2002)5, General measures concerning violence against women, §3, nб. <https://bit.ly/2X9UYVx> [05.01.2021].

²⁰⁷ On the protection of women against violence, Council of Europe, Recommendation Rec(2002)5, Judicial proceedings, §38, 40, 41, 44, nб. <https://bit.ly/2X9UYVx> [05.01.2021].

მხარდაჭერის ცენტრების დაარსება მოძალადე მამაკაცებისათვის. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მამაკაცებისთვის განკუთვნილი ინტერვენციული საშუალებებისა და ქალის დაცვასთან დაკავშირებული პროგრამების კოორდინაცია და თანამშრომლობა.²⁰⁸

2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული საქმეები

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის, აღკვეთისა და რეაგირების მნიშვნელოვან პრინციპებს განამტკიცებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ინტერპრეტაციას და საქართველოსთვის სავალდებულო ძალა გააჩნია.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე ბავშვებთან დაკავშირებული საქმეები განხილული აქვს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით დაცული სხვადასხვა უფლების ჭრილში. კერძოდ, სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი), წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა (მე-3 მუხლი), სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება (მე-13 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (მე-8 მუხლი) და დისკრიმინაციის აკრძალვა (მე-14 მუხლი).

მოცემულ თავში სასამართლოს მიდგომები განხილული იქნება პრეცედენტულ საქმეებზე დაყრდნობით, რომელთა უმრავლესობაში სასამართლომ ერთდროულად რამდენიმე უფლების დარღვევა დაადგინა.

²⁰⁸ On the protection of women against violence, Council of Europe, Recommendation Rec(2002)5, Intervention programmes for the perpetrators of violence, §50-53, n.b. <https://bit.ly/2X9UYVx> [05.01.2021].

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ერთ-ერთ გამორჩეულ და კომპლექსურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს საქმე „ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ“²⁰⁹.

აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ სასამართლომ, კონკრეტულ უფლებებზე მსჯელობის პარალელურად, განსაზღვრა მნიშვნელოვანი პრინციპები და მიდგომები, რომელებიც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე მუშაობისას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: რამდენიმე წლის განმავლობაში მომჩივნის მეუღლე სისტემატურად ახორციელებდა ძალადობრივ ქმედებებს მომიჩივანსა და მის დედაზე. ზოგიერთ შემთხვევაში მათ მიიღეს დაზიანებები. ძალადობა მოიცავდა ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა: ცემა, მანქანის დაჯახება, რომლის დროსაც სერიოზულად დაზიანდა მიმჩივანის დედა, და თავდასხმა, როდესაც მომჩივანმა მიიღო რამდენიმე ჭრილობა სხეულზე.

ქალების მიერ სახელმწიფო უწყებები რამდენჯერმე იყვნენ ინფორმირებული მათზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების თაობაზე. მომჩივნის მეუღლის წინააღმდეგ რამდენჯერმე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა სიცოცხლის ხელყოფის მუქარის, მძიმე თავდასხმისა და მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თუმცა მოგვიანებით შეწყდა სამართალწარმოება დაზარალებულების მიერ საჩივრის, სავარაუდოდ, მოძალადის ზეწოლით უკან გამოხმობის გამო.

მორიგი კონფლიქტისას მოძალადემ მანქანა დააჯახა მომჩივანსა და მის დედას. მომჩივნის დედას მიადგა სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები. მოგვიანებით მომჩივანმა და დედამისმა უკან გამოიხმეს საჩივარი, თუმცა სასამართლომ დაასკვნა, რომ ზიანის სერიოზულობიდან გამომდინარე, მამაკაცი მაინც უნდა ცნობილიყო დამნაშავედ მოცემული სამართალდარღვევის ჩადენისათვის. შედეგად, სასამართლომ მოძალადეს მიუსაჯა სამი თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა, თუმცა მოგვიანებით საპატიმრო სასჯელი შეიცვალა ჯარიმით.

²⁰⁹ *Opuz v. Turkey, Application no. 33401/02, June 9, 2009, n.b. <https://bit.ly/3hK05Fm> [05.01.2021].*

მოგვიანებით, ზემოაღნიშნული ინციდენტიდან დაახლოებით სამი წლის შემდეგ, მომჩივანს მეუღლე თავს დაესხა და დანის გა-მოყენებით მიაყენა რამდენიმე ჭრილობა სხეულის სხვადასხვა ნა-ნილში. სასამართლო-სამედიცინო ექსერტიზის დასკვნის თანახ-მად, მოცემული ჭრილობები არ იყო სიცოცხლისთვის სახიფათო, მაგრამ მომჩივანი შრომისუნარო იყო შვიდი დღის განმავლობა-ში. სასამართლომ დამნაშავეს დააკისრა ჯარიმის ნაწილ-ნაწილ გადახდა. მომხდარიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მომჩივ-ნის მეუღლემ სასიკვდილოდ დაჭრა მომჩივნის დედა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

მომჩივნის მეუღლემ აღნიშნა, რომ კონტროლი დაკარგა და ეს-როლა სიდედრს საკუთარი ლირსებისა და შვილების დასაცავად. კერძოდ, მომჩივნის დედა მოკლა, რადგან იგი უბიძვებდა მის ცოლს „ამორალური ცხოვრებისაკენ“ და ართმევდა მას ცოლსა და შვილებთან ურთიერთობის შესაძლებლობას.

პროკურატურამ მამაკაცს ბრალი ნარუდგინა განზრას მკვლე-ლობის მუხლით. საბოლოოდ, 2008 წელს სასამართლომ მომჩივ-ნის მეუღლე დამნაშავედ ცნო მკვლელობასა და იარაღის უკანო-ნო ფლობაში და უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თუმ-ცა, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაი-დინა გარდაცვლილის „პროკოკაციის“ შედეგად და სასამართლო განხილვაზე კარგად იქცეოდა, სასამართლომ შეუმსუბუქა თავ-დაპირველი სასჯელი და 15 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმის სახით 180 ახალი თურქული ლირის გადახდა მიუსაჯა.

გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, საპელაციო წარმო-ების დროს, მამაკაცი გაათავისუფლეს და მან გააგრძელა მუქარა მეუღლის მიმართ.

მოცემულ საქმეში სასამართლომ იმსჯელა სიცოცხლის უფ-ლების, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ნაწილში სახელმწი-ფოს მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებ-ლობის კონტექსტში.

სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით სასამართლომ აღნიშ-ნა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში პოლიციის ვალდებულე-ბების განხორციელების, ადამიანის ქცევის განუჭვრეტელობისა

და იმ ოპერატიული არჩევანის გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებისა და რესურსების მიხედვით, პოზიტიური ვალდებულებების მასშტაბი არ უნდა იქნას იმგვარად განმარტებული, რომ შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი დააკისროს სახელმწიფოს. „იმისათვის, რომ დადგეს პოზიტიური ვალდებულება, უნდა დამტკიცდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა პირის სიცოცხლისადმი მესამე პირის სისხლისამართლებრივი ქმედებით გამონვეული რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობა მოცემულ დროს და რომ მათ, აღნიშნულის გათვალისწინებით, არ მიიღეს ზომები საკუთარი უფლება-მოსილების ფარგლებში, რომელიც მათ გონივრულობის ფარგლებში მოეთხოვებოდათ საფრთხის თავიდან ასარიდებლად“.

სასამართლოს შეფასებით, როდესაც არსებობს პრეტენზია, რომ ხელისუფლებამ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, დაეცვა ადამიანის სიცოცხლის უფლება, პირველ რიგში, უნდა შეფასდეს, რამდენად იცოდა ან უნდა სცოდნოდა სახელმწიფოს კონკრეტულ დროს ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მესამე პირის მიერ სისხლისამართლებრივი ქმედებებით შექმნილი რეალური და მყისიერი საფრთხის არსებობის შესახებ და მან უფლებამოსილებისა და გონივრულობის ფარგლებში გამოიყენა თუ არა შესაბამისი ზომები საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, მომჩივნის მხრიდან საკმარისია იმის წარმოდგენა, რომ ხელისუფლებამ არ გააკეთა ყველაფერი, რაც მას გონივრულობის ფარგლებში მოეთხოვებოდა, რათა თავიდან აეცილებინა რეალური და მყისიერი საფრთხე სიცოცხლის ხელყოფის თავიდან ასაცილებლად. სასამართლოს აზრით, ეს არის მთავარი შეკითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის საკითხის განხილვისას, კონკრეტული საქმის გარემოებების გაანალიზების საფუძველზე.

ოპუზის საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავარ შეკითხვას წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რამდენად ჯეროვნად იმოქმედეს ხელისუფლების ორგანოებმა ძალადობის აღსაკვეთად მომჩივნისა და მისი დედის მიმართ, კერძოდ, რამდენად განახორციელეს სისხლისამართლებრივი ან სხვა შესაბამისი პრევენციუ-

ლი ზომები, მსხვერპლთა მიერ საჩივრის გამოხმობის მიუხედავად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობა, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა (ფიზიკური ძალადობიდან დაწყებული, ფსიქოლოგიური თუ სიტყვიერი ძალადობით დამთავრებული), ნარმოადგენს ზოგად პრობლემას, რომელიც ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს და რომელიც ხშირად არ საჯაროვდება. სასამართლომ გაიზიარა პრობლემა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები შესაძლოა იყვნენ არა მხოლოდ ქალები, არამედ კაცებიც და ბავშვებიც, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით. შესაბამისად, აღნიშნული საქმის განხილვისას სასამართლომ გაითვალისწინა განსახილველი პრობლემის სიმძიმე.

სასამართლომ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ მომჩინენისა და მისი დედის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართ ადგილი ჰქონდა მზარდ ძალადობასა და განვითარებად საფრთხეს. მოძალადის მიერ ჩადენილი დანაშაულები იყო საკმარისად სერიოზული, რათა მათ საპასუხოდ განხორციელებულიყო პრევენციული ღონისძიებები. სასამართლოს აზრით, ურთიერთობების ისტორიის განხილვისას ნათელი იყო, რომ არსებობდა ოჯახში ძალადობის წინარე შემთხვევები, რაც მიუთითებდა მომავალში მათი განმეორების მაღალ ალბათობაზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შეეძლოთ განეჭვრიტათ მოძალადის მიერ სასიკვდილო თავდასხმის განხორციელების საფრთხე. მართალია, სასამართლომ სრული სიზუსტით ვერ დაასკვნა, რომ მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა და მკვლელობა არ მოხდებდა სახელმწიფოს მიერ სხვაგვარად მოქცევის შემთხვევაში, მაგრამ აღნიშნა, რომ ხელისუფლების მიერ გონივრული ზომების მიუღებლობა, რომელთა საშუალებითაც შეიცვლებოდა შედეგი ან შემცირდებოდა მიყენებული ზიანი, საკმარის საფუძველს ნარმოადგენდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ხელისუფლების არგუმენტები, რომელიც მიუთითებდა, რომ დახმარება საჭირო არ იყო, რადგან დავა ეხებოდა „პირად საქმეს“. კერძოდ, ხელისუფლება ბრალს მომჩინენს დებდა საჩივრების უკან გამოხმობისა და შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო, რა-

მაც გამოიწვია სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტა, ვინაიდან იმ დროისთვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა ითხოვდა დაზარალებულის აქტიურ ჩართულობას. კერძოდ, გამოძიება და სისხლისამართლებრივი დევნა მკაცრად იყო დამოკიდებული მომჩივნისა და მისი დედის მიერ საჩივრების ბოლომდე მიყოლაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს არგუმენტი შეუსაბამო იყო სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან, უზრუნველყო მომჩივნების მიერ უფლებებით სარგებლობა. ამასთან, რიგ შემთხვევებში, ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ჩარევა ინდივიდთა პირად თუ ოჯახურ ცხოვრებაში შეიძლება აუცილებელი გახდეს მათი ჯანმრთელობის სხვა პირთა უფლებებისა თუ სისხლისსამართლებრივი მოქმედებების ჩადენისაგან დასაცავად. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის დედის წინაშე არსებული საფრთხის სერიოზულობა სახელმწიფოს მიერ მოცემულ საქმეში ჩარევას აუცილებელს ხდიდა. საკანონმდებლო ბაზა ბრალმდებელ ორგანოებს უნდა აძლევდეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების გაგრძელების საშუალებას, დაზარალებულის მიერ უკან გამოხმობილი საჩივრების მიუხედავად. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, მოძალადის მიერ წარსულში ჩადენილ დანაშაულთა სერიოზულობის გათვალისწინებით, დევნის განმახორციელებელ ორგანოებს უნდა შეძლებოდათ სამართალწარმოების გაგრძელება საჯარო ინტერესების ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულების მიერ უკან იქნა გამოხმობილი საჩივრები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის სისტემა არ წარმოადგენდა ადეკვატურ წინაღობას მოძალადის მიერ ჩადენილ ქმედებებთან მიმართებით. ხელისუფლებას არ შეუძლია, დაეყრდნოს მსხვერპლის დამოკიდებულებას საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის გასამართლებლად და უნდა მიიღოს ადეკვატური ზომები, რომელთა საშუალებითაც აღკვეთავს აგრესორის მიერ მსხვერპლის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას.

სიცოცხლის უფლების დარღვევის გარდა, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მიერ გადატანილი ძალადობა ფიზიკური დაზიანებებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის სახით საკმარისად სე-

რიოზული იყო, რათა მიეღწია არასათანადო მოპყრობისათვის. როგორც სასამართლომ მიუთითა, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს მინიმალურ ზღვარს იმისათვის, რათა მოხვდეს კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. პირი დაექვემდებარა თუ არა არასათანადო მოპყრობას შეფასებითია და დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, მათ შორის, მოპყრობის ბუნებასა და კონტექსტზე, მოპყრობის ხანგრძლივობაზე, მის ფიზიკურ და გონებრივ შედგებზე და, რიგ შემთხვევებში, მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელისუფლების ორგანოები, კერძოდ, პოლიცია და პროკურატურა, არ დარჩენილა სრულიად უმოქმედოდ. ძალადობის ყოველი შემთხვევის შემდეგ მომჩივნის წარდგენა ხდებოდა სამედიცინო გამოკვლევისათვის და იწყებოდა გამოძიებაც. პოლიციამ და პროკურატურამ მოძალადე დაკითხეს და ორ შემთხვევაში დაპატიმრეს, ხოლო ბრალი წარუდგინეს სიცოცხლის წინააღმდეგ მუქარისა და სხეულის დაზიანებისათვის. მომჩივნის შვიდ ადგილას დანით დაჭრის შემდეგ კი მოძალადეს დაკისრეს ჯარიმის გადახდის ვალდებულება. თუმცა, სასამართლოს შეფასებით, მიღებული ზომებიდან არცერთი არ აღმოჩნდა საკმარისი მოძალადის შესაჩერებლად და მის მიერ ახალი ძალადობრივი ქმედებების პრევენციისათვის. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან არ მიიღო ეფექტიანი ზომები მომჩივნის მიმართ მისი ქმრის მიერ განხორციელებული პიროვნული ხელშეუხებლობის სერიოზული დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

მოცემული საქმე სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლის ჭრილშიც განიხილა და მიუთითა, რომ ოჯახში ძალადობა ძირითადად ეხებოდა ქალებს და თურქეთში არსებული ზოგადი და დისკრიმინაციული მიდგომები, რომელთაც უპირატესი გავლენა ჰქონდა ქალებზე, ქმნიდა არახელსაყრელ კლიმატს ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. შესაბამისად, სასამართლომ მათ მიერ განცდილი ძალადობა მიიჩნია გენდერულ ძალადობად, რაც არის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმა. ბოლო წლებში მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, მოძალადეთა მიმართ მართლმსაჯულების სისტემის პასიურობა და მათი დაუსჯელობა, როგორც ეს დადასტურდა მოცემულ საქ-

მეშიც, მიუთითებს ხელისუფლების არასაკმარის მზაობაზე, გადადგას შესაბამისი ნაბიჯები ოჯახში ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად და მსხვერპლთა დასაცავად.

სასამართლომ მოიშველია არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, რომელთა მიხედვითაც დაზარალებულები აცხადებდნენ, რომ პოლიციის განყოფილებაში ოჯახში ძალადობის თაობაზე მათ მიერ წარდგენილ საჩივრებს არ იძიებდნენ და ცდილობდნენ მედიატორის როლის შესრულებას, კერძოდ, პოლიციის თანამშრომლები არწმუნებდნენ დაზარალებულებს, რომ დაბრუნებულიყვნენ სახლში და უკან გაეხმოთ საჩივრები. პოლიცია ძალადობას მიიჩნევდა „ოჯახურ საქმედ, რომელში ჩარევაც მათ არ შეეძლოთ“.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთობლიობაში.

კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევა დაადგინა სასამართლომ საქმეში „**ტალპისი იტალიის ნინააღმდეგ**“²¹⁰.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: 2012 წელს მომჩივანმა განცხადებით მიმართა პოლიციას იმის თაობაზე, რომ მისი მეუღლე იყო ალკოჰოლზე დამოკიდებული და მას და მის ქალიშვილს ფიზიკურად უსწორდებოდა. ადგილზე მისულ პოლიციას მომჩივნის მეუღლე ქუჩაში დახვდა და იყო ნასვამ მდგომარეობაში. პოლიციის თანამშრომლებმა შეადგინეს შესაბამისი ოქმი, რომელშიც აღნერეს ინციდენტის დროს მომჩივნისა და მისი ქალიშვილისათვის მიყენებული დაზიანებები.

შემთხვევიდან რამდენიმე თვის შემდეგ მომჩივანს თავს დაესხა დანით შეიარაღებული მეუღლე და აიძულებდა, გაჰყოლოდა მას მის მეგობრებთან სქესობრივი კავშირის დასამყარებლად. მომჩივანმა დასახმარებლად მიმართა ქუჩაში მყოფ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებმაც მოძალადე დააჯარიმეს აკრძალული იარაღის ტარებისათვის, ხოლო მომჩივანს სახლში წასვლისკენ მოუწოდეს.

²¹⁰ Talpis v. Italy, Application no. 41237/14, March 2, 2017, n.b. <https://bit.ly/2L3bdSb> [08.01.2021].

სამედიცინო შემოწმებაზე მისულ მომჩივანს თავისა და სხეულის მრავლობითი დაზიანებები დაუდგინეს და ძალადობის მსხვერპლთა დაწესებულებაში მოათავსეს სამი თვის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ მომჩივანს დაწესებულების დატოვება მოუნია, იგი გარკვეული პერიოდით მეგობართან ცხოვრობდა, ხოლო მოგვიანებით სამსახური იშოვა და შეძლო ბინის დაქირავება. აღნიშნულის პარალელურად, მომჩივნის მეუღლე ტელეფონის საშუალებით მასზე ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ძალადობას.

2012 წლის სექტემბერში მომჩივანმა პოლიციაში შეიტანა განცხადება მის მიმართ მეუღლის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის, არასათანადო მოპყრობისა და მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით და მოითხოვა შესაბამისი ზომების მიღება მისი და მისი შვილების დასაცავად.

მომჩივანი პირველად 2013 წლის აპრილში დაკითხეს, მან შეარბილა სავარაუდო ძალადობასთან დაკავშირებული გარემოებები. რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 2015 წლის ოქტომბერში, მომჩივნის ქმარი დამნაშავედ ცნეს მისი მეუღლის მიმართ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის გამო და 2000 ევროს ოდენობით ჯარიმის გადახდა დააკისრეს.

2013 წლის ნოემბერში მომჩივანმა კვლავ მიმართა პოლიციას მეუღლესთან კამათის გამო. მომჩივნის მეუღლე ინტოქსიკიის მიზეზით საავადმყოფოში გადაიყვანეს, ხოლო განერის შემდეგ, როდესაც იგი ღამის საათებში ქუჩაში მთვრალი სეირნობდა, დააჯარიმეს და სახლში წასვლის უფლება მისცეს.

მომხდარიდან რამდენიმე საათში მომჩივნის ქმარი დანით შეიარაღებული შეიჭრა სახლში და თავს დაესხა მეუღლეს. გაქცევისას ქმარმა რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ცოლს გულმკერდის არეში, ხოლო გაშველებისას მძიმედ დაჭრა მომჩივნის ვაჟი, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მოძალადე დამნაშავედ ცნეს შვილის მკვლელობისა და მეუღლის მკვლელობის მცდელობისათვის, მომჩივნისა და მისი ქალიშვილის არასათანადო მოპყრობისათვის, აკრძალული იარაღის ტარებისათვის და უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მოძალადეს ასევე დაეკისრა მომჩივნისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი დაექვემდებარა იმგვარი ხასიათის ძალადობას,

რომელმაც საფრთხე შეუქმნა მის სიცოცხლეს. მას შემდეგ, რაც მომჩივანმა წარადგინა განცხადება შესაძლო ძალადობის თაობაზე იმ საფრთხეების შესახებ, რომელიც მას და მის ქალიშვილს ემუქრებოდა, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დამცავი ორდერის გამოცემა. მომჩივანი დაიკითხა დაგვიანებით, საჩივრის წარდგენიდან შვიდი თვის გასვლის შემდეგ, ამან შეაფერხა მისი აუცილებლად საჭირო და დაუყოვნებლივი დაცვა. სასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლებას მხედველობაში უნდა მიეღო მომჩივნის უმწეო მდგომარეობა, მისი ფიზიკური და მორალური მოწყვლადობა, თუმცა სახელმწიფომ არ შეაფასა არსებული რისკები, მათ შორის, მეუღლის მხრიდან შესაძლო ფიზიკური ძალადობის საფრთხე. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლების უმოქმედობამ მოძალადეში გამოიწვია დაუსჯელობის განცდა, რომელმაც ხელი შეუწყო ძალადობრივი ქმედებების გამორებას. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ შვილის მკვლელობისა და მეუღლის მკვლელობის მცდელობის დღეს პოლიცია ორჯერ ჩაერია დამით განვითარებულ მოვლენებში, სიტუაციის სერიოზულობის გათვალისწინებით, მათ არ მიუღიათ ეფექტური ზომები მომჩივნის დაცვის მიზნით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის მიერ წარდგენილი საჩივრებისა და მისი მეუღლის წარსულის გათვალისწინებით, პოლიციისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მომჩივნის მიმართ არსებული რეალური საფრთხეების შესახებ. შესაბამისად, ხელისუფლებამ გამოიჩნია საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ვერ შეძლო ქალისა და მისი ვაჟის დაცვა. ამგვარი დამოკიდებულების გამო, მომჩივნის მიერ წარდგენილი საჩივრები და განცხადებები არაეფექტური აღმოჩნდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მომჩივნის მოწყვლადობაზეც და აღნიშნა, რომ მის მიერ განცდილი ძალადობა მოიცავდა სხეულის დაზიანებებსა და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტებს. მომჩივანი შვილებთან ერთად ისეთ ძალადობრივ გარემოში იმყოფებოდა, რომ ეს საკმარისი იყო ვითარების არასათანადო მოპყრობად შესაფასებლად.

სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეების განხილვისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაითვალისწინონ მსხვერ-

პლის უმწეო მდგომარეობა, მისი ფიზიკური და მორალური მოწყვლადობა და რაც შეიძლება ოპერატიულად შეაფასონ არსებული სიტუაცია. მოცემულ საქმეში კი სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა არგუმენტები იმის თაობაზე, რატომ არ მიიღო შესაბამისი ზომები საჩივრის წარდგენიდან შვიდი თვის განმავლობაში, ასევე არ წარუდგენია არგუმენტები, თუ რატომ გაგრძელდა გამოძიება, სხეულის მძიმე დაზიანებასთან დაკავშირებით, სამი წლის განმავლობაში.

ბოლოს, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დისკრიმინაციის აკრძალვაზე და კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ პრეცედენტული სამართლის თანახმად, სახელმწიფოს მიერ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს თანაბარი სამართლებრივი სიკეთის დაცვის უფლების დარღვევას.

სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის ხელისუფლებამ არსებული რისკების სათანადოდ შეუფასებლობით წაახალისა ძალადობა. სასამართლომ მოიშველია ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2012 წლის ანგარიში, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტისა და სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემები, რომლებიც ასახავდა იტალიაში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პრობლემის მასშტაბურობასა და სიმწვავეს და დასკვნა, რომ გატარებული რეფორმების მიუხედავად, მრავალი ქალი იქნა მოკლული პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მიერ, ქვეყანაში შენარჩუნებული იყო საზოგადოების შემწყნარებლური დამოკიდებულება ქალთა და ოჯახში ძალადობის მიმართ. ეს მიუთითებდა, რომ მომჩივნის მიმართ ძალადობა განხორციელდა სქესის ნიშნით, რაც არის ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-2 და მე-3 მუხლებთან ერთობლიობაში.

კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად სიცოცხლის უფლების დარღვევა დაადგინა სასამართლომ საქმეში „ჰალიჩე კილიჩი თურქეთის წინააღმდეგ“²¹¹.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: 2016 წელს ფატმა ბაბატლიმ საჩივარი წარადგინა მეუღლის წინააღმდეგ. იგი მიუთითებდა, რომ ქმარი გამუდმებით აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას, რის გამოც მოითხოვა დამცავი ზომების გამოყენება. იგი მოითხოვდა დამცავი ორდერის გამოცემასაც, რომლითაც მის მეუღლეს სახლიდან წასვლის ვალდებულება ექნებოდა. სასამართლომ დააკმაყოფილა ბაბატლის მოთხოვნა და წინასწარი დამცავი ორდერი გამოსცა, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად მითითებული იყო მოძალადის სახლიდან წასვლის ვალდებულების შესახებ. სასამართლომ გამოსცა ბრძანებაც, რომლის მიხედვითაც ბაბატლის მეუღლეს აეკრძალა ცოლის მიმართ ძალადობრივი ქმედებების განხორციელება. ბრძანებაში მითითებული იყო, რომ მისი შეუსრულებლობა საპატიმრო სასჯელს ითვალისწინებდა.

2008 წელს პროკურატურამ ბაბატლის მეუღლეს ბრალი წაუყენა ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებისათვის და სასამართლოში წარადგინა შუამდგომლობა ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული. ამავე წლის ივლისსა და ოქტომბერში ფატმა ბაბატლიმ კვლავ წარადგინა საჩივრები ოჯახში ძალადობის თაობაზე, რის პასუხადაც სასამართლომ ორი ბრძანება გამოსცა.

მოგვიანებით ბაბატლიმ მისწერა პროკურორს, რომ მისმა მეუღლემ ორი ბავშვი გაიტაცა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

საბოლოოდ, ფატმა ბაბატლიმ შესაბამის ორგანოებში ოთხი საჩივარი წარადგინა, ხოლო 2008 წლის ნოემბერს იგი მოკლა მისმა მეუღლემ, რომელმაც შემდეგ თავი მოიკლა.

მოკლული ბაბატლის დედა, ჰალიჩე კილიჩი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ჩიოდა, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ დაიცვა მისი შვილის სიცოცხლე და ვერ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გაცემული ორდერების აღსრულება. მიუთითებდა იმაზე, რომ შვილის გარდაცვალების შემდეგ, საჯა-

²¹¹ Halime Kılıç v. Turkey, Application no. 63034/11, June 28, 2016, n.b. <https://bit.ly/3pYls8Y> [08.01.2021].

რო მოხელეების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების მიზნით, მის მიერ წარდგენილი საჩივარი წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან სამართალწარმოება შეწყდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ფატმა ბაბატლიმ შესაბამის ორგანოებს ოთხჯერ მიმართა, იგი მიუთითებდა მეუღლის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეებზე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ გამოსცა სამი დამცავი ორდერი, აღნიშნული მექანიზმი სრულიად არაეფექტური აღმოჩნდა, ვინაიდან ვერ უზრუნველყო ადამიანის რეალური დაცვა. როგორც სასამართლომ მიუთითა, მართალია, თეორიულად არსებობდა დამცავი ლონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფას, თუმცა მოცემულ ვითარებაში მოძალადის მიმართ პირველი დამცავი ორდერის გადაცემას 19 დღე, ხოლო მეორე დამცავი ორდერის ჩაბარებას 2 კვირა დასჭირდა, რამაც ქალს ჩამოართვა დაუყოვნებლივი დაცვით სარგებლობის შესაძლებლობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ დაგვიანებამ არაეფექტური გახადა სასამართლოს მიერ გაცემული ორდერები, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ პირველი ორდერის გამოცემიდან მოძალადისათვის მის გადაცემამდე ფატმა ბაბატლი კიდევ ერთხელ გახდა მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი.

სასამართლომ დაადგინა, რომ დამცავი ლონისძიებების ეფექტურობა გარანტირებული იქნებოდა მხოლოდ სათანადო კონტროლის მექანიზმებით. პროკურატურის მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ არ შეაფასა ბაბატლის მიმართ არსებული საფრთხეები და რისკები, შესაბამისად, მოძალადე გათავისუფლდა იმგვარად, რომ მომჩინის შვილის სიცოცხლის დასაცავად პრაქტიკული ლონისძიებები არ გატარებულა, ხოლო სასამართლოს მიერ გაცემულ ორდერებს მოძალადებზე შემაკავებელი ეფექტი არ ჰქონია. სასამართლომ აღნიშნა, რომ შესაბამისი კანონმდებლობა სასამართლოს მიერ გაცემული ორდერის შეუსრულებლობისთვის საპატიმრო სასჯელს ითვალისწინებდა, თუმცა, მოძალადის მიერ მათი დარღვევის მიუხედავად, იგი ამის გამო არ დასჯილა, რამაც არსებულ ორდერებს ეფექტურობა დაუკარგა.

ამდენად, ხელისუფლების უმოქმედობით შეიქმნა გარემო, რომელიც მოძალადეს აძლევდა შესაძლებლობას მეუღლეზე განეხორციელებინა არაერთი ფიზიკური ძალადობა შესაბამისი სასჯელის დაკისრების გარეშე.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ თურქეთში ქალებისათვის რაოდენობრივად ცოტა თავშესაფარი არსებობდა, თუმცა შესაბამისი ადგილის, სადაც ფატმა ბაბატლი შვილებთან ერთად დაცული იქნებოდა, არსებობის შემთხვევაშიც კი არც პროკურატურას და არც პოლიციას მომჩივნის შვილი მის საჭიროებებზე მორგებულ დაწესებულებაში არ გაუგზავნია და არც შესაბამისი ინფორმაცია მიუწოდებია ამგვარი დაწესებულებების შესახებ.

სასამართლოს მოსაზრებით, ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა მომჩივნის შვილის განსაკუთრებით სახიფათო და მოწყვლადი ფსიქოლოგიური, ფიზიკური და მატერიალური მდგომარეობა და სათანადო დახმარება შეეთავაზებინა, თუმცა ქალი მოძალადე მეუღლის პირისპირ ყოველგვარი რესურსებისა და დაცვის გარეშე აღმოჩნდა.

მომჩივნი ასევე ამტკიცებდა, რომ მისი შვილის მიმართ ძალადობა განხორციელდა, რადგან იგი ქალი იყო. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ გაიმეორა ოპუზის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული დასკვნები.

საბოლოოდ, სასამართლოს მოსაზრებით, მოძალადის დაუსჯელობამ გავლენა იქონია ეროვნული ხელისუფლების მიერ ოჯახში ძალადობის განსაკუთრებით შემაშფოთებელი ინციდენტების განზრახ უარყოფასა და ძალადობის მსხვერპლის განსაკუთრებულ მოწყვლადობაზე და დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

საქმეში „**ბალსანი რუმინეთის წინააღმდეგ**“ სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა დაადგინა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.²¹²

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: მომჩივნი დაოჯახდა 1979 წელს და ოთხი შვილი შეეძინა. იგი მიუთითებდა, რომ ქორნინების განმავლობაში ქმარი მისი შვილებისა და მის მი-

²¹² Bălsan v. Romania, Application no. 49645/09, May 23, 2017, n. <https://bit.ly/38ralKh> [08.01.2021].

მართ იყო აგრესიული. ძალადობამ იმატა 2007 წელს განქორწინების თაობაზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას, რომელიც გაგრძელდა 2008 წელსაც. აღნიშნულ პერიოდში მომჩივანს მეუღლე რვაჯერ დაესხა თავს, შედეგად ქალმა მიიღო ფიზიკური დაზიანებები.

აღნიშნულ პერიოდში მომჩივანმა სახელმწიფო ორგანოებს დახმარება რამდენჯერმე სთხოვა, მათ შორის, პოლიციაში საჩივრის ნარდეგენის გზით, თუმცა როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე, მიიჩნიეს, რომ ოჯახში ძალადობის პროვოცირება თავად მომჩივანმა მოახდინა და აღნიშნული ძალადობა არ იყო იმდენად სერიოზული, სისხლის სამართლის სფეროში მოხვედრილიყო. ამდენად, 2007 წელს მომხდარ ძალადობის სამ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოებმა გაამართლეს მომჩივნის მეუღლე, რომელსაც ბრალი ედებოდა სხეულის დაზიანებაში. რაც შეეხება 2008 წელს მომხდარ ძალადობის ხუთ ფაქტს, პროკურატურამ მოძალადის მიმართ არ განახორციელა სისხლისამართლებრივი დევნა.

ზემოხსენებული თითოეული გადაწყვეტილების შემდეგ მომჩივნის მეუღლე ადმინისტრაციული წესით დააჯარიმეს.

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი დაცვა ოჯახში ძალადობისგან, ვინაიდან, მისი არაერთი საჩივრის მიუხედავად, მოძალადეს პასუხისმგებლობა არ დააკისრეს. ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივი ქმედებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო ქალი თავს უიმედოდ და დამცირებულად გრძნობდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ფიზიკური ძალადობა, რომელსაც მომჩივანი არაერთხელ დაექვემდებარა, საკმარისად სერიოზული იყო, რათა მიეღწია კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისათვის დადგენილი სისასტიკის მინიმალური ზღვრისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს ხშირად მიუმართავს დასახმარებლად როგორც პოლიციისთვის, ისე სასამართლოსთვის, შესაბამისად, ხელისუფლება ვალდებული იყო, აღნიშნული საჩივრების საფუძველზე გაეტარებინა შესაბამისი ლონისძიებები და თავიდან აეცილებინა ძალადობის გამეორება. რუმინეთში არსებობდა შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც იძლეოდა ოჯახში ძალადობის შემთხვევაში საჩივრის

წარდგენისა და დაცვის მოთხოვნის შესაძლებლობას და სრულად იქნა გამოყენებული მომჩივნის მიერ.

სასამართლომ შეშფოთება გამოხატა, რადგან ეროვნულმა ხელისუფლებამ ძალადობა მომჩივნის პროვოცირებულად მიიჩნია და დასაკვნა, რომ ქმედებები არ იყო საკმარისად სერიოზული სისხლის სასამართლის წესით დასაკვალიფიცირებლად. სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ორგანოების ამგვარი მიდგომა ვითარებაში, როდესაც ოჯახში ძალადობის ფაქტი არ იყო სადაც, აზრს უკარგავდა ეროვნული კანონმდებლობის მიზნებს და არ შეესაბამებოდა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სტანდარტებს.

მოცემული საქმის დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტში შეფასებისას სასამართლომ მოიშველია ოფიციალური სატატისტიკა, რომლის მიხედვითაც, რუმინეთში მცხოვრები ადამიანების უმრავლესობას ოჯახში ძალადობა ნორმალურ მოვლენად მიაჩნდათ. ქვეყნის მოსახლეობა საკამარისად არ ფლობდა ინფორმაციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით რუმინეთში არსებული კანონმდებლობისა და სტრატეგიების შესახებ. როგორც სასამართლომ მიუთითა, ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუმინეთში არც ხელისუფლება აფასებდა ოჯახში ძალადობის სერიოზულობასა და მასშტაბებს, რაც დადასტურდა მოცემულ საქმეშიც. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფა იწვევდა სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას მომჩივანი ქალის მიმართ.

სასამართლოს აზრით, რუმინეთის მთავრობის მიერ კანონმდებლობისა და ეროვნული სტრატეგიების მიღების მიუხედავად, სისტემის უმოქმედობა და მოძალადების დაუსჯელობა, რაც მოცემულ საქმეშიც დაფიქსირდა, ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად ხელსუფლების არასაკმარის ძალისხმევაზე მეტყველებდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-3 მუხლთან ერთობლიობაში.

კიდევ ერთ საქმეში, „ერემია მოლდოვის რესპუბლიკის წინა-აღმდეგ“, დაადგინა სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-3 და მე-8 მუხლებთან ერთობლიობაში.²¹³

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: ლილია ერემია დაქორწინებული იყო პოლიციის ოფიცერზე, რომელიც სახლში ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა და მეუღლეს ქალიშვილების თანდასწრებით სცემდა. მას შემდეგ, რაც მოძალადე დააჯარიმეს და ოფიციალური გაფრთხილება მისცეს, იგი კიდევ უფრო აგრესიული გახდა. მორიგი ძალადობა 2010 წლს მოხდა, როდესაც მან ცოლის გაგუდვა სცადა. მომჩივანმა მიმართა სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მიზნით, რაც დაკმაყოფილდა. მოძალადეს აეკრძალა 90 დღის განმავლობაში 500 მეტრის რადიუსში მისულიყო მომჩივნისა და მისი შვილების სახლთან, დაემყარებინა კომუნიკაცია და განეხორციელებინა მათ წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედებები. მიუხედავად ამისა, მოძალადე რამდენჯერმე შევიდა მომჩივნის სახლში და სცემა მეუღლე. 2011 წლის აპრილში სასამართლომ დააკმაყოფილა მოძალადის საჩივარი და დამცავი ორდერი ნაწილობრივ გააუქმა.

მომჩივანმა განცხადება შეიტანა პოლიციაშიც მისი მეუღლის მხრიდან განხორციელებული ძალადობის გამო, თუმცა პოლიციის თანამშრომლები მომჩივნის მოუწოდებდნდენ, რომ საჩივარი უკან გაეხმო, რადგან შესაძლოა, ამის გამო მის მეუღლეს დაეკარგა სამსახური, რაც უარყოფითად იმოქმედებდა მათი ქალიშვილების საგანმანათლებლო და პროფესიულ განვითარებაზე. მომჩივნის განცხადების საფუძველზე გამოძიება დაიწყო, მაგრამ პროკურორმა, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების მიუხედავად, გამოძიება ერთი წლით შეაჩერა იმ პირობით, რომ იგი განახლდებოდა, თუ მოცემული პერიოდის განმავლობაში მომჩივნის მეუღლე დანაშაულს კვლავ ჩაიდენდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არსებული ძალადობრივი ისტორიის გათვალისწინებით, მომავალი ძალადობის შიში საკმაოდ ძლიერი იყო, რათა მომჩივანში გამოეწია ტანჯვა და შფოთი, რაც წარმოადგენს არაადამიანურ მოპყრობას. სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ

²¹³ Eremia v. The Republic of Moldova, Application no. 3564/11, May 28, 2013, n.b. <https://bit.ly/357juuW> [05.01.2021].

ხელისუფლებამ გაატარა გარკვეული ზომები (მაგ., მოძალადე ოფიციალურად გააფრთხილეს და დააჯარიმეს), არცერთი მათგანი არ აღმოჩნდა ეფექტიანი და საკმარისი მსხვერპლის უსაფრთხოების დასაცავად. ხელისუფლებას უნდა გაეცნობიერებინა, რომ მომჩივანი მომავალში ძალადობის დაქვემდებარების სერიოზული და რეალური რისკის წინაშე იდგა, რაც სათანადო მტკიცებულებებითაც დასტურდებოდა.

სასამართლომ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ მოძალადე პოლიციის თანამშრომელი იყო, რომლის პროფესიულ ვალდებულებებშიც შედიოდა სხვა ადამიანების უფლებების დაცვა, დანაშაულის პრევენცია და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ მან რამდენჯერმე დაარღვია დამცავი ორდერი, იგი კვლავ აგრძელებდა საპოლიციო საქმიანობას.

სასამართლომ იმსჯელა არასრუნლოვანი ქალიშვილების თანდასწრებით დედის მიმართ განხორციელებული ძალადობის შედეგებზეც და აღნიშნა, რომ მათი თანდასწრებით მამის მიერ დედის მიმართ არაერთხელ განხორციელებულმა ძალადობამ გოგოებზე მძიმე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინა, თუმცა ხელისუფლებამ პრაქტიკულად არანაირი ზომები არ გაატარა მსგავსი ქცევის გამეორების აღსაკვეთად, რაც სასამართლოს შეფასებით, წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

სასამართლომ მოცემული საქმე შეაფასა დისკრიმინაციის აკრძალვის ჭრილშიც და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს უუნარობა, დაიცვას ქალები ოჯახში ძალადობისგან, არღვევს მათ უფლებას – თანასწორად ყოფილყვნენ დაცულები კანონის წინაშე. მოცემულ საქმეში ხელისუფლებამ დისკრიმინაციული დამოკიდებულება გამოავლინა მომჩივნის, როგორც ქალის, მიმართ, ვინაიდან სათანადოდ ვერ შეაფასა ოჯახში ძალადობის სერიოზულობა და მნიშვნელობა და ქალებზე მისი დისკრიმინაციული გავლენა.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების უუნარობა, გამკლავებოდა ძალადობას, წარმოადგენდა არაერთგზის განხორციელებული დანაშაულის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების გამოჩენას და ამას მომჩივნის, როგორც ქალის, მიმართ დისკრიმინაციული ეფექტი ჰქონდა.

სასამართლომ კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა დაადგინა საქმეში „ე.ს. და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ“²¹⁴.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: 2001 წელს მომჩივანმა, რომელიც ცხოვრობდა მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად, განაცხადი შეიტანა განქორწინების თაობაზე. 2001 წელს მომჩივანმა განცხადება შეიტანა მისი ქმრის წინააღმდეგაც. იგი აცხადებდა, რომ მისი მეუღლე არასათანადოდ ეპყრობოდა როგორც მას, ასევე მათ შვილებს, ხოლო ერთ-ერთ ქალიშვილზე სექსუალურად ძალადობდა, თუმცა მხოლოდ ორი წლის შემდეგ ცნეს დამნაშავედ მომჩივნის მეუღლე არასათანადო მოპყრობისა და სექსუალური ძალადობისთვის და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

მოძალადის დამნაშავედ ცნობამდე, კერძოდ, 2001 წლის მაისში, სისხლის სამართლის საქმეზე საჩივრის შეტანის შემდეგ, მომჩივანმა მოითხოვა დროებითი ღონისძიების მიღება, რომლითაც მისი ქმარი ვალდებული იქნებოდა, დაეტოვებინა მათი საერთო საცხოვრებელი ბინა. ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაკმაყოფილეს მომჩივნის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს არ ჰქონდა უფლება შეეზღუდა მომჩივნის მეუღლის უფლება საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საპელაციო სასამართლომაც, რომელმაც მიუთითა, რომ მომჩივანს მას შემდეგ შეეძლო დაეწყო წარმოება ერთობლივი ცხოვრების შეწყვეტასთან დაკავშირებით, როცა საბოლოო გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული განქორწინების თაობაზე, თუმცა მომჩივანს შეეძლო, მოეთხოვა ბრძანების გამოცემა, რომელიც მის ქმარს დაავალდებულებდა, თავი შეეკავებინა არასათანადო ქცევისგან.

შესაბამისად, მომჩივანი და მისი შვილები იძულებული გახდნენ, ოჯახი და მეგობრები დაეტოვებინათ და წასულიყვნენ სახლიდან. ამის გამო ორ ბავშვს მოუწია სკოლის შეცვლა.

მოგვიანებით, ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგ, მომჩივნის განცხადების საფუძველზე გამოიცა ორი ბრძანება 2003 წლის ივლისსა და 2004 წლის დეკემბერში, რომლითაც მის ქმარს

²¹⁴ E.S. and Others v. Slovakia, Application no. 8227/04, September 15, 2009, n.b. <https://bit.ly/3i1ESXW> [08.01.2021].

აეკრძალა ბინაში შესვლა, ხოლო ბინის ექსკლუზიური ფლობის უფლება მომჩივანს მიენიჭა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სლოვაკეთის მიერ მომჩივნისა და მისი შვილებისათვის შეთავაზებული ალტერნატიული ღონისძიება – ბრძანება, რომლითაც ყოფილ მეუღლეს თავი უნდა შეეკავებინა არასათანადო ქმედებისაგან, არ წარმოადგენდა ადეკვატურ დაცვას ქმრისა და მამისაგან მოსალოდნელი ძალადობისგან, შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნული არ მიიჩნია დაცვის ეფექტურ შიდასახელმწიფობრივ სამართლებრივ საშუალებად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებების არსისა და სიმძიმის გათვალისწინებით, მომჩივანსა და მის შვილებს სჭირდებოდათ იმწუთიერი დაცვა და არა ერთი-ორი წლის შემდეგ. მომჩივანმა 2003 წლამდე, კანონის შეცვლამდე, ვერ შეძლო ორდერის მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ყოფილი მეუღლე არ ყოფილიყო დაშვებული მათ საცხოვრებელ სახლში. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, ამ პერიოდის განმავლობაში მომჩივნისათვის არ არსებობდა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლითაც იგი დარწმუნებული იქნებოდა, რომ ის და მისი შვილები იქნებოდნენ უსაფრთხოდ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად დაადგინა კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა.

მორიგ საქმეში, „კონტროვა სლოვაკეთის წინააღმდეგ“, სასამართლომ დაადგინა როგორც სიცოცხლის უფლების, ისე მე-13 მუხლის – სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლების – დარღვევა.²¹⁵

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: 2002 წლის 2 ნოემბერს, მომჩივანმა საჩივარი წარადგინა პილიციაში მეუღლის წინააღმდეგ. მომჩივანი აცხადებდა, რომ მეუღლე აყენებდა შეურაცხოფას და სცემდა ელექტროკაბელის გამოყენებით. მან წარადგინა მიყენებული დაზიანებების ამსახველი სამედიცინო ცნობაც. მოგვიანებით ქალმა სცადა საჩივრის უკან გახმობა, რადგან თან მისი მეუღლე ახლდა, თუმცა, პოლიციის თანამშრომლის რჩე-

²¹⁵ Kontrová v. Slovenia, Application no. 7510/04, May 31, 2007, n.b. <https://bit.ly/39fUGCh> [08.01.2021].

ვის საფუძველზე, შეცვალა განცხადების შინაარსი იმგვარად, რომ მისი ქმრის სავარაუდო ქმედებები განხილულიყო, როგორც წვრილმანი სამართალდარღვევები.

საჩივრის წარდგენიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მომჩივნის ნათესავმა გამოიძახა პოლიცია, რადგან მომჩივნის მეულლე ოთვით იყო შეიარაღებული და იმუქრებოდა შვილების მოკვლითა და თვითმკვლელობით. იმავე დამეს პოლიციაში მსგავსი შეტყობინება განახორციელა მომჩივანმაც. პოლიციის მისვლამდე მომჩივნის ქმარმა შემთხვევის ადგილი დატოვა. პოლიციის თანამშრომელმა მომჩივანი წაიყვანა მისი მშობლების სახლში და სთხოვა, რომ მომდევნო დღეს გამოცხადებულიყო პოლიციაში ინციდენტის ამსახველი ოფიციალური ჩანაწერის შექმნის მიზნით.

აღნიშნული შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ, კერძოდ, 2002 წლის 31 დეკემბერს, მომჩივნის ქმარმა მოკლა თავისი ორი არასრულწლოვანი შვილი, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ეროვნულმა სასამართლოებმა დამნაშავედ ცნეს პოლიციის ორი ოფიცერი უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულების გამო.

განმცხადებელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავობდა, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი შვილების სიცოცხლის დაცვა მაშინ, როდესაც პოლიციისთვის ცნობილი იყო მეუღლის ძალადობრივი და სახიფათო საქციელის შესახებ. განმცხადებელი ასევე დავობდა, რომ ვერ შეძლო კომპენსაციის მიღება განცდილი მორალური ზიანის გამო.

მოცემულ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იმ მოტივით, რომ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო ზომების მიღება აპლიკანტის შვილების სიცოცხლის დასაცავად.

შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, პოლიცია ვალდებული იყო, დაერეგისტრირებინა განმცხადებლის საჩივარი, დაუყოვნებლივ დაეწყო გამოძიება, განეხორცილებინა სისხლისამართლებრივი პროცედურები მეუღლის წინააღმდეგ და აღნიშნა ამ საქმესთან დაკავშირებით პოლიციაში შესული გადაუდებელი და საგანგებო ზარები, ასევე პოლიციას უნდა მიეღო ზომები იმ შეტყობინებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით შვილების მოკვლის მუქარას.

პრობლემური იყო ის გარემოებაც, რომ პოლიციის თანამშრომელი დაეხმარა მომჩივანს, ისე შეეცვალა განცხადების შინაარსი, რომ იგი განხილული ყოფილიყო, როგორც წვრილმანი სამართალდარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევაც იმ მოტივით, რომ მომჩივანს არ ჰქონდა შესაძლებლობა, მიემართა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც მას მიადგა შვილების მკვლელობის გამო.

ბავშვის ძალადობრივი გარემოსგან მოშორებისა და გაშვილების საკითხზე იმსჯელა სასამართლომ საქმეში „**ი.ც. გაერთიანებული სამეფოს ნინაალმდეგ**“²¹⁶.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: მომჩივანსა და მის პარტნიორს ჰქონდათ რამდენიმეწლიანი ურთიერთობა და 2001 წელს ვაჟი შეეძინათ. ორი წლის შემდეგ მეუღლებს შორის, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების გამო, ინციდენტი მოხდა და ოჯახი სოციალური სამსახურის ყურადღების ქვეშ მოექცა. აღნიშნულ ოჯახში ძალადობისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა, ვითარება 2007 წლიდან განსაკუთრებით გამწვავდა. ამას შედეგად მოჰყვა პოლიციის სახლში გამოძახების არაერთი შემთხვევა. 2008 წლის ივნისში ადგილობრივმა ხელისუფლებამ საგანგებო დამცავი ორდერი გამოსცა, რადგან მცირენლოვანი შვილი დაშავდა მშობლებს შორის მორიგი ძალადობის შედეგად. აღნიშნულ ორდერს მოჰყვა ბრძანება დროებითი მზრუნველობის დაწესების შესახებ და ბავშვი მინდობით აღზრდას დაექვემდებარა. ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით დაინიშნა მეურვე. დროებითი მზრუნველობა არაერთხელ იქნა გაგრძელებული სოციალური სამსახურის, ბავშვის მეურვისა და ფსიქოლოგის დეტალური დასკვნების საფუძველზე.

მოგვიანებით მომჩივანი ქმარს გაშორდა და მოითხოვა, რომ მიეცათ უკანასკნელი შანსი, შეფასებულიყო მისი, როგორც მშობლის შესაძლებლობები მეუღლესთან დაშორების შემდეგ. აღნიშნული შანსის სანაცვლოდ, სასამართლომ კიდევ ერთი ბრძანება გამოსცა დროებითი მზრუნველობის დაწესების შესახებ.

²¹⁶ Y.C. v. the United Kingdom, Application no. 4547/10, March 13, 2012, n.b. <https://bit.ly/3oqc9hs> [08.01.2021].

აღნიშნული გადაწყვეტილება შეიცვალა გასაჩივრების ეტაპზე საოლქო სასამართლოს მიერ. კერძოდ, მოსამართლემ დაადგინა, რომ „გადაწყვეტილების გადადების ერთადერთ შედეგს წარმოადგენდა მზრუნველობის დაწესების შესახებ ბრძანების გადადება და შესაბამისად, აღნიშნული ქმედება საფრთხეს უქმნიდა ალტერნატიული გრძელვადიანი მეურვეობის დაწესების პროცესს“. მომჩივანს უარი ეთქვა სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებაზე და მისი ვაჟი გაშვილებულ იქნა.

მომჩივანი დავობდა, რომ სასამართლომ უარი განაცხადა მისი, როგორც ერთადერთი მზრუნველის, მდგომარეობის შეფასებაზე, ასევე სასამართლომ ვერ უზრუნველყო ყველა სათანადო გარემოების გათვალისწინება ბავშვის გაშვილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც, მისი აზრით, კონვენიის მე-8 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვის გაშვილების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას საკმარისი მიზეზები ჰქონდა, ხოლო მომჩივანს ყველანაირი შესაძლებლობა მიეცა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში სრულად ყოფილიყო ჩართული.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა საოლქო სასამართლოს დასაბუთება, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისას, ნებისმიერ შემდგომ შეფასებას შესაძლებელი იყო, გამოეწვია გარკვეული ხარისხის განხეთქილება ბავშვის მინდობით აღზრდასა და ემოციური ზიანის რისკს შორის, ამიტომ მიიჩნია, რომ აპელანტის შეფასება ვერასოდეს ვერ იქნებოდა საკმარისი მტკიცებულება, რათა გამართლებულიყო მზრუნველობის დაწესების შესახებ ბრძანების გაუქმება მომჩივნის ნაკლოვანებებისა და ქმართან შერიგების განახლების მაღალი ალბათობის გათვალისწინებით. აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ გააჭიანურებდა და საფრთხის ქვეშ დააყენებდა ხანგრძლივი მეურვის მოძიების შესაძლებლობას. სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მომჩივნის მიერ ბავშვის მამასთან ურთიერთობის აღდგენის რისკი არასრულწლოვნის კეთილდღეობას რეალურ საფრთხეს შეუქმნიდა.

სასამართლოს შეფასებით, მართალია, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს წარმოადგენდა ოჯახთან კონტაქტის შენარჩუნება, თუმცა ნათელი იყო, რომ ბავშვის მშვიდ და უსაფრთხო გარემოში

განვითარება უფრო მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენდა, ვიდრე ნათესაური კავშირის შენარჩუნება. მომჩივანს შესთავაზეს შესაბამისი სერვისები და მხარდაჭერის პროგრამები ალკოპოლის დაძლევისა და მშობლის უფლებების განხორციელებაში დახმარების კუთხით. მას შემდეგ, რაც მომჩივანი მეუღლეს გაშორდა, მას მიაწოდეს ინფორმაცია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისების თაობაზე, თუმცა მომჩივანს არცერთი პროგრამით არ უსარგებლია. საბოლოოდ, იგი შეურიგდა ბავშვის მამას.

აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, ვინაიდან ბავშვის გაშვილების ბრძანება მიღებული იყო შესაბამისი და საკმარისი გარემოებების საფუძველზე.

საქმეზე „6.6. და სხვები საქართველოს ნინაალმდეგ“ სასამართლომ კონცენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა ეროვნული სასამართლოების მიერ ბავშვების საუკეთესო ინტერესების სათანადოდ შეუფასებლობის გამო, რომელთა გათვალისწინებაც მათი ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოში ცხოვრებისთვის იყო აუცილებელი.²¹⁷

საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით: მომჩივნის დას, რომელმაც მეუღლესთან ურთიერთობა 2000 წელს დაიწყო, სამი შვილი შეეძინა. 2006 წელს მომჩივნის დის ქმარი (სიძე) გასამართლებულ იქნა ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისათვის და სასჯელად განესაზღვრა პირობითი მსჯავრი, ხოლო 2008 წელს დაუსვეს ფინქიური და ქცევითი მოშლილობის დიაგნოზი. იმავე წელს მამაკაცმა დაიწყო მეტადონით ჩანაცვლების მკურნალობის კურსის გავლა, რაც იყო წამალდამოკიდებულების მკურნალობის სპეციალიზებული პროგრამის ნაწილი. იგი 2009 წელს დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარების ორი შემთხვევის გამო.

2009 წელს გარდაიცვალა მომჩივნის და (ბავშვების დედა), ხოლო არასრულწლოვნები საცხოვრებლად გადავიდნენ დეიდებთან და ბებია-ბაბუასთან დედის მხრიდან. იმავე წლის ბოლოს ბავშვების მამამ მოითხოვა შვილების უკან დაპრუნება, მაგრამ მომჩივნის ოჯახმა უარი განაცხადა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

²¹⁷ N.Ts. and Others v. Georgia, Application no. 71776/12, February 2, 2016, n.b.

<https://bit.ly/2LABxCS> [10.01.2021].

მამაკაცის სამედიცინო ანგარიშის თანახმად, იგი არ წარმოადგენდა საფრთხეს თავისი ან გარშემო მყოფი პირებისათვის და გააჩნდა ჯანსაღი ცხოვრების დაწყების მოტივაცია. არ იყო დაზიანებული მისი ცენტრალური ნერვული სისტემა და არ ჰქონდა რაიმე სახის ფსიქიკური პათოლოგია.

2010 წელს ბავშვების მამამ მიმართა სასამართლოს შვილების დაბრუნების თაობაზე. სასამართლო საქმეში ჩართო სოციალური მომსახურების სააგენტი, რომელსაც უნდა შეეფასებინა ბავშვების მამისა და დედის ოჯახის სოციალური გარემო და საცხოვრებელი პირობები. შესწავლის შემდეგ სოციალურმა მუშაკმა დაადგინა, რომ ორივე ადგილას საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელი იყო, ხოლო ბავშვებს ესაჭიროებოდათ მზრუნველი და უსაფრთხო გარემო. აღნიშნულის პარალელურად, ბავშვებს ჩაუტარდათ ფსიქოლოგიური შემოწმება. ერთი-ერთი შემოწმების შემდეგ სამივე ბავშვს დაუდგინდა ფსიქოლოგიური აშლილობა – ახლობლის დაკარგვის შიში. სამედიცინო დასკვნის შესაბამისად, სამივე ბავშვს ჰქონდა ნეგატიური დამოკიდებულება და სხვადასხვა სახის შიში მამის მიმართ. სხვადასხვა დროს ბავშვების ფსიქოლოგიური შემოწმების საფუძველზე გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომ არ უნდა მომხდარიყო ცვლილებების შეტანა არასრულწლოვნების საცხოვრებელ გარემოში, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული მათთვის დამატებითი სტრესის შექმნა.

ამავე პერიოდში სასამართლომ გამოსცა შუალედური განკარგულება, რომელიც მამას უფლებას აძლევდა, ენახა შვილები ოჯახის ორი ახლობლის თანდასწრებით, ხოლო მოგვიანებით მიიღო გადაწყვეტილება სამივე ბიჭის მამისთვის დაბრუნების თაობაზე. სასამართლომ გაითვალისწინა მამაკაცის სამედიცინო ისტორია და მიუთითა, რომ იგი მზად იყო მშობლის პასუხისმგებლობის შესასრულებლად. სასამართლომ დაუშვებლად ცნო ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ სამედიცინო ანგარიში, როგორც არასანდო დასკვნა, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, ექსპერტთა შეფასებები წინააღმდეგობაში მოდიოდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან.

აღნიშნული გადაწყვეტილება ბავშვების დედის ოჯახმა გაასაჩივრა საპელაციო სასამართლოში, რომელმაც გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ

ბავშვები უნდა დარჩენილიყვნენ მათი დედის ოჯახში. მოსამართლეებმა გაიზიარეს ფსიქოლოგთა შეფასებები იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვნებს სჭირდებოდათ სტაბილური და უსაფრთხო გარემო და ნებისმიერ ძალდატანებით ცვლილებას შეიძლება გაეუარესებინა მათი სტრესული მდგომარეობა. შესაბამისად, ბავშვების მამასთან შეგუება უნდა მომხდარიყო ბუნებრივად.

თუმცა რამდენიმე თვეში უზენაესმა სასამართლომ საქმე ხელახლი განხილვისთვის უკან დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უტყუარად არ ადგენდა მშობლისა და შვილების დაშორების აუცილებლობას.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის განახლების შემდეგ სოციალურმა მუშაკებმა განახორციელეს ვიზიტები ბავშვების დედის ოჯახში. მათი შეფასების თანახმად, ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობა იყო გაუარესებული, ბავშვებმა ასევე გამოხატეს ნეგატიური დამოკიდებულება მამისა და სოციალური მუშაკების მიმართ. სოციალურმა მუშაკებმა ანგარიშში მიუთითებს, რომ ბავშვები იზრდებოდნენ ერთადერთი მშობლის გარეშე მათი მამის მიმართ მტრულად განწყობილ გარემოში, ხოლო ბავშვების ბიოლოგიურ მამას ჰქონდა ადამიანური და მატერიალური რესურსი, რათა თავისი შვილებისათვის შეექმნა სათანადო პირობები.

საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვებს უნდა ეცხოვრათ მამასთან. დასაბუთებისას სასამართლომ გამოიყენა სოციალური მუშაკების ვიზიტის შემდეგ მომზადებული ანგარიში და აღნიშნა, რომ დედის ოჯახმა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა ბავშვებზე, რამაც განსაზღვრა მათი დამოკიდებულება მამის მიმართ.

გადაწყვეტილების აღსრულება ბავშვების მამისათვის გადაცემის თაობაზე, ორი მცდელობის მიუხედავად, წარუმატებელი აღმოჩნდა, ვინაიდან არასრულწლოვნებმა უარი განაცხადეს მამასთან გადასვლაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მშობლისა და ბავშვის მიერ მათი ერთად ყოფნით ერთობლივი სიამოვნების მიღება ქმნიდა ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელე-

მენტს. შესაბამისად, ამ მუხლის არსებით მიზანს წარმოადგენდა პირის დაცვა ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ქმედებების-გან. სასამართლომ მიუთითა, რომ ოჯახური ცხოვრების ეფექტი-ან „პატივისცემას“ ახასიათებდა პოზიტიური ვალდებულებები. კერძოდ, მე-8 მუხლი მოიცავს, ერთი მხრივ, მშობელთა უფლებას, მიიღონ ზომები, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, აღადგი-ნონ ურთიერთობები შვილებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფ-ლების ვალდებულებას, განახორციელოს შესაბამისი ქმედებები. ეს ეხება ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც წარმოიშობა დავა მშობ-ლებს ან/და ბავშვების ოჯახის სხვა წევრებს შორის არასრულ-ნლოვნებთან კონტაქტისა და მათი საცხოვრებელი ადგილის გან-საზღვრის თაობაზე.

ეროვნული ხელისუფლების ვალდებულება, განახორციელოს ღონისძიებები ოჯახის გაერთიანების ხელშეწყობის მიზნით, არ არის აბსოლუტური ხასიათის. მშობლის იმ ბავშვთან ხელახალი გაერთიანება, რომელიც გარკვეული პერიოდი ცხოვრობს სხვა პირთან, შეიძლება ვერ მოხდეს დაუყოვნებლივ და საჭირო გახ-დეს მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელება. ამგვარი მოსამზადებელი ღონისძიებების მასშტაბები და ხანგრძლივობა კი დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის სპეციფიკაზე.

როგორც სასამართლომ აღნიშნა, თუკი მშობელთან კონტაქტი საფრთხეს უქმნის ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ან აბრკო-ლებს მათი უფლებების განხორციელებას, სახელმწიფომ უნდა შექმნას სამართლიანი ბალანსი. ბავშვის საუკეთესო ინტერესები კი უნდა წარმოადგენდეს განხილვის უმთავრეს საგანს, რომე-ლიც, მისი ბუნებიდან და სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძ-ლება აჭარბებდეს მშობლის ინტერესებს.

მოცემულ საქმეში სასამართლომ ორ ძირითად ასპექტზე გაა-მახვილა ყურადღება, კერძოდ: იყვნენ თუ არა ბავშვები სათანა-დოდ ჩართული საქმის წარმოებაში და ეროვნული სასამართლოე-ბის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა თუ არა მათ საუკეთესო ინტერესებს.

პირველ საკითხთან მიმართებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სამი ბავშვიდან არც ერთის უშუალო მოსმენა არ განხორცილებუ-ლა არც ერთ სასამართლო ინსტანციაში. სასამართლომ პრობლე-მურად მიიჩნია ის ფაქტი, რომ სოციალური მომსახურების საა-

გენტო ფორმალურად ჩაერთო სამართალწარმოებაში მხოლოდ სააპელაციო ეტაპიდან, რის გამოც გაურკვეველი მიზეზებით გამოტოვა პირველ ინსტანციაში საქმის მთლიანი განხილვა, ხოლო ჩართვის შემდეგ მან მიიღო „დაინტერესებული მხარის“ სტატუსი, თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა რაიმე დებულებას „დაინტერესებული მხარის“ სტატუსთან ან/და მის შემდგომ საპროცესო უფლებებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, სასამართლოსთვის გაურკვეველი იყო, თუ როგორ შეძლო სოციალურმა მომსახურების სააგენტომ ეფექტურად წარმოედგინა ბავშვების ინტერესები, როცა მას გააჩნდა ფორმალური პროცედურული როლი ამ საქმეში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართალწარმოების ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სოციალური მუშაკი ბავშვებს მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდა. მისი ერთადერთი მიზანი იყო, მოემზადებინა ანგარიში მათი საცხოვრებელი პირობებისა და ემოციური მდგომარეობის შესახებ. არასრულწლოვნების მონიტორინგისა და მათთან სანდო ურთიერთობის დამყარების მიზნით ადგილი არ ჰქონია რეგულარულ და ხშირ ვიზიტებს.

რაც შეეხება მეორე მნიშვნელოვან გარემოებას – სახელმწიფოს მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღება არ მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ბავშვებს არ სურდათ მამასთან დაბრუნება. სასამართლოს შეფასებით, მართალია, რამდენიმე ანგარიში მიუთითებდა დედის ოჯახის ნეგატიურ დამოკიდებულებას ბავშვების მამის მიმართ, რაც წარმოადგენდა არასრულწლოვნების მამასთან ურთიერთობის ჩამოყალიბების ფაქტორს, თუმცა როგორი როლიც არ უნდა შეესრულებინა დედის ოჯახს, ცალსახა იყო ბავშვების მტრული დამოკიდებულება მამის მიმართ. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემულ ვითარებაში ასეთი რადიკალური ზომების მიღება, შესაბამისი მოსამზადებელი ღონისძიებების გაუთვალისწინებლად, რომლებიც მიზნად ისახავდა არასრულწლოვნებსა და მათ გაუცხოებულ მამას შორის ურთიერთობების აღდგენაში დახმარებას ეწინააღმდეგებოდა ბავშვების საუკეთესო ინტერესებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბავშვების საუკეთესო ინტერსების არაადეკვატური და ცალმხრივი შეფასების გამო, რომ-

ლის დროსაც არ იქნა გათვალისწინებული მათი ემოციური მდგო-
მარეობა, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარ-
ღვევა.

ISBN 978-9941-8-3351-9

A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-8-3351-9.

9 789941 833519